თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თავართქილაძის ეკონომიკურ ურთიერთობათა
და სამართლის უნივერსიტეტი

ნონა ახალაშვილი

იურიდიული ფსიქოლოგია

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2009

წინამდებარე ნაშრომი "იურიდიული ფსიქოლოგია" განკუთვნილია უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, განსაკუთრებით მაგისტრანტებისათვის. იგი უთუოდ მიიპყრობს პროფესიონალი სამართლისმცოდნეების, ფსიქოლოგების, პედაგოგების და აღნიშნული პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრის ყურადღებას.

რეცენზენტები:	**ი. ბუხულეიშვილი** **ნ. გოგიჩაშვილი** **ე. შენგელია**
რედაქტორები:	**ვ. ბენიძე** **ვ. ვაშაკიძე**

© ნ. ახალაშვილი, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი", 2009

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-601-7

შინაარსი

შესავალი **5**

1. პიროვნება სისტემაში "ადამიანი – სამართალი" ... **9**
1.1. ფსიქიკური პროცესების სისტემა 18
1.2. ემოციები და ნებელობა 26
1.3. მეხსიერება 35
1.4. ინტუიციის, წარმოსახვის, აზროვნებისა და ინტელექტის როლი ამოცანის გადაჭრაში..... 44
1.5. ტემპერამენტი და ხასიათი 52

2. სამართლებრივი ფსიქოლოგია **63**
2.1. სამართალი, როგორც პიროვნების სოციალური რეგულაციის ფაქტორი 70
2.2. ეფექტური სამართალშემოქმედების სოციალურ–ფსიქოლოგიური ასპექტები 76
2.3. იურიდიული საქმიანობის ეთიკური საფუძვლები.... 83

3. კრიმინალური ფსიქოლოგია **90**
3.1. ბიოსოციალური ფაქტორების როლი დანაშაულებრივი ქმედების დეტერმინაციაში..... 92
3.2. დამნაშავის პიროვნების ფსიქოლოგია და ტიპოლოგია..... 103
3.3. სხვადასხვა კატეგორიის დამნაშავეთა ფსიქოლოგიური დახასიათება 111
3.4. დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგია 125
3.4.1. იმპულსური დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგიური თავისებურებები 126
3.4.2. წინასწარგანზრახული დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგიური თავისებურებები 132

4. ნინასნარი გამოძიების ფსიქოლოგია 141
4.1. გამომძიებლის პიროვნების ფსიქოლოგიური
თავისებურებები 141
4.2. გამომძიებლის შემეცნებით–სამძებრო საქმიანობა
და ევრისტიკა 147
4.3. ინფორმაციული მოდელირება საგამოძიებო
საქმიანობაში 156
4.4. დანაშაულის რეკონსტრუქციის ფსიქოლოგიური
დახასიათება 161
4.5. შემთხვევის ადგილის დათვალიერების
ფსიქოლოგია 171
4.6. დაკითხვის ფსიქოლოგია 180
4.7. საგამოძიებო ექსპერიმენტის ფსიქოლოგია 192
4.8. ჩხრეკის ფსიქოლოგია 199

5. სასამართლო პროცესის ფსიქოლოგია 206
5.1. სასამართლო პროცესის ზოგადფსიქოლოგიური
დახასიათება 206
5.2. სასამართლო გამოძიების ორგანიზების
ფსიქოლოგიური მხარე 214
5.3. სასამართლო პროცესზე მიმდინარე პოლემიკა 227
5.4. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების
ფსიქოლოგიური ასპექტები 239

6. არასრულწლოვანის ფსიქოლოგია 244
6.1. არასრულწლოვანთა პრობლემები იურიდიულ
ფსიქოლოგიაში 244
6.2. მოზარდი და დანაშაული 254
6.3. არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიების
ფსიქოლოგიური თავისებურებები 270
გამოყენებული ლიტერატურა 282

შესავალი

❖ **იურიდიული ფსიქოლოგია წარმოადგენს ფსიქიკური კანონზომიერებებისა და ფსიქოლოგიური ცოდნის გამოყენებას სამართლებრივი რეგულირების სფეროსა და იურიდიულ საქმიანობაში.**

იურიდიული ფსიქოლოგიის ამოცანებია:

- განახორციელოს ფსიქოლოგიური და იურიდიული ცოდნის მეცნიერული სინთეზი;
- გახსნას ბაზისური სამართლებრივი კატეგორიების ფსიქოლოგიური არსი;
- უზრუნველყოს იურისტების მიერ თავიანთი საქმიანობის ობიექტის – ადამიანის ქცევის – სიღრმისეული გაგება;
- ახსნას სამართლებრივი მიმართების სხვადასხვა სუბიექტის საქმიანობისა და მდგომარეობის ფსიქიკური თავისებურებები;
- შეიმუშაოს რეკომენდაციები საზოგადოების სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ფსიქოლოგიური ცოდნა აუცილებელია იურისტისათვის ბაზისური სამართლებრივი კატეგორიების(როგორიცაა: ბრალი, მოტივი, მიზანი, დამნაშავის პიროვნება და ა.შ.) და ცალკეული იურიდიული საკითხების(მაგ., სასამართლო–ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნა, დანაშაულის კვალიფიკაცია და სხვ.) გადასაჭრელად.

იურიდიულ ფსიქოლოგიაში გამოყენებული კვლევის ზოგადფსიქოლოგიურ მეთოდებს აქვს გან-

საზღვრული სპეციფიკა, რაც განპირობებულია გამოსაკვლევი ობიექტის თავისებურებებით. ამ მეთოდებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სტრუქტურულ ანალიზს, ბუნებრივ ექსპერიმენტს, დაკვირვებას, დოკუმენტების შესწავლას, კონტენტ–ანალიზსა და ინტერვიურებას.

სტრუქტურული ანალიზის მეთოდი წამყვან როლს ასრულებს სამართლის სხვადასხვა სუბიექტის, დამნაშავის პიროვნების ფსიქიკური ნიშან–თვისებების, განსხვავებული სახის იურიდიული საქმიანობის ფსიქოლოგიური არსის შესწავლაში.

იურიდიული ფსიქოლოგიისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ფაქტორული და სტატისტიკური ანალიზის მეთოდებს. მათი ერთობლიობა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს გამოსაკვლევი მოვლენის მიზეზები და პირობები.

სასჯელაღსრულებითი ფსიქოლოგიის ამოცანების გადასაწყვეტად, ფსიქოლოგიურ მეთოდებთან ერთად, პედაგოგიური მეთოდებიც გამოიყენება.

იურიდიულ–ფსიქოლოგიურ კვლევებში ზოგჯერ იყენებენ ლაბორატორიულ ექსპერიმენტსაც, მაგრამ ფართოდ გავრცელებულია ბუნებრივი ექსპერიმენტი, როდესაც გამოსაცდელი პირები ექსპერიმენტის გარემოს აღიქვამენ როგორც ნამდვილს. დიდი გამოყენება აქვს, ასევე, საუბრის მეთოდსაც. იურიდიული ფსიქოლოგიის დამხმარე მეთოდია სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების, საგამოძიებო და სასამართლო შეცდომების შესწავლა.

პიროვნების კვლევისას გამოიყენება კერძო მეთოდებიც, როგორიცაა ბიოგრაფიის შესწავლა, დამოუკიდებელ მახასიათებელთა განზოგადება, ანკეტირება და სასამართლო–ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.

ბიოგრაფიული მეთოდი წარმოადგენს ბიოგრაფიული მონაცემების გაცნობასა და განზოგადებას. იგი კვლევის გენეტიკური მეთოდის ნაირსახეობაა. ცნობები მიიღება გამოსაკვლევი პირის ავტობიოგრაფიიდან, მასთან დაკავშირებული დოკუმენტებიდან, სასწავლო და სამკურნალო დაწესებულებებიდან. აგრეთვე, დიდი მნიშვნელობა აქვს ნაცნობ–მეგობრებისა და ნათესავების დახასიათებას და ა.შ. ეს მონაცემები, შესაძლოა, ყოველთვის არ იყოს ადეკვატური, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ბიოგრაფიული დოკუმენტი ადამიანის მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზას წარმოაჩენს, რომლის გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია პიროვნების ფსიქოლოგიური კუთხით გაანალიზება. ფსიქოლოგიური გამოკვლევისას შეიძლება სხვადასხვა ტესტებისა და კითხვარების გამოყენებაც.

დამოუკიდებელი მახასიათებლების განზოგადების მეთოდი დაკავშირებულია პიროვნების შესახებ სხვადასხვა წყაროებიდან, სამსახურებიდან ცნობების მიღებასთან. ეს საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ მისი ტენდენციური, არაადეკვატური შეფასება.

სასამართლო–ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ანუ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ ინდივიდში შესაძლო ფსიქიკური ანომალიების გამოვლენა ხორციელდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დახმარებით.

მასიური გამოკვლევისას, ტესტირების გარდა, ფართოდ გამოიყენება ანკეტირება და ინტერვიუირება.

იურიდიული ფსიქოლოგიის სპეციფიკურ მეთოდს შეადგენს ცალკეული შემთხვევის შესწავლა ანუ **მონოგრაფიული მეთოდი.** მაგალითად, ერთი რომელიმე კონკრეტული მოვლენის ძირფესვიანი სოციალურ–ფსიქოლოგიური გამოკვლევა.

იურიდიული ფსიქოლოგია ფლობს კატეგორიათა საკუთარ სისტემას, რომელიც სამართლებრივი რეგულაციის სფეროში ადამიანის ჩართულობის ლოგიკას შეესატყვისება. იგი შედგება ხუთი ნაწილისაგან. ესენია:

- სამართლებრივი ფსიქოლოგია;
- კრიმინალური ფსიქოლოგია;
- სისხლის სამართალწარმოების ფსიქოლოგია, რომელიც თავის მხრივ ორი ნაწილისაგან შედგება: წინასწარი გამოძიების ფსიქოლოგია და სასამართლო ფსიქოლოგია;
- სასჯელაღსრულებითი ფსიქოლოგია;
- სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების ფსიქოლოგია.

1. პიროვნება სისტემაში: „ადამიანი – სამართალი“

სისტემაში „ადამიანი–სამართალი“, უპირველესად რეალიზდება ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების, პიროვნული ასპექტები, რომელიც ჩართულია სოციალურ ურთიერთობებში, არის ცნობიერების, და კერძოდ, სამართალცნობიერების მატარებელი. ზოგჯერ გამოთქმა „ადამიანის პიროვნება“ არაკორექტულია. თუმცა სიტყვები „ადამიანი“ და „პიროვნება“ არ არის სინონიმები. ადამიანი შეიძლება არ იყოს პიროვნება, პიროვნება კი ყოველთვის ადამიანია და პიროვნულობას ადამიანის მეტი არავინ არ ფლობს.

მაგრამ ადამიანი არა მხოლოდ პიროვნებაა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზმია, ცოცხალი არსებების ევოლუციის მწვერვალია.

ადამიანს, როგორც მთლიანობითი სტრუქტურის შემადგენელს, ზოგადი, განსაკუთრებული და ინდივიდუალური თავისებურებები წარმოადგენს. ადამიანის მრავალრიცხოვანი თვისებების გააზრება საკმაოდ რთულია. მათდამი მიძღვნილია გამოკვლევები ემბრიოლოგიაში, ჰისტოლოგიაში, ანატომიაში, ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიაში. ისეთი მეცნიერებები, როგორიცაა ფილოსოფია, სოციოლოგია, ეთიკა, სამართალი და პედაგოგიკა, ასევე შეისწავლიან პიროვნების თავისებურებებს.

სისტემური მიდგომა საშუალებას იძლევა გავერკვეთ ადამიანის თავისებურებათა მრავალფეროვნებაში და არა მხოლოდ „დავახარისხოთ“ ისინი, არამედ აღმოვაჩინოთ მათ შორის ურთიერთკავშირები და დამოკიდებულებები.

ფსიქიკური მოვლენების პირველი კატეგორიაა ფსიქიკური პროცესები(შეგრძნება, აღქმა, მეხსიერება, აზროვნება და ა.შ.), რომლებიც მიმდინარეობის მიხედვით შედარებით ხანმოკლეა. არც ერთ ფსიქიკურ პროცესს არ შეუძლია იყოს შედარებით უფრო მეტად ან ნაკლებად ხანგრძლივი.

მეორე კატეგორიაა ფსიქიკური მდგომარეობები(სიმხნევე, დაღლილობა, აქტიურობა, პასიურობა, გაღიზიანებადობა, განწყობილება და ა.შ.) ისინი, ფსიქიკურ პროცესებთან შედარებით, უფრო ხანგრძლივია.

ფსიქიკური მოვლენების მესამე კატეგორიაა პიროვნების ფსიქიკური თავისებურებები. ისინი შედარებით მყარია, თუმცა მთელი ცხოვრების მანძილზე, იცვლებიან ადამიანის ბიოლოგიური განვითარების, ზოგჯერ ავადმყოფობის შედეგადაც. ყველაზე მეტ ცვალებადობას იწვევს სოციალური პირობების, აღზრდისა და თვითაღზრდის ზეგავლენა.

ფსიქიკური პროცესები, მდგომარეობები და თავისებურებები გაერთიანებულია ფსიქიკური მოვლენების კატეგორიაში.

სხვადასხვა ფსიქიკური პროცესების, თვისებების ან მდგომარეობების სამართლის პოზიციიდან შეფასება ბადებს შეკითხვებს, რომელიც არსებითია ფსიქოლოგის ისეთ დარგისთვის, როგორიცაა სამართლებრივი ფსიქოლოგია.

ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში გამყარებულია შეხედულება იმის შესახებ, რომ ადამიანის ნებისმიერი რეაქცია, მისი შინაგანი წყობა დამოკიდებულია პიროვნების იმ თავისებურებებზე, რომლებიც მას ჩამოუყალიბდა სოციალური გამოცდილების პროცესში მისი მოთხოვნილებებისა და მოტივების, ინტერესებისა და განწყობების, ანუ სინამდვილესთან მიმართებების შე-

დან გამომდინარე, რაც ასევე წარმოადგენს პიროვნების აქტივობის წყაროებს.

პიროვნების ჩამოყალიბების პროცესის შესწავლისას, მისი როგორც მთლიანობითი სტრუქტურის შესახებ წარმოდგენა, მოითხოვს აქცენტის გაკეთებას იმაზე, თუ რა ქმნის ამ მთლიანობას. პიროვნების მთლიანობით სტრუქტურას უპირველესად განსაზღვრავს მისი მიმართულობა. პიროვნების მიმართულობის საფუძველია ადამიანის ცხოვრებისა და აღზრდის პროცესში აღმოცენებული, მყარად დომინირებადი მოტივთა სისტემა, სადაც ძირითადი მოტივები იმორჩილებენ მეორეხარისხოვანს. პიროვნების მიმართულობა შეიძლება გამოვლინდეს მისი ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

პიროვნებას ნებისმიერ ასპექტში შესწავლისას, არ შეიძლება თვითნებურად გავმიჯნოთ შესასწავლი მოვლენა(პროცესი, ნიშანი, თვისება) მთლიანად პიროვნებისაგან, მისი მიმართულობისაგან. პიროვნების ფსიქოლოგიური გამოკვლევისას, კერძოდ, მასში პროფესიულად მნიშვნელოვანი ფსიქიკური თვისებების ფორმირების პროცესის შესწავლისას, აუცილებელია გავითვალისწინოთ ის, თუ რომელ ფუნქციას ასრულებს ესა თუ ის ფსიქიკური მოვლენა ადამიანის გარემოსთან ურთიერთქმედების რთულ სისტემაში.

ადამიანის ნებისმიერი თვისება(მაგ., დისციპლინირებულობა, ორგანიზებულობა და სხვ.) არ შეიძლება არსებობდეს მის პიროვნებასთან, მისი ქცევის მოტივებთან, განცდებთან, შეხედულებებთან კონტაქტის გარეშე. თვისება შეიცვლის შინაარსსა და წყობას იმაზე დამოკიდებულებით, თუ რა მიზნებსა და ამოცანებს დაისახავს პიროვნება.

პიროვნების თვისებები, სხვადასხვა კომბინაციების საფუძველზე, ადამიანებში განსხვავებულ მიმართულობას ქმნიან. სწორედ ეს უნდა გახდეს საფუძველი სტუდენტებში პროფესიულად მნიშვნელოვანი ნიშან–თვისებების ჩამოყალიბებისათვის.

პიროვნების ჩამოყალიბებაში, მოტივაციური სფეროს თავისებურებებათა გადამწყვეტი როლიდან გამომდინარე, აუცილებელია გავითავალისწინოთ ზოგიერთი მონაცემი თვით ამ სფეროს განვითარების შესახებ.

ფსიქოლოგიაში დამკვიდრდა მოთხოვნილების, როგორც ადამიანის მიერ რაიმეს დანაკლისის შეგრძნების გაგება. ეს აისახება ცნობიერებაში და იწვევს მისწრაფებას მისი აღმოფხვრისადმი. ფსიქოლოგთა უმრავლესობის აზრით, ადამიანის მიერ განცდილი შინაგანი მდგომარეობა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ინდივიდის მდგომარეობით. ამ დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია გარემოს ზეგავლენაც. ძირითადად იკვლევენ მოთხოვნილებათა სუბიექტურ მხარეებს, პიროვნების აქტივობის შინაგან წყაროებს. მოთხოვნილებების დამახასიათებელ თავისებურებებს წარმოადგენს:

- მოთხოვნილების კონკრეტული შინაარსობრივი ხასიათი, დაკავშირებული საგანთან, ან რაიმე საქმიანობასთან, რომელმაც ადამიანს კმაყოფილება უნდა მოუტანოს;
- მოთხოვნილების თვალსაჩინო გაცნობიერება, რომელსაც თან სდევს დამახასიათებელი ემოციური მდგომარეობა;

- მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო გზების მოძიებისათვის თანმდევი ემოციურ–ნებელობითი მდგომარეობა;
- მოთხოვნილების შესუსტება, ზოგჯერ კი საერთოდ გაქრობა;
- მოთხოვნილების ხელმეორედ აღმოცენება, როცა მისი გამომწვევი კვლავ ახსენებს თავს ინდივიდს.

ამრიგად, აღმოცენდება გარკვეული საგნებისადმი, საქმიანობის სახეებისადმი, ურთიერთობებისადმი და ა.შ. მოთხოვნილების განცდა. იგი წარმართავს ადამიანთა საქმიანობას. პიროვნების აქტივობის წყაროს წარმოადგენს არა მარტო ინდივიდუალური, არამედ მთელი ჯგუფის, კლასის, ერის მოთხოვნილებებიც კი.

სამწუხაროდ, ყველა ვერ აცნობიერებს საკუთარ მოთხოვნილებებს და საზოგადოების განვითარების რეალურ დონეს. ადამიანის მოთხოვნილებებს და საქმიანობის მოტივებს სოციალური ხასიათი აქვს. მათ აღმოცენებაში გადამწყვეტი როლი სოციალურ გარემოს ეკუთვნის, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნილებების ჩამოყალიბებას, ასევე მოქმედების მოტივაციას.

განსაზღვრული ობიექტური და სუბიექტური გარემოებების შერწყმისას, დაუკმაყოფილებელი ინდივიდუალური მოთხოვნილება შეიძლება გადაიქცეს სხვადასხვა დანაშაულის მიზეზად. თუმცა მოთხოვნილებები, ინტერესები, მოტივები გამოვლინდება რთულ, მრავალფეროვან და ურთიერთდაკავშირებულ ფორმებში.

ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, და იგი, მეტ–ნაკლებად, ფლობს ნების თავისუფლებას, შეუძლია საკუთარი სურვილების გაკონტროლება, მათი შეზღუდვა, მათზე მაღლა დგომაც; საზოგადოების ინტერესებიდან

გამომდინარე, ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე უარის თქმამ და პირიქით, საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ სწრაფვამ, შესაძლოა, ადამიანი ანტისაზოგადოებრივ ქმედებებამდე მიიყვანოს.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნილებები წარმოადგენს ადამიანის აქტივობის წყაროს, აუცილებელია ისინი განვიხილოთ იმ ინტერესებთან და მორალურ განცდებთან ურთიერთკავშირსა და ურთიერთქმედებაში, რომელშიც ასახვას პოულობს ინდივიდის სოციალური პოზიციები და ღირებულებითი ორიენტაციები.

მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ მიმართული ადამიანის მოქმედებების უშუალო წყაროს წარმოადგენს ინტერესები. მოთხოვნილებებისა და ინტერესების ურთერთდამოკიდებულება რთულია. გაცნობიერებული მოთხოვნილებები გამოდიან ინტერესების ფორმით, რომლებიც აქტიურად ზემოქმედებენ ახალი მოთხოვნილებების აღმოცენებასა და ჩამოყალიბებაზე. ინტერესები და მოთხოვნილებები ასახავენ საზოგადოებრივი განვითარების პროცესის ერთსა და იმავე მოვლენებს, კავშირებსა და მიმართულებებს, მაგრამ განსხვავებულ ასპექტებში. ამ სუბორდინაციაში კი პირველადს წარმოადგენენ მოთხოვნილებები ანუ ინტერესის პირველმიზეზები.

ინტერესი არის ობიექტისადმი პიროვნების სპეციფიკური დამოკიდებულება, გამომდინარე ამ ობიექტის ემოციური მიმზიდველობიდან და ცხოვრებისეული საჭიროებიდან.

დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლისას აქტუალურია პიროვნების გამოკვლევა სხვადასხვა კონფლიქტურ სიტუაციებში, სა-

დაც თავისებურად ვლინდება მისი ინტერესები და ქცევის მოტივები. როგორც მკვლევართა უმრავლესობა მიუთითებს, სამართალდამრღვევთა ინტერესებისათვის დამახასიათებელია:

- გაუკულმართებული ხასიათი;
- ემოციური ელფერის სიღატაკე;
- მათი დაკმაყოფილების ხერხის ამორალობა.

სამართალდამრღვევთა ინტერესები უკავშირდება მათ პიროვნულ, სულიერ გამოვლინებებს. ადამიანის შინაგანი სულიერი სამყარო მოიცავს გარე სამყაროზე, გარშემომყოფ ადამიანებზე შეხედულებებისა და წარმოდგენების სისტემას, ასევე იდეალებს, გემოვნებას, ინტერესებსა და პოლიტიკურ მრწამსს. ადამიანის შინაგან სამყაროში გაერთიანებულია გრძნობები, განწყობილებები, განცდები და ემოციური ცხოვრება. სამართალდამრღვევთა შინაგანი სამყაროს შესწავლა წარმოადგენს საკმაოდ რთულ პრობლემას. მათი დიდი ნაწილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ მუშაობს, რის გამოც ისინი კარგავენ სოციალურ კავშირებს. ასეთი ადამიანების უმრავლესობას საერთოდაც არ აქვს ჩამოყალიბებული ინტერესთა სფერო.

მორალური გრძნობები ადამიანის საქმიანობისა და საზოგადოებრივი ქცევისადმი მოტივაციის ერთ–ერთი სახეობაა. ისინი არეგულირებენ ადამიანის ქცევას, ზეგავლენას ახდენენ ცალკეული პირების მიერ საზოგადოებრივი მოვლენების შეფასებაზე. შეუძლებელია მათი წარმოდგენა ინდივიდის ცხოვრებისეული მიზნებისა და იდეალებისაგან მოწყვეტით. ისინი ხასიათდებიან მეტ–ნაკლები გაცნობიერებულობით, ინტენსივობითა და რეაქციის ხანგრძლივობით; გადაეცემიან

ერთი ადამიანიდან მეორეს და თავიანთ ანაბეჭდს ტოვებენ მათ გუნება–განწყობილებაზე.

გამომდინარე აქედან, სოციალურად მოუმწიფებელი ადამიანები, შესაძლოა აცნობიერებდნენ მხოლოდ კონკრეტულ ინტერესებს, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს მათი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას მხოლოდ კონკრეტული საქმიანობისადმი.

ფსიქოლოგიაში დადგენილია, რომ ადამიანის მოთხოვნილებები, ერთმანეთისგან განსხვავდება არა მხოლოდ თავიანთი შინაარსისა და თავისებურებათა(ძალის, მდგრადობის და ა.შ.) დინამიკურობის მიხედვით, არამედ მიმართულობის მიხედვითაც. მაგ., ზოგ მათგანს აქვს უშუალო ხასიათი, სხვები გაშუალებულნი არიან მიზნით ან ცნობიერი განზრახვით. ეს განსაზღვრავს იმ ხერხებსაც, რომლებიც ადამიანს უბიძგებს მოქმედებისკენ. პირველ შემთხვევაში ბიძგი მიდის მოთხოვნილებიდან მოქმედებისაკენ და უკავშირდება უშუალო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მსგავსი ტიპის ბიძგები დამახასიათებელია ადამიანის ორგანული მოთხოვნილებებისათვის. თუმცა, უშუალოდ წამქეზებელი შესაძლოა იყოს მდგრადი მორალური მოთხოვნილებებიც, რომლებიც ჩამოყალიბდა გარშემომყოფ ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში და იქცა ჩვეულებრივად.

გაშუალებული მოთხოვნილებების შემთხვევაში ბიძგი მოდის ცნობიერად დასახული მიზნიდან და შესაძლოა არა მარტო არ ემთხვევოდეს ადამიანის უშუალო მოთხოვნილებებს, არამედ იმყოფებოდეს მათთან წინააღმდეგობაში. გაშუალებული ბიძგები აღმოცენდება იმ შემთხვევებში, როდესაც რაიმე ძლიერი და მყარი მოთხოვნილება პირდაპირი გზით ვერ კმაყოფილდება, და გულისხმობს შუალედურ მოქმედებებს, რომლებიც

უნდა შეასრულოს ადამიანმა დასახული მიზნის მისაღწევად.

პიროვნების ცნობიერი განზრახვების ხორცშესხმის ძირითად საშუალებებს წარმოადგენს მისი ინტელექტუალური და ნებელობითი თვისებები. ამასთან მოქმედებს ე.წ. „კლაპარედის კანონი“: ფსიქიკური ცხოვრების განვითარება პროპორციულია ადამიანის მოთხოვნილებებსა და მათი დაკმაყოფილების ხერხებს შორის მანძილისა. რაც უფრო რთული და შორს მიმავალია ადამიანის მიერ დასახული მიზანი, მით უფრო დახვეწილი ინტელექტი და შეუპოვარი ნებისყოფაა მის მისაღწევად საჭირო.

ადამიანის პიროვნების მთლიანი სტრუქტურა, მისი შემადგენელი ფსიქიკური პროცესები და თავისებურებები, დამოკიდებულია მოთხოვნილებებზე, მისწრაფებებზე და განწყობებზე. ფსიქიკური პროცესები და თვისებები წარმოადგენს პიროვნების ფუნქციებს, დასახული მიზნის მიღწევის საშუალებებს. ამასთან, ფუნქციები და ფსიქიკური თვისებები ერთმანეთთან ურთიერთკომპენსაციურ დამოკიდებულებაშია.

1.1. ფსიქიკური პროცესების სისტემა.

პიროვნების რეალიზება ხდება საქმიანობაში. ამ შემთხვევაში, კიბერნეტიკოსები ადამიანს ახასიათებენ როგორც რთულ, თვითრეგულირებად სისტემას, რომელიც ინარჩუნებს წონასწორობას გარესამყაროსთან.

შემეცნებითი საქმიანობა მოიცავს:

- სენსორულ შემეცნებით პროცესებს, რომლებიც ასახავს საგნებისა და მოვლენების ცალკეულ ნი-

შან–თვისებებს. ამ მოქმედების ფსიქიკური შედეგია შეგრძნება.

- პერცეპტულ შემეცნებით პროცესებს, რომლებიც ასახავენ საგნებსა და მოვლენებს მთლიანობაში. ამ საგნებისა და მოვლენების ფსიქიკური ასახვაა აღქმა.
- მნემიკურ პროცესებს, რომლებიც ქმნიან მეხსიერების ხატებს. წარმოდგენების ახალ ხატებში მეხსიერების გარდაქმნას წარმოსახვა ეწოდება.
- ინტელექტუალურ ანუ აზროვნებით პროცესებს, რომლებიც ასახავს მოვლენებს შორის კავშირებს.

შეგრძნებას, აღქმას, წარმოდგენასა და მეხსიერებას მიაკუთვნებენ შემეცნების გრძნობად ფორმებს. მაგრამ ადამიანის მიერ გრძნობადი ასახვა ლოგიკურ შემეცნებას, აზროვნებას უკავშირდება. გრძნობად შემეცნებაში არსებით როლს თამაშობს ენა, სიტყვა, რომელიც ყოველთვის განზოგადების ფუნქციას ასრულებს. თავის მხრივ, ლოგიკური შემეცნება(აზროვნება) ეფუძნება გრძნობადი გამოცდილების მონაცემებს, შეგრძნებებს, აღქმასა და მეხსიერებას. შემეცნების ერთიან პროცესში ხორციელდება ყველა შემეცნებითი პროცესის განუწყვეტელი ურთიერთქმედება.

შეგრძნებებზე დაფუძნებულია უფრო რთული შემეცნებითი პროცესები: აღქმა, წარმოდგენა, მეხსიერება, აზროვნება, წარმოსახვა. შეგრძნებები ჩვენი შემეცნების „კარიბჭეა“. მათ გარეშე ვერ აღვიქვამდით მატერიის და მოძრაობის ვერანაირ ფორმებს.

შეგრძნებებში აისახება საგნის ობიექტური ნიშან–თვისებები(ფერი, სუნი, ტემპერატურა, გემო და ა.შ.) და ჩვენზე ზემოქმედი გამღიზიანებლების ინტენსივო-

ბა(მაგ., შედარებით უფრო მაღალი ან დაბალი ტემპერა-ტურა). ინფორმაციის დაგროვება და გადამუშავება იწ-ყება შეგრძნებითა და აღქმით, რომელთა ფიზიოლოგი-ურ საფუძველს შეადგენს გრძნობის ორგანოების საქ-მიანობა(გრძნობის ორგანოებს ფიზიოლოგიაში ანალი-ზატორები ეწოდება). მაგრამ აღიქვამს არა ანალიზა-ტორი, არამედ კონკრეტული პიროვნება. ამდენად, აღ-ქმა დამოკიდებულია როგორც აღქმის ობიექტზე, ასევე აღმქმელის ინდივიდუალურ თავისებურებებზეც.

გარემომცველი საგნების აღქმა დინამიკური პრო-ცესია. ადამიანი ახორციელებს მრავალრიცხოვან პერ-ცეპტულ მოქმედებას იმისათვის, რათა ჩამოაყალიბოს აღქმის ობიექტის ადეკვატური ხატი. ეს მოქმედებები შეადგენს თვალის მოძრაობას მხედველობითი აღქმის დროს, ხელის მოძრაობას შეხების დროს და ა.შ.

ადამიანის აღქმა ასევე დაკავშირებულია ობიექ-ტისგან მიღებული შთაბეჭდილებების ანალიზთან და სინთეზთან. ობიექტი შეიძლება აღქმულ იქნეს სხვა-დასხვანაირი განათების პირობებში, განსხვავებულ მანძილზე, მდგომარეობაში და პირობებში. შორ მან-ძილზე დანახული ობიექტი, განათებული დღის ან ელექტრონული სინათლით, იცვლება, როდესაც მას აღ-მქმელი უახლოვდება. დამკვირვებელი ამ დროს იღებს უფრო მეტ ინფორმაციას, შეიძლება ეხებოდეს საგნის ფორმას, ზომას, ნაწილების შეთანაწყობას, ფერს და ა.შ. აღქმის სხვადასხვა რაკურსებისგან მიღებული გან-სხვავებული წარმოდგენების საფუძველზე, სულ უფრო ნათლად და ზუსტად იქმნება მომავალი მოწმის, დაზა-რალებულის, ეჭვმიტანილის და ბრალდებულის შთა-ბეჭდილება დაკვირვების საგანზე.

საგნებისა და მოვლენების ფერის, ფორმის, სუნის, ბგერის და ა.შ. აღქმა მეტ–ნაკლებად დამოკიდებულია

პიროვნების ყურადღებაზე, განწყობაზე. ყურადღება შეიძლება სპეციალურად იქნეს წარმართული საგნებისა და მოვლენების ცალკეული მხარეების აღქმაზე და ამით ხელი შეეწყოს მათ შორის განსხვავების დანახვას, ხოლო განწყობა აიოლებს ობიექტების აღქმას.

ჩვენებათა ჩამოყალიბებას ართულებს ისიც, რომ აღქმის პროცესში ერთვება პიროვნებებში ადრე ჩამოყალიბებული შეხედულებები საგნებზე და დაგროვილი ცოდნა მათ შესახებ.

დაკითხვის საგანს ყოველთვის წარმოადგენს დანაშაულთან დაკავშირებული გარემოებები. მაგრამ არ შეიძლება მომავალი ჩვენებების მასალა იზოლირებულად განვიხილოთ იმ მოვლენებისგან, რომლებიც თითქოს არ მიეკუთვნებიან დაკითხვის საგანს. ადამიანი მხოლოდ გარესამყაროს იმ სიგნალებით რომ სარგებლობდეს, რომლებსაც მოცემულ მომენტში იღებს მისი გრძნობის ორგანოები, მაშინ საეჭვო იქნებოდა ცნობიერი საქმიანობა. გარემოში მიმდინარე მოვლენებში ორიენტირების უნარი, აღქმული ობიექტების დანიშნულების გაგება ადამიანს ცხოვრებისეულ გამოცდილებას ანიჭებს. ინდივიდის მიერ ნებისმიერი საგნის აღქმა არა უბრალოდ მხედველობითი, სმენითი ან სხვა ხასიათის გრძნობადი მონაცემების შეძენაა, არამედ დანახულის გააზრებაა, ახსნაა. ამასთან, ნაკლებმნიშვნელოვანია, აღქმა უეცარია თუ ხანგრძლივი.

მომავალი მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის აღქმაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ილუზიებს ანუ დამახინჯებულ აღქმას, რასაც თან მოსდევს შეცდომები. მათი აღმოცენების პროცესს საკუთარი კანონზომიერებები აქვს.

– ილუზია ზოგჯერ ჩნდება იმ განსაკუთრებული პირობების შედეგად, რომლის დროსაც მიმდინარეობს

დაკვირვება. მაგალითად, დაკვირვება ჭუჭრუტანაში ცალი თვალით ყურების დროს.

– მხედველობითი ილუზიების უმრავლესობა აღმოცენდება ხილულზე მცდარი მსჯელობის გამო; ტყუილი ამ დროს ჩნდება მხედველობითი ხატის არასწორი გააზრების შედეგად.

– რიგი ილუზიისა გაპირობებულია თვალის ოპტიკური არასრულყოფილებით და მხედველობით პროცესში მონაწილე სხვადასხვა ანალიზატორის განსაკუთრებული თავისებურებით. ასევე მხედველობითი შეგრძნებების დამახინჯება შესაძლებელია ახლომხედველობის, შორსმხედველობის, დალტონიზმისა და მხედველობითი აპარატის სხვა დეფექტის შედეგად.

ფსიქოლოგიაში დიდი ყურადღება ეთმობა სხვადასხვა მოწყობილობის მაჩვენებლებისა და კავშირის თანამედროვე საშუალებების სიგნალების ადამიანის მიერ აღქმის სიზუსტისა და სისწრაფის შესწავლას. გამომძიებლის დამკვირვებლური თვისებების ანალიზის დროს, სწრაფმიმდინარე მოვლენების შესახებ მოწმეებისა და დაზარალებულების ჩვენებების ფორმირების პროცესის გამოკვლევისას, სასამართლო ფსიქოლოგიამ შეიძლება გამოიყენოს საინჟინრო ფსიქოლოგიის დებულებები. თანამედროვე სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესის პირობებში არაიშვიათად უხდებათ მოწმეების, დაზარალებულების, ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების დაკითხვა იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მიღებულია კავშირის უახლესი საშუალებების გამოყენებით. უფრო მეტიც, საგამოძიებო საქმიანობაში აღმოცენდა სისხლის სამართლის საქმეების ახალი კატეგორია, დაკავშირებული სააავიაციო კატასტროფასთან, უსწრაფესი მანქანებისა და აპარატურის მუშაობასთან. ამიტომ გამომძიებელმა, აუცილებ-

ლად უნდა იცოდეს, თუ როგორი შეცდომები შეიძლება იქნას დაშვებული მოწმეთა, დაზარალებულთა, ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა მხრიდან, მათ მიერ ტექნიკური მოწყობილობებისა და დანადგარებიდან მიღებული სიგნალების აღქმასა და გადამუშავებაში.

ერთ–ერთ უნიშვნელოვანეს საკითხს ფსიქოლოგიაში ყურადღების პრობლემა წარმოადგენს. ყურადღებაში იგულისხმება ცნობიერების მიმართულება და კონცენტრირებულობა რაიმე განსაზღვრულზე. ყოველ ჩვენგანზე ნებისმიერ მომენტში ათასობით სრულიად განსხვავებული გამღიზიანებელი მოქმედებს და იწვევს მხედველობით, სმენით, შეხებით და სხვა შეგრძნებას. მაგრამ ყველა მათგანი ვერ აღწევს ჩვენ ცნობიერებამდე. ყოველ მომენტში, ჩვენ თვალნათლივ აღვიქვამთ მხოლოდ საგანთა შედარებით მცირე რაოდენობას. გამომდინარე აქედან, ყურადღება ერთი ან რამდენიმე საგნისადმი ყოველთვის იწვევს უყურადღებობას დანარჩენისადმი. ამის საფუძველზე ამბობენ, რომ ადამიანის ყურადღებას არჩევითი ხასიათი აქვს. ის გარეგანი გამღიზიანებლები, რომლებიც არ მიიპყრობენ ჩვენ ყურადღებას, უმნიშვნელო და ადვილად დავიწყებად კვალს ტოვებენ.

ყურადღების მიმართულება განისაზღვრება გარკვეული ფაქტორებისადმი ინტერესით. ნებისმიერ ადამიანს უპირველესად აინტერესებს ის, რაც მის საქმიანობასთანაა დაკავშირებული მოცემულ მომენტში. სხვადასხვა ადამიანს განსხვავებული აქვს მხედველობისა და სმენის სიმახვილე, ყნოსვის, გემოს, შეხების მგრძნობელობა, არაერთგვაროვანია ფერთა განსხვავების, ბგერის ლოკალიზების, დროსა და სივრცეში ორიენტირების უნარი და სხვ. ბუნებრივია, რომ ნებისმიერი ფიზიკური ნაკლოვანება(მაგ., სმენის, მხედველობის

დაქვეითება) ხელს შეუშლის ინდივიდის მიერ ამა თუ იმ ფაქტის სწორ აღქმას. განსაკუთრებით ეს კარგად ჩანს საგამოძიებო სიტუაციაში. გამოძიების მონაწილე „იჭერს" და იაზრებს არა მხოლოდ საგნის მთლიან ხატს და ცალკეულ „ფიზიკურ" თვისებებს, არამედ ამ პროცესში ჩართულია ამ თვისებების ახსნა–განმარტებაც. მაგ., მეტყველების, სიტყვათა გამოთქმების თავისებურებების, ქცევისა და გარეგანი იერსახის მიხედვით მსჯელობენ ასაკზე, ეროვნულობაზე, პროფესიაზე, პიროვნების ხასიათზე, სხვა ადამიანებისადმი ემოციურ დამოკიდებულებაზე და ა.შ. ყოველ ინდივიდში სხვა ინდივიდთა სოციალური ნიშან–თვისებების აღქმის სიზუსტე შეიძლება იყოს განსხვავებული და დამოკიდებული ცხოვრებისეულ და პროფესიულ გამოცდილებაზე.

მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენების ჩამოყალიბების ერთ–ერთ უცილობელ პირობას წარმოადგენს სიტყვის გაგება. სრული გაგება მიიღწევა მაშინ, როცა ორივე მხარეს – მას, ვინც ლაპარაკობს და მასაც, ვინც ისმენს – მხედველობაში აქვთ ერთი და იგივე. ერთი ადამიანის მიერ მეორის არგაგება, შეიძლება მოხდეს მრავალი მიზეზის გამო. ეს დამოკიდებულია არა მხოლოდ ენობრივ ბარიერზე, არამედ იმ პირის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, რომელიც წარმოთქვამს სიტყვას და იმ პირზეც, ვინც აღიქვამს მას. პირველმა, შეიძლება წარმოთქვას სიტყვები გაურკვევლად, ბუნდოვნად, ზოგიერთი ბგერის გამოკლებით. მეორეს კი შესაძლოა ჰქონდეს დაქვეითებული სმენითი აღქმა ან ცუდად ფლობდეს იმ ენას, რომელზეც მიდის საუბარი.

აღქმაზე დიდ ზეგავლენას ახდენს „წინასწარი განწყობა". მაგ., წინასწარ შექმნილი წარმოდგენა იმაზე,

თუ რა აზრი დევს მოლაპარაკის ქცევასა და გამოთქმულ სიტყვებში. ყოველივე ეს ეკუთვნის არა მხოლოდ მონმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის აღქმას, არამედ გამომძიებლის საქმიანობასაც.

ამრიგად, ჩვენებათა ფორმირების სტადიაში საგნების, ადამიანებისა და მოვლენების ფაქტობრივი აღქმა განპირობებულია არა მარტო გრძნობის ორგანოების პერიფერიული გამღიზიანებლებით, არამედ აღმქმელის მთელი წარსული გამოცდილებით. ეს გვეხმარება გავერკვეთ იმაში, თუ ის, რაც გაუცნობიერებული რჩება მონმეთათვის, დაზარალებულთათვის, ეჭვმიტანილთა და ბრალდებულებისთვის როგორ „ილექება შრეებად" აღქმის ჩვეულებრივ პროცესზე. სრულფასოვანი აღქმა ითვალისწინებს, რომ აღმქმელი სწორად შეაფასებს ობიექტს ნაწილებში, და მთლიანობაშიც, ჭეშმარიტად ასახავს მის აზრსა და დანიშნულებას. თუკი ეს არ ხდება, მაშინ შეიძლება ადგილი ჰქონდეს აღქმაში ობიექტისა და მისი შემადგენელი ელემენტების გადაადგილებას. ეს გარემოება დაკავშირებულია შეგრძნებებისა და აზროვნების ერთიანობასთან. იმისათვის, რათა სწორად შეფასდეს დასაკითხის ჩვენებები, საჭიროა გამოცალკევდეს მათში გრძნობადი მონაცემები, რომლებიც წარმოადგენდნენ აღქმის „მასალას" და გაანალიზდეს მისი ინტერპრეტაცია თავად გამომძიებლის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის მიერ.

ამდენად, ფსიქიკა ვითარდება ადამიანის გარე სამყაროსთან პრაქტიკული ურთიერთქმედების შედეგად. პიროვნების საქმიანობა განსაზღვრავს ყველა ფსიქიკური პროცესის პროგრესს. ფსიქიკური პროცესები – შეგრძნება, აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, ემოციები – წარმოადგენს მოქმედებათა განსაკუთ-

რებულ ფორმას: მეხსიერებისთვის – ეს არის მნემიკური მოქმედებები, დაკავშირებული მასალის დახსომებასთან; აზროვნებისთვის – გონებრივი მოქმედებები, მიმართული ობიექტებს შორის მიმართებების, არსებული პრობლემების გარკვევაზე; ხოლო ემოციებისთვის – განცდები, რომლებიც, ერთი მხრივ, ავლენენ ადამიანის სუბიექტურ დამოკიდებულებას რაიმესადმი ან ვინმესადმი, მეორე მხრივ, აღადგენენ მის სულიერ წონასწორობას.

1.2. ემოციები და ნებელობა.

რთული და უჩვეულო სიტუაციები, მწვავე კონფლიქტები, რომელთა შედეგიც სამართალდარღვევაა, რიგ შემთხვევაში ხელს უწყობენ ადამიანში ისეთი ფსიქიკური მდგომარეობების განვითარებას(აფექტი, მძვინვარება, შიში, დაბნეულობა და სხვ.), რომლებიც, ფსიქოლოგიის სხვა დარგებთან შედარებით, იურიდიულ ფსიქოლოგიაში ყველაზე მეტად წარმოადგენს სამეცნიერო ანალიზის საგანს. მაგრამ ეს მდგომარეობები, ისევე როგორც, სამართალდამრღვევი პიროვნების ხასიათის მდგრადი თავისებურებები, ვითარდება და მიმდინარეობს ზოგადფსიქოლოგიურ და ფსიქოფიზიკურ კანონებზე დაქვემდებარებით. იურიდიული ფსიქოლოგიის საგნის სპეციფიკა გამოიხატება ამ ფსიქიკური მდგომარეობების ხედვის თავისებურებაში; მათი სამართლებრივი მნიშვნელობის გამოკვლევაში; მათი „კრიმინოგენულობის“ ხარისხის შეფასებაში; სამართლებრივი ნორმების დარღვევის შემცირების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების ძიებაში და ა.შ.

ემოციური აქტიურობა აღმოცენდება ტაქტიკური ამოცანების გადაწყვეტის პროცესის კრიტიკულ მომენტებში და უკავშირდება ძიების სწორი მიმართულების გამოვლენას. მსგავს მომენტებში, გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული საქმიანობა სწრაფი რეაქციით ხასიათდება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთლიანობაში სიტუაცია ფასდება გადაჭარბებულად. ვითარებაში ზოგადი ორიენტირებულობა, მისი წინასწარი შეფასება ემოციის ფუნქციას წარმოადგენს. ასეთი ცოდნის სუბიექტივისტურობის მიუხედავად, სახეზეა ობიექტური შინაარსი – რეალური სიტუაცია. ემოციურ შეფასებაში აღმოცენდება შეგრძნებებისა და აღქმის მომავალი ერთიანობის პირველი, წარმოსახვითი ხატი.

ემოციები და გრძნობები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირთა საქმიანობაში. მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კონტაქტის დამყარება დასაკითხ პირებთან, განსაკუთრებით – კონფლიქტურ სიტუაციებში.

ემოციები და გრძნობები გამოძიებაში არა მარტო დადებით როლს ასრულებენ. გამომძიებლის უარყოფითმა ემოციურმა მდგომარეობამ შეიძლება დაარღვიოს, ზოგჯერ კი შეუძლებელი გახადოს მისი საქმიანობა. ემოციებსა და გრძნობებს შეუძლიათ სინამდვილისადმი არაადეკვატური წარმოდგენების გამოწვევა. მოჭარბებული გრძნობების ზეგავლენის ქვეშ, გამომძიებელი შეიძლება მივიდეს მისთვის „სასურველ“ შედეგამდე, რომელიც შორს იქნება ჭეშმარიტებისგან.

საქმიანობაში მიღებულ ფრუსტრაციებს უპირისპირდება ტოლერანტობა, გაგებული როგორც მომთმენიანობა, ფრუსტრატორების ძლიერი ზემოქმედების გადალახვის უნარი. ამ დროს პიროვნება არ გამოხატავს მკვეთრ რეაქციებსა და განცდებს.

აღქმის ხარისხი დამოკიდებულია არა მხოლოდ ადამიანის გრძნობის ორგანოების მდგომარეობაზე, არამედ აღქმის მომენტში მის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზეც. მაგ., ავადმყოფობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მიღებული შეგრძნებების უტყუარობაზე და გახდეს არასრულყოფილი აღქმის მიზეზიც. აღქმის ხარისხზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს დაღლილობა, სიმთვრალე, აღელვება და ა.შ. მაგალითად, ნასვამმა დაზარალებულმა შეიძლება არსებითად დაამხინჯოს აღქმული ფაქტები.

აღქმა დამოკიდებულია ადამიანის ხასიათის თავისებურებებსა და გუნება–განწყობილებაზე, ჩამოყალიბებულ ჩვევებზე. ეს წინასწარ განსაზღვრავს გარესინამდვილისადმი მის დამოკიდებულებას, ინტერესებსა და მიდრეკილებებს. ამაღლებულ განწყობილებაზე მყოფი ადამიანი უფრო მეტად სინამდვილის დადებით მხარეებს ამჩნევს; დათრგუნულ მდგომარეობაში კი – უარყოფითს ხედავს, არაიშვიათად აზვიადებს კიდეც მათ.

ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების პროცესზე შეიძლება ზეგავლენას ახდენდეს გრძნობები ან ემოციები. ადამიანს ერთი მოვლენა აღელვებს, მეორე გულგრილს ტოვებს; ზოგი უყვარს, ზოგს – ვერ იტანს, ხოლო ზოგიერთისადმი საერთოდ არა აქვს არავითარი დამოკიდებულება. ადამიანი განიცდის სიხარულსა და მწუხარებას, კმაყოფილებას და უკმაყოფილებას... განცდილი გრძნობები, პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებებიდან და აღქმის კონკრეტული სიტუაციებიდან გამომდინარე, შეიძლება მეტ–ნაკლებად სიღრმისეული იყოს.

ემოციები და გრძნობები თითქოსდა ინდიკატორებს წარმოადგენენ და მიუთითებენ ორგანიზმისთვის

გარეგანი ზემოქმედებების სარგებლიანობის ხარისხზე ან პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებაზე. გამომძიებლის პროფესიული საქმიანობა, საერთოდ თანამედროვე ადამიანის მთელი ცხოვრება, გადატვირთულია იმ მოვლენებითა და სიტუაციებით, რომლებიც იწვევენ ყველაზე განსხვავებულ ემოციურ გამოხმაურებას. ყველა ეს გრძნობა გარკვეულ ელფერს აძლევს ადამიანის საქმიანობას, მათ შორის მის შეგრძნებებს, აზრებს, წარმოსახვას და ა.შ.

ჩვენებათა ჩამოყალიბება არაიშვიათად მიმდინარეობს კრიტიკულ სიტუაციებში, რომლებიც ადამიანში იწვევენ განსხვავებულ ემოციურ რეაქციებს.

ამგვარი რეაქციის თავისებურ ფორმად გვევლინება დაძაბულობა და დაბნეულობა. დაძაბულობა, ანუ სტრესული მდგომარეობა აღმოცენდება საფრთხის დროს, სხვადასხვა ფიზიკური და გონებრივი გადატვირთვისას, სწრაფი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას და ა.შ. ადამიანი, რომელიც აღმოჩნდება დანაშაულის (მაგალითად, ძარცვის) თვითმხილველი ან მსხვერპლი, განიცდის დაძაბულობას. ამასთან მისი ყველა ფსიქიკური პროცესი თითქოსდა დამუხრუჭებულია: ადამიანს ცუდად ესმის, ბუნდოვნად ხედავს, ნელა ფიქრობს, ძნელად აკონტროლებს საკუთარ მოძრაობებს. ზოგ ადამიანში დაძაბულობის სურათი შეიძლება იყოს მკვეთრად გამოხატული და ხანგრძლივი, სხვებთან – ნაკლებად შესამჩნევი და ხანმოკლე. ფრუსტრაცია მიუთითებს იმ სიტუაციაზე, რომელიც გადაჯაჭვულია წარუმატებლობასთან, მარცხთან. ზოგი მკვლევარი ფრუსტრაციას განსაზღვრავს როგორც ფსიქიკურ მდგომარეობას, გამოხატულს განცდებისა და ქცევების ხასიათობრივ თავისებურებებში, რაც გამოწვეულია მიზნის მიღწევის გზაზე ობიექტურად გა-

დაულახავი(ან სუბიექტურად ასეთად აღქმული) სიძნელეებით.

დაბნეულობაში შეიძლება აღმოჩნდეს დაზარალებული, რომელსაც არ შეუძლია აღწეროს დამნაშავე. დაბნეულობისა და დაძაბულობის განსხვავება ძევს მათ წარმომავლობაში. აღიარებულია, რომ თუ დაძაბულობის დროს ყურადღებასა და აზროვნებაში დარღვევები გამოწვეულია ემოციური მდგომარეობით, დაბნეულობის დროს შეცდომები აღქმაში პირველადია, ხოლო ემოციები – მეორადი.

ადამიანის მიერ საფრთხის გაცნობიერება იწვევს შიშს. არსებობს შიშის სამი ფორმა: **ა)სთენიკური ფორმა(პანიკა),** რომელიც თითქმის არაკონტროლირებადია ცნობიერების მხრიდან; **ბ) ასთენიკური ფორმა,** რომელიც ხანმოკლეა და გამოიხატება მაგ., კანკალში, მიზანშეუწონელ საქციელში, გაშეშებაში; **გ) სთენიკური აგზნებადობა,** რომელიც წარმოადგენს საფრთხის გადალახვასა და შიშის დათრგუნვაზე მიმართულ ცნობიერად რეგულირებად ქცევას.

შიშის სთენიკური და ასთენიკური ფორმების დროს აღმოცენებული საშიშროება მოიცავს აღმქმელის ყურადღებას. აქედან გამომდინარეობს ცნობიერების შევიწროება, ასახვის სიზუსტისა და სისრულის დაქვეითება, სიტუაციის არასწორი შეფასება. სთენიკური აგზნებადობისას შიში რჩება, მაგრამ საქმიანობა განისაზღვრება აზროვნებითა და ნებელობით. ეს აიძულებს ადამიანს, მთელი ძალისხმევა წარმართოს საფრთხის გადალახვაზე. მსგავსი ემოციური აღმავლობა ხელს უწყობს ადამიანს განახორციელოს სწრაფი და სწორი ორიენტაცია შესატყვისი მოქმედებებით.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ შიშმა შეიძლება არაერთგვაროვანი გავლენა მოახდინოს ჩვენებების ფორ-

მირების პროცესზე. ერთ შემთხვევაში, შიშის გამო მოვლენები აღიქმება გაზვიადებულად, მეორეში – ცუდად ან საერთოდ არ ფიქსირდება, მესამეში – აღიქმება სწორად და ობიექტურად.

ჩვენების დამახინჯება ზოგჯერ იმითაც აიხსნება, რომ შიშის დროს აზროვნება ყოველთვის არ არის ობიექტური. ზოგჯერ, სიტუაცია შეიძლება შეცდომით აღქმულ იქნეს როგორც სახიფათო; გაზვიადდეს მოწინააღმდეგის ძალა და სათანადოდ არ შეფასდეს საკუთარი შესაძლებლობები. ასეთ შემთხვევებში შიშის მიზეზი მდგომარეობს აღმქმელის აზროვნების არარეალურობაში. ასეთი შიში ხშირად გამოვლინდება ემოციურად აგზნებად, შთაბეჭდილებიან ადამიანებში.

არსებობს ემოციური რეაქციის კიდევ ერთი ფორმა – შფოთვა, ანუ ისეთი საშიშროების მოლოდინი, რომელიც ადამიანმა არ იცის საიდან მომდინარეობს და ამიტომ ღელავს. შფოთვა ზეგავლენას ახდენს როგორც დაზარალებულის, ასევე დამნაშავის ჩვენებების ჩამოყალიბებაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ყველა საქმესთან დაკავშირებით, აუცილებელია დაზარალებულის, მოწმის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის დაკითხვა განხორციელდეს რაც შეიძლება სწრაფად. მაგრამ თუკი არსებობს ეჭვი იმისა, რომ უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ მოცემული ჩვენებები არ არის საფუძვლიანი, მაშინ, მიზანშეწონილია განმეორებითი დაკითხვის ჩატარება სამი–ოთხი დღის შემდეგ. ამასთან, დამატებითი მონაცემები, რომელიც განმეორებით ჩვენებებში იქნება, არ უნდა იწვევდეს უნდობლობას და საჭიროა მათი საგულდაგულო შემოწმება.

ნებელობა წარმოადგენს წინააღმდეგობების გადალახვასთან დაკავშირებულ მიზანმიმართულ ფსიქოლოგიურ აქტიურობას. ეს არის ფსიქიკური პროცესი, რომლის დროსაც მიზნის მისაღწევად გამოიყოფა ნებელობითი იმპულსი.

ნებელობის ჩამოყალიბების საწყისს წარმოადგენს ლტოლვა, რომელიც აღმოცენდება ინსტინქტების ბაზაზე. ესენია: კვების, თავდაცვის, სქესობრივი და ა.შ. როცა ცნობიერებაში ლტოლვა საკმარისად ჩამოყალიბებულია, გარკვეულია მისი დაკმაყოფილების გზები და ხერხები, მაშინ მას ვუწოდებთ „სურვილს". ადამიანის პიროვნების ისტორიული განვითარების პროცესში ნებელობა ჩამოყალიბდა როგორც ფსიქიკის თვისება, რომელიც ცნობიერებას წარმართავს დაბრკოლებების გადასალახად.

რთულ ნებელობით პროცესში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ეტაპი. პირველი ეტაპი – მისწრაფების აღმოცენება განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, შემდგომ ჩნდება ამ მიზნის მიღწევის სხვადასხვა შესაძლებლობების გაცნობიერება(II ეტაპი) და მაშინვე მას მოჰყვება მოტივები(III ეტაპი), რომლებიც განამტკიცებენ ან აბათილებენ ამ შესაძლებლობებს. ამის შემდეგ იწყება მოტივთა ბრძოლა(IV ეტაპი). განიხილავს, აწონ–დაწონის რა სხვადასხვა მოტივებს, გაითვალისწინებს კონკრეტულ ვითარებას, ადამიანი იღებს გადაწვეტილებას(V ეტაპი). ნებელობითი მოქმედება მთავრდება მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციით(VI ეტაპი). ეტაპების ხანგრძლივობა სხვადასხვანაირია და დამოკიდებულია პიროვნების თავისებურებებზე და მიღებული გადაწყვეტილების შესრულების ობიექტურ პირობებზე. იმისათვის, რათა ლტოლვა, მისწრაფება გადაიქცეს მოქმედებად, საჭიროა გაბედულება (საბოლოო არ-

ჩევანის გაკეთების უნარი). განსაკუთრებით რთულია მოტივთა ბრძოლის ეტაპის გადალახვა და მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი ნებელობითი თვისება, როგორიცაა ინიციატივა, რაც განსაკუთრებით საჭიროა მიღებული გადაწყვეტილების შესრულებისას. სხვა ნებელობით თვისებებს შორის აღსანიშნავია დამოუკიდებლობა, თავშეკავებულობა, თვითფლობის შენარჩუნება მოულოდნელი გართულებებისას და თვითკრიტიკულობა.

ნებელობითი უნარის განვითარება ხანგრძლივი პროცესია. ადრეულ ბავშვობაში მშობლები ცდილობენ თავიანთ შვილებს ჩამოუყალიბონ სულ მარტივი ჩვევები, რომლებიც რთულდება ინდივიდის განვითარებასთან ერთად.

არასწორი აღზრდა ადამიანს უქვეითებს ნებელობითი საქმიანობის უნარს.

ნებისყოფის ძალა ვლინდება გამბედაობაში, უფრო სწორედ გადაწყვეტილების შესრულების სრულ დარწმუნებულობაში. მაგრამ ყოველგვარი გადაწყვეტილების შესრულება, ყველანაირი განხორციელებული მოქმედება არ მეტყველებს ნებისყოფის ძალაზე. ნებისყოფის ძალა შეიძლება გამოვიცნოთ იმასთან დამოკიდებულებით, თუ როგორ წინააღმდეგობებს გადალახავს ადამიანი ნებელობითი ქმედებისას და როგორ შედეგებს იღებს იგი. თუკი ადამიანი მისთვის ძნელ სიტუაციებში ავლენს თავდაჭერილობას, გამძლეობას, მოთმინებას, სიმხნევეს, მაშინ ეს ნიშნავს, რომ იგი ძლიერ ნებისყოფას ფლობს.

ნებისყოფის სუსტი გამოვლინება ფასდება როგორც უნებისყოფობა. მორალური აღზრდილობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ როგორ მიზნებს ისა-

ხავს ადამიანი, რა ხერხებით ცდილობს მათ მიღწევას, როგორი ლტოლვებით არის გამოწვეული მისი ნებელობითი მისწრაფებები, სურვილები, რა პრინციპებით ხელმძღვანელობს ცხოვრებაში ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას. ნებელობითი თვისებები: დაჟინებულობა, თავდაჭერილობა, მდგრადობა, დამოუკიდებლობა, ამტანობა და სხვ. იქნება სრულფასოვანი, თუკი ისინი შეერწყმება ადამიანის მაღალ მორალურ თვისებებს.

ამორალური ადამიანისათვის ხალხი წარმოადგენს მისი ეგოისტური მიზნების მისაღწევ იარაღს. ეს არის ინდივიდი, რომელსაც სინდისი საერთოდ არ გააჩნია.

ამ ორი, პოლარულად სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის გარდა, არსებობს სხვადასხვა გარდამავალი ტიპი. მაგ., თუკი, გაბედული ადამიანის სამართლიანობა გამოვლინდება ყველა შემთხვევაში, მაშინ მხდალის სამართლიანობა დამოკიდებული იქნება იმაზე, მიაყენებს თუ არა სიმართლის თქმა ზიანს მის პირად ინტერესებს.

ხასიათის ნებელობითი ნიშნები ადამიანის ემოციურ თავისებურებებთან განსაზღვრულ შეთანაწყობაში გამოვლინდება. ნებისყოფიან ადამიანში ნებელობა დომინირებს გრძნობებზე, ემოციური ხასიათის მქონე ადამიანში კი უპირატესი მნიშვნელობა აქვს ემოციურ მდგომარეობებს. ქცევა ხშირად ხორციელდება შემთხვევით აღმოცენებული გრძნობისა და განწყობის ზეგავლენით.

1.3. მეხსიერება

ინფორმაციის დახსომების, შენარჩუნებისა და შემდგომი აღდგენის პროცესები განისაზღვრება იმით, თუ რა ადგილი უჭირავს მას სუბიექტის საქმიანობაში, როგორია მისი მნიშვნელოვნობა და ა.შ. განსაკუთრებით პროდუქტიულად დაიხსომება მასალა, რომელიც დაკავშირებულია საქმიანობის მიზანთან, მის ძირითად შინაარსთან. ასეთ შემთხვევებში, უნებლიე დახსომებაც კი შეიძლება უფრო პროდუქტიული იყოს, ვიდრე ნებითი.

ზერელედ ხდება იმ მასალის დახსომება, რომელიც არ უკავშირდება საქმიანობის მიზანს. უფრო ნაკლებ ეფექტურად მიმდინარეობს ნეიტრალური, ფონური გამღიზიანებლების დახსომება, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმდინარე მოქმედების შინაარსთან ან ხასიათთან. ნეიტრალური ფონური გამღიზიანებლების დახსომების აუცილებელ პირობას წარმოადგენს გამღიზიანებელის სიკაშკაშე ან სიახლე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ემოციების გავლენა დახსომების პროცესზე. დახსომება იქნება უფრო მეტად პროდუქტიული, თუკი აღქმა განხორციელდება მომატებული ემოციურობის ფონზე. როცა მოვლენა ეხება გრძნობებს, მაშინ ადამიანის გონებრივი საქმიანობა უფრო აქტიურდება და აიძულებს მას არაერთჯერ დაუბრუნდეს და გაიხსენოს განცდილი და გადატანილი.

მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი თუ ბრალდებული უკეთ იხსომებს სასიამოვნოს ან უსიამოვნოს იქიდან გამომდინარე, თუ რა არის მისთვის უფრო მნიშვნელოვანი. მაგრამ მკვლევართა მიერ აღნიშნულია, რომ როგორც უსიამოვნო, ასევე სასიამოვნო მოვლენე-

ბი, შეიძლება ადამიანმა დაივიწყოს გარკვეული პერიოდის შემდგომ.

აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის და ბრალდებულის ინდივიდუალური ქარაქტეროლოგიური თავისებურებები. თანაბარ პირობებში ერთნი მიდრეკილნი არიან სასიამოვნოს დახსომებისადმი, სხვანი – უსიამოვნოსი, რაც დამოკიდებულია პიროვნების წყობაზე, მიმართულობაზე – ექსტრავერტირებულობა–ინტროვერტირებულობაზე, ოპტიმისტურობაზე თუ პესიმისტურობაზე.

დაზარალებულისა და ბრალდებულის მიერ დანაშაულის მოვლენის აღქმას და დახსომებას სხვადასხვა თავისებურება აქვს. ყოველთვის არ არის სწორი ჩვენი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ აღქმის ჩვეულებრივ პირობებში გამღიზიანებლის ძალა და სიკაშკაშე უზრუნველყოფს ასახვის სიმტკიცესა და მკაფიოობას. უკიდურესად ძლიერი შთაბეჭდილებები არა მხოლოდ განამტკიცებენ, არამედ, გარკვეულ სიტუაციებში, ასუსტებენ ან მთლიანად აქრობენ იმას, რაც აღბეჭდილია ცნობიერებაში.

მოწმის, დაზარალებულის, ბრალდებულის მიერ აღქმულ მასალაზე ზეგავლენას ახდენს მათი შემდგომი საქმიანობა, რისი ზემოქმედებითაც შთაბეჭდილებები შეიძლება სრულიად გაქრეს, ან ნაწილობრივ დავიწყებას მიეცეს.

გახსენება და მოგონება არ წარმოადგენს ერთმანეთისგან იზოლირებულ პროცესებს. მათ შორის არსებობს ორმხრივი კავშირი. მოგონება, ერთი მხრივ, აღდგენის წანამძღვარია, მეორე მხრივ, მისი შედეგი. მოგონება ხორციელდება დაკითხვის პროცესში მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის თხრობისას. გამომდინარე აქედან, უკიდურესობა თუ

არ მოითხოვს, არ არის საჭირო დასაკითხ პიროვნებას შეაწყვეტინოთ თავისუფალი თხრობა. ამ დროს დასმული შეკითხვა ხშირად ყურადღებას უფანტავს მას, ხელს უშლის ფაქტების მოგონებაში. ამიტომაც რეკომენდებულია დაკითხვის დაწყება თავისუფალი თხრობით, რამდენადაც ეს ხელს უწყობს მეხსიერებაში აღბეჭდილი ლატენტური(ფარული) ფენის გააქტიურებას.

აღქმულის შენახვის ხანგრძლივობის მიხედვით არჩევენ მეხსიერების ორ სახეს – ხანმოკლესა და ხანგრძლივს. მათი მექანიზმები სრულიად განსხვავებულია. დასაწყისში, ნებისმიერ მოვლენაზე ინფორმაცია შედის ხანმოკლე მეხსიერების ბლოკში, საიდანაც შეიძლება გადავიდეს ხანგრძლივ მეხსიერებაში და შენარჩუნდეს განუსაზღვრელი დროით. ინფორმაციის გადასვლა ხანგრძლივი მეხსიერებიდან ხანმოკლე მეხსიერებაში წარმოადგენს ინფორმაციის აღდგენის პროცესს. ითვლება, რომ ხანმოკლე მეხსიერება დაკავშირებულია დახშულ ნერვულ გზებზე იმპულსების ცირკულაციასთან, რომელსაც აგზნების რევერბერაციული წრეები ეწოდება.

მონაცემები ხანმოკლე და ხანგრძლივი მეხსიერების შესახებ ძალზედ მნიშვნელოვანია საგამოძიებო მუშაობაში. აღნიშნულის ცოდნა გამომძიებელს უადვილებს ადამიანზე ტაქტიკური ზემოქმედების არჩევანს დავიწყებულის სწორად აღდგენის მიზნით.

დავიწყება ასახვისა და შენახვის საპირისპირო პროცესია. ის, ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, სავსებით ნორმალური მოვლენაა. სრულიადაც არ არის საჭირო, რომ მოწმეს, დაზარალებულს, ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ახსოვდეს დანაშაულთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და განუწყვეტლივ ფიქრობდეს მათზე. ინფორმაციის გადასვლა ხანმოკლე მეხსიერები-

დან ხანგრძლივში წარმოადგენს დროებით დავიწყებას. თუკი მეხსიერებაში დაგროვილი მთელი ინფორმაცია ერთდროულად ამოტივტივდება ცნობიერებაში, მაშინ პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება პროდუქტიული აზროვნება. ადამიანები ყოველთვის იხსენებენ ინფორმაციის იმ ნაწილს, რომელიც აუცილებელია მათი საქმიანობის გასახორციელებლად. ამ შემთხვევაში, საჭირო ინფორმაცია ხანგრძლივი მეხსიერებიდან გადადის ოპერატიულში. ასეთია მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენებათა აღდგენის მექანიზმი.

უნდა აღინიშნოს, რომ მეხსიერებაში რაიმე მოვლენის აღდგენა, ყოველთვის არ მიმდინარეობს შეუფერხებლად. ზოგჯერ დასაკითხი პირი, ვერ იხსენებს აუცილებელ ცნობებს. ნიშნავს კი ეს იმას, რომ ისინი დაკარგულია? ამ კითხვაზე მეცნიერები განსხვავებულად პასუხობენ. ერთნი ამტკიცებენ, რომ ნორმალურად ფუნქციონირებადი ტვინი ინარჩუნებს და ინახავს ინდივიდის მთელ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სირთულე მხოლოდ მათი ნებისმიერად აღდგენის შეუძლებლობაშია. სხვების აზრით, ინფორმაციის რაღაც ნაწილი არ შენარჩუნდება ადამიანის მეხსიერებაში, და ხდება მისი აბსოლუტური დავიწყება.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, აღვნიშნავთ ერთ მნიშვნელოვან, მეცნიერულად დასაბუთებულ დებულებას: მეხსიერება ინახავს უფრო მეტ ცნობებს, ვიდრე აღადგენს. ამის გათვალისწინებით, გამომძიებელმა უნდა გამოიყენოს ასოციაციური კავშირების გააქტიურების ხერხები და ამგვარად ხელი შეუწყოს მეხსიერებაში გამოძიებისთვის საინტერესო ცნობების აღდგენას.

ადამიანები ადვილად და სწრაფად ივიწყებენ იმ მონაცემებს, რომლებსაც იშვიათად გამოიყენებენ ყო-

ველდღიურ ცხოვრებაში. მაგრამ არსებობს დაკვირვების შედეგები, როცა მრავალჯერადად აღდგენილი მასალა დაივიწყება და, მიუხედავად ადამიანის ძალისხმევისა, არ ხდება მისი სწრაფად მოგონება. მეხსიერების მსგავსი „მარცხები" არ განიხილება როგორც ნორმიდან გადახრა და ჩვეულებრივ უცბად გადის. აუცილებელ შემთხვევაში გამომძიებელს შეუძლია უკვე დაკითხულ მოწმეს, დაზარალებულს, ეჭვმიტანილსა თუ ბრალდებულს, სთხოვოს დამატებით შეატყობინონ ყველაფერი, რასაც დაკითხვის შემდეგ გაიხსენებენ ან განსაზღვრული დროის შემდგომ ხელმეორე დაკითხვა ჩაატაროს. გამომძიებელმა არ უნდა დაკარგოს იმედი იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიღაც მდგომარეობა, სიტუაცია დასაკითხ პიროვნებას სრულიად დავიწყებულად მოეჩვენება, რადგან ამ უკანასკნელმა შეიძლება გაიხსენოს ყველაფერი, თუ ნებელობის ძალისხმევას და გონებრივ მუშაობას გააქტიურებს.

რაიმე მოვლენის აღდგენისას ყოველთვის აქვს ადგილი ცნობას. მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს არა საგნის ან ადამიანის ცნობა გამოძიების დროს ხელმეორედ აღქმისას, არამედ დაკითხვაზე დასაკითხი პირის მიერ აღდგენილი მასალის ცნობას. თუ როგორია მოწოდებული მონაცემების ცნობის ხარისხი, იმაზეა დამოკიდებული ჩვენებების სიზუსტე და სისწორე. ეს ხარისხი, მერყეობს აღდგენილი მასალის ცნობის სუსტი გრძნობიდან, მის სიზუსტეში სრულ დარწმუნებულობამდე. სწორედ ამით აიხსნება დასაკითხი პირის დარწმუნებულობა თუ დაურწმუნებლობა იმაში, რასაც ის უყვება გამომძიებელს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენებების შეფასება მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის მიერ ყოველთვის არ შეესატყვისება სინამდვილეს. პრაქტიკაში ცნობილია შემ-

თხვევები, როცა ჩვენებები, რომელთა სიზუსტეც ეჭვს არ იწვევდა, შემდგომში მცდარი აღმოჩნდა. ცნობა ზოგჯერ ქმნის ნამდვილი ცოდნის ილუზიას, იწვევს მცდარ დარწმუნებულობას ადამიანის გარეგნობის დახსომების სიმყარეში, რასაც მივყავართ უნებლიე შეცდომებამდე.

მაღალია პროფესიული მეხსიერების პროდუქტიულობა. ეს აიხსნება ადამიანის ინტერესების კანონზომიერი მიმართულობით. ზოგჯერ პროფესიული მეხსიერება დაკავშირებულია ხანგრძლივ ვარჯიშთან და ნიჭიერებასთან. ის შეიძლება დამოკიდებული იყოს აგრეთვე ყურადღების ნიშან–თვისებებზე, ადამიანის მდგომარეობაზე აღქმის მომენტში და ა.შ. დასაკითხი პირის მეხსიერების მზადყოფნა აღდგენისადმი ასევე დამოკიდებულია მის ცოდნაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე და სხვ.

მეორე თავისებურება ვლინდება იმაში, რომ ერთი ადამიანი პროდუქტიულად იხსომებს ხატოვან მასალას(ადამიანთა სახეებს, საგნებს, გამოსახულებებს, ბგერებს, ფერებს და ა.შ.), ხოლო მეორე – სიტყვიერს (სიტყვებს, აზრებს, რიცხვებს და ა.შ.), მესამესთან კი განსაზღვრული მასალის დახსომებაში უპირატესობები არ შეინიშნება.

ინდივიდი არ იხსომებს ყველა შთაბეჭდილებას. ასოციაციური კავშირები წარმოიქმნება ამორჩევითად. დავიწყება შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი, ხანგრძლივი ან ხანმოკლე. ამ პროცესის განმსაზღვრელ ფაქტორს ადამიანის საქმიანობა წარმოადგენს.

საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე, დახსომება შეიძლება ატარებდეს უნებლიე ან ნებით ხასიათს. ნებითი დახსომებისას ხდება საგნის ხატის გააზრება, მასში ძირითადის გამოყოფა, და, თუ საჭიროა, ინფორმაცია

დაისწავლება. უნებლიე დახსომებისას კი შთაბეჭდილების განმტკიცება მიმდინარეობს თითქოსდა თავისთავად, აღმქმელის ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში უნებლიე დახსომება დაკითხვისას საჭირო ინფორმაციის სწორად აღდგენის პროცესს განაპირობებს.

არსებობს ეიდეტიზმად წოდებული მხედველობით–ხატოვანი მეხსიერების განსაკუთრებული შემთხვევა. ეიდეტიკები გამორჩევით თვალსაჩინოდ ინარჩუნებენ ნანახზე წარმოდგენას, თითქოსდა ობიექტის მხედველობის ველიდან გაქრობის შემდგომაც აგრძელებენ მის კიდევ უფრო დეტალურად დანახვას.

ადამიანის მეხსიერების ტიპის განვითარება დაკავშირებულია მის პიროვნებისეულ თავისებურებებთან, ცხოვრებისა და საქმიანობის პირობებთან და ა.შ.. მაგალითად, ფილოსოფოსებს და იურისტებს კარგად აქვთ განვითარებული სიტყვიერ–ლოგიკური მეხსიერება; სპორტსმენებს, ბალეტის, ოპერეტის მსახიობებს – მოძრაობითი მეხსიერება; კინოს, დრამის მსახიობებს – სმენითი და ემოციური; მხატვრებს, არქიტექტორებს – მხედველობითი; მუსიკოსებს – სმენითი; დეგუსტატორებს – გემოს; ბრმებს – ყნოსვითი და შეხებითი და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნებაში მეხსიერების ერთ–ერთი ტიპის ამგვარი უპირატესობის მიუხედავად, ყოველ ადამიანში წამყვანი ადგილი უკავია სიტყვიერ–ლოგიკურ მეხსიერებას.

მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ჩვენებების სწორი შეფასებისათვის გამოძიებელმა უნდა იცოდეს ადამიანის მეხსიერების განვითარების პროცესის კანონზომიერებები.

მეხსიერება ვითარდება და სრულყოფილდება ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე. მასზე ზემოქმე-

დებას ახდენს ადამიანის ნერვული სისტემის განვითარება, აღზრდისა და სწავლების პირობები, საქმიანობა. ამასთან განვითარება მიმდინარეობს, როგორც რაოდენობრივად – დახსომების მოცულობისა და სისწრაფის გაზრდის გზით, ასევე ხარისხობრივადაც – ხატოვანიდან სიტყვიერზე, უნებლიედან ნებით დახსომებაზე გადასვლის გზითაც.

სიტყვიერ–ლოგიკური მეხსიერება ინტენსიურად ვითარდება საშუალო სასკოლო ასაკის მოზარდებში და წამყვან ადგილს იკავებს მაღალი კლასების მოსწავლეებში. ამ უკანასკნელთ ახასიათებთ ზრდასრული ადამიანის მეხსიერების ნიშნები.

დადგენილია, რომ 20–25 წლამდე ასაკში მეხსიერება უმჯობესდება, 40–45 წლამდე შენარჩუნდება ერთი და იმავე დონეზე, შემდეგ კი თანდათანობით იწყებს შესუსტებას.

მეხსიერების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება მნიშვნელოვანია გამომძიებლისათვის, რათა მოახდინოს განსხვავებული ასაკის ადამიანთა ჩვენებების შეუთანხმებლობის მიზეზებში გარკვევა.

საგამოძიებო პრაქტიკაში ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როცა მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი, ბრალდებული აბსოლუტურად დარწმუნებით „იხსენებს“ ფაქტს, რომელიც არ არსებობდა სინამდვილეში. მსგავსი დარღვევა მიეკუთვნება პათოლოგიას, მაგრამ, არაიშვიათად შეინიშნება სავსებით ჯანმრთელ ადამიანებშიც. მაგალითად, როცა დასაკითხი პირი გონებრივად გადაღლილია.

არსებობს მეხსიერების ჩავარდნის ანუ ამნეზიის შემთხვევებიც. ამ დროს ცნობიერებიდან ამოვარდება მოვლენები, რომლებიც ავსებენ დროის გარკვეულ მონაკვეთს. ასეთი ჩავარდნები სხვადასხვა მიზეზით, მაგ.,

მიღებული ტრავმის შედეგად შესაძლოა ჰქონდეს დაზარალებულს. არაიშვიათია, რომ გამომძიებელი, ასოციაციური კავშირების გამოყენებით, ახერხებს მეხსიერების ჩავარდნების აღმოფხვრას.

ალკოჰოლიკებში მკვეთრად ირღვევა ასახვის ფუნქცია, მაგრამ თითქოსდა არ ირღვევა მასალის მეხსიერებაში შენახვა და მისი შემდგომი აღდგენა. მსგავსი მოვლენები არსებითია მოხუცებისა და სკლეროზით დაავადებული ადამიანებისთვის.

არსებობენ ადამიანები, რომელთა მეხსიერება მუშაობს ყოველგვარი შეფერხებისა და დარღვევის გარეშე. იმისათვის, რათა მიღწეულ იქნეს აღდგენის მაქსიმალური სისრულე, გამომძიებელმა სწორად უნდა შეარჩიოს მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის და ბრალდებულის დაკითხვის დრო. მეცნიერთა მცდელობა, განესაზღვრათ ინფორმაციის აღდგენისათვის ყველაზე მეტად პროდუქტიული დრო, წარუმატებელი აღმოჩნდა. თუმცა, არც თუ უსაფუძვლოდ ითვლება, რომ დროთა განმავლობაში აღქმული მასალის დავიწყებისა და დამახინჯების შესაძლებლობა იზრდება. აქედან გამომდინარე, დროში რაც უფრო ახლოსაა მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის დაკითხვა იმ ვითარებასთან დაკავშირებით, რომელზეც ის საუბრობს, მით უფრო მეტი იქნება მის ჩვენებებში სისწორის ალბათობა. არის გამონაკლისებიც. უშუალოდ დანაშაულის შემდგომ მიღებული ჩვენებები ზოგჯერ არასრული, არასაკმარისად მკაფიო და არათანმიმდევრულია. ასეთი მოვლენა აიხსნება იმით, რომ აღქმის პროცესის შემდეგ მიმდინარე შეკავება პირველსაწყის აღდგენას არასაკმარისად პროდუქტიულს ხდის. შემდგომ, ორი–სამი დღის განმავლობაში, ინფორმაციის შენახვის პროცესში ხდება მეხსიერებაში აღქმულის

ელემენტებისა და ნაწილების დაპირისპირება და გამოკვეთა. ამიტომ ზოგჯერ ორი–სამი დღით გადავადებული დაკითხვა უფრო ეფექტური აღმოჩნდება, ვიდრე უშუალოდ მომხდარი მოვლენის შემდგომ.

1.4. ინტუიციის, წარმოსახვის, აზროვნებისა და ინტელექტის როლი ამოცანის გადაჭრაში.

ამოცანის პირობები წარმოადგენს იმ საწყის მონაცემებს, რომლებიც ჩართულია მსჯელობის პროცესში და რომელთაც შეუძლიათ გამომძიებლის დასახულ მიზნამდე მიყვანა. ისინი შეიძლება არსებობდეს საგნების, ნივთმტკიცებების(ანუ თვალსაჩინო) სახით, სიტყვიერი(ანუ ვერბალური) გამოსახულებით და შერეული ანუ თვალსაჩინო–ვერბალური სახით.

წარსული გამოცდილებისა და ცოდნის გათვალისწინებით, ამოცანის პირობები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ან უჩვეულო, ახლებური. ამასთან, სიახლეს, შესაძლოა, ჰქონდეს გამოხატულების განსხვავებული ხარისხი.

გამომძიებლის ცნობიერება გაძლიერებულად მუშაობს დანაშაულის გახსნაზე, ანუ მიმდინარეობს შემოქმედებითი – აზროვნების პროცესი. ამ ეტაპზე ხორციელდება ახალი ინფორმაციის მოძიება(დანაშაულის ადგილის დათვალიერება, აუცილებელი მასალების შეგროვება, საქმეში მონაწილე პირთა გამოკითხვა და ა.შ.). შემდეგ ხდება ამ ინფორმაციის ანალიზი, განზოგადება და მის საფუძველზე გამომძიებლის მიერ სხვადასხვა ვერსიების აგება. ამ ვერსიებს არ მიჰყავთ გამომძიებელი სასურველ შედეგამდე. ისინი ერთმანეთს

გადაფარავენ, მაგრამ ყოველი მათგანი, ასე თუ ისე, მაინც ფიქსირდება ცნობიერებაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ინტელექტის არაერთი განსაზღვრება არსებობს. მაგალითად:

- ✓ ინტელექტი განყენებული, აბსტრაქტული აზროვნების უნარია;
- ✓ ინტელექტი განაპირობებს რთულ გარემოში პიროვნების ქცევის, ადაპტაციის ეფექტურობას;
- ✓ ინტელექტი გაიზომება ინტელექტის ტესტებით.

ამჟამად მეტი მომხრე ჰყავს იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ინტელექტის არსი გაგებულია როგორც ორგანიზმსა და გარემოს შორის მიმართებათა ჩამოყალიბება, ხოლო მისი განვითარება გამოვლინდება ადამიანთა ადეკვატურ ადაპტაციაში. ამგვარი გაგება საშუალებას იძლევა ინტელექტი განვიხილოთ როგორც პროცესი და არა შედეგი.

გამომძიებელი წამოყენებულ ვერსიებში არ ითვალისწინებს რომელიღაც ერთ ფაქტს, რადგან, საქმეში არსებობს მოვლენათა მრავალრიცხოვანი ნიშან–თვისება, რომლებიც მოცემულ მომენტში არ გაცნობიერდება. ამ ეტაპზე გამომძიებლის მიზანმიმართულად ორგანიზებული მოქმედებები დიდ როლს ასრულებს. მათი დახმარებით შეიძლება გაკეთდეს ძიების რაიონის მონახაზი, მასზე მოხდეს შემოქმედებითი აზროვნების კონცენტრირება, გამოვლინდეს პრობლემური სიტუაციის გაუცნობიერებული გადაწყვეტა და იმ ელემენტების ნიშნები, რომელთაგანაც ის იგება. გამომძიებლისთვის გონების „მოულოდნელი გაბრწყინება“ წარმოადგენს მისი ინტელექტუალური ინტუიციის გამოხატულებას.

გაუცნობიერებელი ელემენტებისა და ინტუიციის შეთანაწყობა განიხილა ი.ა. პონომარიოვმა. მან ჩაატა-

რა ცდების სერია, სადაც შექმნა შემოქმედებითი საქმიანობის პირობები. გადასაწყვეტი იყო მარტივი ამოცანები, მაგრამ აუცილებელი იყო ინტუიცია. კვლევის მეთოდიკა მდგომარეობდა შემდეგში: იგი ცდისპირს სთავაზობდა გადაეჭრა ამოცანა, ხოლო მას შემდეგ, რაც ცდისპირი ვერ გადაჭრიდა მას, პონომორიოვი აძლევდა ახალ ამოცანას, რითაც ცდისპირს კარნახობდა სწორ პასუხს. სხვა შემთხვევებში, ექსპერიმენტატორი ჯერ კარნახობდა, ანუ აძლევდა ისეთ დავალებას სადაც იყო ამოცანის გასაღები, ხოლო შემდგომ – ძირითად ამოცანას აცნობდა

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ თუ კარნახი ხდებოდა ამოცანის მიცემამდე, მაშინ ის არ ეხმარებოდა ცდისპირს, ხოლო ამოცანის გაგების შემდგომ – დახმარებას უწევდა მას.

მიღებული შედეგების საფუძველზე მკვლევარმა დაასკვნა, რომ, როდესაც კარნახი უსწრებს ამოცანას, მაშინ მოქმედების შედეგის ის ნაწილი, რომელიც ამოცანის გადაჭრის გასაღებს წარმოადგენს, არ გაცნობიერდება და ამიტომ არ შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც ამოცანის გადაწყვეტის საშუალება. მაგრამ განსაზღვრულ პირობებში აღმოცენდება მოქმედების ამ ნაწილის შედეგის გაცნობიერების შესაძლებლობა. მოქმედების გაუცნობიერებელი პროდუქტის გამოყოფა წარმოადგენს სწორედაც იმ მარცვალს, რომლისგანაც აღმოცენდება ინტუიცია.

ეს ჰიპოთეზა მისაღები აღმოჩნდა გამომძიებლის საქმიანობაში ინტუიციის მექანიზმის შესწავლისას. სინამდვილეში, გაუცნობიერებელი პროდუქტი, ანუ ნივთის, მოვლენის შეუმჩნეველი თვისება, დეტალური ანალიზისას შესაძლოა კარნახი აღმოჩნდეს სხვა სიტუაციისთვის, რაც გამომძიებელს გაუადვილებს ჭეშმარიტე-

ბის მიგნებას. ხშირია, როდესაც გამომძიებელი ვერ აცნობიერებს ამ „კარნახს“ და ამოცანის გადაჭრა მისთვის მოულოდნელია.

ფსიქოლოგების უმრავლესობა არ უარყოფს, რომ შემოქმედებითი ამოცანის ინტუიციური გზით გადაწყვეტა ხდება არაცნობიერად ან ქვეცნობიერად. ქვეცნობიერის სფეროში მიმდინარე პროცესები გადამწყვეტ გავლენას ახდენენ ინდივიდის ცნობიერ ცხოვრებაზე.

გამომძიებლის ინტუიციური გადაწყვეტილება მით უფრო ალბათურია, რაც უფრო ნაკლებშინაარსიანია მოქმედების პირდაპირი მიზანი, რომელშიც გამომძიებელი პირისპირ ეჯახება გაუცნობიერებელ პროდუქტს, რომელიც ობიექტურად შეიცავს ამოცანის გადაჭრის გასაღებს.

ამოცანის გადაჭრის წარმატებულობა დამოკიდებულია მოქმედების იმ ხერხის ავტომატიზირებულობაზე, რომლითაც ხორციელდება ინტუიციური კარნახი. რაც უფრო ნაკლებად ავტომატიზირებულია ხერხი, მით უფრო კარგად ხდება ამოცანის გადაწყვეტა.

ინტელექტუალური ინტუიციის აღმოცენების კიდევ ერთ პირობას პრობლემის წინასწარი გამარტივება წარმოადგენს.

გარეგნულად ინტუიციური პროცესი იმდენად სწრაფად მიედინება, რომ მისი ცალკეული ეტაპები განუწყვეტლივ ერწყმის ერთიმეორეს. სპეციალური ანალიზის გარეშე თითქმის შეუძლებელია ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლის ფაზის გამოყოფა.

ინტუიციის ქვეცნობიერიდან ცნობიერში გადასვლის ფსიქოლოგიური პროცესი თავისებურად მიმდინარეობს. ინტუიციის ცნობიერების სფეროში გადასვლისას სუბიექტი შეიგრძნობს ემოციურ ფონს (სასიამოვნოს, დამთრგუნველს და ა.შ.), რომლის შინაარსიც

მისგან დაფარულია. ინტუიცია, ემოციური ფონის შინაარსის მიზანმიმართული ძიების შედეგად, ცნობიერ სფეროში ვლინდება.

არაიშვიათად გამომძიებელი ნებისყოფის დაძაბვით იხსნის ემოციურ ფონს. აი, ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა თვითდაკვირვების, თვითშემეცნების ხერხების ათვისებას.

გამოძიების პროცესში ინტუიციის ძირითადი დანიშნულება მდგომარეობს ჰიპოთეზების შექმნაში. ის სერიოზულ როლს ასრულებს დადასტურების (დამტკიცების) პროცესში, მაგრამ, სრულიად უმნიშვნელოა პროცესუალური გადაწყვეტილებების მიღებისას.

გამომძიებელს შეუძლია იმის დანახვა და გაგება, რასაც ვერ ხედავს და ვერ ისმენს ჩვეულებრივი ადამიანი. მტკიცებულებათა შერჩევის და ვერსიების წამოყენების სტადიაზე მისთვის დამახასიათებელია აზროვნების ინტუიციური, ევრისტიკული წყობა. უაზრობა იქნებოდა გამომძიებლის ინტუიციური მიხევდრილობის უგულებელყოფა, რადგან ის განაპირობებს საქმის სიღრმისეულ გამოკვლევას. მეორე მხრივ, ინტუიცია წარმოადგენს ევრისტიკულ პროცესს და მისი დასკვნები ატარებს ალბათურ ხასიათს.

გამომძიებელს მუდმივად უხდება იმ ამოცანების გადაჭრა, რომლებსაც სისხლის სამართლის საქმე აყენებს მის წინაშე. რაც უფრო მწვავეა სიტუაციის პრობლემურობა, მით უფრო აქტიურად მიმდინარეობს აზროვნების პროცესი.

ანალიზი და სინთეზი აზროვნების პროცესის შემადგენელი ნაწილებია. ისინი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია. რომელიღაც მთელის ანალიზი ყოველთვის განსაზღვრულია იმით, თუ რომელი ნიშნის მიხედვით არის მასში ნაწილები გაერ-

თიანებული. ნებისმიერი მთელის სწორი ანალიზი ყოველთვის წარმოადგენს არა მხოლოდ მისი ელემენტების, თვისებებისა და ნაწილების, არამედ მათი კავშირებისა და მიმართებების ანალიზსაც. ამიტომ ანალიზის დროს ხდება მთელის არა დაშლა, არამედ გარდაქმნა. მთლიანის ახლებურად შეცვლა, მასში გამოყოფილი კომპონენტების ახლებური შეთანაწყობა არის სინთეზი.

სინთეზი უწყვეტად გადადის ანალიზში და პირიქით. ანალიზი ეხმარება გამომძიებელს ჩვენებებიდან გამოყოს ყველაზე აუცილებელი და არსებითი. ანალიზი აბსტრაქციაში გარდაიქმნება განყენებულ აზროვნებაზე გადასვლის დროს.

აბსტრაქციაც ანალიზის სპეციფიკური ფორმაა. მეცნიერული აბსტრაქციის ანალიტიკური ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ ის გამოყოფს არსებითს და აანალიზებს იმ დიფუზურს, რომელშიც არსებითი და არაარსებითი ჯერ კიდევ არ არის განცალკევებული.

გამომძიებლის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მთავარ როლს ასრულებს ნებელობითი მეხსიერება და მისი ისეთი თვისებები, როგორიცაა დიდი მოცულობა და მაღალი სიზუსტე. ეს თვისებები გადამწყვეტია საქმის წარმატებით გამოძიებისათვის. დაკითხვის სწორი წარმართვისათვის არ არის საკმარისი წარსული გამოცდილება და ცოდნა. ყოველ ახალ საქმეში აუცილებელია ახალი ინფორმაცია, რომელიც მიიღება დასაკითხი პიროვნების შესწავლისას. აზროვნება ერთმანეთთან აკავშირებს წარსულ გამოცდილებასა და ახლად მიღებულ ინფორმაციას. ახალი ინფორმაციის გაანალიზებისას, ყველაზე აუცილებელის გადარჩევისას, გამომძიებელი ავსებს საკუთარ წარმოდგენებს, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომდევნო სააზროვნო ამოცანის გადაწყვეტაში.

გამომძიებლის შემოქმედებითი აზროვნების თვისებებია:

ა. შესასწავლი მოვლენებისადმი მიდგომის პრობლემური ხასიათი;

ბ. აზროვნების ოპერატიულობა, ანუ იმ გონებრივი ოპერაციების გამოყენება, რომლებიც შედარებით მეტად მნიშვნელოვანია ნივთმტკიცებებისა და სხვა იურიდიული ფაქტების გამოკვლევაში. აზროვნების ოპერატიულობაში ასევე შედის სხვადასხვა მეთოდებისა და ხერხების ოსტატურად გამოყენების უნარი, რომლის დახმარებითაც მოცემული საქმე შეიძლება უფრო მოკლე დროში და ხარისხიანად იქნეს გამოძიებული.

გ. აზროვნების დინამიკურობა, ანუ გამოსაძიებელ საქმეში სწრაფი, შემოქმედებითი ორიენტაციის უნარი; გარკვევა იმისა, თუ რაზეა საჭირო ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება. უნდა აღინიშნოს, რომ აზროვნების პროცესის ტემპი არ შეიძლება გამოვაცალკევოთ პიროვნების ტემპერამენტის თავისებურებებისგან.

დ. აზროვნების სიფართოვე. ეს თვისება წარმოჩნდება სხვადასხვაგვარი პრობლემების გადაჭრისას შემოქმედებითი მუშაობის პროდუქტიულობაში.

ე. აზროვნების სიღრმე. ის ვლინდება საგნებსა და მოვლენებს შორის კავშირებისა და მიმართებების, მათი არსებითი ნიშან–თვისებების გარკვევაში. აზროვნების სიღრმის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს ანალიზისა და სინთეზის შეთანაწყობა. გამომძიებელი არ ტოვებს უყურადღებოდ ნებისმიერ მოვლენებს შორის ოდნავ შესამჩნევ კავშირსაც კი, განსაკუთრებით გამოძიების დაწყებისას. ამის შედეგად, იგი იძენს ახალ ცოდნას. ანალიზის სიღრმე განისაზღვრება როგორც ნივთმტკიცებათა ობიექტური თვისებებით და იურიდი-

ული ფაქტებით, ასევე წარსული გამოცდილების აქტუალიზაციით(აქ შედის ანალოგიების მიხედვით ანალიზი, საკუთარი და ექსპერტთა ცოდნის გამოყენება და სხვ.).

ვ. გაბედულება, ორიგინალობა და რაც მთავარია, გამოსაძიებელ საქმესთან დაკავშირებით წამოწეული ვერსიების დასაბუთებულობა. ეს თვისება განსხვავდება ლოგიკური აზროვნებისგან. გამბედაობა, ორიგინალობა და დასაბუთებულობა არ წარმოადგენს აზროვნების თვისებებს, რამდენადაც შემეცნების პროცესში ისინი წინ უსწრებენ ლოგიკას, განსაკუთრებით გამოძიების საწყის ეტაპზე. გამომძიებელი, რომელიც ფლობს ამ თვისებებს, უფრო სწრაფად შეადგენს ვერსიას. შემოქმედებით პროცესში ეს თვისებები მუდმივად შესაბამისობაშია. მაგალითად, რაც არ უნდა გაბედული და ორიგინალური იყოს ვერსია, ის თავიდანვე დასაბუთებული უნდა იყოს.

ზ. აზროვნების ლოგიკურობა, რაც წარმოადგენს აზროვნებითი პროცესის თანამიმდევრულობას, მტკიცებულებათა სიმკაცრეს, არსებული ფაქტებიდან განზოგადებული დასკვნების გაკეთების უნარს.

თ. აზროვნების კრიტიკულობა და ობიექტურობა. ეს არის გამომძიებლის აზროვნებითი პროცესის ღერძი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ჭეშმარიტების დადგენა.

ხატოვანი აზროვნებიდან ცნებით აზროვნებაზე გადასვლას მივყავართ საგანთა და მოვლენათა კონკრეტული ხატებიდან სულ უფრო მაღალი დონის განზოგადოებულ სქემებამდე. ამ სქემებში ფიქსირდება ასახული საგნის არა ყველა ნიშან–თვისება, არამედ მხოლოდ მთავარი კომპონენტები, რომლებიც არსებითია პრაქტიკული საქმიანობისათვის.

აზროვნებითი პროცესი ყოველთვის მოითხოვს თავის ტვინის ორივე ნახევარსფეროს მონაწილეობას. ვარაუდობენ, რომ ეს პროცესი შედგება თანმიმდევრული ეტაპებისგან, როცა რიგ–რიგობით დომინირებს ხან ერთი და ხან მეორე ნახევარსფერო. როდესაც დომინირებს მარცხენა ნახევარსფერო, მაშინ აზროვნებითი საქმიანობის შედეგები შეიძლება იყოს გაცნობიერებული. როცა დომინირებს მარჯვენა ნახევარსფერო, აზროვნებითი პროცესი იმანენტურად ვითარდება და არ შეიძლება გაცნობიერდეს. ამ დროს კვლავ იწყებს დომინირებას მარცხენა ნახევარსფერო, რის შედეგადაც აღმოცენდება მოულოდნელობა. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ გადაწყეტილება ნაპოვნია ინტუიტურად.

ამგვარად, ინტუიციას განიხილავენ როგორც შემეცნების სპეციფიკურ მეთოდს, რომლის დროსაც აღმოცენდება საძიებო შედეგის პირდაპირი პოვნის ილუზია. ინტუიციის დახმარებით ადამიანი ჭეშმარიტებას წვდება ლოგიკური განსაზღვრებებისა და მტკიცებულებების გამოყენების გარეშე. ამჟამად ითვლება, რომ მსჯელობისას ერთი ლოგიკური სისტემიდან მეორეზე „გადახტომა“ შესაძლებელია მხოლოდ ინტუიციის დახმარებით.

1.5. ტემპერამენტი და ხასიათი

პიროვნებაზე საუბრისას, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა ტემპერამენტი და ხასიათი.

ტემპერამენტი – ადამიანის შედარებით მდგრადი თვისებაა. ფსიქიკური ცხოვრება სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვანაირად მიმდინარეობს. ერთნი უფრო შთა-

ბეჭდილებიანები არიან, სწრაფად და ადვილად ეხმაურებიან გარეგან გამღიზიანებლებს, სხვები – ძნელად და შენელებულად, ისინი მოშვებულნი და აპათიურნი არიან. ნაწილი ადამიანებისა ფიცხია, მეორე ნაწილი კი – დინჯი და ზომიერი. ყოველივე ეს დაკავშირებულია ადამიანის ტემპერამენტთან.

ნერვული პროცესების ძალაზეა დამოკიდებული ადამიანის ყურადღების მდგრადობაც. ნერვული პროცესების მოძრაობა გამოვლინდება ერთი ობიექტიდან მეორეზე ყურადღების სწრაფ გადართვაში. ძლიერი, გაწონასწორებული ნერვული სისტემის მქონე სუბიექტს სწრაფად გადააქვს ყურადღება, უკეთესად აკვირდება მიმდინარე მოვლენებს. ნერვული სისტემის ინერტულობა, ნაკლებმოძრაობა აქვეითებს აღქმის სისწრაფეს, აძნელებს ყურადღების კონცენტრირებას, მის გადართვას ერთი ობიექტიდან მეორეზე. აქედან გამომდინარეობს აღქმასთან დაკავშირებული სიძნელეები.

სუსტი ნერვული სისტემის მქონე ადამიანი ფლობს ფაქიზ მგრძნობელობას, მაგრამ ის არაერთგვაროვნად რეაგირებს გამღიზიანებლებზე. ძლიერ გამღიზიანებლებს, აგზნების ნორმალური პროცესის ნაცვლად, შეუძლიათ მასში გამოიწვიონ ე.წ. „ზღვარს გადასული შეკავება“.

ადამიანის ნერვული სისტემის ტიპოლოგიური თავისებურებების, დასაკითხი პირის აღქმის ინდივიდუალურობის ცოდნა გამომძიებელს საშუალებას მისცემს გაანალიზოს ჩვენებების უტყუარეობა. ტემპერამენტის მიხედვით გამომძიებელს შეუძლია წარმოადგინოს მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის გაწონასწორებულობა თუ გაუწონასწორებულობა, გამღიზიანებლის ზემოქმედებაზე მათი რეაქციის ხარისხი, გულახდილობის თუ ჩაკეტილობის დონე და ა.შ.

ტემპერამენტი გავლენას ახდენს ემოციური, აზროვნებითი და ნებელობითი პროცესების მიმდინარეობაზე.

ტემპერამენტის მიხედვით გამოყოფილია ადამიანთა ოთხი ტიპი:

ა) **სანგვინიკური** ტემპერამენტის მქონე ადამიანში გრძნობები აღმოცენდება ადვილად და ასევე მალე გადაივლის; მას ახასიათებს დადებითი განცდებისადმი მიდრეკილება. იგი ოპტიმისტია. ცხოვრებაში უფრო მეტად კარგ მხარეებს ამჩნევს. კამპანიაში მხიარულია. სანგვინიკი მოძრავი ადამიანია. მისთვის უცხოა გულჩათხრობილობა. ხშირად იმპულსურია. შეუძლია ადვილად ადაპტაცია ცვალებად ცხოვრებისეულ პირობებთან. ახალ გარემოში არ განიცდის შებოჭილობას. სწრაფად პოულობს კონტაქტს ადამიანებთან. იგი სწრაფად ითვისებს ახალს. გონებამახვილია, ადვილად შეუძლია ყურადღების გადატანა ერთი საქმიდან მეორეზე. მას აქვს სწრაფი რეაქციის უნარი.

ბ) **ქოლერიკული** ტემპერამენტის მქონე ადამიანშიც გრძნობები ადვილად და სწრაფად აღმოცენდება. მაგრამ სანგვინიკთან შედარებით უფრო მტკიცე, ხანიერი და ღრმაა. მისთვის არსებითია უარყოფითი განცდებისადმი მიდრეკილება: უკმაყოფილება, გაჯავრება, პესიმიზმი. ქოლერიკი აგრესიულია, ფეთქებადია, ურთიერთობებში სწორხაზოვანია, საქმიანობაში ენერგიულია. ფლობს გაუწონასწორებელ ნერვულ სისტემას.

გ) **ფლეგმატიკური** ტემპერამენტის მქონე ადამიანს ახასიათებს გრძნობების სუსტი აგზნება-

დობა. ეს არის მშვიდი, გაწონასწორებული, გულგრილი ადამიანი, რომლისთვისაც უცხოა აფექტი. მასში გრძნობები აღმოცენდება გვიან და ძნელად. სამაგიეროდ, რჩება მთელი სიცოცხლის მანძილზე, დროთა განმავლობაში სულ უფრო ღვივდება და ძლიერდება. ფლეგმატიკის უარყოფით თვისებას წარმოადგენს მისი ინერტულობა; ნაკლები მოძრაობა. მას არ შეუძლია სტერეოტიპების შეცვლა, რომელიც ჩამოყალიბებული აქვს. იგი წინდახედულია, სტაბილური ხასიათისაა და აქვს ხანგრძლივი შრომისა და საქმიანობის უნარი. მასში ჭარბობს დადებითი გრძნობებისადმი მიდრეკილება.

დ) მელანქოლიკური ტემპერამენტის მქონე ადამიანისათვის დამახასიათებელია მიდრეკილება უარყოფითისადმი. იგი პესიმისტია. მისთვის ჩვეულებრივია ნაღვლიანობა, ცუდ გუნებაზე ყოფნა, მაგრამ არა სასოწარკვეთილება. მელანქოლიკი უღონო, მოდუნებული და უხალისოა. ცხოვრების ტონუსი დაქვეითებული აქვს. იგი ჩაკეტილი პიროვნებაა. რთულ სიტუაციებში უჭირს გადაწყვეტილების გამოტანა.

უმაღლესი ნერვული მოქმედებისა და ტემპერამენტის ეს ოთხი ტიპი, რა თქმა უნდა, არ ამოწურავს ადამიანთა ინდივიდუალური თავისებურებების მრავალფეროვნებას. პიროვნების ტემპერამენტი ურთულესი მოვლენაა. არ შეიძლება ყველა ადამიანი მიეკუთვნებოდეს ოთხიდან რომელიმე ტიპის ტემპერამენტს. ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ტიპები, შედარებით ხშირი და გამოკვეთილია. მაგრამ ბრალდებულის, თუ დაზარალებულის ცხოვრების, აღზრდისა და საქმიანობის პიროობებს თავისი კორექტივები შეაქვს მის ტემპერამენტსა

და უმაღლესი ნერვულ მოქმედების ტიპის განსაზღვრაში.

ხალხის მასაში, რომელთანაც გამომძიებელს ურთიერთობა უხდება, ყოველთვის არსებობს ნერვული მოქმედების მრავალრიცხოვანი, გარდამავალი და შუალედური ტიპები.

არსებობს დაახლ. 72 ასეთი შუალედური და გარდამავალი ტიპი. ამიტომ ადამიანთა უმრავლესობა მხოლოდ პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ ტემპერამენტის ერთ–ერთ ძირითად ტიპს. ხშირად ადამიანებს აქვთ ორი ან სამი ტემპერამენტის ნიშან–თვისება, ანუ ფლობენ შერეულ ტემპერამენტს. ნერვული მოქმედებისა და ტემპერამენტის ტიპები ყველაზე მეტად გამოკვეთილად მჟღავნდება 10–12 წლამდე ასაკში. შემდგომში, აღზრდაზე, ცხოვრებისა და საქმიანობის სტილზე დამოკიდებულებით, ხდება ნერვული მოქმედების ტიპის, ტემპერამენტის ნიშნების ცვლილება და შენიღბვა.

როგორ უნდა განსაზღვროს გამომძიებელმა მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ტემპერამენტი? ტემპერამენტი გამოვლინდება ადამიანის საქმიანობაში, რომლის შესახებაც გამომძიებელმა ცნობები შეიძლება მიიღოს ნაცნობების, თანამშრომლების გამოკითხვის, პირადი დაკვირვებების გზით. შეგროვილი ინფორმაციის შესწავლისა და შეჯერების საშუალებით, გამომძიებელი აკეთებს დასკვნას დასაკითხი პირისთვის დამახასიათებელი ტემპერამენტის შესახებ.

განვიხილოთ ნერვული სისტემის ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც დაეხმარება გამომძიებელს მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, თუ ბრალდებულის ტემპერამენტის ტიპის შესახებ წარმოდგენის შექმნაში.

ძლიერი ნერვული სისტემის მქონე ადამიანები გამოირჩევიან დიდი შრომისუნარიანობით, უარყოფითი და ხანგრძლივი გამღიზიანებლების ზემოქმედებაზე გამძლეობით, ფსიქიკური საქმიანობის(ყურადღება, მეხსიერება და ა.შ.) დიდი მოცულობით. გამომდინარე აქედან, საჭიროა გაირკვეს თუ როგორ უმკლავდება ადამიანი დასახული მიზნების მიღწევის გზაზე წინააღმდეგობებს, როგორია მისი ამტანობა, შეუძლია თუ არა დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში იყოს აქტიური, მიისწრაფვის თუ არა დავალების იოლად და ზედაპირულად შესრულებისკენ. მნიშვნელობა აქვს იმასაც, განიცდის თუ არა ეს ადამიანი მორიდებულობას სხვებთან ურთიერთობაში, თუ პირიქით ადვილად შეუძლია უცხო გარემოში ადაპტირება. აუცილებელია გამომძიებელმა იცოდეს, შეუძლია თუ არა მოწმეს, დაზარალებულს, ბრალდებულს, ეჭვმიტანილს შეასრულოს მიზანმიმართული გონებრივი სამუშაო ხელისშემშლელი გამღიზიანებლების არსებობისას(მაგ., ხმაურის, ლაპარაკის), თუ საჭიროებს მშვიდ გარემოს; როგორ იქცევა საფრთხის შემცველ სიტუაციებში. რთულ ვითარებაში თვითკონტროლის შენარჩუნება, გამბედაობა, დაძაბულ მდგომარეობაში ორიენტაციისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი მეტყველებს ადამიანის ნერვული პროცესების სიძლიერეზე, ხოლო, პირიქით, საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვა, რასაც უცილობლად მოყვება მიზანშეუწონელი ქცევები და მოქმედებები, ადასტურებს ნერვული სისტემის სისუსტეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ არაკეთილსინდისიერი მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი და ბრალდებული, რომელიც ფლობს ძლიერ ნერვულ სისტემას, ძნელად ემორჩილება გამომძიებლის ტაქტიკურ ზემოქმე-

დებებს, რასაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს მისდამი ინდივიდუალური მიდგომის შერჩევაში.

გამომძიებელმა, აუცილებელია, დაადგინოს ცხოვრების ჩვეულ სიტუაციებში როგორ გადადის საქმიანობის ერთი სახიდან მეორეზე მოწმე, დაზარალებული, ბრალდებული. ინერტული ნერვული პროცესების მქონე ადამიანებთან ამგვარი გადართვა ხდება რთულად, ახალ სამუშაოსთან „შეთანაწყობა" მიმდინარეობს ნელ–ნელა.

ღირებულია იმის გარკვევა, ავლენს თუ არა შესასწავლი პირი საქმიანობისას ინიციატივას, საზრიანობას, თუ ისწრაფვის ძველი მეთოდებისა და ხერხების გამოყენებისკენ; რამდენად სწრაფად ახდენს ორიენტაციას ახალ გარემოში, როგორ იქცევა ადამიანებთან ურთიერთობაში; აქვს თუ არა მიდრეკილება ერთი და იგივე აზრების, ხუმრობების გამეორებისა. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დასაკითხი პირის ტიპოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ინდივიდუალური მიდგომისა და შესაბამისი ტაქტიკური ხერხების არჩევისას, შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, გამომძიებელმა უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური სიფრთხილე, თავი შეიკავოს ნაჩქარევი დასკვნებისგან.

სხვადასხვა პირობებში, ერთი და იგივე ადამიანის ქცევაში, მკვეთრად განსხვავებული თავისებურებები შეინიშნება, რომლებიც დამოკიდებულია უმაღლესი ნერვული მოქმედების დროებით მდგომარეობაზე. მაგ., გადაღლილ მდგომარეობაში ძლიერი ნერვული სისტემის მქონე ადამიანი თავს ავლენს როგორც სუსტი ტიპი. ნერვული სისტემის სუსტი ტიპის ადამიანი კი შთაგონების შედეგად შრომისუნარიანი ხდება. გამომდინარე აქედან, მხედველობაში უნდა მივიღოთ დაკითხვის სუ-

ბიექტის მდგომარეობა და ამ მდგომარეობის შესაძლო ზეგავლენა მის ქცევაზე.

ტემპერამენტი გავლენას ახდენს ადამიანის ხასიათზე, მის აქტიურობასა და შრომისუნარიანობაზე, კომუნიკაციურობასა და სოციალურ კონტაქტებზე, ქცევის გაწონასწორებულობასა და სოციალური ადაპტაციის დონეზე და ა.შ. გამომდინარე აქედან, შეიძლება ვისაუბროთ იმ ზოგიერთ რეკომენდაციაზე, რომელიც გამომძიებელს აუცილებლად დაეხმარება მოწმესთან, დაზარალებულთან, ეჭვმიტანილთან და ბრალდებულთან ინდივიდუალური ურთიერთობისას.

ქოლერიკული და სანგვინიკური ტიპის ტემპერამენტის მქონე პიროვნებები გამომძიებელმა უნდა გააფრთხილოს, რომ ისინი იყვნენ ყურადღებით, ისაუბრონ აუჩქარებლად, ხოლო როცა საჭირო იქნება, თავად შეანელოს დაკითხვის ტემპი, გამოავლინოს უფრო მეტი გულისყური მისთვის საინტერესო ფაქტის გამორკვევაში. არ არის საჭირო ფლეგმატიკის აჩქარება პასუხის გაცემისას. მას მეტი დრო უნდა მიეცეს მოსაფიქრებლად.

მელანქოლიკისადმი გამომძიებელმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმიერება და წინდახედულობა, ეცადოს იგი დადებითად განაწყოს საკუთარი პიროვნებისადმი. ამით ის მელანქოლიკს გაათავისუფლებს ეჭვიანობისგან, დაურწმუნებლობისგან, დაძაბულობისგან, ჩაკეტილობისგან და სხვ. ცნობილია, რომ მკვეთრი მოთხოვნა, რომელიც ზოგჯერ დასაშვებია სანგვინიკისა და ფლეგმატიკის დაკითხვისას, ქოლერიკში იწვევს აღშფოთებას, მელანქოლიკში კი – დათრგუნულობის შეგრძნებას.

დასაკითხი პიროვნებისადმი ინდივიდუალური მიდგომისა და მისი ჩვენებების სწორი შეფასების უზ-

რუნველყოფის მიზნით, გამომძიებელმა აუცილებლად უნდა იცოდეს დასაკითხი პიროვნების არა მხოლოდ ტემპერამენტი, არამედ მისი ხასიათის ნიშან–თვისებებიც, ანუ პიროვნების ის ინდივიდუალური თავისებურებები, რომლებიც ყალიბდება აღზრდისა და გარემოს ზეგავლენით და მჟღავნდება ტიპიურ სიტუაციებში. ხასიათი ვლინდება ქცევაში, ადამიანის ნებელობაში, გარესამყაროსთან მის დამოკიდებულებაში, საკუთარი თავისადმი მიმართებაში, პიროვნების ძლიერ და სუსტ თვისებებში და სხვ. ტემპერამენტი გამოვლინდება არა იზოლირებულად, არამედ როგორც ხასიათის ერთ–ერთი შემადგენელი.

განვიხილოთ ხასიათის ტიპები ტემპერამენტთან მიმართებაში:

ეიფორიულ–უზრუნველი ტიპი(სანგვინიკური ტემპერამენტის მქონე) ხასიათდება განცდების ეიფორიულობით, სიმკვირცხლით, მხიარულობით, უზრუნველობით, ქარაფშუტობით, დაუფიქრებლობით. იგი ცდილობს გაექცეს ცხოვრებისეულ სიძნელეებს, აქვს ურთიერთობის ფართო დიაპაზონი, ამასთან საკუთარ აზრებს თავს „არ ახვევს" ადამიანებს, მიმართულია გარესამყაროზე, ადვილად ეგუება სიახლეებს, არ არის რისკიანი.

აფექტურ–ფეთქადი ადამიანები(ქოლერიკული ტემპერამენტის მქონე) ჭირვეულები და შარიანები არიან; მათ უჭირთ შეგუება გარშემომყოფებთან, სიტუაციასთან, წყენას დიდი ხნის განმავლობაში ვერ ივიწყებენ, აქვთ რისკისადმი მიდრეკილება, ემოციებს აფექტურად გამოხატავენ, ფლობენ შინაგან ავტონომიურობას(დამოუკიდებლობას), არიან ჭირვეულები და აგრესიულად ავლენენ ფრუსტრაციას.

მშფოთვარე–ეჭვიანი ტიპის პიროვნება(მელანქოლიკური ტემპერამენტის მქონე) ავადმყოფურად თავმოყვარეა, წყენას თავს ვერ აღწევს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მიდრეკილება აქვს მუდმივად ფსიქოლოგიური დემობილიზაციის მდგომარეობაში ყოფნისადმი, მარტოსულია და ფრუსტრირებული, შებოჭილია საფრთხისშემცველ პირობებში, უკიდურესად პატივმოყვარეა; ის მძიმედ განიცდის კრიტიკას, ისწრაფვის იზოლაციისკენ ისეთ სიტუაციებში, როცა მის თავმოყვარეობას ეხებიან.

მშვიდი და უბოროტო ადამიანები(ტემპერამენტი–ფლეგმატიკური) პასიურად კომუნიკაბელურნი არიან, აქვთ განსჯის უნარი, იჩენენ მომთმენელობას სხვებისადმი, ემოციურად გაწონასწორებულები და უწყინარები არიან, კონფლიქტში ერთვებიან იშვიათად, მისდევენ მკაცრ მორალურ წესებს, არ არიან აგრესიულები.

ხასიათის განვითარება და ჩამოყალიბება წარმოადგენს ფსიქიკური საქმიანობის რთულ პროცესს. პიროვნება, მისი ხასიათი, უნარები და ა.შ., ფორმირდება და ვითარდება მის მიერ სოციალური საქმიანობის ძირითადი სახეების განხორციელებისას. ეს სახეებია შრომა, შემეცნება, ურთიერთობა. პიროვნების ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს სოციალურ ფაქტორს წარმოადგენს პროდუქტიული საქმიანობა.

ადამიანის მთელი ცხოვრება ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის ჩარჩოებში მიედინება. სკოლაში, უმაღლეს დაწესებულებაში სწავლისას, მუშაობისას, დასვენების დროს პიროვნება მუდმივ ურთიერთობებში შედის სხვებთან. ადამიანები ძირითადად ამყარებენ ორგვარ – საქმიან და პირად – ურთიერთობას. საქმიანი ურთიერთობებისას ხასიათის გამოვლინება შეზღუდულია, ხო-

ლო პირადი ურთიერთობები, რომლებიც მყარდება ურ-
თიერთსიმპათიისა თუ ანტიპათიის საფუძველზე, ხასი-
ათის თავისებურებათა ფართო სპექტრის გამოვლენის
საშუალებას იძლევა.

2. სამართლებრივი ფსიქოლოგია

❖ **სამართლებრივი ფსიქოლოგია შეისწავლის სამართალს, როგორც ქცევის სოციალური რეგულაციის ფაქტორს, ეფექტური სამართალშემოქმედების ფსიქოლოგიურ ასპექტებს, პიროვნების სამართლებრივ სოციალიზაციას, ადამიანთა ფსიქიკაში სამართლებრივი მნიშვნელობის სიტუაციების ასახვის თავისებურებებს, სამართალგაგებისა და სამართალშეგნების ფსიქოლოგიას, პიროვნების სამართალაღმასრულებელი ქცევის ფსიქოლოგიას.**

კანონის, სამართლის აღმოცენებასთან ერთად დაიწყო ისეთი შეხედულებებისა და იდეების დანერგვა, რომლებიც გამოხატავდა ადამიანთა დამოკიდებულებას წესების, კანონების, სამართლის, სასამართლოს მიმართ. ჩამოყალიბდა ზოგადსაკაცობრიო შეხედულებები სამართლიანობისა და კანონიერების შესახებ.

ისტორიულად მართლშეგნება დაკავშირებულია კანონის გაგების განვითარებასთან, სამართლის არსის გაშუქების ეტაპებთან.

სამართლის არსის გააზრების თეორიული საფუძვლები ჯერ კიდევ ძველბერძენი ფილოსოფოსების შრომებში იყო ჩადებული. უკვე იმ დროს კანონის ეფექტურობა უკავშირდებოდა ადამიანთა ქცევის ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს.

ადამიანის ქცევის ბუნების შესახებ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა სოკრატემ. მისი იდეები სამართლიანის და კანონიერის დამთხვევის აუცილებლობის შესახებ განავითარეს პლატონმა და არისტოტელემ.

შუასაუკუნეების პერიოდში, აბსოლუტური მონარქიების ფორმირების დროს, ჩამოყალიბდა კანონის ეტატიკური გაგება (ფრანგულიდან „ეტატ“ – სახელმწიფო), მოხდა მისი სახელმწიფო ხელისუფლებასთან გაიგივება. ამ მხრივ ნიშანდობლივია გამოთქმა: „სახელმწიფო – ეს მე ვარ“, რომელიც საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო XIV–ს ეკუთვნის. ითვლებოდა, რომ ადამიანისთვის უკეთესი იყო დაეთმო საკუთარი უფლებები შეუზღუდავი მონარქისთვის, რის სანაცვლოდაც მიიღებდა სიცოცხლისა და ქონების დაცვის გარანტიას. ქვეშევრდომთა ქცევა გახდა მკაცრად განსაზღვრული; აღმოცენდა ცენზურა ადამიანის საქმიანობაზე, დაწესდა შეზღუდვები მის აქტივობაზე; სახელმწიფო რეგლამენტაციამ მოიცვა საზოგადოების წევრთა მთელი სამოქალაქო ცხოვრება. ***კანონად იქნა წოდებული ადამიანთა ქცევის სახელმწიფოებრივ – ნორმატიული შეზღუდვების სისტემა.*** საზოგადოების მართვაში უპირატესობა მიენიჭა პრინციპს „ყველაფერი რაც დაუშვებელია – აკრძალულია“.

რუსომ, მონტესკიემ, ვოლტერმა და სხვა განმანათლებლებმა დამაჯერებლად აჩვენეს, რომ თუკი მმართველის ნება აყვანილია კანონის დონეზე, მაშინ ასეთი სამართალი არაფრით არ არის უკეთესი სრულ უკანონობაზე. საფუძველი ჩაეყარა ლიბერალიზმისა და სამართლებრივი სახელმწიფოს თანამედროვე კონცეფციას.

საჯაროდ გაცხადდა, რომ სამართალი უნდა შეიცავდეს არა იმდენად აკრძალვას, რამდენადაც ნების

დართვას; საზოგადოების ყოველი წევრი უნდა ითვლებოდეს ინტელექტუალურად და ზნეობრივად სრულუფლებიან არსებად.

პიროვნებისგან განუყოფლად უნდა განიხილებოდეს მისი უფლებები. ადამიანებს უფლება უნდა ჰქონდეთ იაზროვნონ ისე, როგორც სურთ; ლაღად გამოხატონ ყველაფერი, რასაც ფიქრობენ; თავისუფლად განაგონ საკუთარი შესაძლებლობები და საკუთრება. პიროვნებას განსაზღვრული პასუხისმგებლობა აქვს სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ, ზუსტად ასევე, სახელმწიფოც პასუხისმგებელია პიროვნების წინაშე. ახალი დროის სამართლებრივი მსოფლმხედველობის ერთ–ერთი რევოლუციური პრინციპი გახდა პიროვნული განვითარების გარანტიის, მისი ქცევის ავტონომიურობის უზრუნველყოფის პრინციპი.

ჩამოყალიბდა ახალი სამართლებრივი მსოფლმხედველობა. სამართალი განმარტებული იქნა როგორც საზოგადოების მიერ გაცნობიერებული სოციალური სამართლიანობის, პიროვნების სოციალურად დაშვებული თავისუფლების საზომი.

შეიქმნა თანამედროვე საზოგადოების ფუნდამენტური იდეები – თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის იდეები, დემოკრატიული სამართლის სამოქალაქო საფუძვლები.

1789წ. საფრანგეთის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მიიღეს ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია. ამ ისტორიულ დოკუმენტში საჯაროდ იქნა აღიარებული, რომ ადამიანები იბადებიან და რჩებიან თავისუფლები და თანასწორები. დეკლარაციაში თავისუფლება შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: **თავისუფლება შედგება ნებისმიერი სახის ცხოველმოქმედი აქტივობისაგან, რომელსაც სხვისთვის არ მოაქვს**

ზიანი. თავისუფლების საზღვრები ლიმიტირებულია კანონით. ყოველივე ის, რაც კანონით არაა აკრძალული – დაშვებულია. ახალი სამართლებრივი შეხედულებები ჩამოყალიბდა განმანათლებლების ჰუმანისტური ფილოსოფიის საფუძველზე. განმტკიცდა ახალი სამართლებრივ – მსოფლმხედველობითი პარადიგმა: საზოგადოებაში ურთიერთობები შეიძლება რეგულირდებოდეს მხოლოდ ისეთი კანონით, რომელიც დაფუძნებულია „ადამიანის ბუნებაზე". შეიმუშავებდა რა სამართლის ფილოსოფიურ ასპექტებს, ჰეგელმა მოგვიანებით განაცხადა: „ადამიანმა კანონში უნდა მოძებნოს საკუთარი გონიერება".

ახალმა სამართლებრივმა იდეოლოგიამ „უღლისგან" გაათავისუფლა ადამიანის აქტივობა, წაახალისა ინიციატივა, გააფართოვა მასობრივი სამართლებრივი კომპეტენტურობა.

1791წ. დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი ღაღადებდა თანამედროვე სისხლის სამართლებრივი მსოფლმხედველობის ძირითად პრინციპებს: დანაშაულებრივია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ქმედებები. სასჯელი უნდა იყოს გარდაუვალი და დანაშაულის თანაზომიერი. სამართალწარმოების ბრალდებითი ფორმა შეცვლილი იქნა შეჯიბრებითი ფორმით, გამოცხადდა უდანაშაულობის პრეზუმპცია, დამტკიცდა სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა იურიდიული თანასწორობა, შემოტანილ იქნა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, გაუქმდა ფორმალური მტკიცებულებების თეორია, ნაფიცი მსაჯულები და მოსამართლეები უფლებამოსილნი გახდნენ თავად მიეღოთ გადაწყვეტილება საკუთარი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ბრალდებულმა მიიღო დაცვის უფლება, ბრალმდებელი კი ძირითადად ადასტუ-

რებდა მის ბრალეულობას. დანაშაულის დაუდასტურებლობის შემთხვევაში აუცილებელი გახდა გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ბრალდებულის გამართლებისას პროკურორის აპელაცია არ დაიშვებოდა.

ახალი დროის საზოგადოებრივმა განვითარებამ განაპირობა არსებითი ბიძგები სამოქალაქო სამართალწარმოებაშიც. წინა პლანზე გამოვიდა კომერციული და პიროვნული ურთიერთობების თავისუფლების იდეები, აღიარებულ იქნა ხელშეკრულებითი დამოკიდებულებების თავისუფლება.

ხელშეკრულებით სამართალში ხელშეკრულებების უტყუარობის საფუძვლად აღიარებულია შემხვედრი სარგებელი. გართულებული ფორმალური ხელშეკრულებების ნაცვლად შემოტანილ იქნა მარტივი ხელშეკრულებები, როგორც ნებისმიერი ფორმის ვალდებულებითი ურთიერთობის დამყარების საშუალება.

პიროვნების დამოუკიდებლობის საფუძველი გახდა ინდივიდის ეკონომიკური დამოუკიდებლობა, მისი უფლება კერძო საკუთრებაზე. კერძო საკუთრების პირობებში ზოგადსოციალური პრობლემები უფრო ეფექტურად გადაიჭრებოდა, ვიდრე სახელმწიფო საკუთრების პირობებში. სამართლებრივი სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება აღმოცენდა თავისუფალი ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტზე. ყველაფერი, რაც კი ხელს უშლის ასეთ თავისუფლებას, ნეგატიური სოციალურ–ფსიქოლოგიური ფაქტორია.

ამგვარად, სამართალი ისტორიულად განპირობებული სოციალური და სოციალურ–ფსიქოლოგიური მოვლენაა. მისი შინაარსი და ფუნქციონირება განისაზღვრება საზოგადოების ეკონომიკური და სულიერი ცხოვრებით. სამართალი განსაზღვრავს თავისუფლების და სოციალური სამართლიანობის ზომას, მოცემულ

საზოგადოებაში ადამიანთა მხრიდან დასაშვები ქცევის დონეს. სამართალშემოქმედებითი საქმიანობა – ეს არ არის მხოლოდ „თამაშის წესების“ გამოგონება, არამედ ის ობიექტურად განპირობებულია ადამიანთაშორისი(პიროვნებათაშორისი) ურთიერთობების კანონზომიერებებით, მათი განვითარების ტენდენციებით. სამართლის ნორმები მკვდარია, თუკი ისინი „გადააბიჯებენ“ საზოგადოებაში არსებულ ეკონომიკურ და ზნეობრივ–ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებს. სამართალი არის ინსტრუმენტი, რომელიც არეგულირებს თავისუფლებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის წონასწორობას. ასეთია განმანათლებელთა ეპოქაში ჩასახული თანამედროვე სამართლებრივი მსოფლმხედველობის საფუძვლები.

XVIII–XIXსს–ში, ახალი სამართლებრივი იდეოლოგიის საფუძველზე აღმოცენდა ფსიქოლოგიურ–იურიდიული ცოდნის სპეციალიზირებული დარგი – კრიმინალური, ხოლო შემდგომ კი უფრო ფართო – სასამართლო ფსიქოლოგია.

კრიმინალური ფსიქოლოგიის ჩარჩოებში განხორციელდა იმ ფაქტების ემპირიული სინთეზი, რომელიც ეხებოდა დანაშაულებრივი ქცევისა და დამნაშავის პიროვნების ფსიქოლოგიას. დაიწყო გაცნობიერება იმისა, თუ რამდენად აუცილებელია ფსიქოლოგიური ცოდნა სასამართლო წარმოებაში, სამართლებრივი რეგულაციის მთელ სისტემაში. XIXს–ის მეორე ნახევარში დაფუძნდა სამართლის ანთროპოლოგიური სკოლა, გაიზარდა იურისტთა ინტერესი „ადამიანური ფაქტორისადმი“.

პირველი სერიოზული გამოკვლევები სასამართლო ფსიქოლოგიაში განხორციელდა გერმანიაში XIXს–ის დასაწყისში, მაგრამ ამ კვლევებმა მხოლოდ ექ-

სპერიმენტული ფსიქოლოგიის განვითარებასა და კრიმინალისტიკის აღმოცენებასთან ერთად შეიძინა სისტემური ხასიათი.

კრიმინალისტიკის ფუძემდებელმა, ჰანს გროსმა, შექმნა ფუნდამენტური ნაშრომი „კრიმინალური ფსიქოლოგია“, სადაც სასამართლო ფსიქოლოგიას განიხილავდა, როგორც ზოგადი ფსიქოლოგიის გამოყენებით დარგს.

მონოგრაფიაში საკმაოდ დიდი ნაწილი აქვს დათმობილი მოწმის ფსიქოლოგიას. ამ თავში ჰ. გროსმა გამოიყენა ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სფეროში დაგროვილი მასალა(ვ. ვუნდტის, ჰ. ებინჰაუზის, თ. რიბოს, ა. ბინეს და სხვათა გამოკვლევები) და აჩვენა მისი მნიშვნელობა კრიმინალისტიკისათვის.

ცნობილმა ფრანგმა ფსიქოლოგმა ე. კლაპერდიმ, რომელიც ჟენევის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს სასამართლო ფსიქოლოგიაში, მნიშვნელოვნად გააფართოვა სასამართლო ფსიქოლოგიის პრობლემების წრე და უკვე XIXს–ის მეორე ნახევარში სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა „იურიდიული ფსიქოლოგიის“ ცნება.

XXს–ის დასაწყისში, ფსიქოლოგიის საერთო კრიზისთან დაკავშირებით, მოხდა ჩავარდნა სასამართლო ფსიქოლოგიის განვითარებაშიც, თუმცაღა 50–იან–60–იან წლებში ისევ გაცხოველდა ინტერესი იურიდიული ფსიქოლოგიის პრობლემებისადმი.

იურიდიული ფსიქოლოგიის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ჰ. ტოხმა(„სამართლებრივი და კრიმინალური ფსიქოლოგია“, ნიუ–იურკი, 1961), მ. ლიპმანმა(„ფსიქოლოგიის საფუძვლები იურისტებისათვის“, ლაიფციგი, 1914), დ. აბრაჰამსენმა(„კრიმინალური ფსიქოლოგია“, ნიუ–იურკი, 1961), რ. ლუვაჟ-

მა(„ფსიქოლოგია და დანაშაული“, ჰამბურგი, 1956) და სხვებმა.

კვლევები ამ მიმართულებით დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს.

2.1. სამართალი, როგორც პიროვნების სოციალური რეგულაციის ფაქტორი

საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრება და საქმიანობა რეგულირდება სოციალურ–ნორმატიული მექანიზმით. მასში ცენტრალური ადგილი უჭირავს სამართალს, საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივ მოწესრიგებას, რაც ითვალისწინებას კანონით სანქცირებული ნორმებისადმი ამ ურთიერთობების სუბიექტთა ქცევის დაქვემდებარებას.

სამართლებრივ ფსიქოლოგიად იწოდება იურიდიული ფსიქოლოგიის განხრაც, რომელიც შეისწავლის სამართალგაგების, სამართალშემოქმედების ფსიქოლოგიურ ასპექტებს, ინდივიდუალური, ჯგუფური და საზოგადოებრივი სამართლებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას, აგრეთვე პიროვნების სამართლებრივ სოციალიზაციასა და მის სამართალშესაბამის ქცევას.

სამართალი, სამართლებრივი რეგულირება – ეს არის სოციალური რეგულირების ძირითადი ფორმა. სოციალური რეგულირება უზრუნველყოფს საზოგადოების მოწესრიგებულ ცხოვრებას, მის განვითარებას, წინსვლას. იგი დაკავშირებულია მოცემულ საზოგადოებაში მიღებული ფასეულობების სისტემასთან და განისაზღვრება საზოგადოებრივი ცნობიერების დონით.

ნებართვებისა და აკრძალვების სისტემა ჯერ კიდევ პირველყოფილ თემურ წყობილებაში ჩამოყალიბ-

და. თავიდან სოციალური მოთხოვნები შეესაბამებოდა კონკრეტულ სიტუაციებს, მაგრამ შემდგომში ხდებოდა მათი სულ უფრო მეტად განზოგადება.

სამართალი აღმოცენდა წარმოების, თავისუფალი სასაქონლო გაცვლის განვითარებასთან დაკავშირებით, როდესაც ცალკეული ადამიანის ქცევა გამოთავისუფლდა ტრადიციული საზოგადოებრივი საფუძვლისგან და მეტი ავტონომია შეიძინა. ურთიერთდამოკიდებულებების გართულებულ ზოგადსოციალურ სისტემას უკვე არ შეეძლო მოეცვა ცალკეული ერთობის კონკრეტული წეს–ჩვეულებები. სამართალი აღმოცენდა იმ აუცილებლობიდან, რომ თავისუფალი ადამიანისათვის მიენიჭებინა გარკვეული უფლებები და, სოციუმის ინტერესებიდან გამომდინარე, მოეწესრიგებინა და შეეზღუდა ინდივიდუალური აქტიურობა. აღმოცენდა და ვითარდებოდა კაცობრიობის სოციალურ–რეგულატორული კულტურა, რომელიც წარმოადგენდა ცივილიზაციის ძირითად ნიშან–თვისებას.

საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფა იყო სამართლის აღმოცენების, სამართლებრივი რეგულირების საწყისი მიზეზი, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს ის, რომ, თითქოსდა, სამართალი ასრულებს ვიწროკლასობრივ ფუნქციას. სამართალი, კანონი აღმოცენებისთანავე არეგულირებს შედარებით უფრო რთულ, ხშირ შემთხვევაში კონფლიქტურ სიტუაციებს, რომელთაც ადგილი აქვთ ადამიანთაშორის ურთიერთობებში. ჯერ კიდევ მეფე ჰამურაბის კანონებში სამართლიანობის აუცილებლობა მოტივირებული იყო როგორც აუცილებელი პირობა ბოროტებისა და უზნეობის ჩასახშობად, განსაკუთრებით კი იმისათვის, რომ ძლიერს არ დაეჩაგრა სუსტი. იგივე პოზიცია ჩანდა მანუს ძველინდურ კანონებში, რომლის თანახმადაც, სა-

მართლიანობიდან გამომდინარე, მეფეს უნდა დაესაჯა ის, ვინც ამას იმსახურებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში „ძლიერები ისე შეწვავდნენ სუსტებს, როგორც თევზს შამფურზე". ძველ რომში სამართლის არსი კიდევ უფრო დაიხვეწა: „სამართლი – ეს არის სიმართლისა და სამართლიანობის ხელოვნება".

სამართალი მრავალწახნაგოვანი, სისტემური მოვლენაა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების თვითგანვითარებას. თეორიულ პლანში, სამართალი უნდა მოიცავდეს ყველა საზოგადოებრივ – მეცნიერულ დისციპლინას – ფილოსოფიას, ფსიქოლოგიას, სოციოლოგიას, ინფორმაციის თეორიასა და ა.შ.

საზოგადოებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, სამართალი ადამიანთა პირადი ინტერესების, ინდივიდუალური ქცევის სოციალური რეგულაციის ფაქტორის როლში გამოდის. პიროვნების ფსიქოლოგია მოიცავს ზოგადსოციალურ და ჯგუფურ ღირებულებებს, სოციალურ მოტივებსა და განწყობებს. იურიდიული ნორმები ადამიანებს კარნახობენ, თუ როგორ მოიქცნენ ისინი რთულ, ურთიერთსაწინააღმდეგო კონფლიქტურ სიტუაციებში.

სამართალი ასახავს საზოგადოებრივი ცნობიერების არსებით ნიშან–თვისებებს, კონკრეტული ისტორიული ეპოქის ადამიანთა ქცევის თავისებურებებს.

პიროვნული ავტონომია, დამტკიცებული თანამედროვე სამართლით, შესაძლებელი გახდა მხოლოდ ადამიანის ფსიქიკური და სოციალური განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ ეტაპზე, როცა გარესოციალურმა რეგულატორებმა ტრანსფორმირება განიცადეს სოციალურად ადაპტირებულ შიდაპიროვნულ რეგულაციურ მექანიზმებში.

სამართლებრივი რეგულირების კონცეპტუალურ საფუძველს შეადგენს **სამართალგაგება.** სამართლის არსის განმარტებაზეა დამოკიდებული სამართლის რეალიზაცია. სამართლის თანამედროვე გაგება წარმოადგენს მისი **როგორც სოციალური მიზანშეწონილობისა და სამართლიანობის რეალიზაციის ძირითადი საშუალების** გაცნობიერებას. სამართლიანობა დაკავშირებულია ადამიანთა შეხედულებებზე; მათ შორის აუცილებელ დამოკიდებულებებზე; მათ შრომასა და ანაზღაურებას, დანაშაულსა და სასჯელს შორის შესაბამისობაზე; მათ დამსახურებასა და საზოგადოებრივ აღიარებას შორის შესატყვისობაზე. სამართლიანობა სოციუმის ნორმალური განვითარების პირობაა. ყოველივე ზნეობრივი სამართლიანია. უსამართლოა უზნეობა, უკანონობა. ადამიანთა საქციელი, მათი ქცევის შედეგი, ექვემდებარება სამართლიანობის კატეგორიიდან გამომდინარე სოციალურ შეფასებას. სოციალურად ყველაფერი აუცილებელი –სამართლიანია. სწორედ ეს ზოგადსაკაცობრიო, სოციალურად აუცილებელი ეტალონი ძევს სამართლის საფუძვლად.

სამართლის, როგორც სოციალურად დაშვებული და მიზანშეწონილი ქცევის საყოველთაო საზომის, აღმოცენება მოასწავებდა ადამიანთა შორის ცივილიზებული ურთიერთობების ეპოქის დასაწყისს. ჩვენ დროშიც სამართალი, სამართალგამოყენებითი სისტემა წარმოადგენს საზოგადოების სოციალური განვითარების მაჩვენებელს, ადამიანისთვის ნებადართული აქტიურობის დონის მაჩვენებელს, ხოლო მთელი სამართლებრივი სისტემა არის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების, როგორც თვითორგანიზებადი მთელის ფუნქციონირებას. იქ, სადაც არ არსებობს აქტიური მოქალაქეობრივი ქცევის კანონმდებლობითი

გარანტიები, არ არის მოქალაქეთა პიროვნული თავისუფლება და არ არსებობს სამართლებრივი სახელმწიფოც.

სამართალი არის საზოგადოების ქცევითი კულტურის ფენომენი, პიროვნებათაშორისი კონფლიქტების ცივილიზებურად გადაწყვეტის ინსტრუმენტი. სამართალი ვალდებულებით – ნორმატიულ ფორმაში განამტკიცებს კულტურის მიღწევებს, კაცობრიობის სულიერ–ზნეობრივ ფასეულობებს, საზოგადოებას იცავს დემონური ძალებისგან.

კაცობრიობის წინსვლა სამოქალაქო საზოგადოებისაკენ უზრუნველყოფს პიროვნების ღირსების შენარჩუნებას, მის ავტონომიურობას. სამართალი, როგორც ცივილიზაციის ატრიბუტი და სოციალურ–ნორმატიული მექანიზმი, ჩამოყალიბდა თავისუფლებისა და ჰუმანიზმის იდეებზე. მის განვითარებას თან სდევდა სახელმწიფოს სულ უფრო დიდი დაინტერესება პიროვნების მოთხოვნილებებით.

სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევის ტიპური მოდელები ფიქსირდება სამართლებრივ ნორმებში, რომლებიც მიკროდონეზე უზრუნველყოფენ სამართლის რეალიზებას. ამავე დროს, ყოველ სამართლებრივ ნორმაში გამოვლინდება ზოგადსამართლებრივი პრინციპები, ანუ „კანონის სული“.

სამართალი არა მხოლოდ საზოგადოების პროგრესული განვითარების მაჩვენებლია, არამედ ამ განვითარების ინსტრუმენტიცაა. ამასთან, არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი სისტემის ყოველ ელემენტს.

საზოგადოების წევრთა ქცევაზე სამართლებრივი ზემოქმედება ხორციელდება სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის საშუალებით. სამართლებრივი

რეგულირების ობიექტად გამოდის ადამიანთა ნებელობითი ქცევა, დამოკიდებული გარემოს სოციალურ–ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, საზოგადოებაში არსებული სოციალური პრეტენზიების დონეზე, საზოგადოების სოციალურ–კულტურულ მემკვიდრეობაზე და ა.შ. სამართლებრივი რეგულირების ეფექტურობა გაპირობებულია არა მხოლოდ მისი „სიმკაცრით"(„სიხისტით"), არამედ ამ რეგულაციის ობიექტის თვისებებთან მისი თანაფარდობითაც. სამართლებრივი სისტემის განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრულია მისი შესაბამისობით საზოგადოების საარსებო მოთხოვნილებებთან, ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან. სამართლებრივი ხერხები შეიძლება იყოს „ადეკვატური" და „არაადეკვატური" სამართლის რეალიზაციის სოციალურ–ფსიქოლოგიურ პირობებთან. თუმცა სოციალურად არაადეკვატური შეიძლება იყოს არა მხოლოდ ხერხები, არამედ თავად სამართლის დამახინჯებული არსიც, რაც დამახასიათებელია ტოტალიტარული სისტემებისათვის.

საბჭოთა ტოტალიტარიზმის პერიოდში, ბევრ კანონს ჰქონდა ანტისამართლებრივი ხასიათი. ზოგიერთი მათგანი კი უბრალოდ აბსურდული იყო. მაგ., ბეგარა უშვილობაზე.

ამჟამად, ჩვენი საზოგადოება სოციოკულტურული რეფორმაციის აუცილებლობის წინაშე დგას. პირველსაწყის სოციალურ ამოცანას წარმოადგენს საზოგადოების ლეგიტიმაცია, ანუ მთელი მისი მოქმედების დაუყოვნებლივი დაქვემდებარება კანონის მოთხოვნებისადმი.

სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება უკავშირდება პიროვნების ფსიქოლოგიაში სამართლებრივი ღირებულებების განმტკიცების ღრმა პროცესებს, პი-

როვნების სოციალური ადაპტაციის სისტემაში სამართლებრივი ორიენტაციის გაბატონებას. თუკი ჩვენ გვინდა მივაღწიოთ კანონის პატივისცემას, უნდა შევქმნათ პატივსაცემი კანონები.

სოციალურ–საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა გადაჯაჭვულია მთელ რიგ ახალ ეკონომიკურ, სამართლებრივ და სოციალურ–ფსიქოლოგიურ სიძნელეებთან. საზოგადოებამ უნდა მოახდინოს ადაპტირება ცხოვრებისა და საქმიანობის მისთვის პრინციპულად ახალ პირობებთან, განახორციელოს არა მარტო ეკონომიკური, არამედ იდეოლოგიური და სოციალურ–ფსიქოლოგიური ძვრები. სამართლებრივი დესტაბილიზაცია ბადებს ქცევის სოციალურად მნიშვნელოვანი ფორმების მასობრივ დეზორგანიზაციას; აქტიურდება ქცევის ისეთი კორპორაციული ფორმები, რომლებიც არ არის კანონით დარეგულირებული. თავისუფალი სამეწარმეო ურთიერთობების სამართლებრივი მოუწესრიგებლობა ანგრევს არა მხოლოდ ეკონომიკას, არამედ ახდენს მასობრივი სამართალცნობიერების დეზორგანიზებას, ბადებს ღირებულებით დესტაბილიზაციას, აქვეითებს საზოგადოების სულიერ პოტენციალს. ამ პირობებში აღმოცენდება ე. დიურკჰეიმის მიერ აღწერილი სოციალურად ნეგატიური მოვლენა, რომელსაც ეწოდება **ანომია,** რაც კანონის პრესტიჟულობის მკვეთრ დაცემას ნიშნავს.

2.2. ეფექტური სამართალშემოქმედების სოციალურ–ფსიქოლოგიური ასპექტები

სამართლებრივი რეგულაციის სასტარტო და სისტემაწარმომქმნელ რგოლს წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების ანუ იურიდიული კანონების შემუშავება

და გამოცემა. ზოგადსავალდებულო ძალა შესაძლოა შეიძინოს მხოლოდ იმ სამართლებრივმა ნორმამ, რომელსაც შეუძლია უპასუხოს პიროვნებისა და საზოგადოების სოციალურ მოთხოვნებს და შეესაბამებოდეს ადამიანური ქცევის სოციალურ–ფსიქოლოგიურ მექანიზმებს.

სტაბილურ სამართალშემოქმედებას, მთელ რიგ შემთხვევებში, წინ უნდა უსწრებდეს საპილოტე(წინასწარი) გამოკვლევები, რაც ხელს შეუწყობს შემოთავაზებული სამართლებრივი ინოვაციების შესახებ პირველადი ინფორმაციის მიღებას. აუცილებელია სამართლის ნორმების ეფექტურობის თეორიის შემუშავება. სამართლის სხვადასხვა დარგში კანონის ნორმების ეფექტურობის კრიტერიუმები არაერთგვაროვანია. მაგ., სისხლის სამართლის ნორმის მისაღებად აუცილებელია აკრძალული ქმედების მიზეზობრივი განპირობებულობისა და გავრცელების წინასწარი გამოკვლევა, ამ ქმედებით მიყენებული სოციალური ზარალის მოცულობის გაგება, სხვა სოციორეგულატორული საშუალებებით ამ ქმედების გავრცელების მკვეთრი შემცირების შესაძლებლობების მოძიება, შესაბამისი ნორმის მისაღებად საზოგადოებრივი ცნობიერების მზადყოფნის განსაზღვრა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მიზნების მკაფიო წარმოდგენა, რომელთა მისაღწევადაც მიმართულია შემოღებული სამართლებრივი ნორმა, ნათელი გაცნობიერება იმისა, თუ ქცევის როგორი ფორმები მოითხოვს რეპრესიების გაფართოებას, ხოლო როგორი – შევიწროებას; როგორია სამართლებრივი ნორმის ზოგადპრევენციული ზემოქმედების ფსიქოლოგიური მექანიზმები.

აუცილებელია სამართლებრივი ნორმის ეფექტურობის მაჩვენებლებისა და კრიტერიუმების შემუშავე-

ბა. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სოციონორმატიული ქცევის სოციალურ–ფსიქოლოგიური მექანიზმები.

ამდენად, სამართლის პრესტიჟულობა, პიროვნების სოლიდარობა მიღებულ კანონებთან, პიროვნების მიერ სოციალური ღირებულებების ინტერნალიზაცია(გათავისება, აღიარება), ინდივიდის სამართლებრივი სოციალიზაცია წარმოადგენს სამართლის ფსიქოლოგიის პრობლემებს.

- **მართლშეგნება და სამართალაღსრულებითი ქცევა**

მართლშეგნება დაკავშირებულია სამართლებრივი მნიშვნელობის სიტუაციების ასახვასთან, იმ იდეებისა და შეხედულებების ერთობლიობასთან, რომელიც გამოხატავს პიროვნებისა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების დამოკიდებულებას სამართლისა და კანონიერებისადმი.

ადამიანთა მართლშეგნება განისაზღვრება საზოგადოების სამართლებრივი საფუძვლებით, სამართალგამოყენებითი პრაქტიკით, ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის რეალური პირობებით, საზოგადოების ზნეობრივი გამოცდილებითა და ტრადიციებით, სამართლებრივი მნიშვნელობის მოვლენებისადმი გავრცელებული შეფასების სისტემით. პიროვნების შედარებით მყარი ნორმატიულ–ღირებულებითი პოზიციები წარმოქმნიან მისი სამართლებრივი მნიშვნელობის განწყობების სფეროს, იწვევენ სტერეოტიპულ მზადყოფნას განსაზღვრული მოქმედებებისადმი.

- **მართლშეგნებისა და სამართალაღსრულებითი ქცევის დონეები და ფორმები**

მართლშეგნება არის **საზოგადოებრივი, ჯგუფური და ინდივიდუალური. საზოგადოებრივი მართლშეგნება** წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერების სფეროს, რომელიც ასახავს საზოგადოებრივი ყოფის სამართლებრივად მნიშვნელოვან მოვლენებს. საზოგადოებრივი მართლცნობიერება ურთიერთმოქმედებს სამართლებრივ იდეოლოგიასთან, ანუ გაბატონებული იდეების, შეხედულებებისა და განწყობების სისტემასთან, განსაზღვრავს სამართალშემოქმედების მიმართულებასა და სამართალრეგულაციის მექანიზმებს.

ჯგუფური მართლშეგნება, **საზოგადოებრივი სამართლცნობიერებისაგან** განსხვავებით, სტიქიურია, დამოკიდებულია ვიწრო ჯგუფურ ინტერესებზე, რომელიც არაიშვიათად უპირისპირდება საზოგადოებრივ ინტერესებს. ჯგუფური ცნობიერება შესაძლებელია ასოციალურიც კი იყოს.

ინდივიდუალური მართლცნობიერება კიდევ უფრო განსხვავებულია. იგი მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მცირე სოციალური ჯგუფების მართლშეგნებით, რომლებშიც ჩართულია პიროვნება საკუთარი ცხოვრების სტილით. ინდივიდუალური მართლშეგნება განსხვავდება განვითარების დონეების მიხედვით.

ელემენტარულ დონეზე ინდივიდუალური მართლშეგნება გამოიხატება კონკრეტული სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე საქმიანობის შეთანხმებაში მართლზომიერი ქცევის ნორმების ემპირიულ წარმოდგენებთან. მართლშეგნების შედარებით მაღალი დონეები გამოვლინდება რთული სამართლებრივი სიტუაციების, სამართლებრივი ინსტიტუტების, საზოგადოებაში ადამიანის სამართლებრივი სტატუსის გაცნობიერებისას.

ინდივიდუალური მართლშეგნების **უმაღლესი დონე** ხასიათდება სამართლებრივ სისტემაზე შეხედულებების ერთობლიობით, სამართლის სოციალური მნიშვნელობის გაცნობიერებით, მისი არსის შეფასებით, სამართლებრივი იდეოლოგიის დაუფლებით.

ადამიანთა ყოველდღიურ ქცევაში არსებით მნიშვნელობას იძენს ქცევის ის მოდელები, რომელთაც ადამიანები ქმნიან საჭირო ქცევის შესახებ ზოგადი წარმოდგენების საფუძველზე.

ინდივიდუალური მართლშეგნება ვლინდება სამართლებრივი მნიშვნელობის წარმონაქმნებში: პიროვნების სამართალთან სოლიდარობაში ან სამართლებრივ ნეგატივიზმში ანუ სამართლებრივი ფასეულობების უარყოფაში.

პიროვნების სამართალთან სოლიდარობა ნიშნავს იმას, რომ მართლზომიერი ქცევა თავისთავად გადაიქცევა პიროვნების ფასეულობად, მისი ინტერესის საგნად.

სამართლებრივი ნორმების რეალიზაცია ადამიანის რეალურ ქცევაში წარმოადგენს რთულ სოციალურ–ფსიქოლოგიურ და ინდივიდუალურ–ფსიქოლოგიურ პროცესს. თუმცა არა მხოლოდ ფსიქოლოგიური პროცესები განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას. ცნობიერება არეგულირებს პიროვნების ქცევებსა და მოქმედებებს, მაგრამ თავადაც ყალიბდება ინდივიდის ცხოვრებისა და საქმიანობის პირობების ზეგავლენის შედეგად.

მართლშეგნება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც განცალკევებული ფსიქიკური წარმონაქმნი.

მართლშეგნების დეფექტები წარმოადგენს არა იმდენად „სამართლებრივ პრობლემას", რამდენადაც ნეგატიურ დამოკიდებულებას სამართლისადმი, ინდივიდის ვიწროეგოისტურ, ანგარებითი ინტერესებისა და

მისწრაფებების ფლობას. მართლსაწინააღმდეგო ქცევის პირველმიზეზი არის არა „მართლშეგნების დეფექტები", არამედ ის რეალური ცხოვრებისეული პირობები, რომელიც ამ „დეფექტებს" ბადებს.

სამართლებრივი ნორმებით რეგულირებულ პიროვნების ქცევას, სამართალგამოყენებით ქცევას უწოდებენ. მისი დაყოფა შეიძლება სამ ჯგუფად:

- **სამართალაღსრულებითი.** პიროვნების მოთხოვნილებები, მიზნები და მათი მიღწევის საშუალებები, ემთხვევა სამართლებრივ მოთხოვნებს;
- **სამართალმორჩილი.** პიროვნების მოთხოვნილებები, მიზნები და მათი მიღწევის საშუალებები ემთხვევა საზოგადოებრივ მოთხოვნებს, მაგრამ გამომდინარეობს არა პიროვნების შინაგანი დარწმუნებულობიდან, არამედ მისი კონფორმულობიდან.
- **კანონმორჩილი.** როდესაც პიროვნების მოთხოვნები, სურვილები, ინტერესები და მათი მიღწევის საშუალებები არ ემთხვევა საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს, მაგრამ პიროვნება დასჯის შიშით ექვემდებარება კანონს.

სოციალური ადაპტაციის ხარისხი შეიძლება იყოს განსხვავებული, მაგრამ მკვეთრი ზღვარი სოციალურად ადაპტირებულ და არაადაპტირებულ ქცევას შორის განისაზღვრება კანონით. **დანაშაულებათა მრავალსახეობა წარმოადგენს სწორედ სოციალურად არაადაპტირებული ქცევის გამოვლენას.**

სამართლებრივ საზოგადოებაში პიროვნების მართლცნობიერება განპირობებულია ამ საზოგადოებაში გაბატონებული ადამიანის უფლებების იდეებით; სამართლის, როგორც ძირითადი სოციალური კეთილ-

დღეობის საფუძვლის, გაგებით, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას.

მოქალაქეთა უფლებების რეალიზაცია დამოკიდებულია მათი დაცვის საყოველთაოდ მისაწვდომ პროცედურებზე. პიროვნება უპირისპირდება ავტორიტარულ, გარეგან იძულებას. პიროვნული ავტონომიურობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ინდივიდი იზოლირებული კი არ არის საზოგადოებისაგან, არამედ მას აქვს უფლება პირად ცხოვრებაზე. პიროვნება ყალიბდება სოციალიზაციის პროცესში, მაგრამ ამ პროცესს თან ერთვის პიროვნების გამოცალკევების შინაგანი პროცესი, მისი ინდივიდუალურობის, თვითშემეცნების ფორმირება. ყოველი ადამიანი გარესამყაროსთან ურთიერთმოქმედებს თავისი სინდისის, შინაგანი თვითკონტროლის შესაბამისად. ადამიანი ჭეშმარიტად თავისუფალი ხდება მაშინ, როცა საზოგადოებრივი სტიმულაცია გადადის მის პიროვნულ მოტივაციაში, იქცევა პირად აუცილებლობად.

საზოგადოების წევრთა მართლშეგნება განისაზღვრება მათი სამართლებრივი კულტურით, საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების ცოდნით, სამართლებრივი განათლებულობით. სამართალწარმოების ეფექტურობა დამოკიდებულია სამართალაღმსრულებლების მართლშეგნებაზე, კომპეტენტურობასა და ადამიანური ფაქტორის ღრმა ცოდნაზე.

მრავალი სამართლებრივი გადაწყვეტილება დამოკიდებულია იურისტის მიერ გამოსაკვლევი სოციალური მოვლენის ფსიქოლოგიური არსის გაგებაზე. შინაგანი რწმენის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას, იურისტი დარწმუნებული უნდა იყოს არა მხოლოდ იმაში რომ მან სწორად გამოიყენა ფორმალური უფლებების კატეგორიები, არამედ იმაშიც, რომ მან გაითვალის-

წინა ადამიანური ყოფის კანონები, ადამიანთა ურთიერთქმედების სოციალურ–ფსიქოლოგიური მექანიზმები.

2.3. იურიდიული საქმიანობის ეთიკური საფუძვლები.

იურისტის საქმიანობა მოითხოვს დიდ ძალისხმევას, მოთმინებას, კეთილსინდისიერებას, ცოდნასა და მაღალ პასუხისმგებლობას. ყოველივე ეს კი დაფუძნებულია სამართლებრივი ნორმების უმკაცრეს დაცვაზე.

იურისტთა საკმაოდ მრავალფეროვანი და რთული შრომა, ატარებს ისეთ ნიშნებს, რომლებიც განასხვავებს მას სხვა პროფესიებისგან.

პრაქტიკულად, ნებისმიერი იურიდიული პროფესიის მქონე პიროვნების საქმიანობის ერთ–ერთ ძირითად მხარეს, კომუნიკაცია წარმოადგენს. ის ხორციელდება პიროვნებათა შორის სამართლებრივი რეგულირების პირობებში. ეს ურთიერთობის ყველა მონაწილეს განსაკუთრებულ უფლებებსა და მოვალეობებს ანიჭებს, ურთიერთობას კი აძლევს სპეციფიკურ ელფერს.

იურიდიული პროფესიების უმეტესობისათვის დამახასიათებელია მაღალი ემოციური დაძაბულობა, რაც ხშირად უკავშირდება უარყოფით განცდებს, მათი აღმოფხვრის აუცილებლობას. ამ საქმიანობისათვის არსებითია შემოქმედებითი ასპექტი, რაც აუცილებლად უნდა იფარგლებოდეს ეთიკური ნორმებით.

პროფესიული ეთიკა – ქცევის კოდექსი – განაპირობებს ადამიანთაშორის იმ ურთიერთობების ზნეობრივ ხასათს, რომელიც გამომდინარეობს მათი პროფესიული საქმიანობიდან.

ამა თუ იმ პროფესიის ინტერესები და ღირსება, საბოლოო ჯამში, დგინდება იმით, თუ მისი წარმომადგენლები რამდენად თანმიმდევრულად ხელმძღვანელობენ საკუთარ საქმიანობაში ზნეობრივი პრინციპებით.

როგორც ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, მომეტებული მორალური პასუხისმგებლობა, ვალდებულების გამძაფრებული გრძნობა, ქცევის ზოგიერთი დამატებითი ნორმის დაცვა აუცილებელია, უპირველესად სამედიცინო, იურიდიულ, პედაგოგიურ საქმიანობაში ანუ იმ სფეროებში, სადაც სპეციალისტის შრომა არ ჯდება მკაცრ ფორმალურ სქემაში და სადაც მის ეფექტურობასა და ხარისხზეა დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა, სულიერი სამყარო და საზოგადოებაში მისი ადგილი. ამ სფეროებში პროფესიული მოვალეობის წარმატებით შესრულება გულისხმობს მაღალ კვალიფიკაციას, ღრმად გაცნობიერებულ პასუხისმგებლობას, საკუთარი პროფესიული ვალის პირნათლად მოხდისადმი მზადყოფნას და ა.შ.

პროფესიული მორალი არ არის იზოლირებული იმ საერთო მორალისგან, რომელიც გაბატონებულია კონკრეტულ საზოგადოებაში. მაგრამ, მხოლოდ ზოგადმორალური მოთხოვნების საფუძველზე, შეუძლებელია ამა თუ იმ პროფესიული საქმიანობის პრობლემების სწორი გაგება.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ექიმებს, იურისტებს, პედაგოგებს ესაჭიროებათ ადამიანის სულიერ სამყაროში შეღწევა, რაც განაპირობებს ამ სპეციალობებისთვის მორალის სპეციფიკური ნორმების არსებობას. ამ ნორმებს პროფესიულ–ეთიკური ეწოდება იმიტომ, რომ მათი აღმოცენება და ათვისება განისაზღვრება არა უშუალოდ რაიმე ინსტიტუციონალური პირობებით, მაგ., გა-

ნათლებით, თანამდებობრივი მდგომარეობით და ა.შ., არამედ მათი დაუფლება ხდება პიროვნების კულტურის და აღზრდის დონით.

ეთიკის ქვეშ იგულისხმება მითითებული ნორმების პრაქტიკული რეალიზაციაც. აუცილებელია გავარჩიოთ ეთიკა როგორც იდეალი და ეთიკა, როგორც მოქმედება. საზოგადოებაში პროფესიული ეთიკის ან მორალის არსებობა წარმოადგენს შრომის პროფესიული დაყოფის შედეგს. რიგი პროფესიის წარმომადგენლებისათვის, საკმარისი არ იყო ამა თუ იმ შრომითი უნარის ფლობა. მათ უნდა ჰქონოდათ საყოველთაოდ აღიარებული ზნეობრივ–ნებელობითი თვისებები, თავიანთ წრეში გაეტარებინათ განსაზღვრული პრინციპები და ქცევის წესები, რომლებიც, ერთი მხრივ, მოანესრიგებდნენ პროფესიული ჯგუფის შიგნით მიმართებებს, მეორე მხრივ – დამოკიდებულებებს თვით პროფესიული ჯგუფისა იმ პირებისადმი, რომლებიც იყენებენ მის მომსახურებას. რიგ შემთხვევაში ეს მოითხოვდა ქცევის განსაკუთრებული კოდექსის შემუშავებასაც კი, სადაც შედიოდა ფიცი, წესები, ნორმები, მცნებები და ა.შ. ყოველივე ამის მიზანი იყო მაღალი პროფესიული დონის, პრესტიჟის, საზოგადოების მხრიდან ნდობის მოპოვება. პროფესიული ჯგუფები ისწრაფვოდნენ შეემუშავებინათ და განემტკიცებინათ მორალური ნორმები, რომლებიც დაარეგულირებდნენ მათი წევრების ურთიერთდამოკიდებულებებს.

პროფესიული მორალის აღმოცენება და განვითარება პირდაპირ კავშირშია ამა თუ იმ პროფესიის ჩამოყალიბებასთან. ზოგჯერ კი ის წარმოადგენს პროფესიული სწავლებისა და საქმიანობის აუცილებელ ელემენტს. გამომდინარე აქედან, პროფესიულ მორალს საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აქვს.

მორალი და სამართალი წარმოადგენს შედარებით მდგრადი ნორმების ერთობლიობას, რომელიც გარკვეულწილად გამოხატავს ზოგადსაკაცობრიო შეხედულებას სამართლიანობასა და აუცილებლობაზე. ამ ნორმებს საყოველთაო ხასიათი აქვს და ვრცელდება საზოგადოების ყველა წევრზე მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი ნორმები(იშვიათი გამონაკლისის გარდა) დაწერილია, გამოქვეყნებულია და ოფიციალურად აღიარებულია სახელმწიფოს მიერ, ხოლო მორალური ნორმები არსებობს საზოგადოებრივ ცნობიერებაში. მორალიც და სამართალიც წარმოადგენს ქცევის წესების სისტემას. ის მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების პრაქტიკულად მთელ ერთობლიობას. სამართალი იყოფა დარგებად(სისხლის, სამოქალაქო, შრომის, საერთაშორისო, საოჯახო, სანივთო და ა.შ.) და ყოველი ამ დარგის ნორმები ფიქსირდება კანონთა კრებულში.

მორალი, თავის მხრივ, არეგულირებს საზოგადოებრივი მიმართებების ამა თუ იმ სფეროს, თუმცა აქ არ არსებობს მკვეთრი გამიჯვნა. მორალსა და სამართალს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ეხება ადამიანთა ქცევის რეგულირების ხერხებს. სამართლებრივი ნორმების განხორციელების უზრუნველყოფა ხდება აუცილებლობის შემთხვევაში, იძულებით, მართლმაჯულების სპეციალური აპარატის დახმარებით, რაც ხორციელდება თანამდებობის პირთა მიერ. მორალური მოთხოვნები კი, შენარჩუნდება ადათ–წესებში, ზნ,–ჩვეულებებში და სხვ. მორალური სანქციები რეალიზდება ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხერხებით; ამათან არა ცალკეული ადამიანების მიერ, რომელთაც რაღაც განსაკუთრებული უფლებამოსილება აქვთ, აამედ კოლექტივის, სოციალური ჯგუფის, მთელი საზოგადოების მიერ.

ამდენად, ეთიკა ზეგავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების ყველა მხარეზე. ის გვაიძულებს გავაანალიზოთ საკუთარი მოქმედებები, საქციელი, ვიკისროთ მასზე პასუხისმგებლობა, შევაფასოთ საკუთარი ქმედებები, ვისწრაფოთ სრულყოფისკენ და სხვ.

ზნეობრივი კულტურა წარმოადგენს მორალური მონიფულობისა და ეთიკური განვითარების ხარისხობრივ დახასიათებას. ის სამ დონეზე ვლინდება. ესენია:

ა) საზოგადოების მორალური მოთხოვნების ცოდნა; ადამიანის უნარი გაცნობიერებულად დაასაბუთოს საქმიანობის მიზნები და საშუალებები. ეს დონე დამოკიდებულია პიროვნების მსოფლმხედველობაზე, ეთიკური ნორმების ცოდნასა და რწმენაზე.

ბ) ზნეობრივი გრძნობების კულტურა. იგი არა მხოლოდ „სიკეთისა" და „ბოროტების" ერთიმეორისგან გარჩევაა, არამედ ემოციური სფეროს სიმდიდრეა, თანაგანცდისა და თანაგრძნობის უნარია და ა.შ.

გ) ქცევის კულტურა. ამ დროს ხდება დასახული ზნეობრივი მიზნების რეალიზება, ხოლო წესები გარდაიქმნება აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციად.

იურიდიული საქმიანობის სახეობისგან დამოუკიდებლად, იურისტის პროფესიული მორალის უმთავრეს პრინციპს სამართლიანობა წარმოადგენს. ამ ზნეობრივი თვისების გარეშე, სამართლებრივ სფეროში მოღვაწეობა კარგავს აზრს. ამას გარდა, იურისტს მოეთხოვება ობიექტურობა, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, ადამიანის უფლებებისა და უდანაშაულობის პრეზუმპციის განუხრელი დაცვა.

საზოგადოებრივი მორალისგან განსხვავებით, რომელიც განხილულ უნდა იქნეს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, იურიდიული ეთიკის პრინციპები – სამართლიანობა, მიუკერძოებლობა, ობიექტუ-

რობა, დამოუკიდებლობა და ადამიანის უფლებების დაცვა – გამოხატავენ უპირობო ზნეობრივ მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც იურისტისთვის ნებისმიერ სიტუაციაში სავალდებულოა.

ითვლება, რომ რაც უფრო მაღალია პროფესიული ოსტატობა, მით მაღალია ეთიკური ნორმები, და პირიქით.

სამართლის ერთ–ერთ ჰუმანურ პრინციპს წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმპცია, ანუ ბრალდებულის ჩათვლა უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დანაშაული არ იქნება დადასტურებული სასამართლოს მიერ კანონით დადგენილი წესით. კანონიერებასთან შეუთავსებლობაშია იურიდიული ეთიკის დარღვევით დაკითხვის ჩატარება, მუქარისა და ძალადობის გამოყენებით დანაშაულის აღიარების იძულება; იძულებითი „აღიარების" გამოყენება დანაშაულის მტკიცებულებად და სხვ.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლის პროფესიული ეთიკა მისგან მოითხოვს ჰუმანურ დამოკიდებულებას სამართალდამრღვევისადმი; მისთვის დაცვის მაქსიმალური შესაძლებლობის მინიჭებას; კანონის ძალის გამოყენებას არა მხოლოდ დასასჯელად, არამედ დამნაშავის აღსაზრდელადაც.

იურისტისათვის მორალურ მოთხოვნებს განსაკუთრებული დატვირთვა აქვთ. მართლმსაჯულებასთან ყოველთვის დაკავშირებულია ჰუმანიზმის, სამართლიანობის, პატიოსნების და ა.შ. მაღალზნეობრივი პრინციპები. თუმცაღა არ შეიძლება ამა თუ იმ საქმიანობაში დამკვიდრებული პროფესიული მორალის დაყვანა ზნეობრიობის ზოგად ნორმებზე. ნებმისმიერ პროფესიულ მორალში, არ შეიძლება არ არსებობდეს რაღაც განსაკუთრებული ნორმები, რომლებიც არ გამომდინარეობს

ზოგადი პრინციპებიდან. მაგ., იურისტის მორალის სპეციფიკური ნორმების როლში გამოდის წესები წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურების დაუშვებლობის, ადვოკატის მიერ საიდუმლოს შენახვის და ა.შ. შესახებ, რომლებიც წინააღმდეგობაშია სამართლიანობისა და გულწრფელობის საერთო მორალურ პრინციპებთან.

უკანასკნელ ხანებში, იურისტები თავიანთ ნაშრომებში დიდ ყურადღებას აქცევენ ზნეობრიობის საკითხებს. ეს განპირობებულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მორალური ფაქტორის მოქმედების სფეროს გაფართოებით.

3. კრიმინალური ფსიქოლოგია

კრიმინალური ფსიქოლოგია წარმოადგენს იურიდიული ფსიქოლოგიის დარგს, რომელიც შეისწავლის სამართალდამრღვევთა ფსიქოლოგიას, დანაშაულებრივი ჯგუფებისა და ცალკეული პირების მიერ დანაშაულის ჩადენის ფსიქოლოგიურ მექანიზმებს, დანაშაულისა და იურიდიული პასუხისმგებლობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

ადამიანის ქცევა დეტერმინირებულია და კანონზომიერად გაპირობებულია სხვადასხვა ფაქტორთა სისტემით.

ტრადიციულად ეს ფაქტორები იყოფა ორ ჯგუფად – სოციალურად და ბიოლოგიურად. თუმცაღა, ნორმიდან გადახრილი ქცევის მრავალრიცხოვანი გამოვლინების ანალიზის საფუძველზე, მეცნიერი ფსიქოლოგები მივიდნენ იმ აუცილებლობამდე, რომ ზემოხსენებული პრობლემის წინ წამოწევა საჭიროა განსხვავებულ, სისტემურ – ინტეგრირებულ პლანში.

სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორები კრიმინალური ქცევის დეტერმინანტებად იქცევიან არა თავისთავადად, არამედ ინტეგრირდებიან დამნაშავის პიროვნულ-ფსიქოლოგიურ ნიშან-თვისებებში.

კრიმინალური ქცევა სოციალურ-პოზიტიური ქცევისგან განსხვავდება როგორც მიმართულების შინაარსობრივი, ასევე ფსიქორეგულაციური თავისებურებებით. სქემატურად ადამიანის ქცევა ხასიათდება

მისი მოთხოვნილებების სფეროთი, გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი მისწრაფებებით, მიზანდასახულობისა და მიზნის მიღწევის თავისებურებებით.

დამნაშვეთა ურმავლესობის ქცევისთვის დამახასიათებელია სოციალურ-ღირებულებითი დეზადაპტაცია და თვითრეგულაციის დეფექტები. ინდივიდის დაბალი რეგულაციური შესაძლებლობებისას ასოციალური და ანტისოციალური განწყობები და ჩვევები არა მხოლოდ არ კონტროლდებიან, არამედ თვითონ წარმოადგენენ ქცევის მიზნის ჩამომყალიბებელ მექანიზმებს.

დანაშაულებრივი ქცევა ხორციელდება ინდივიდის მიერ სოციალური უპასუხისმგებლობის საფუძველზე, თვითგამართლებადი მოტივაციის მექანიზმის დახმარებით, რაც გამოვლინდება საზოგადოდ მიღებული ფასეულობების უგულებელყოფაში.

დანაშაულებრივი ქმედება კონფლიქტური ქცევაა. იგი ყოველთვის დამყარებულია საზოგადოებაში, სოციალურ ჯგუფებში, სოციალურ ჯგუფსა და პიროვნებას, ცალკეულ პიროვნებებს შორის და ბოლოს, თვით პიროვნებაში არსებულ დაპირისპირებებზე.

ქცევის განზოგადებული ხერხები ანუ ინდივიდის ქარაქტეროლოგიური(ხასიათობრივი) თავისებურებები უპირატესად ყალიბდება გარემო პირობების ზეგავლენით. ფსიქოდინამიკური თავისებურებები არის ბიოლოგიური ფაქტორების ანუ გენოტიპის შედეგი. ქცევის ყველა აღნიშნული ფაქტორი არ არის განცალკევებული, არამედ წარმოქმნიან ქცევის ფსიქიკური რეგულაციის ერთიან პიროვნულ სისტემას.

როდესაც ისმის კითხვა თუ რატომ ჩადის მოცემული ინდივიდი დანაშაულს, ჩვენ ვაწყდებით ფსიქოლოგიური ანალიზის აუცილებლობას. ამ რთულ პროცესში

კი ურთიერთზემოქმედებენ სოციალური, ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური და გენეტიკური ფაქტორები.

3.1. ბიოსოციალური ფაქტორების როლი დანაშაულებრივი ქმედების დეტერმინაციაში

ადამიანები დამოკიდებულნი არიან სოციალურ პირობებზე. სოციალური ფაქტორები მათ ქცევაზე ზემოქმედებენ არა სწორხაზოვნად, არამედ გაშუალებულნი არიან მრავალი შიდაპიროვნული და ინდივიდუალური მოვლენით. სოციალური ზეგავლენები განსხვავებულად „აწვებიან" ინდივიდუალურ ბუნებრივ საფუძველს, რაც ზოგჯერ „დანაშაულებრივი ბუნების" ილუზიას ქმნის.

რაც ნაკლებ სოციალიზირებულია პიროვნება(როგორც წესი ეს წარმოადგენს დამნაშავის პიროვნების დამახასიათებელ თავისებურებას), მით მეტია ბიოლოგიური ფაქტორების ავტონომიზაციის შესაძლებლობა. რაც უფრო შეზღუდულია ადამიანის ფსიქიკური განვითარება, მით უფრო დიდ როლს თამაშობენ მის ქცევაში მოტივაციის იერარქიულად დაბალი დონეები.

ცნება „ბიოლოგიური" არ უნდა იქნეს გაგებული როგორც ადამიანში ცხოველური ინსტინქტების გამოვლინება. მაგრამ იგი არ არის თავისუფალი ანატომიურ-ფიზიოლოგიური ბუნებრივი წანამძღვრებისაგან.

ადამიანის ბიოლოგიურად მემკვიდრული თვისებები უნდა გავიგოთ როგორც გარკვეული ფსიქიკური ნიშან-თვისებების განვითარების ქვესისტემა.

ფსიქიკურისა და ბიოლოგიურის უწყვეტი კავშირი მკვეთრად გამოიხატება ფსიქიკურ ანომალიებში, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს.

ფსიქიკური ანომალიები თავისთავად არ არის კრიმინოგენული, მაგრამ, განსაზღვრულ პირობებში, შესაძლოა, გამოვიდნენ დანაშაულებრივი ქცევის საფუძვლის როლში.

ფსიქიკური ანომალიების მქონე პირების ქცევისთვის დამახასიათებელია ისეთი თავისებურებები, როგორიცაა კონფლიქტურობა, მომატებული იმპულსურობა, ლტოლვების სპონტანურობა, იმპულსურ-აგრესიული ქცევითი რეაქციების სიჭარბე და სხვ.

ფსიქიკური ანომალიები – ესენია ე.წ. მოსაზღვრე ფსიქიკური მდგომარეობები, არაპათოლოგიური ფსიქიკური დარღვევები, რომლებიც არ არიან ფსიქოზის დონემდე მისული(ფსიქოზი წარმოადგენს დაავადებას, რომელიც ხასიათდება კარდინალური ფსიქიკური დარღვევებით, რაც განაპირობებს შეურაცხადობას).

ფსიქიკურ ანომალიებს მიეკუთვნება: ფსიქოპათიები, ხასიათის აქცენტუაციები, ოლიგოფრენია(გონებრივი ჩამორჩენილობა), ნევროზები, სექსუალური პერვერზიები(სქესობრივი გაუკულმართება).

ფსიქოპათია – ეს არის თანდაყოლილი ან ადრეულ ასაკში განვითარებული დარღვევა, უმაღლესი ნერვული მოქმედების ანომალიურობა, რომელიც განაპირობებს პიროვნების ფსიქიკურ არასრულფასოვნებას. ფსიქოპათიის მიმდინარეობასა და განვითარებაში განსხვავებულია ფსიქოპათიური ნიშნების გამწვავების სტადიები. **გამოიყოფა ისტერიული, აგზნებადი და ასთენიკური წრის ფსიქოპათიები.**

პიროვნების ფსიქოპათიური წყობა აღმოცენდება ნერვული სისტემის ადრე შეძენილი ან თანდაყოლილი ბიოლოგიური არასრულფასოვნებისა და გარემოს მკვეთრად ნეგატიური პირობების ურთიერთზემოქმე-

დების საფუძველზე. ფსიქოპათიზირებული პიროვნების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მისი ემოციურ-ნებელობითი სფეროს დისჰარმონიულობა ინტელექტის შედარებით შენარჩუნებულობის პირობებში. პიროვნების ფსიქოპათიური თავისებურებები აძნელებენ მის სოციალურ ადაპტაციას, ხოლო ფსიქოტრავმირებადი გარემოებებისას იწვევენ მასში დეზადაპტაციურ, მათ შორის სამართალდამრღვევი, ქცევითი აქტების აღმოცენებას.

ხელსაყრელ გარემოში ფსიქოპათების ფსიქიკური ანომალიები ქვეითდება, თუმცაღა მათთვის ფსიქიკურად ძნელ პირობებში გარდაუვალია ქცევითი დეზადაპტაცია(იმ პირთა შორის, რომლებმაც ჩაიდინეს ძალადობრივი დანაშაულები, ფსიქოპათებს წამყვანი ადგილი უკავიათ). ფსიქოპათებისთვის დამახასიათებელია ფსიქიკის მოუმწიფებლობა(რაც ვლინდება მაგ., ამაღლებულ შთაგონებაში, უსაფუძვლო ეჭვში), ასევე მიდრეკილება გაზვიადებისადმი.

პიროვნების ფსიქოპათიზაციის წამყვან ფაქტორად ერთ შემთხვევაში გამოდიან თანშობილი თავისებურებები(ე.წ. „ბირთვული" ფსიქოპათია), სხვა შემთხვევაში – გარემოს ფსიქოგენური ზემოქმედება(„ინდივიდის ფსიქო–ქარაქტეროლოგიური განვითარება").

არახელსაყრელი სოციალური ფაქტორების ხანგრძლივი ზემოქმედება შეიძლება გახდეს პიროვნების ფსიქოპათიური განვითარების ძირითადი მიზეზი. პიროვნება, რომელიც იზრდება და ყალიბდება მუდმივი უხეშობის, დამცირების, შეურაცხყოფის პირობებში, იწყებს მორიდებულობის, დათრგუნულობის, საკუთარ თავში დაურწმუნებლობის ან პირიქით, მომატებული აგზნებადობის, აგრესიულობის, წინააღმდეგობრიობის გამოვლინებას. ისეთმა გარემოებამ კი, სადაც ბავშვს

ყველა სურვილს უსიტყვოდ უსრულებენ, მისით აღტაცებულნი და აღფრთოვანებულები არიან, შეიძლება გამოიწვიოს ისტეროიდული ტიპის პიროვნების ჩამოყალიბება, ეგოცენტრიზმის, ნარცისიზმის განვითარება. ამასთან ერთად ყალიბდება ექსპლოზიურობის(ფეთქებადობის, იმპულსურობის) ნიშან-თვისებები. მოჭარბებული მზრუნველობის პირობებში ფორმირდება უინიციატივობა, უსუსურობა, ექსტერნალური ქცევითი ორიენტირებულობა(როდესაც საკუთარ წარუმატებლობას აბრალებენ გარეგან მდგომარეობებს). მიუხედავად იმისა რომ ფსიქოპათიების კლასიფიკაცია ჯერ კიდევ დისკუსიურ ხასიათს ატარებს, შესაძლებელია, გამოვყოთ და განვიხილოთ მისი ოთხი სახეობა: ასთენიკური, აგზნებადი(ფეთქებადი), ისტერიული და პარანოიალური.

ფსიქასთენიკური ფსიქოპათები გამოირჩევიან შფოთიანობით, საკუთარ თავში დაურწმუნებლობით, ფსიქოტრავმირებადი მოვლენებისადმი უკიდურესად ამაღლებული მგრძნობელობით, დაძაბულ სიტუაციებში დეზადაპტაციურობით. მათი ინტელექტუალური წყობა, ცხოვრებისეული გეგმები მოწყვეტილია რეალობას; ისინი მიდრეკილნი არიან ავადმყოფური "ბრძნული" აზრებისკენ, აკვიატებებისკენ. ფსიქასთენიკებისთვის დამახასიათებელია ნერვული პროცესების შეკავების შესუსტება.

აგზნებადი(ფეთქებადი) ფსიქოპათები ხასიათდებიან მომატებული გაღიზიანებადობით, მუდმივი დაძაბულობით, ფეთქადი ემოციებით, რაც ზოგჯერ მძვინვარების არაადეკვატურ შეტევებამდე მიდის. ისინი გარშემომყოფი ადამიანების მიმართ გადაჭარბებულად მომთხოვნელები არიან. ახასიათებთ უკიდურესი ეგოცენტრიზმი, უნდობლობა და ეჭვიანობა; ხშირად ვარ-

დებიან დისფორიის მდგომარეობაში; ჯიუტები და კონ-ფლიქტურები არიან; მიდრეკილება აქვთ მეწვრილმანე-ობისა და ძალაუფლებისადმი. ურთიერთობაში უხეშო-ბენ, არიან ძალზედ აგრესიულები, შეუძლიათ მძიმე ფი-ზიკური დაზიანება მიაყენონ ადამიანს, უკან არ იხევენ მკვლელობაზეც კი.

ისტერიული ფსიქოპათები გამოირჩევიან ძირი-თადად საკუთარი პიროვნების აღიარების წყურვილით. ისინი ისწრაფვიან თავიანთი მნიშვნელოვნობის გარეგ-ნულად გამოვლინებისადმი, ცდილობენ საკუთარი უპი-რატესობის დემონსტრირებას, აქვთ თეატრალურობისა და პოზიორობისადმი მიდრეკილება. მოკლებულნი არ არიან ტყუილსა და ფანტაზიორობას. აღტაცებასა და წყენას ავლენენ ბობოქრად და ექსპრესიულად; მათი ცხოვრებისეული სტრატეგიაა ნებისმიერი საშუალებით იყვნენ ყურადღების ცენტრში. ასეთი ადამიანების ფსი-ქიკა მოუმწიფებელია, ინფანტილურია. მათი უშუალო შთაბეჭდილებები თრგუნავენ აზროვნების კრიტიკუ-ლობას.

პარანოიალური ფსიქოპათები(პარანოიკები) გა-მოირჩევიან აზროვნების უკიდურესი შევიწროებით, ინ-ტერესების სწორხაზოვნებით, მომეტებული თვითშე-ფასებით, ეგოცენტრულობით, ეჭვიანობით. მათი ქცევა ხშირად კონფლიქტურია. ისინი მუდმივად უხილავ მტრებს ებრძვიან. მათი ძირითადი ნიშან-თვისებაა - „გამომგონებლობა" და „რეფორმატორობა". ფლობენ ანონიმური დასმენებისადმი მიდრეკილებას.

პირველადი და რეციდიული დანაშაულებები ფსი-ქოპათიურ პიროვნებებში გვხვდება ორჯერ უფრო ხში-რად, ვიდრე ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანებში. ტერმინი „ფსიქოპათია", კრიმინალური ქცევის თავისე-

ბურებების ანალიზთან დაკავშირებით, ჩაისახა სასამართლო – ფსიქიატრიულ გამოკვლევებში.

ფსიქოპათების იმპულსურობა დაკავშირებულია დაძაბულობისადმი დაქვეითებულ ტოლერანტობასთან. ისინი ვერ აცნობიერებენ ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა მოქალაქეობრიობა, სამშობლოს სიყვარული, სოციალური პასუხისმგებლობა და ა.შ. უმნიშვნელო წარუმატებლობის დროსაც კი მათში აღმოცენდება აგრესიულობა, მკვეთრად ქვეითდება თვითკონტროლის დონე.

ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა დაბალი თვითშეფასება ზრდის მათ დამოკიდებულებას გარე ზეგავლენებზე, მიმდინარე მოვლენებზე, აჩენს სხვადასხვა კომპენსაციებისადმი მისწრაფებას, რომელთაგან ბევრი იძენს ანტისოციალურ მიმართულებას.

აღიარებულია, რომ სამართალდამრღვევღა საერთო მასაში ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა ხვედრითი წონა შეადგენს დაახლოებით 70%-ს.

კრიმინალური ქცევის ბიოლოგიურ დეტერმინანტებს არაიშვიათად მიაკუთვნებენ გენეტიკურ ანომალიებსაც – კლაინფელტერის სინდრომს(ზედმეტი X – ქრომოსომა –47/XXY სინდრომი ან ზედმეტი Y – ქრომოსომა – 47/XYY სინდრომი). ზედმეტი X–ქრომოსომა უკავშირდება მომატებულ აგრესიულობას. ზედმეტიY–ქრომოსომა კი დაკავშირებულია მიზანდასახულობისა და მიზნის მიღწევის სფეროში ანომალიებთან, ასევე ქცევის ნებელობითი რეგულაციის დარღვევასთან.

ადამიანის ქცევაში სოციალური ზეგავლენა გადაეჯაჭვება ბუნებრივ ორგანიზაციას. თანამედროვე გენეტიკის მიღწევებმა შეცვალეს ადრე შექმნილი შეხედულება ინდივიდის ფსიქიკის წმინდა „გარემოთი" გან-

პირობებულობასთან დაკავშირებით. ბიოლოგიური და სოციალური წარმოქმნიან ადამიანური ქცევის დეტერმინაციის რთულ სისტემურ ბიოსოციალურ ფაქტორს. მხოლოდ გენეტიკა არ განსაზღვრავს დევიანტურ ქცევას, მაგრამ ფსიქიკით გაშუალების შემდეგ, ინდივიდის გენეტიკური თავისებურებები მისი ქცევის მოდიფიკაციაში არსებით მნიშვნელობას იძენენ. ნერვული სტრუქტურების გენეტიკურად გამაგრებული თანაფარდობა, მათი ფუნქციური თავისებურებები განსაზღვრავენ ინდივიდის წინასწარგანწყობას ცალკეული გარეგანი ზემოქმედებისა და ქცევითი გამოვლინებებისადმი. მაგ., ადამიანის აგრესიულობა, რომელიც საფუძვლად უდევს პიროვნების საწინააღმდეგოდ მიმართულ მრავალ დანაშაულს, განპირობებულია ბიოსოციალური ფაქტორების კომპლექსით.

აგრესიულობა წარმოადგენს ინდივიდის მდგრად მისწრაფებას მიაყენოს სხვა ადამიანს ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანი. აგრესია შეიძლება იყოს ფრუსტრაციული, იმპულსური და აფექტური, აგრეთვე – განზრახ და ინსტრუმენტული(როცა აგრესია გამოიყენება როგორც მიზნის მიღწევის საშუალება). აგრესიულობა, როგორც პიროვნების მყარი ნიშან-თვისება, ყალიბდება ფსიქიკური განვითარების არახელსაყრელ პირობებში და წარმოადგენს პიროვნებაში სოციალური იდენტიფიკაციის ჩამოუყალიბებლობის მაჩვენებელს. ბიოლოგების უმეტესობა აგრესიულობას განიხილავს როგორც ქცევის თანდაყოლილ ფორმას.

ადამიანის ყველა ინსტინქტი გარდაიქმნება სოციალიზაციის პროცესში. რაც უფრო დაბალია სოციალიზირებულობის დონე, მით უფრო მაღალია ინდივიდის აგრესიულობა. შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდის აგ-

რესიულობის ხარისხი წარმოადგენს მისი სოციალიზირებულობის დონის მაჩვენებელს.

ფსიქოლოგები საუბრობენ ინდივიდის მიერ აგრესიულობის განსხვავებული ფორმების გამოვლენაზე. ესენია: აგრესია – გადატანა; აგრესია – უარყოფითი ემოციების გამოთავისუფლება; აგრესია – პროტესტის გამოხატვა; აგრესია – სადიზმისა და მაზოხიზმის გამოვლინება.

ინდივიდის აგრესიულობა დაკავშირებულია მასობრივი კულტურის ნეგატიურ ზეგავლენასთან, სოციალიზაციის და ინდივიდის ფსიქიკური თვითრეგულაციის ზოგად დეფექტებთან. თუმცაღა ინდივიდის აგრესიულობაში არსებით როლს თამაშობენ გენეტიკური ანომალიები და ინდივიდის ენდოკრინულ–ჰუმორალური ორგანიზაციის თავისებურებები.

ინდივიდის აგრესიულობას, ზოგიერთი ბიოლოგიური წანამძღვრის გარდა, კომპლექსური, მრავალფაქტორიანი გაპირობებულობა აქვს. მის ფორმირებაში არსებითია აგრესიის დასწავლა, ანუ „აგრესიული ტრენინგი". ინდივიდები აგრესიით რეაგირებენ სტრესულ სიტუაციებზე, რომლებიც ემუქრებიან მათ ბაზისურ ფასეულობებს.

აგრესიულობა ინდივიდში დაკავშირებულია ანტისტრესული თავდაცვის სისუსტესთან, იმპულსურობასთან და შფოთვის მომატებულ დონესთან. აგრესიული ტიპების ჩამოყალიბებაში აღინიშნება მათი ადრეული ემოციური დეპრივაცია(ადრეულ ბავშვობაში დადებითი ემოციების უკმარისობა), ურთიერთობებში სიმკაცრე, მშობლებისა და ახლობლების გულგრილი და უხეში დამოკიდებულება. არაიშვიათია შემთხვევები, როდესაც ოჯახებში, სხვადასხვა მცირე ჯგუფებებში აგრესია ვითარდება როგორც ავტორიტარული ძალა-

უფლებისადმი დაპირისპირებული ქმედება, როცა ინდივიდს რჩება ერთადერთი შანსი თვითდამკვიდრებისათვის, რასაც განახორციელებს მხოლოდ აგრესიული მოქმედებების დახმარებით.

ბიოლოგიურ–სოციალური ფაქტორების კომპლექსთან არის დაკავშირებული სექსუალური ანომალიებიც. ისინი ახდენენ ინდივიდის ქცევის მკვეთრ მოდიფიცირებას. მაგალითად, **ჰიპერლიბიდომია,** ანუ სექსუალური მოთხოვნილებების პათოლოგიური გაძლიერება, სექსუალობას ძირითად ფაქტორად გადააქცევს ცალკეული ინდივიდებისთვის ცხოვრებისეული მიზნების ჩამოყალიბებაში. მისთვის დამახასიათებელია მოუწესრიგებელი სქესობრივი კონტაქტები, შემთხვევითი პარტნიორების ხშირი ცვლა და სხვ.

ბიოლოგიურ წანამძღვრებთან არის დაკავშირებული გონებრივი უკმარისობის(ოლიგოფრენიის) განსხვავებული დონეებიც.

ოლიგოფრენია(ჭკუასუსტობა) წარმოადგენს თანდაყოლილ ან ადრეულ ასაკში (ცხოვრების პირველ სამ წელიწადში) შეძენილ ინტელექტის განუვითარებლობას. ის აღმოცენდება ნაყოფის დაზიანების შედეგად, ასევე ადრეულ ბავშვობაში მექანიკური ტრავმების ან დაავადებების შედეგად. გონებრივი განუვითარებლობის ხარისხის მიხედვით ოლიგოფრენიაში გამოჰყოფენ: **დებილობას, იმბიცილობას** და **იდიოტიზმს.**

ამ გრადაციებს შორის მკვეთრი საზღვარი არ არსებობს. ზოგჯერ ოლიგოფრენს მნიშვნელოვან ჭკუასუსტობასთან ერთად შეიძლება განვითარებული ჰქონდეს ერთმხრივი ნიჭიერება – მუსიკალური, მხატვრული და სხვ. თანდაყოლილი ჭკუასუსტობა (ოლიგოფრენია) უნდა გავარჩიოთ **დემენციისაგან** – შეძენილი ჭკუასუსტობისგან, ფსიქიკური საქმიანობის მოშლისგან.

ოლიგოფრენებს არ წარმოადგენენ ნაკლებნიჭიერი და ისეთი ბავშვები, რომელთაც სომატური დაავადებებიდან ან გარემოსა და აღზრდის არასრულფასოვანი და არახელსაყრელი პირობებიდან გამომდინარე ფსიქიკურ განვითარებაში დროებითი შეჩერება აღენიშნებათ.

ჭკუასუსტობის შედეგად ტოტალურად ქვეითდება არა მხოლოდ შემეცნებითი საქმიანობა, არამედ მთლიანად პიროვნება(მეტყველება, მოტორიკა, ემოციურ–ნებელობითი სფერო, ღირებულებითი ორიენტაცია). შედარებით შენარჩუნებადია ინსტინქტები; განსაკუთრებით ქვეითდება აბსტრაქტული აზროვნება, რაც უცილობლად აისახება გააზრებული აღქმის უნარზე, ნებელობით დახსომებაზე.

არაპათოლოგიურ ფსიქიკურ ანომალიებს მიეკუთვნება მხოლოდ ჭკუასუსტობის მსუბუქი ხარისხი – დებილობა. დებილებს შეუძლიათ ისწავლონ და აითვისონ უმარტივესი შრომითი ჩვევები. მათი ქცევა ბევრ შემთხვევაში სიტუაციური პირობების ადექვატურია, რამაც შესაძლოა შენიღბოს აზროვნების სისუსტე. მაგრამ ყველა დებილი(როგორც აპათიური, ასევე აგზნებადი) გამოირჩევა ფსიქიკური თვითრეგულაციის დეფექტებით(თვითფლობის დაბალი დონე, ქცევის იმპულსურობა, მაღალი შთაგონებადობა, საკუთარი ლტოლვების დათრგუნვის უუნარობა, მოტივებისა და მოქმედების საშუალებების გახლეჩვა). არსებობს დებილობის სამი ხარისხი: მკვეთრად გამოხატული, საშუალო და მსუბუქი. მსუბუქი დებილობა თითქმის არ განსხვავდება ნორმალური ინტელექტის ქვედა ზღვარისგან.

მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ **ყველა ფსიქიკური ანომალია დაკავშირებულია ცნობიერების შევიწროების გარკვეულ ხარისხთან, ქვეცნობიერი და არაცნობიერი მექანიზმების რეგულაციური**

როლის ამაღლებასთან. სწორედაც რომ ამით განისაზღვრება ფსიქიკური ანომალიების კრიმინოგენური ხასიათი.

ქცევის კონფლიქტურობა ფსიქიკურად ანომალური ინდივიდების ძირითადი თავისებურებაა. ის არა მხოლოდ პიროვნებათაშორის, არამედ შიდაპიროვნულ ხასიათსაც ატარებს, ვლინდება არათანმიმდევრულ მოქმედებებში, არამდგრადობაში, რიგიდულობაში(მოუქნელობაში), სიჯიუტეში. ფსიქიკური ანომალიების მქონე პირები, ინციდენტის აღმოცენების შემთხვევაში მიდრეკილნი არიან კონფლიქტის გაძლიერებისკენ (ესკალაციისკენ), პრობლემური სიტუაციის გაღრმავებისკენ, აგრესიული მოქმედებების მომატებისკენ და ა.შ.

ემპირიული გამოკვლევები ადასტურებს, რომ ფსიქიკური ანომალიები ერთ-ერთი ძირითად პირობაა ინდივიდის ქცევის კრიმინალიზაციაში.

გამოკვლევები აჩვენებს, რომ დანაშაულებათა ცალკეული სახეები ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან განსაზღვრულ ფსიქიკურ ანომალიებთან. ფსიქოპათიზირებული ინდივიდების წილი განსაკუთრებით მაღალია ძალადობრივი დანაშაულებების ჩამდენ პირთა შორის. გონებრივად ჩამორჩენილი ინდივიდები სხვებზე უფრო ხშირად ჩადიან სქესობრივ დანაშაულს.

ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა დანაშაულებრივი ქცევა საჭიროებს მათი გახსნისა და გამოძიების სპეციალურ მეთოდებს. ფსიქიკური ანომალიების გათვალისწინება ასევე აუცილებელია სასჯელის დადგენისას. საჭიროა ამ კატეგორიის პირთათვის ფსიქიკური რეაბილიტაციის ეფექტური ხერხების სპეციალური სისტემის შემუშავება. ფსიქიკური ანომალიები კავშირშია ინდივიდის სოციალური ადაპტაციის სირთულეებ-

თან, მის დაქვეითებულ შესაძლებლობებთან ანგარიში გაუწიოს საკუთარ მოქმედებებსა და მართოს ისინი.

3.2. დამნაშავის პიროვნების ფსიქოლოგია და ტიპოლოგია

სისხლის სამართალში დანაშაულებრივი ქმედების განმახორციელებელი ადამიანი განსაზღვრულია სხვადასხვაგვარი ტერმინებით: "დანაშაულის ჩამდენი პირი", „დამნაშავის პიროვნება", „დამნაშავე".

დანაშაულის ჩამდენი პირის პიროვნული თავისებურებების ანალიზი აუცილებელია იმ კითხვებზე პასუხის გასაცემად, თუ როგორ და რატომ ჩაიდინა მან ესა თუ ის დანაშაული; როგორი პასუხისმგებლობა აკისრია კონკრეტულ დამნაშავეს; ხერხების რა სისტემა უნდა იქნეს გამოყენებული მისი რესოციალიზაციისთვის და ა.შ.

დამნაშავის პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებები მხედველობაში მიიღება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების დროსაც. მონაცემები დამნაშავის პიროვნების შესახებ პირველხარისხოვანია გამოძიების მიმართულების განსაზღვრისთვის, საგამოძიებო ვერსიების აგებისა და შემოწმებისათვის, საგამოძიებო მოქმედებების სისტემის გარკვევისთვის.

დამნაშავის პიროვნება წარმოადგენს ინდივიდის ტიპოლოგიური ნიშან-თვისებების ერთობლიობას, რომლებიც განაპირობებენ მის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას.

დანაშაულის ჩამდენი პირის შეფასებისას აუცილებელია მის საქმიანობაში წარმართველი ზრახვების ქცევის საერთო სქემის, ცხოვრებისეული სტრატეგიის გა-

მოვლენა. სუბიექტის მიერ მიზნებისა და მიღწევის საშუალებების ამორჩევა განისაზღვრება მისი თვითშეფასებით, ქცევის ხერხების თვითსანქცირებულობით და სხვ.

დანაშაულის მოტივაცია ყალიბდება დამნაშავის ნეგატიური პიროვნული ნიშან-თვისებებით. დამნაშავე – რეციდივისტებისთვის დამახასიათებელია განსაკუთრებით ღრმა ძვრები მოთხოვნილების მოტივაციურ სფეროში. ის უკიდურესად პრიმიტიულია, მისი მოქმედებები ხორციელდება რეგულაციის დაბალ იმპულსურ დონეზე.

ყოველი ადამიანის მოთხოვნილებები წარმოადგენენ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური აუცილებლობების სისტემას. ასხვავებენ ობიექტურად აუცილებელ და სხვადასხვაგვარ მოთხოვნილებათა შრეებს, ანუ კვაზიმოთხოვნილებებს.

დამნაშავეთა უმრავლესობის მოთხოვნილებები ატარებენ მკვეთრად დამახასიათებელ თავისებურებებს. სოციალიზირებულ პიროვნებას არ შეუძლია მხოლოდ გამოყენებით დონეზე არსებობა. მისი ფსიქიკური განვითარება ითვალისწინებს მოთხოვნილებათა ცენტრის გადანაცვლებას აღმშენებლობაზე, თვითგანვითარებასა და თვითრეალიზაციაზე. მაგრამ სოციალიზირებული პიროვნებისთვის დამახასიათებელია ეს არსებითი ნიშანი ჩამოყალიბებული არა აქვს დამნაშავეთა უმეტესობას.

დანაშაულის ჩამდენი პირების მოთხოვნილებები გამოირჩევა შეზღუდულობით, სივიწროვით, მატერიალურ-უტილიტარული ცალმხრივობით, სოციალურად დადებითი სახეების განუვითარებლობით, უმდაბლესი დონის მოთხოვნილებების ჰიპერტროფიულობით, გახრწნილობით.

დამნაშავეთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელია სტიქიურად აღმოცენებადი ლტოლვები, მათი დამოკიდებულება შემთხვევით სიტუაციებზე.

პიროვნული კონტაქტების სისტემა ყალიბდება ონტოგენეზში. მის ცალკეულ შემადგენლებს, ინდივიდის ცხოვრების სხვადასხვა სენზიტიურ პერიოდებში, აქვთ უპირატესი ჩამოყალიბების უნარი. მაგ., ემოციურ კონტაქტებს მოკლებული ბავშვი ხდება აგრესიული. მას თუ არ გამოუცდია სხვებისგან კეთილგანწყობა, ის თვითონ არ გამოიჩენს სიკეთეს სხვა ადამიანებისადმი.

ადამიანის ძირითადი ქცევითი ფონდი სტერეოტიპიზირებულია. პიროვნება საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებელია მთლიანობაში და არა მის ცალკეულ სტრუქტურულ კომპონენტზე. პიროვნება ყოველთვის კონსტანტურია, მყარია და მთლიანობითია ყველა სიტუაციურ პირობაში. მისი ლტოლვები და მისწრაფებები დამოკიდებულია სიტუაციაზე იმდენად, რამდენადაც მოცემული სიტუაციისადმი პიროვნება შეარჩევს(ცნობიერად თუ არაცნობიერად) განსაზღვრულ, მისთვის დამახასიათებელ რეაქციას.

როგორია ის აღმგზნები, წამქეზებელი მექანიზმები, მაგ., ისეთი მოქმედებისა, როცა დამნაშავე უეცრად თავს ესხმის უცნობს და სცემს მას განსაკუთრებული სისასტიკით? რაში მდგომარეობს ასეთი დანაშაულის მოტივი? აღმოჩნდა, რომ ასეთი მოტივი უბრალოდ არ არსებობს. ასეთი მოქმედებების პიროვნული აზრი მდგომარეობს ანტისოციალური სუბიექტის აგრესიულობის განტვირთვაში. წამქეზებელი მიზეზი კი სიტუაციურად მიმართული აგრესიულობაა. ეს არის სუბიექტის ე.წ. ველზე დამოკიდებული ქცევა, ანუ ქცევა, რომლის დროსაც სუბიექტი იმპულსურად რეაგირებს იმ სტიმულებზე, რომელთაც აქვთ მისი ქცევის შემაგული-

ანებელი ძალა მიზნების წინასწარი ჩამოყალიბების გარეშე, გამომდინარე აქედან, ქცევის გაუცნობიერებელი მოტივების გარეშე.

არაადეკვატური ქცევის მითითებული ფორმის გარდა არსებობს სხვა ფორმებიც: პიროვნების მიერ საკუთარი შესაძლებლობების გადაფასება, ქცევის ვერბალური და რეალური გეგმების გახლეჩვა, ქცევის რეალიზაციაზე კონტროლის კრიტიკულობის შესუსტება და ა.შ.

ქცევის არაადექვატურ ფორმებს მიეკუთვნება ასევე არამოტივირებული რისკი – პიროვნების მიერ ქცევის საშიში ვარიანტებისადმი უპირატესობის მუდმივი მინიჭება. ბრბოს სიტუაციაში ინდივიდების განსაზღვრული ქცევის გამომწვევი შეიძლება იყოს ფსიქიკური, "გადადება", სიტუაციის რაციონალური შეფასების დაბლოკვა, რაც ამაღლებს აგრესიული ქცევის შესაძლებლობებს.

ამ პირობებში სინამდვილე აისახება შეზღუდულად. არასაკმარისი ინტელექტუალური განვითარება, დაქვეითებული თვითრეფლექსია წარმოადგენს დამნაშავეთა უმეტესობის ფსიქიკის განმასხვავებელ თავისებურებებს.

ამასთან ერთად, მყარი ანტისოციალური მიმართულება, რაც არსებითია აგრესიული დამნაშავეებისთვის, რეციდივისტებისთვის, ადასტურებს მათში შესაბამისი დომინირებადი კრიმინოგენური მოტივების, სოციალურად საშიში გაცნობიერებული მისწრაფებების ოდენობას, რომლებიც იმორჩილებენ მათი ცხოველქმედების ყველა სხვა გამოვლინებას.

ამდენად, არა ცალკეული, იზოლირებული ცნობიერი მოტივები, არამედ ზოგადი მიმართულობა და ქცევის განზოგადოებული ხერხები განსაზღვრავენ

მდგრადი დამნაშავეების ქცევას, რომელთა ქცევის მექანიზმების გასაგებად აუცილებელია გავარკვიოთ ცნება „პიროვნების ტიპი".

პიროვნების ტიპი – ეს არის მიმართულობა, ღირებულებათა ორიენტაცია მისთვის დამახასიათებელი ქცევის საერთო ხერხებითა და საშუალებებით. პიროვნების სტრუქტურა, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს დანაშაულის პირველწყაროს, მაგრამ მისი განხილვა აუცილებელია, რამეთუ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისას პიროვნების ქცევითი ტიპი გვევლინება იმ ძირითად მიზეზად, რომელიც მოითხოვს კომპეტენტურ ანალიზს.

➢ **დამნაშავის პიროვნების ტიპოლოგია**

დამნაშავის პიროვნების ტიპოლოგიაში აუცილებელია გამოვყოთ: **1/დამნაშავის ზოგადი ტიპი; 2/განსაზღვრული კატეგორიის დამნაშავე;** და **3/განსაზღვრული ტიპის დამნაშავე**. ეს გრადაციები შეეთანაწყობა ერთმანეთს როგორც საერთო, განსაკუთრებული და ერთეული.

რამდენადაც პიროვნების სოციალურ ბირთვს წარმოადგენს მისი მიმართულობა, ცხოვრებისეული დამოკიდებულებების სისტემა, მოტივაციურ-ღირებულებითი ორიენტაცია, მაშინ ამ ბირთვმა უნდა განაპირობოს დამნაშავის ტიპიც.

დამნაშავის ტიპის განსაზღვრის კრიტერიუმებს წარმოადგენს მისი საზოგადოებრივად საშიშროების ხარისხი, ასოციალური, ანტისოციალური დეფორმაციის ზომა და ფსიქიკური თვითრეგულაციის დეფექტები. ამის მიხედვით, შეიძლება გამოიყოს დამნაშავის სამი ტიპი: ანტისოციალური (ბოროტმოქმედი), ასოციალური (ნაკლებად ბოროტი) და დამნაშავის პიროვნების

ისეთი ტიპი, რომელიც ხასიათდება ფსიქიკური თვითრეგულაციის დეფექტებით (შემთხვევითი).

პიროვნების კრიმინალურ–ფსიქოლოგიური კლასიფიკაციის საფუძვლად მიჩნეულია პიროვნების განზრახვები, მოტივები, მყარი მიზნები და დანაშაულის ჩადენის ხერხები, პიროვნების დესოციალიზირებულობის ზომა, მისი ანტისოციალური მიმართულობის ხასიათი.

დამნაშავის პიროვნება ხასიათდება შემდეგი ნიშან-თვისებების ერთობლიობით:

- ჩადენილი დანაშაულის სახეობით;
- დანაშაულის ფორმით, მიზნითა და მოტივით;
- დანაშაულის ჩადენის ხერხით, როგორც დამნაშავის ანტისოციალური მიმართულების ინტენსივობის მაჩვენებლით;
- სიტუაციითა და დანაშაულის ჩადენის საბაბით;
- პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებების ოდენობით;
- დამნაშავის დამოკიდებულებით ჩადენილი ქმედებისადმი, დამნაშავის ქცევით დანაშაულის ჩადენის შემდგომ (დანაშაულის აღიარება გამოცხადება, გამოძიებისა და სასამართლოსთვის თავის არიდება, გამოძიებისადმი დახმარების გაწევა და ა.შ.).

სოციალური დეზადაპტაციის ხარისხის მიხედვით არჩევენ ორი ტიპის დამნაშავის პიროვნებას.

1. **ანტისოციალური ტიპი** – პირი, რომელმაც არაერთხელ ჩაიდინა დანაშაული მყარი ანტისოციალური მიმართულობის ბაზაზე, ანუ ეს არის „ბოროტმოქმედი" დამნაშავის ტიპი.

2. **ასოციალური ტიპი** – პირი, რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული საერთო ასოციალური მიმართულების საფუძველზე, ანუ იგი წარმოადგენს არა სოციალიზირებულ, „ნაკლებ ბოროტმოქმედი" დამნაშავის ტიპს.

ფსიქორეგულაციური საფუძვლის მიხედვით, გამოყოფილია დამნაშავის პიროვნების ისეთი ტიპი, რომელსაც ახასიათებს ფსიქიკური თვითრეგულაციის დეფექტები. ესენი არიან პირები, რომელთაც დანაშაული პირველად ჩაიდინეს და რასაც ხელი შეუწყო გარემოებათა შემთხვევითმა თანხვედრამ. ასეთი ინდივიდები ვერ უმკლავდებიან კრიმინოგენულ სიტუაციას; მათ პიროვნულ თავისებურებას წარმოადგენს თვითკონტროლის დაბალი დონე, ქცევის სიტუაციური განპირობებულობა.

თვითრეგულაციის დეფექტების მქონე დამნაშავეები დაყოფილია ოთხ ნაირსახეობად:

ა) პირები, რომლებიც უშვებენ დანაშაულებრივ გულგრილობას, უმოქმედობას;

ბ) პირები, რომლებიც დანაშაულს ჩადიან უკიდურესი თავდაჯერებულობის
შედეგად;

გ) პირები, რომლებიც დანაშაულს ჩადიან ძლიერი სულიერი მღელვარების
შედეგად და სხვა პიროვნების მხრიდან არამართლზომიერი მოქმედებების
საპასუხოდ;

დ) პირები, რომლებიც დანაშაულს ჩადიან მომატებული სიტუაციური დეზადაპტაციის მაღალი დონიდან გამომდინარე.

პიროვნების ღირებულებით – ორიენტაციული მიმართულების შინაარსის მიხედვით გამოყოფილია დამნაშავეთა შემდეგი ჯგუფები:

1. დამნაშავეები ანტისოციალური ანგარებითი მიმართულებით. აქ გამოყოფილია შემდეგი ქვეჯგუფები:

ა) ანგარებით–სამეურნეო დამნაშავეების ქვეჯგუფი(საქონლის ფალსიფიცირება, ლიცენზირების წესების დარღვევა, გადასახადების იგნორირება);

ბ) ანგარებით–სამსახურეობრივი დამნაშავეების ქვეჯგუფი(ქონების დატაცება სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, კლიენტების მოტყუება, ქრთამის გამოძალვა);

გ) ქურდები;

დ) თაღლითები;

2. დამნაშავეები ანტისოციალური ანგარებით–ძალადობრივი მიმართულებით (გამოძალვა, ყაჩაღური თავდასხმა, ძარცვა).

3. ანტიჰუმანური, აგრესიული მიმართულების მქონე დამნაშავეები – პირები, რომლებიც უკიდურესად უგულებელყოფენ სხვა ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და პირად ღირსებას. ამ ჯგუფში გამოიყოფა შემდეგი ოთხი ქვეჯგუფი:

ა) ხულიგნები;

ბ) ბოროტი ხულიგნები;

გ) პირები, რომელთაც მორალური ზარალი მიაყენეს სხვა ადამიანების პიროვნულ ღირსებას შეურაცხყოფისა და ცილისწამების გზით;

დ) პირები, რომელთაც პიროვნების წინააღმდეგ ჩაიდინეს აგრესიულ-ძალადობრივი ქმედება – მკვლელობა, გაუპატიურება, სხეულის დაზიანება.

დამნაშავის ყოველ ტიპს აქვს თავისებური „პიროვნული სქემა", რომელიც გამოიხატება მოთხოვნილებით – მოტივაციური მიმართულების სპეციფიკაში, ინტელექტუალურ, ნებელობით, ემოციურ და ქცევით თვისებებში.

არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა შორის, მათი პიროვნული ჩამოუყალიბებლობიდან გამომდინარე, არ არის მიზანშეწონილი დამნაშვის „ტიპის" გამოყოფა. არასრულწლოვანების მიერ ჩადენილი დანაშაული, უმეტეს წილად, დაკავშირებულია მათი მოტივაციური სფეროს არამდგრადობასთან და არა განსაზღვრული მყარი სოციალურად უარყოფითი მიმართულობის სიჭარბესთან.

ამდენად, დამნაშავის პიროვნება წარმოადგენს სოციალურად მნიშვნელოვანი ნეგატიური ნიშან-თვისებების ერთობლიობას, რომელიც ვლინდება კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისას.

3.3. სხვადასხვა კატეგორიის დამნაშავეთა ფსიქოლოგიური დახასიათება

იმ პირთა ძირითად მახასიათებელ ნიშან-თვისებებს, რომლებიც ჩადიან ძალადობრივ დანაშაულს, წარმოადგენს სოციალური იდენტიფიკაციის დეფექტურობა, ემოციური სიჩლუნგე, იმპულსური აგრესიულო-

ბა, უკიდურესი ეგოცენტრიზმი, სპონტანურად აღმოცენებული სურვილების დაუყოვნებლივი დაკმაყოფილებისადმი მისწრაფება, პრიმიტივიზმი და ცინიზმი. ისინი ძალადობაში ხედავენ კონფლიქტების გადაჭრის ერთადერთ საშუალებას. ასეთი პიროვნება ხშირად იყენებს ფსიქოლოგიური თავდაცვის ხერხებს, რაც გამოიხატება თავიანთი ანტისოციალური ქცევის გამართლებაში, დაზარალებულზე და გარეგან სიტუაციებზე დანაშაულის გადაბრალებაში.

მოცემული კატეგორიის დამნაშავეთა ქცევის ჩამოყალიბების არსებითი ფაქტორებია ბავშვობაში ემოციური დეპრივაცია, ოჯახისგან და სოციალური ჯგუფებისგან გაუცხოება. მათ საქციელში აგრესიული ქცევა მუდმივად უპირატესი იყო. გამომდინარე აქედან, ფორმირდებოდა მყარი მზაობა სხვა ადამიანებისადმი ზიანის მიყენებისათვის.

აგრესია არის ვინმესადმი ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენება. აგრესიას თან სდევს მტრული განწყობილება, მძვინვარება, სიძულვილი. განასხვავებენ რეაქტიულ და მყარ აგრესიულობას. ზოგჯერ შესაძლებელია ე.წ. ინსტრუმენტული აგრესიულობაც, რაც გამოიხატება აგრესიულობის განტვირთვაში ნებისმიერ შემთხვევით შემხვედრ ობიექტზე.

ინდივიდის მუდმივი მზადყოფნა აგრესიული ქცევისადმი მეტყველებს მისი პიროვნების მდგრად ნიშან-თვისებაზე – აგრესიულობაზე

ინდივიდის აგრესიულობა არის ოჯახში, სასწავლო და საწარმოო დაწესებულებებში, სხვადასხვა არაფორმალურ სოციალურ ჯგუფებში მისი სოციალიზაციის დეფექტურობის შედეგი.

აგრესიულობის, როგორც პიროვნული ნიშან-თვისების, ჩამოყალიბება გამოწვეულია პირობების მთელი

კომპლექსით. მაგრამ კონკრეტული აგრესიული ქცევა შეიძლება განსაზღვრული იყოს სხვადასხვა იძულებითი მექანიზმით: კონფლიქტური სიტუაციის აგრესიული ფორმით გადაჭრის აუცილებლობით; აფექტური მდგომარეობით; ფრუსტრაციის მიერ პროვოცირებული გარემოებით; იმ ჯგუფისადმი მიკუთვნებულობით, რომელიც ძალადობას განსაზღვრავს როგორც ჯგუფურ ნორმას; ფსიქიკური ანომალიებით(ფობიები, ნევროზები, ისტერიული ფსიქოპათიები); ხასიათის აქცენტუაციებით; ემოციური არამდგრადობით.

აგრესიულ ქცევასთან კავშირშია პიროვნების შფოთიანობის მომატებული დონე, ამაღლებული თვითშეფასება, ეგოცენტრიზმი, დაქვეითებული ტოლერანტობა, ღვარძლიანობა, აუტიზმი(სოციალური გაუცხოება), ემოციური თანაგრძნობის არ არსებობა, სოციალური იდენტიფიკაციის დეფექტები. ამასთან ერთად, აგრესიულობა ყველა შემთხვევაში წარმოადგენს პიროვნების დესოციალიზირებულობის ანუ საზოგადოდ მიღებული სოციალური ნორმებისადმი მისი ქცევის დაუქვემდებარებლობის, პიროვნების სოციალურ-ღირებულებითი დეფორმაციის მაჩვენებელს. ყველა ეს ფაქტორი მკვეთრად ძლიერდება აგზნებადი ტიპის უმაღლესი ნერვული მოქმედების მქონე ინდივიდში.

აგრესიულობა შესაძლოა იყოს **საგნობრივ-არადიფერენცირებული**(ხასიათის კონფლიქტურობა, ღვარძლიანობა) ან **ამორჩევით-საგნობრივი**(როდესაც მიმართულია განსაზღვრულ სოციალურ ობიექტებზე – ხელქვეითებზე, ოჯახის ცალკეულ წევრებზე, გარკვეული პიროვნული ნიშან-თვისებების მქონე ადამიანებზე).

ძალადობით დანაშაულებში ხშირად ვლინდება სასტიკი აგრესია, როდესაც დამნაშავე დაზარალებულს აყენებს მძიმე ფიზიკურ და ფსიქიკურ ტრავმებს. აგრე-

სიული ქცევის ეს ტიპი ადასტურებს ღრმა პიროვნულ დეფორმაციას, პიროვნებაში აგრესიული ქცევისადმი მყარი განწყობის ფორმირებას, ინდივიდის მუდმივ მზადყოფნას სხვა ადამიანებისადმი ზიანის მიყენებაზე, პიროვნების სოციალური თვითკონტროლის უკიდურეს დაქვეითებას. მითითებული პიროვნული დეფექტები ღრმავდება ალკოჰოლიზმით, ფსიქიკური დაავადებებით, თავის ქალის ტრავმებით.

არასრულწლოვანების მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების უმრავლესობა დაკავშირებულია იმპულსურ აგრესიულობასთან, მათი აღმოცენება სიტუაციურად განპირობებულია და უკავშირდება სიტუაციის სუბიექტურ შეფასებებს. ასეთი დანაშაულების დროს, წინა პლანზე გამოდის ე.წ. მტრული აგრესია, ანუ ზიანის მიყენება წარმოადგენს თვითმიზანს. ძალადობის ხანგრძლივობა და ულმობლობა დამოკიდებულია დანაშაულის მიზანზე – რაც შეიძლება მეტად დაამციროს მსხვერპლი, მიაყენოს მას დიდი მწუხარება და განცდა ეჭიანობის, სამაგიეროს გადახდის, თვითდამკვიდრების და ა.შ. ნიადაგზე. ჯგუფური ძალადობის შემთხვევაში აგრესია ხშირად გამოწვეულია ჯგუფური ზეწოლის, ჯგუფის ტრადიციების ზეგავლენით.

ადამიანთა შორის კონფლიქტი იწყება მათთვის ნებისმიერი სახის მუქარის აღმოცენებისთანავე. ამავდროულად მობილიზდება ურთიერთსაპირისპირო მხარეების ინტელექტუალური, ემოციურ-ნებელობითი და ფიზიკური რესურსები. მხარეები ახორციელებენ მუქარის გამომხატველ, თავმოყვარეობის შემლახავ და ინტერესების და მიზნების დამბლოკავ ქმედებებს, ანუ ისეთ დესტრუქციულ მოქმედებებს, რომლებიც დაარღვევენ პარტნიორის ფუნქციონირებას. ჩნდება კონფლიქტში მყოფი პირების ფსიქიკური სტრუქტურების

შეჯიბრება. ყოველი მხარე მიისწრაფვის დაიკავოს სტრატეგიულად მომგებიანი პოზიცია, ცდილობს გამოიცნოს მეორის შესაძლო ქცევა და შესატყვისი მოქმედებები შეასრულოს.

არაიშვიათად კონფლიქტები, რომლებიც იწვევენ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებს, წარმოადგენენ ხანგრძლივად დაძაბულ ურთიერთობებში მყოფი მხარეებისთვის კულმინაციას, მთელ რიგ შემთხვევაში კი აღმოცენდებიან სპონტანურად. ზოგჯერ ძალადობის მსხვერპლი დამნაშავისთვის გამოდის როგორც პოტენციური საფრთხე.

შემთხვევითი დამნაშავეების დანაშაულებრივი ქმედებები წარმოადგენენ მათი არაადექვატური რეაქციების რეზულტატს უეცრად აღმოცენებულ მძაფრ სიტუაციებზე. მათი ქცევა უკავშირდება კონფლიქტური სიტუაციიდან ადეკვატური გამოსვლის ხერხების არცოდნასა და ჩამოუყალიბებლობას. ხშირად, ძალადობრივი დანაშაულობები მათ მიერ ჩადენილია გრძნობების მოზღვავებიდან გამომდინარე, როგორც ოჯახში, ან ჯგუფურ გარემოცვაში დაგროვილი კონფლიქტების თანდათანობითი განმუხტვა. ეს დანაშაულები დაკავშირებულია აფექტურ აგზნებადობასთან, რომელიც გამოწვეულია სამაგიეროს გადახდის, ეჭვიანობის, წყენის და გარეგნულად უმნიშვნელო მიზეზების ნიადაგზე.

მოძალადე დამნაშავის **მდგრადი ტიპი** გამოირჩევა მუდმივი აგრესიული მიმართულებით, მასში ჩამოყალიბებულია უხეში ძალის გამოყენების(და ამისათვის ყოველთვის მოიძებნება მიზეზი)სტერეოტიპი.

ფსიქოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ყველაზე რთულია მკვლელთა ტიპების გამოვლენა. მკვლელების განზრახვა და მოტივი სხვადასხვაგავარია ხულიგნური მისწრაფებების, ეჭვიანობის, სამაგიეროს

გადახდის, შურის, შიშის თუ მძვინვარების საფუძველზე. მოკლედ, მრავალი მოტივი არსებობს, მაგრამ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ განსაკუთრებით საშიში მკვლელები, რომლებიც უკიდურეს სისასტიკესა და ცინიზმს ავლენენ, არიან ის პირები, რომლებიც სჩადიან მკვლელობას ყაჩაღური თავდასხმების დროს(კრიმინალურ ფსიქოლოგიაში მათ უწოდებენ „ბოროტ" მკვლელებს).

ბოროტი მკვლელი დამნაშავის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ტიპია. დამნაშავის ეს ტიპი გამოირჩევა ანტისაზოგადოებრივი განწყობით, სოციალურ მიმართებებში დეფორმირებულობით. მისი უკიდურესად პრიმიტიული ცხოვრებისეული ორიენტაცია, ამორალურობა, კვაზიმოთხოვნილებების სიჭარბე განაპირობებს ასევე მოქმედებების უკიდურესად პრიმიტულ ხერხებს. მისი ყოველდღიური ქცევა ასოციალურია, ხორციელდება კრიმინალური სუბკულტურის პირობებში. გარედან ნებისმიერ ზემოქმედებას ის აღიქვამს როგორც პირად თავდასხმას და განსაკუთრებული სიძულვილით არის განწყობილი უზრუნველყოფილი ადამიანების მიმართ. განიცდიან რა ქრონიკულ ემოციურ-ფსიქიკურ დაძაბულობას, შფოთიანობას, ისინი მზად არიან იმპულსური განტვირთვისთვის ნებისმიერი უმნიშვნელო მიზეზით ჩაიდინონ უმძიმესი დანაშაული.

შემთხვევითი მკვლელისათვის დაზარალებულის სიკვდილი ტრაგიკულ შემთხვევითობას წარმოადგენს, მაგრამ, სინამდვილეში, ეს „შემთხვევითობა" შემთხვევითი არ არის. აქ დომინირებს პიროვნების უუნარობა სოციალურად ადაპტირებულად გამოვიდეს კრიტიკული, მწვავე კონფლიქტური სიტუაციებიდან. როგორც წესი, ასეთი მკვლელობა ხდება უარყოფითი ემოციების ხანგრძლივი დროის მანძილზე დაგროვების, გადატანი-

ლი მწუხარების ფონზე. არ ხედავს რა თავდაცვის ზნეობრივ და მართლზომიერ ხერხებს, ინდივიდი იყენებს უკიდურეს საშუალებას. ამ დროს იგი აცნობიერებს საკუთარ უიმედო მდგომარეობას, არ სჯერა სამართლიანობის.

შემთხვევითი მკვლელობები ხდება მოულოდნელადაც, ექსტრემალურ სიტუაციებში, განსაკუთრებით აფექტურ მდგომარეობაში.

არცერთ სხვა დანაშაულში ანტიადამიანური ქმედება არ აღწევს ისეთ სიმძაფრეს, როგორც მკვლელობისას. არაიშვიათად მკვლელობა ჩადენილია ეჭვიანობის ნიადაგზე აღმოცენებული აფექტის მდგომარეობაში. ასხვავებენ ეჭვიანობის ფსიქოლოგიურ, კულტურულ-ისტორიულ და ბიოლოგიურ ასპექტებს.

ისტორიულად ფორმირებული მონოგამიის შემდგომ, მრუშობა(მეძავობა) იქცა სოციალურად დასაგმობ, გასაკიცხ გარყვნილებად, ხოლო უმანკო(უბინო) სექსუალურმა ქცევამ შეიძინა სოციალური ეტალონის მნიშვნელობა. ისტორიულად ჩამოყალიბდა დასჯის წეს-ჩვეულებები ცოლ-ქმრულ ღალატთან დაკავშირებით, რომლებიც ზოგჯერ ძალზედ მკაცრი იყო. განსაკუთრებით სოციალურ კონტროლს ექვემდებარებოდა ქალის ქცევა. უკანასკნელ პერიოდამდე ქალიშვილობის შენარჩუნება ქორწინებამდე იყო ოჯახური კეთილდღეობის გარდაუვალი პირობა.

განსაკუთრებით მძიმე განცდებს იწვევს ეჭვიანობა ნამდვილი ან წარმოსახული ღალატის მიზეზით. ამ დროს, იოლად აქტიურდება აგრესიული ქცევის არქაული მექანიზმები, მონინააღმდეგისადმი ზიანის მიყენების სპონტანური მისწრაფება. ეჭვიანი პიროვნების ბობოქარმა წარმოსახვამ შეიძლება დახატოს ღალატის საშინელი სურათი ზოგჯერ სრულიად უსაფუძვლოდაც

კი. ჰიპერტროფიული ეჭვიანობა შეიძლება იქცეს ხასიათის აქცენტუაციად, ინდივიდის ფსიქიკურ ბიძგად. ეჭვიანობა ამარცხებს საღ აზრს, ქმნის ნათლად წარმოსახულ ხატებს. ეჭვიანობას თან სდევს ტკივილი, რომელიც ზოგჯერ აუტანელია. ადამიანს არ ძალუძს მას გაუმკლავდეს და მკვლელობასაც კი ჩადის.

ქალისა და მამაკაცის ეჭვიანობა არ არის ერთნაირი, ისე როგორც არ არის მათთან მსგავსი სიყვარულისა და სირცხვილის გრძნობები. მამაკაცებს ნაკლებად შეუძლიათ პატიება. არაიშვიათად აღმოცენდება ფსიქოლოგიურად პარადოქსალური მოვლენა – მოღალატისადმი სიყვარული იზრდება. ეს აძლიერებს ობიექტის დაპყრობისათვის ბრძოლის სურვილს და იზრდება აგრესიულობა და სიძულვილი მოწინააღმდეგისადმი.

ღალატის სიტუაციაში მხარეების ქცევა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მათ კულტურულ დონეზე. რაც უფრო დაბალია ადამიანის კულტურის დონე, რაც უფრო ნაკლებ სოციალიზირებულია იგი, მით უფრო მეტია მისი მხრიდან აგრესიული ქცევის ალბათობა. ეს აგრესიულობა მკვეთრად მატულობს ალკოჰოლის მიღების ფონზე, იძენს შეუკავებელ, გიჟურ ხასიათს.

მრავალი მკვლელობა ხდება ე.წ. ყოფით ნიადაგზე, იმპულსურად, ზოგჯერ გასაოცრად უმნიშვნელო მიზეზით. ამ კატეგორიის მკვლელები ხშირად დამძიმებულნი არიან არასრულფასოვნების კომპლექსით. მათი აგრესიული ქმედება უკავშირდება ჰიპერკომპენსაციას, ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაგროვილი შურისძიების სურვილის შედეგს.

ისეთ სიტუაციებში, როდესაც პიროვნებას შეურაცხყოფას აყენებენ, უხეშად ექცევიან, დასცინიან, სცემენ, იგი ექცევა ტრავმირებადი გარემოების სრულ

დამოკიდებულებაში, მას არ შესწევს ძალა გააკონტროლოს საკუთარი ქცევა.

მკვლელთა საერთო ფსიქოლოგიური თავისებურებაა უკიდურესად დაბალი სოციალური სტატუსი, საკუთარი როლის არაადეკვატური გაცნობიერება, პრეტენზიის დონესა და რეალურ შესაძლებლობებს შორის დიდი განსხვავება, ემოციური არასტაბილურობა.

მკვლელის პიროვნება ხასიათდება მკვლელობის ხერხის თავისებურებებითაც. მაგალითად, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა მოწმობს საზოგადოებისათვის მკვლელის უდიდეს საშიშროებაზე.

სასამართლო წარმოებაში სისასტიკის კრიტერიუმად გამოდის მიყენებულ ჭრილობათა მრავალრიცხოვნობა და მკვლელობა მოკლულის ახლობლების თანდასწრებით, მათთვის განსაკუთრებული მწუხარების მიყენების მიზნით. მაგრამ ჭრილობათა სიმრავლე არ წარმოადგენს დაზარალებულისთვის წინასწარგანზრახული ტანჯვის მიყენების მაჩვენებელს. ჭრილობათა მრავალრიცხოვნობა შეიძლება განპირობებული იყოს დანაშაულებრივი სიტუაციით, მაგალითად როდესაც დაზარალებული მკვლელს ფიზიკურად ჯაბნის ან მკვლელი იყენებს შეუფერებელ იარაღს, მაგ., სკალპელს, ჩაქუჩს და ა.შ. მკვლელის განსაკუთრებულ სისასტიკეზე მიუთითებს ჭრილობათა არა რიცხობრივი, არამედ ხარისხობრივი თავისებურებები, სადაც გამოვლინდება მსხვერპლისადმი განსაკუთრებით გაუკულმართებული ფსიქიკური დამოკიდებულება.

ძალადობრივი დანაშაულის ყველა სახეობა უკავშირდება დაზარალებულისადმი ფიზიკური ზიანის მიყენებას ანუ დამნაშავის აგრესიულობასა და სისასტიკეს. მაგრამ ფიზიკური ზიანის გარდა, დამნაშავე მოძა-

ლადეები საკუთარ მსხვერპლს აყენებენ უდიდეს ფსიქიკურ ტრავმას. ამ კუთხით ძალადობრივ დანაშაულებთან შეიძლება გაერთიანდეს ხულიგნობაც, რომლის მიზანია აქტის ჩადენის პროცესში ზიანი მიაყენოს გარშემომყოფი ადამიანების პატივსა და ღირსებას.

ხულიგნობის საფუძველს წარმოადგენს ნაკლებად გაცნობიერებული, იმპულსური ქმედებები, კონფლიქტურ სიტუაციებში დაბალი ადაპტირებულობა, უკიდურესად ამაღლებული აგრესიულობა და უკულტურობა.

გამოირჩევა ქალთა დანაშაულებრივ-ძალადობრივი ქცევა. რა თქმა უნდა, ქალების მიერ ჩადენილი დანაშაული თავისი მოცულობით მნიშვნელოვნად ნაკლებია მამაკაცების მიერ ჩადენილ დანაშაულებთან შედარებით. ქალების ქცევის სპეციფიკა მდგომარეობს სინამდვილის ცალკეული მომენტების შედარებით მკვეთრად აღქმაში, მათზე ძლიერ ემოციურად რეაგირებაში, პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ზოგიერთი ფაქტისადმი დიდი მნიშვნელობის მინიჭებაში.

დაძაბულ სიტუაციებში ქალები უფრო მეტად ხვდებიან ფსიქიკური ტრავმის ქვეშ. ისინი უფრო მტკივნეულად განიცდიან ოჯახურ ჩხუბსა და კონფლიქტებს. ფლობენ რა შფოთიანობის მომატებულ დონეს, ქალები მიდრეკილნი არიან მუქარის შემცველი სიტუაციების გადაფასებისკენ. მომეტებული სენზიტიურობა (მგრძნობელობა), ოჯახური პრობლემების სიუხვე, მათში ქმნის მყარ ფონს გაზრდილი ფსიქიკური დაძაბულობისათვის.

ქალებს უფრო მეტად აქვთ მიდრეკილება ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისადმი. ქალთა შორის ასევე მაღალია ფსიქიკური ანომალიების დონეც. დამნაშავე ქალების უმეტესობა გამოირჩევა მომეტებული აგზნებადობით, სოციალური ურთიერთქმედების დეფექტე-

ბით, ისტერიულობით, უჟმური ხასიათით. აგრესიულ მოქმედებებში ყველაზე ხშირად იყენებენ შემთხვევით ხელთ მოხვედრილ საგნებს. თუმცაღა, მძიმე, წინასწარ განზრახულ დანაშაულებებს ქალები, როგორც წესი, უფრო საფუძვლიანად გეგმავენ და საგულდაგულოდ ნიღბავენ. პიროვნების წინააღმდეგ უმძიმეს დანაშაულს ჩვეულებრივ სჩადიან მამაკაცური ტიპის ქცევის მქონე ქალები.

როგორც წესი, სოციალურ-ფსიქოლოგიური გაუცხოება ხდება ნაკლებად განათლებულ, დაბალი კულტურის დონის ოჯახებში, სადაც დარღვეულია სოციალური კავშირები. ოჯახის მხრიდან უკონტროლოდ დარჩენილი გოგონები ადრეული ასაკიდან იწყებენ არეულ სექსუალურ ცხოვრებას, ქურდობას, ხეტიალს, პროსტიტუციას, თაღლითობას და ა.შ. მატულობს შფოთვის დონე, ქცევაში ძლიერდება აგრესიულობა, რასაც თან სდევს დანაშაულის ჩადენა. კრიმინალური სუბკულტურა, გავრცელებული სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, კიდევ უფრო აღრმავებს დესოციალიზაციის პროცესს.

სექსუალური დამნაშავეების უმეტესობას ჰქონდა ადრეული სექსუალური ინიციაცია, როგორც წესი, გაუკუღმართებული ფორმით. ამ კატეგორიის დამნაშავეთა უმრავლესობა განსხვავდება პიროვნების ასოციალური განვითარებით.

როგორც ზოგიერთი ავტორი თვლის, კომუნიკაციური მოტივის ბლოკირება, ჩვეულებრივ უკავშირდება ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში ფსიქოტრავმირებად განცდებს, რაც იწვევს ინდივიდის ფსიქოპათიაციას.

სექსუალური დანაშაულებების ფსიქოლოგიის გაგება დაკავშირებულია სასამართლო სექსოლოგიისა და

სექსოპათოლოგიის სფეროში დაგროვილ ცოდნასთან. სქესობრივი გაუკუღმართების პრობლემაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ორიენტაციას(თანამედროვე ტერმინოლოგიით – სექსუალურ პერვერსიებს ანუ სექსუალურ დევიაციებს).

სექსუალური დევიაცია(გადახრა) იყოფა სექსუალური ლტოლვის ობიექტისა და სექსუალური ზრახვების რეალიზაციის ხერხის მიხედვით.

სექსუალური ლტოლვის ობიექტის მიხედვით ანსხვავებენ შემდეგ სქესობრივ პერვერსიებს:

- **ჰომოსექსუალიზმი** – იმავე სქესის წარმომადგენლებისადმი სქესობრივი ლტოლვა;
- **პედოფილია** – ბავშვებისადმი, არასრულწლოვანებისადმი სქესობრივი მისწრაფება;
- **გერონტოფილია** – მოხუცებისადმი სქესობრივი ლტოლვა;
- **ზოოფილია** – ცხოველებისადმი სქესობრივი ლტოლვა;
- **ნეკროფილია** – გვამებისადმი სქესობრივი მისწრაფება.

სქესობრივ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების ანალიზისას, იურისტი ხვდება მთელ რიგ სპეციფიკურ ფსიქოლოგიურ და სექსოლოგიურ ტერმინებს. ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი:

სქესობრივი ცნობიერება – ინდივიდის მიერ საკუთარი თავის განსაზღვრული სქესისადმი მიკუთვნებულობა; საკუთარი სექსუალური ქცევის რეგულაცია მოცემულ საზოგადოებაში მიღებული მორალურ-ეთიკური ნორმების შესაბამისად.

სქესობრივი სოციალიზაცია – მამაკაცისა და ქალის სქესობრივი იდენტურობის ფორმირება მოცემულ

საზოგადოებაში მიღებული კულტურული და მორალური ნორმების შესატყვისად.

ფსიქოსექსუალური ინფანტილიზმი – ფსიქოსექსუალური განვითარების შეჩერება.

მოზარდის ჰიპერსექსუალობა – დამახასიათებელია ფიზიკური და ფსიქოსექსუალური განვითარების პუბერტატული(მოზარდული) პერიოდისათვის, რასაც თან სდევს ფსიქიკის მომატებული ფიქსირება სექსუალურ–ეროტულ მოვლენებზე. ამ დროს მოჭარბებულია სქესობრივი აგზნებადობა, რასაც თან ახლავს სექსუალური ექსცესები.

პრომისკუიტეტი – უწესრიგო სქესობრივი კავშირები სხვადასხვა პარტნიორთან.

ოიდიპოს კომპლექსი – ზ. ფროიდის მიერ ლიბიდოს(სექსუალური ენერგიის) განვითარების ფსიქოანალიტიკური განმარტება, რისთვისაც დამახასიათებელია ვაჟებში დედისადმი ლტოლვა და ამ ნიადაგზე მამის სიძულვილი.

ელექტრას კომპლექსი – გოგონებში მამისადმი სექსუალური მისწრაფება და დედის სიძულვილი.

რეპრესიული სქესობრივი მორალი – ანტისექსუალური მიმართულების მქონე სექსუალური ქცევის მკაცრი რეგლამენტირების სისტემა.

სქესობრივი დანაშაული კავშირშია სექსუალურ დევიაციებთან (გადახრებთან), რომლებიც შესაძლოა გაპირობებული იყოს როგორც ბიოლოგიური, ასევე ფსიქიკური ფაქტორებით.

სექსუალური დევიაციის ფსიქიკურ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია აღზრდაში დაშვებული დეფექტები, კონფლიქტები, პიროვნების ნევროზულობა და ფსიქოპათიურობა, კომპლექსები, ფსიქოსექსუალური

ტრავმები, ადრეული სექსუალური ინიციაცია, ვულგარული სექსუალური წარმოდგენები და ა.შ.

სექსუალური დანაშაულია გაუპატიურება, იძულება სქესობრივ კავშირზე, არასრულწლოვანთან სქესობრივი ურთიერთობების დამყარება და ყველანაირი გაუკუღმართებული გამრყვნელი მოქმედება მის მიმართ.

სექსუალურ ნიადაგზე მკვლელობათა გამოძიებისას აუცილებელია დამნაშავის პიროვნების ფსიქოსექსუალური სტრუქტურის გაცნობა, რომელსაც ექსპერტი ადგენს. უმეტეს შემთხვევაში მსხვერპლის მოკვლის განზრახვა აღმოცენდება გაუპატიურების პროცესში. სექსუალურ ნიადაგზე მკვლელობის ჩამდენნი, როგორც წესი, არიან ფსიქოპათები, სექსუალურად ფრუსტრირებულები, კონფლიქტურები, სოციალური კონტაქტების დამყარებისადმი ნაკლებუნარიანები, წარუმატებელი ურთიერთობების შედეგად ფსიქოტრავმულნი, არაიშვიათად – ჰომოსექსუალებიც, რაც მათში განაპირობებს ქალის სექსუალურად საფრთხის შემცველ ობიექტად აღქმას.

ფსიქოლოგების დიდ ყურადღებას იმსახურებს აგრესიის ისეთი სოციალური წანამძღვარი, როგორიცაა ანმყოში ფრუსტრაცია, უფრო სწორედ, ამჟამად მიმდინარე მიზანმიმართული რეაქციების ბლოკირება. ერთი ინდივიდუმის მიერ მეორის მიზანდასახული ქცევის შეწყვეტა, შესაძლოა, აგრესიის დეტონატორი გახდეს. მრავალი მეცნიერი ემხრობოდა თეორიას "ფრუსტრაცია – აგრესია", რომლის თანახმადაც ნებისმიერ ფრუსტრაციას თან სდევს აგრესია და პირიქით, როდესაც არის აგრესია, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ადგილი ჰქონდა ფრუსტრაციას. ამჟამად ეს ჰიპოთეზა ზედმეტად განზოგადებულად ითვლება. ნაწილი ფსიქოლოგე-

ბისა ამტკიცებს, რომ მიზნის მიღწევის დაბლოკვა ყოველთვის არ იწვევს აგრესიულობას და ეს უკანასკნელი ხშირად გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებითაც. მიუხედავად ამ პოლარულად განსხვავებული თეორიებისა, კრიმინალურ ფსიქოლოგიაში ფრუსტრაცია აგრესიის ერთ–ერთ მნიშვნელოვან დეტერმინანტს წარმოადგენს და არაიშვიათად ახდენს დამნაშავის მხრიდან აგრესიული ქმედების პროვოცირებას.

3.4. დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგია

❖ **დანაშაული საზოგადოებისათვის საშიში, კანონით დასჯადი ქმედებაა.**

სისხლის სამართლის კანონით დადგენილი ნიშან–თვისებების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს განსაზღვრულ, საზოგადოებრივად საფრთხის შემცველ ქმედებას – დანაშაულს – აყალიბებს დანაშაულის შემადგენლობას.

დანაშაულის შემადგენლობაში შედის ნიშან – თვისებათა ოთხი ჯგუფი, რომლებიც ახასიათებენ:

1. დანაშაულის ობიექტს, 2. დანაშაულის ობიექტურ მხარეს, 3. დანაშაულის სუბიექტს, 4. დანაშაულის სუბიექტურ მხარეს.

დანაშაულის სუბიექტად კანონი აღიარებს ფიზიკურ პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული და უნარი შესწევს საკუთარ ქმედებაზე აგოს სისხლის სამართლის პასუხი. პიროვნების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მისი ასაკით და შერაცხადობით – ანუ ინდივიდის უნარით იმოქმედოს შეგნებულად და გააკონტროლოს საკუთარი ქცევა.

დანაშაულის სუბიექტურ მხარეს შეადგენს ბრალი, დანაშაულის მოტივები და მიზნები.

დანაშაული რეალიზდება მოქმედების ხერხის საშუალებით და ობიექტივირდება მოქმედების შედეგში. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოქმედების ხერხი და შედეგი ითვლება დანაშაულის ობიექტურ მხარეებად. თუმცაღა ფსიქოლოგიურად მოქმედების ხერხიც და რეზულტატიც წარმოადგენენ სუბიექტის ნებელობითი მოქმედების კომპონენტებს.

დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგიური ანალიზი წარმოადგენს მისი სტრუქტურული ელემენტების შინაარსის ფსიქოლოგიურ ანალიზს.

დანაშაული, როგორც ინდივიდის ნებითი მოქმედება, ხორციელდება რთული ნებელობითი ან მარტივი ქმედებების სახით. ადვილი მისახვედრია, რომ ყველა იმპულსურ–სიტუაციური დანაშაული ჩადენილია მარტივი ნებელობითი მოქმედების, ხოლო ყველა წინასწარგანზრახული დანაშაული კი – რთული ნებელობითი ქმედების ფორმით.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

3.4.1. იმპულსური დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგიური თავისებურებები

იმპულსურად, სპონტანურად, სპეციალურად შემუშავებული გეგმისა და მიზნის გარეშე ჩადენილი დანაშაულები ნაკლებგაცნობიერებული რეაქციების კლასს მიეკუთვნება.

- **იმპულსური მოქმედებები რეგულირდება ინდივიდის** ქვეცნობიერი **ლტოლვები-**

თა და მისწრაფებებით, საერთო პიროვ-ნული მიმართულობით.

იმპულსური დანაშაულებრივი მოქმედებების მოტივი ემთხვევა მიზანს.

იმპულსური ქცევა შესაძლოა გამოწვეულ იყოს სხვადასხვა მიზეზით:

- ინდივიდში აღმოცენებული ემოციოგენური სიტუაციებით;
- ინდივიდის საერთო ემოციური არამდგრადობით;
- სიმთვრალის მდგომარეობით;
- ქცევის ჩვეული ფორმებით;
- პიროვნების ფსიქოპათიური ანომალიებით.

იმპულსურ რეაქციებში ვლინდება ინდივიდის პიროვნული მზადყოფნა განსაზღვრული მოქმედებებისადმი. კონფლიქტურ–ემოციურ სიტუაციებში გრძნობები, ემოციები თრგუნავენ ქცევის რეგულაციის რაციონალურ მექანიზმებს და იძენენ წამყვან რეგულატორულ ფუნქციას, გარდაიქმნებიან იმპულსური მოქმედებების ძირითად მექანიზმებად.

არაიშვიათად იმპულსური ქცევა ხორციელდება შინაგანი მიზეზით ანუ პიროვნების თვითგანმტკიცებისადმი მისწრაფებით. ამ დროს იგი აჩვენებს საკუთარ უპირატესობას გარშემომყოფებზე, საშუალებას აძლევს თავს განიტვირთოს დაგროვილი უარყოფითი ემოციებისაგან.

იმპულსურობა შედარებით მკვეთრად გამოვლინდება აფექტის, ძლიერი სულიერი მღელვარების მდგომარეობაში, რისთვისაც დამახასიათებელია ცნობიერების დეზორგანიზაცია, თავის ტვინის ყველა ზონის საქ-

დეგად. იმისათვის, რომ გავიგოთ ამა თუ იმ თვისების ფსიქოლოგიური ბუნება, ანუ განვსაზღვროთ, რა ფუნქციას ასრულებს ის ადამიანის პროფესიული საქმიანობის პროცესში, საჭიროა იგი განვიხილოთ პიროვნების საქმიანობის მოტივებიდან და მიზნებიდან გამომდინარე.

ცალკეული ფსიქიკური პროცესის მიმდინარეობა დამოკიდებულია ამ პროცესთან დაკავშირებულ მოთხოვნილებებსა და მოტივებზე. ამასთან, ეს დამოკიდებულება გამოიხატება სამგვარი ფორმით:

ა) ეს არის ინდივიდუალურ–დიფერენციალური განსხვავებულობები. ადამიანები, თავიანთი ინდივიდუალურობისგან დამოკიდებულებით, განსხვავდებიან აღქმისა და დაკვირვების, მეხსიერებისა და ყურადღების და ა.შ. სხვადასხვა ტიპის მიხედვით. ინდივიდუალური განსხვავებები ვლინდება თვით აღქმულის, დახსომებულის, გააზრებულის და ა.შ. შინაარსში.

ბ) ფსიქიკური პროცესების პიროვნებაზე დამოკიდებულება გამოიხატება იმაში, რომ მათ არ აქვთ დამოუკიდებელი მიმართულება და ექვემდებარებიან პიროვნების საერთო განვითარებას.

გ) ის ფაქტი, რომ ადამიანის ფსიქიკური პროცესები პიროვნების გამოვლენის არსია, გამოიხატება იმაშიც, რომ ისინი ადამიანში არ რჩებიან უბრალოდ თვითმიმდინარე პროცესებად, არამედ გარდაიქმნებიან ცნობიერად რეგულირებად მოქმედებებსა ან ოპერაციებში, რომელთაც პიროვნება თითქოსდა ეუფლება და იყენებს ცხოვრებისეული ამოცანების გადასაჭრელად.

იდეა ცნობიერების აქტიური ხასიათის შესახებ შინაგანად ეთანხმება პიროვნებისეული მიდგომის იდეას, რამეთუ ცნობიერება პიროვნებაში იძენს მოქმედ ხასიათს მისი მოტივებისა და მოთხოვნილებების სისტემი-

მიანობის დამუხრუჭება(გარდა ჰიპერდომინანტური კერისა), უნებლიე დაცვითი და აგრესიული რეაქციების მძაფრი აქტივიზირება. აფექტის დროს მიზნები და მოტივები თითქმის არ გაცნობიერდება. **აფექტი დაკავშირებულია პიროვნების უუნარობასთან სოციალურად ადაპტირებული ხერხებით გამოვიდეს მოცემული მწვავე, კრიტიკული სიტუაციიდან.**

აფექტის მდგომარეობაში ირღვევა საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი – ქცევითი აქტის არჩევითობა; მკვეთრად იცვლება ადამიანისათვის ჩვეული მოქმედება; დეფორმირდება მისი ცხოვრებისეული პოზიცია, ირღვევა მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის დამყარების უნარი, ცნობიერებაში დომინირებას იწყებს რომელიღაც ერთი, ხშირად დამახინჯებული წარმოდგენა; მიმდინარეობს ე.წ. "ცნობიერების შევიწროება".

ძლიერ სულიერ მღელვარებას კანონი შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნევს. ამასთან გათვალისწინებულია, რომ მსგავსი მდგომარეობა აღმოცენდება უეცრად, როგორც უშუალო იმპულსური რეაქცია ზეძლიერ გამღიზიანებელზე, რომლის დროსაც დანაშაულებრივი ჩანაფიქრი ყალიბდება ასევე მოულოდნელად, ხოლო დანაშაულებრივი ქმედება კი ხორციელდება დაზარალებულის მოქმედებებისთანავე. ამ შემთხვევაში მიზანი არ არის დაკონკრეტებული; დამნაშავის მოქმედებას აქვს ზოგადი მიმართულობა.

კონფლიქტურ–ემოციურ მდგომარეობად, რომელიც ხელს უწყობს იმპულსური რეაქციების გააქტიურებას, შეიძლება მივიჩნიოთ სტრესიც.

ცნება **"სტრესი"** მოიცავს უკიდურესი ფსიქიკური დაძაბულობის მქონე მდგომარეობების ნაირსახეობას,

გამოვლენილს სხვადასხვა ექსტრემალური ზემოქმედებით(სტრესორებით).

ანსხვავებენ ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ სტრესს. ეს უკანასკნელი იყოფა ინფორმაციულ და ემოციურ სტრესად.

ინფორმაციული სტრესი აღმოცენდება ადამიანის ოპერატიულ–ინფორმაციული გადატვირთვის პირობებში, მის მიერ გართულებული და დაძაბული ფუნქციების შესრულებისას. სტრესი მით მაღალია, რაც უფრო დიდია მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობა.

ემოციური სტრესი უკავშირდება ექსტრემალურ, უკიდურესად საშიშ სიტუაციებს.

დისტრესის(უარყოფითი სტრესის) დროს დეფორმირდება პიროვნების მთელი მოტივაციური სფერო და მისი ადაპტაციურ–ქცევითი უნარები, ირღვევა მოქმედების მიზანშეწონილობა, უარესდება მეტყველება. მაგრამ რიგ შემთხვევაში, სტრესი ახდენს პიროვნების ადაპტაციური შესაძლებლობების მობილიზებას(სტრესის ამ სახეობას ევსტრესი ეწოდება).

სტრესის მდგომარეობაში ადამიანის ქცევის სამართლებრივი შეფასებისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ევსტრესის ზემოქმედებისას ინდივიდის ცნობიერება შესაძლოა არც შევიწროვდეს – მას შეუძლია უკიდურესად დაძაბოს და მობილიზება გაუკეთოს საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ შესაძლებლობებს და მოახერხოს ექსტრემალური ზეგავლენის გადალახვა გონივრული მეთოდებით.

ადამიანის ქცევა როგორც აფექტის, ისევე სტრესის დროს არ დაიყვანება მთლიანად არაცნობიერ დონეზე. აფექტორის ან სტრესორის აღმოფხვრის მიზნით მისი მოქმედებები, იარაღისა და ქცევის ფორმების,

მეტყველების საშუალებების არჩევა ინარჩუნებენ სოციალურ განპირობებულობას. აფექტის და სტრესის სიტუაციაში ცნობიერების შევიწროება არ ნიშნავს მის სრულ დარღვევას.

გამოძიების მიზნებისათვის არსებითია ინდივიდის ქცევის გამოკვლევა პოსტაფექტურ და პოსტსტრესულ მდგომარეობებში. ეს უკანასკნელი ყოველთვის ხასიათდება ძალისხმევის უკიდურესი დაქვეითებით, აპათიურობით, შენელებული მამოძრავებელი აქტივობით.

ადამიანის ემოციურ–ნებელობით სფეროში დეფორმაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა მხოლოდ აფექტისა და სტრესის მდგომარეობებში. კონფლიქტური ფსიქიკური გარემოების ნაირსახეობას წარმოადგენს **ფრუსტრაცია** ანუ ემოციურად უკიდურესად დაძაბული ნეგატიური მდგომარეობა, დაკავშირებული პიროვნებისათვის მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევის გზაზე აღმოცენებულ გადაულახავ წინააღმდეგობებთან. ფრუსტრაციის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რის გამოც ამჯერად მასზე დაწვრილებით არ შევჩერდებით, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ფრუსტრაცია იწვევს დეპრესიას ანუ ინდივიდის გასვლას რეალობიდან, ქცევის დონის დაქვეითებას(თითქმის რეგრესიას). ნეიროფიზიოლოგიური თვალსაზრისით ეს დაკავშირებულია უკიდურესად მომატებულ ფსიქიკურ დაძაბულობასთან, იწვევს რა სხეულში დაცვით შეკავებას, ამუხრუჭებს თვითრეგულაციის სტრუქტურებს. ყოველივე ამას შესაძლოა მოჰყვეს ნევროზები და ქარაქტეროლოგიური ცვლილებები – საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, თვითშეფასების, პრეტენზიის დონის დაქვეითება, რიგიდულობა, რაც გამოიხატება ინდივიდის მიერ საკუთარი ქცევის შეცვლის უუნარობაში.

აფექტის, სტრესისა და ფრუსტრაციის მდგომარეობები უნდა გათვალისწინებულ იქნეს სამართალწარმოებაში დანაშაულის სუბიექტური მხარის შეფასებისას. მრავალი ე.წ. უმოტივო კანონდარღვევა უკავშირდება ინდივიდის ცნობიერების შევიწროებას მისთვის ექსტრემალურ სიტუაციაში.

ქცევის იმპულსურობა არსებითია ფსიქოპათიური და აქცენტუირებული ხასიათის მქონე პირებთან, რომლებიც მიისწრაფიან აღმოცენებული მოთხოვნილების მყისიერად დაკმაყოფილებისაკენ. ქცევის რეგულაციაში მნიშვნელოვანი დეფორმაციები შეიმჩნევა სიმთვრალის დროსაც. ალკოჰოლი ინდივიდს ასოციალური ქცევის განხორციელებას უმსუბუქებს.

ამრიგად, ყველა იმპულსური დანაშაულებრივი აქტი გამოირჩევა ქცევის ცნობიერი რეგულაციური კომპონენტების შემცირებით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იმპულსური დანაშაულებითი აქტები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც შემთხვევითი დანაშაულის ნაირსახეობა. ისინი კანონზომიერად განპირობებულია იმპულსური დამნაშავეების პიროვნული თავისებურებებით. ასევე ქცევის იმპულსურობა არ შეიძლება უსიტყვოდ განხილულ იქნეს როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. ხშირ შემთხვევაში იმპულსურობა მიუთითებს პიროვნების მდგრად თვისებაზე, რაც განაპირობებს მის უკიდურესად დაქვეითებულ სოციალურ პასუხისმგებლობას, რომელიც საკმაო საფრთხის შემცველია და საშიშია ნებისმიერი საზოგადოებისათვის.

3.4.2. წინასწარგანზრახული დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგიური თავისებურებები

დანაშაულის კონსტრუქციაში მოტივი წარმოადგენს მის სუბიექტურ მხარეს და საჭიროებს გამოვლენასა და დასაბუთებას.

მოტივს ანუ ინდივიდის ცნობიერ მისწრაფებას კონკრეტული ქმედებისადმი, რამდენიმე არსებითი მნიშვნელობა აქვს:

ა) დამნაშავის პიროვნებისა და მისი დანაშაულებრივი ქმედებიდან გამომდინარე საზოგადოებისათვის მიყენებული საშიშროების დონის გასარკვევად;

ბ) დანაშაულისათვის კვალიფიკაციის მისანიჭებლად;

გ) სასჯელის სახისა და ზომის გასასაზღვრად.

ადამიანის მოტივები და მიზნები ერთმანეთს ემთხვევა მხოლოდ სტერეოტიპულ, ჩვეულ მოქმედებებში; კანონით გათვალისწინებულ ქმედებებში ისინი გამოდიან როგორც ცალკეული რეგულაციური კომპონენტები.

დანაშაულებრივი ქმედების მოტივი შესაძლოა არ იყოს კრიმინალური, მაგრამ მიზნები ყოველთვის დანაშაულებრივია. მოტივი ახასიათებს მოქმედების სუბიექტურ მნიშვნელობას, ხოლო მიზანი – მის ობიექტურ მიმართულობას.

ამრიგად, რთულ ნებელობით მოქმედებაში არსებობს მოქმედებისწინარე ეტაპი, სადაც ხდება დანაშაულის მიზნის განსაზღვრა და მისი პიროვნულად გათავისება.

სუბიექტის მიერ დანაშაულის ჩადენისათვის მოსამზადებელი პირობების დადებითი შეფასება წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედების გახორციელების ერთ-ერთ წანამძღვარს.

უკვე დანაშაულის მომზადების ეტაპზე დამნაშავე აანალიზებს მისი შესრულების შესაძლებლობებს. დანაშაულის მიზნები ფორმირდება მათი მიღწევის საშუალებებიდან გამომდინარე.

დანაშაულის მომზადების ეტაპზე ხდება მნიშვნელოვანი ბიძგები დამნაშავის ფსიქიკურ მდგომარეობაში: შიშის გრძნობის შესუსტება, საკუთარ წარმატებაში რწმენის გაძლიერება და სხვ. დანაშაულის ხელშემწყობი პირობების აღმოჩენისას, დამნაშავე უფრო სწრაფად იღებს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას.

დანაშაულებრივი ქმედების გარეგან პირობებში შედის არა მხოლოდ მატერიალური გარემო, არამედ სხვა ადამიანთა ქცევაც, სადაც ერთიანდებიან როგორც პარტნიორები, ისე მსხვერპლი.

იურისპრუდენციაში დანაშაულებრივი მოქმედების მოტივები და მიზნები ერთიანდებიან ისეთ კომპლექსურ ცნებაში, როგორიცაა **დანაშაულებრივი განზრახვა.** განზრახვის აღმოცენება წარმოადგენს დანაშაულის მომზადების ფსიქოლოგიურ აქტს, რომლის ანალიზიც ყოველთვის ავლენს დამნაშავის პიროვნულ თავისებურებებს.

დანაშაულებრივი ქმედების შეფასებისა და კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს განზრახვის **შინაარსს** და **მიმართულებას.** ეს ორი ცნება ხშირად ერთმანეთში ერევათ და ფორმულირებულია არასწორად. ***განზრახვის მიმართულება*** წარმოადგენს დაგეგმილი ქმედებების შედეგს, რომლის მიღწევისკენაც არის მიმართული დანაშაულებრივი ქმედება. ***განზრახვის შინაარსი*** კი სუბიექტის ცნობიერებაში ყველა იმ გარემოების ასახვაა, რომლებიც უკავშირდება მიზნის მიღწევას.

➢ **დანაშაულის საბაბი. დანაშაულის ჩადენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება**

დანაშაულის საბაბი არის გარეგანი მდგომარეობა, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს დამნაშავის პიროვნების საზოგადოებრივად საშიში მიმართულება. დანაშაულის საბაბი გვიჩვენებს თუ რა გარემოებას დაუკავშირა თავად დამნაშავემ საკუთარი ქმედება. საბაბს არ გააჩნია დამოუკიდებელი ზიანის მომტანი მნიშვნელობა. საბაბი მხოლოდ "განმუხტავს" ადრე ფორმულირებულ მიზეზს. დანაშაულის საბაბი მნიშვნელოვანწილად ახასიათებს დამნაშავის პიროვნებას, მის მიდრეკილებებს, სოციალურ პოზიციებს, დანაშაულის მოტივებსა და მიზნებს.

არც ერთი სიტუაცია, თავისთავად, ადამიანს არ უბიძგებს დანაშაულის ჩადენისაკენ. თუ რა გზით წავიდეს პიროვნება, ეს დამოკიდებულია მისი სოციალიზირებულობის ხარისხზე. ინდივიდუუმის ქცევისათვის ამა თუ იმ სიტუაციის მნიშვნელობის დონე მეტყველებს მის მდგრად პიროვნულ ნიშან-თვისებებზე.

პიროვნების ქცევა არ არის სიტუაციურად გაპირობებული. ამით ადამიანური საქციელი განსხვავდება ცხოველურისგან. პიროვნებაზეა დამოკიდებული თუ როგორ ასახავს იგი სიტუაციას და როგორ მოქმედებებს შეასრულებს. სიტუაციის კრიმინოგენური ელფერი, მისი მაპროვოცირებელი და დანაშაულისადმი ხელშემწყობი ხასიათი ობიექტურად იწვევს საკუთარ ქცევაზე პიროვნების პასუხისმგებლობის შემცირებას.

ყველაზე მძიმე და კრიტიკულ სიტუაციებში მაღალი ზნეობის მქონე ადამიანები ღირსეულ გამოსავალს პოულობენ. და თუ არსებობს არჩევანის თავისუფლება, მაშინ თვითონ პიროვნება აგებს პასუხს ქცევის მის მიერ არჩეულ ვარიანტზე. სიტუაცია მხოლოდ

ლაკმუსის ქაღალდია, რომელიც ავლენს პიროვნების არსს. დანაშაულის ხელშემწყობი არავითარი პირობა არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დანაშაულებრივი ქცევის გამართლება.

ადამიანი უნდა იყოს პატიოსანი. პატიოსნება წარმოადგენს უმაღლეს სოციალურ ფასეულობას, ერთ-ერთ ბაზისურ ადამიანურ ღირებულებას, რომლის გაცნობიერება ადამიანს პიროვნებად აყალიბებს. ამ ღირებულების ზღვრიდან ნებისმიერი გადახრა, სულ მცირეც კი, უკვე დანაშაულია. მაგრამ მოცემული ინდივიდის მიერ დანაშაულის ჩადენის მექანიზმის გასაგებად საჭიროა იმის გარკვევა, თუ როგორი პირობებია მისთვის საკმარისი ამ ზღვარზე გადასაბიჯებლად. **დანაშაულის ჩადენის სიტუაცია წარმოადგენს ინდივიდის სოციალური ადაპტირებულობის პიროვნული ზღურბლის მაჩვენებელს.**

დანაშაულებრივი ქმედების გენეზისში კულმინაციურ აქტად გვევლინება გადაწყვეტილების მიღება ანუ არჩეული დანაშაულებრივი ქცევის ვარიანტის საბოლოო "დამტკიცება".

გადაწყვეტილების მიღება გაურკვეველ სიტუაციაში განსაზღვრული მოქმედების შესრულების ცნობიერი არჩევანია. გადაწყვეტილება მოიცავს არსებულ ინფორმაციულ პირობებში მოქმედების მომავალი შედეგის ხატს. იგი დაკავშირებულია მოქმედების შესაძლო ვარიანტების "გონებაში განხილვასთან". გადაწყვეტილებაში მიზანი აზრობრივად ერთიანდება მისი რეალიზაციის პირობებთან და მთელი პირველადი(საწყისი) ინფორმაციის საფუძველზე მიიღება მოქმედების ოპერატიული გეგმა.

კონკრეტული დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება შესაძლოა იყოს დასაბუთებული ანუ **ტრანზიტუ-**

ლი და ნაკლებდასაბუთებული ანუ **არატრანზიტული**(ამ შემთხვევაში არ ხდება დანაშაულის რეალიზაციის ყველა პირობის გათვალისწინება). შეიძლება ითქვას, რომ თავისი საფუძვლიდან გამომდინარე, ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილება არატრანზიტიულია, რამეთუ არ ითვალისწინებს მოქმედების სოციალურ მავნებლობას.

კანონდამრღვევთა უმეტესი ნაწილი გამოირჩევა მოტივაციურ–რეგულაციურ სფეროში არსებითი დეფექტებით. მათ მიერ დასჯის საფრთხე ან არ გაცნობიერდება, ან სათანადოდ არ ფასდება. მათი კრიმინალური გადაწყვეტილებები ხშირად აღმოცენდება უეცრად და ეფუძნებიან მიწიერ გრძნობებს – შურს, შურისძიებას, ეგოიზმს, აგრესიულობას და ა.შ. დამნაშავის აზროვნება "მიჯაჭვული" ხდება ქცევის ჩვეულ ასოციალურ ხერხებზე.

დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი გარემოებებია: დაზარალებულის მაპროვოცირებელი საქციელი; კრიმინალური ჯგუფის მხრიდან ზეწოლა; თანამონაწილეების მხარდაჭერის იმედი; კონფლიქტურ–ემოციურ მდგომარეობებში ცნობიერი კონტროლის შესუსტება; ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიღება; მხილების საშიშროების დაქვეითება და ა.შ.

გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ ინდივიდი "ეებოჭილია" საკუთარი გადაწყვეტილებით; მან შეიძლება ვერ შეაფასოს ის ხელმეორედ აღმოცენებული სიტუაციები, რომელთაც აგრეთვე მნიშვნელობა ჰქონდაი გადაწყვეტილებისწინარე სტადიაზე. გადაწყვეტილების მიღება აყალიბებს **განზრახვას** ანუ დასახული საქოქმედო პროგრამის რეალიზაციისადმი მყარ მისწრაფებას. ინდივიდს უყალიბდება **მიზნის მიღწევის**

მოტივაცია. მაგ., გარკვეული პირის მოკვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, როგორც წესი, სრულდება მაშინაც კი, როცა სიტუაცია უკიდურესად იძაბება ანუ მატულობს დამნაშავის დაკავებისა და ამოცნობის ალბათობა. ინდივიდში აღმოცენდება **მოჩვენებითი ტრანზიტულობის** ფენომენი. ამ დროს იგი ითვალისწინებს ქმედების ოპტიმალურობისათვის კრიტერიუმთა ერთ ნაწილს, მაგრამ დანარჩენს ტოვებს უყურადღებოდ, რაც თავისთავად წარმოადგენს დანაშაულის ინდივიდუალიზირებულ კვალს, რომელიც ხელს უწყობს დამნაშავის პიროვნების იდენტიფიკაციას. არ არსებობს დანაშაული, რომელიც ყოველმხრივ შეესატყვისება მოქმედების აბსოლუტურად ყველა პარამეტრს.

დანაშაულის ჩადენისას მოულოდნელად შეცვლილი პირობები არაიშვიათად იწვევენ ე.წ. თანმხლები გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც გამოირჩევა მაღალი კატეგორიულობითა და დაბალი ტრანზიტიულობით.

➢ დანაშაულის განხორციელება. დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ხერხები

დანაშაულებრივი ქმედების დაწყებამდე დამნაშავე აანალიზებს მისი შესრულების პირობებს, ცხოველ ინტერესს იჩენს ყველაფრისადმი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს დანაშაულებრივი განზრახვის რეალიზაციას ან პირიქით, გააადვილოს ქმედების განხორციელება.

ზოგჯერ, დანაშაულებრივი ქმედების დაწყებისთანავე, დამნაშავე აღმოაჩენს მიღებული გადაწყვეტილების მცდარობას(მაგ., შეცდომა ობიექტის, დროისა და ადგილის, დანაშაულის იარაღის ამორჩევასთან დაკავშირებით). ამ შემთხვევაში პირმა შეიძლება უარი თქვას

დანაშაულზე ან გადადოს სამომავლოდ. თუკი დანაშაულის ჩადენის გარემოება შეესატყვისება დამნაშავის მოლოდინებს, მისი მოქმედება ხორციელდება სტერეოტიპულად, მისთვის დამახასიათებელი, ჩვეული ხერხებით.

დანაშაულის ჩადენის გზაზე, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გაფართოვდეს დანაშაულებრივი მოტივაციის რეალიზაციის შესაძლებლობები, ჩამოყალიბდეს დამატებით ახალი დანაშაულებრივი მიზნები, გამტკიცდეს მოქმედების გადაწყვეტილება.

დანაშაულის შუალედური რეზულტატი შეიძლება გამოვიდეს ახალი დანაშაულის ჩადენის პირობის, საბაბისა და მოტივის რანგში. მომდევნო დანაშაული შეიძლება მოხდეს წინმსწრების დაფარვის მიზნით. მაგ., დანაშაულის ადგილზე შემთხვევითი მოწმის მოკვლა.

დანაშაულის შესრულების მექანიზმი გამოიხატება დამნაშავის მიერ გახორციელებული მოქმედებების ხერხების სისტემაში.

ცნობილია, რომ დანაშაულის ჩადენის ხერხი იძლევა მისი გახსნის გასაღებს. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია, დანაშაულის მეთოდის ფსიქოლოგიური არსის განსაზღვრა. ამიტომ არ არის საკმარისი მხოლოდ მისი შემადგენელი კომპონენტების ჩამოთვლა (მაგ., საცავში შეღწევა მოხდა სპეციალური გასაღებით, მკვლელობა ჩადენილია ცივი იარაღის გამოყენებით და ა.შ.).

ხერხი – ეს არის მოქმედების ოპერაციონალური კომპლექსების სისტემა, გაპირობებული მიზნითა და მოტივებით, ქცევის ფსიქოლოგიური და ფიზიკური თავისებურებებით. მოქმედების ხერხში გამოიკვეთება ინდივიდის ფსიქოფიზიოლოგიური და ქარაქტეროლოგიური ნიშან–თვისებები, მისი ცოდნა, უნარები, ჩვევები, შესაძლებლობები და გარე-სინამდვილის სხვადასხვა სფეროსადმი დამოკიდებულება. ყოველ ადამი-

ანს აქვს მოქმედებათა ხერხების გაზოგადებული სისტემა, რაც მეტყველებს მის ინდივიდუალურ თავისებურებებზე.

მოქმედების ხერხისადმი ფსიქოლოგიური მიდგომისას უნდა გამოიყოს დამნაშავის ქცევის არსებითი თვისებები, მისი მოქმედების ფსიქოლოგიური სპეციფიკურობა.

ქმედების განხორციელების ხერხი მჭიდრო კავშირშია ინდივიდის ფიზიკურ და ფუნქციონალურ შესაძლებლობებთან. ყოველ დანაშაულს აქვს თავისი სისტემური ნაკრები – მოქმედებათა და ოპერაციათა კომპლექსი. დანაშაულის ჩადენის ხერხი უნდა გავაიგივოთ ინდივიდუალურად სტერეოტიპიზირებულ ქცევით მექანიზმთან, რომელიც აისახება გარემოში, ანუ დანაშაულის კვალში. **ქმედების ხერხი წარმოადგენს ინდივიდის ფსიქიკური და ფსიქოფიზიოლოგიური საშემსრულებლო სტერეოტიპების რეალიზაციას მიზნის მიღწევის გარკვეულ პირობებში.** ეს კომპლექსები ისევე ინდივიდუალიზირებულია, როგორც მაგალითად თითის ანაბეჭდი და ყოველთვის ტოვებენ კვალს დანაშაულის ადგილზე.

ხშირად, ემზადება რა დანაშაულისათვის, პირი გულმოდგინედ ამუშავებს მისი დაფარვის ხერხებსაც – იგონებს ცრუ ალიბს, მიმართავს დეზინფორმაციის სხვადასხვა ხერხებს, სპობს დანაშაულის კვალს. დამნაშავე, როგორც წესი, გამომძიებლის ნაცვლად აზროვნებს, ახდენს მისი მსჯელობების რეფლექსიას. მაგრამ თვით დამნაშავის საქმიანობაც დანაშაულის დამალვასთან დაკავშირებით, ასევე იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას მის ინდივიდუალურ ფსიქიკურ თავისებურებებზე და წარმოადგენს დანაშაულის გახსნის ერთერთ წყაროს.

ამგვარად, დანაშაულის ჩადენის ხერხი აუცილებლად უკავშირდება დამნაშავის პიროვნების დანაშაულისწინარე და დანაშაულის შემდგომი ქცევის თავისებურებებს. მოქმედების ინდივიდუალური ხერხების განუმეორებლობა, ყოველი დანაშაულის ქცევითი უნიკალურობა ანუ დამნაშავის პიროვნული ანაბეჭდი, ყოველთვის რჩება დანაშაულის ადგილზე.

○ დანაშაულის შედეგები

დანაშაულებრივი ქმედების რეზულტატი სამართლებრივი და ფსიქოლოგიური კუთხით, დანაშაულებრივი ქცევის შედარებით მნიშვნელოვანი კომპონენტია. განსაკუთრებით არსებითია ინდივიდის დამოკიდებულება მიღწეული დანაშაულებრივი შედეგისადმი. ეს მიმართებები განსხვავებულია – დაწყებული გულწრფელი სინანულიდან, მიღწეულით ღრმა კმაყოფილებამდე.

ამდენად, მიღწეული შედეგებით დაკმაყოფილება თუ დაუკმაყოფილებლობა იწვევს ახალი დანაშაულებრივი მიზნების გაჩენას ან დანაშაულებრივი საქმიანობის შეწყვეტას. დანაშაულებრივი შედეგის დადებითი პიროვნული შეფასება წარმოადგენს პიროვნების ღრმა კრიმინალურ დეფორმირებულობას, ქცევის დანაშაულებრივი ტიპის ძირითად წანამძღვარს. მიღებული რეზულტატის ნეგატიურმა სახემ კი შესაძლოა გამოიწვიოს სინდისის ქენჯნა, დამნაშავეობის გრძნობა და მონანიება, რასაც ხშირ შემთხვევაში მოსდევს ინდივიდის მხრიდან უარი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე.

4. წინასწარი გამოძიების ფსიქოლოგია

4.1. გამომძიებლის პიროვნების ფსიქოლოგიური თავისებურებები

სამძებრო საქმიანობის მიზანს შეადგენს სამართალდარღვევისას ჭეშმარიტების დადგენა და დამნაშავეების სამართლისათვის გადაცემა. ეს მიზანი გამომძიებლის შემეცნებით–ძიებითი საქმიანობის პროცესში ხორციელდება.

გამომძიებლის საქმიანობა ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: გამოძიების ვადებისა და საშუალებების პროცესუალური რეგლამენტირებულობით; გამომძიებლის სოციალური როლის მაღალი ფორმალიზებულობით; რიგ შემთხვევაში, გამოძიების საწყის სტადიაზე ამომავალი ინფორმაციის უკმარისობით; პრაქტიკული ოპერატიულობით(ერთი მოქმედების პრაქტიკული შედეგები წინასწარ განსაზღვრავენ მეორე მოქმედების არჩევანს); დაინტერესებულ პირთა მხრიდან შესაძლო წინააღმდეგობის გადალახვით; გარკვეული უფლებამოსილებით; ფართო სოციალური კომუნიკაბელურობით; მიღებული გადაწყვეტილებებისადმი ამაღლებული პასუხისმგებლობით.

გამომძიებლისთვის მინიჭებულმა უფლებამოსილებებმა შეიძლება შექმნას მისი საქმიანობის ბრალდებითი მიმართულების ილუზია, ზოგ შემთხვევაში კი გამოიწვიოს შესაბამისი პროფესიული დეფორმაცია. ამასთან, გამომძიებლის ფუნქციას არ წარმოადგენს არც ბრალდება და არც დაცვა. არამედ მისი ვალია გამოძიების პროცესში ჭეშმარიტების ძიება საქმის ვითა-

რების სრული, ობიექტური და ყოველმხრივი გამოკვლევის საშუალებით.

კანონი გამომძიებელს უკრძალავს გამოიყენოს ფსიქიკური ზეწოლა, პირდაპირი ან ირიბი შთაგონება, ტყუილი დაპირება, შანტაჟი, დაშინება, ფიზიკური შეურაცხყოფა, ეჭვმიტანილის დამცირება. მას ეკრძალება მოწმეს, დაზარალებულს, ამომცნობს დაუსვას მისახვედრი კითხვები. სამართლიანობა, ობიექტურობა, ბრალდებითი მიმართულების თავიდან აცილება, კანონის განუხრელი რეალიზაცია – ეს არის სამძებრო საქმიანობის ძირითადი მოთხოვნები. პლატონის მიხედვით, კანონის დამცველისათვის მთავარია: თავმდაბლობა, კეთილსინდისიერება, სიმამაცე, სიბრძნე, კეთილშობილება, მოუსყიდველობა, კარგი სახელი.

მუშაობის მაღალი დაძაბულობა განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს გამომძიებლის ფსიქიკურ ორგანიზაციას. გამოკვლევების თანახმად, მათი 1/5 ვერ უძლებს მუშაობის რიტმსა და დატვირთვას.

გამომძიებლის პროფესიის მნიშვნელოვანი ნერვულ–ფსიქიკური თავისებურებებია:

- **სენზიტიურობა** – გარეგანი გამღიზიანებლებისადმი მომატებული ნერვულ–ფსიქიკური მგრძნობელობა;
- **ემოციური მდგრადობა;**
- **შფოთვის დაქვეითებული დონე** – სახიფათო სიტუაციებში ზომიერი ემოციური აგზნებადობა;
- **რეზისტენტულობა** – გარეგანი და შინაგანი ფსიქოტრავმირებადი პირობებისადმი წინააღმდეგობრიობა;

- **ტოლერანტობა** – ნერვულ–ფსიქიკური გადაღლისადმი გამძლეობა.

გამომძიებლის პიროვნული ნიშან–თვისებებიდან პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ინტელექტუალურ, ნებელობით და კომუნიკაციურ თვისებებს.

გამომძიებლის ინტელექტუალური თვისებები უნდა პასუხობდნენ განვითარებული პიროვნების პრაქტიკული ჭკუის მოთხოვნებს.

პრაქტიკული აზროვნება არ დაიყვანება მხოლოდ თვალსაჩინო-მოქმედებით აზროვნებაზე. გამომძიებლის სააზროვნო მოქმედებას აქვს სპეციფიკური ხასიათი, მაგრამ ეს არაა აზროვნების განსაკუთრებული ფორმა. იგი ემორჩილება ზოგად–ფსიქოლოგიურ და ლოგიკურ კანონზომიერებებს. მისი აზროვნება უნდა იყოს ოპერატიული ანუ ინტელექტუალური ოპერაცია, რომელიც მუდმივად კორექტირდება პრაქტიკული საქმიანობის პირობების და შედეგების მიხედვით. გამომძიებლის ინტელექტისათვის პროფესიულად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამჭრიახობა და **რეფლექსიურობა** ანუ ადამიანის გაგების და მათი შესაძლო მოქმედების განჭვრეტის უნარი.

გამომძიებლის ჭკუა უწყვეტ კავშირშია პრაქტიკასთან და მუდმივი გამოცდის ქვეშაა. სწორედ აქედან გამომდინარეობს გამომძიებლის პრაქტიკული აზროვნებისათვის არსებითი მაღალი პასუხისმგებლობა და დაძაბულობა. სასურველია, იგი ფლობდეს დაკვირვების უნარსაც.

დანაშაულის გახსნისას გამოძიებისათვის მნიშვნელოვანია სწორი სურათის აღდგენა განსაზღვრული ნიშნების მიხედვით. ასხვავებენ მტკიცებულებათა ორ სახეს – პირდაპირსა და ირიბს. თუ ადამიანმა ნახა მკვლელობა, მისი მონაყოლი პირდაპირი სამხილია. ასე-

თი მტკიცებულება ძალზე იშვიათად გვხვდება. უმრავლეს შემთხვევაში, საქმე გვაქვს მონმეთა ისეთ ჩვენებებთან, რომლებიც აგვიწერენ მოკლულის ცხოვრების წესს, მის ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან, ფსიქიკურ მდგომარეობას სიკვდილის წინ, მკვლელობის ადგილსა და დროს, გვამის მდებარეობას და ა.შ. ეს ირიბი მტკიცების ფორმებია, რომლებიც გამომძიებელმა ჭეშმარიტ სამხილად უნდა აქციოს.

გამომძიებელს უფრო ხშირად საქმე აქვს დანაშაულის გარკვეულ კვალთან. მაგრამ, კვალი შეიძლება აუხსნელი დარჩეს, თუ არ ვიცით მისი გამომწვევი ფაქტორები. ასხვავებენ მატერიალურ და ფსიქიკურ კვალს, რამდენადაც ყოველი დანაშაულებრივი ქმედება აისახება მატერიალურ გარემოსა და ადამიანის ფსიქიკაში.

მატერიალურმა კვალმა შეიძლება მოგვცეს ინფორმაცია ადამიანის ანთროპოლოგიური და ფუნქციურ–ფსიქოლოგიური თავისებურებების, მის მიერ განხორციელებული მოქმედებების თანმიმდევრობის, მოძრაობების დინამიკური მახასიათებლების – ამპლიტუდა, სიჩქარე, ძალა – შესახებ. მატერიალური კვალი(მაგ., იარაღით დატოვებული) ზოგ შემთხვევაში საშუალებას იძლევა განისაზღვროს დამნაშავის პროფესია, ასაკი, სიმაღლე, ფიზიკური ძალა, ცაციაობა და სხვ.

ძიებითი შემეცნების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ გამომძიებელი იკვლევს როგორც უშუალოდ აღქმულ მოვლენას, ისე ფსიქიკაში აღბეჭდილ კვალს.

გამომძიებელს ხშირად საქმე აქვს აღქმის თუ მეხსიერების ნებით ან უნებლიე შეცდომებთან. ასევე ხშირია დამნაშავეთა მიერ კვალის დაფარვის და გამოძიების მცდარი მიმართულებით წაყვანის მცდელობები.

ასეთი გამოცანების ამოსახსნელად აუცილებელია მათი გამომწვევი მიზეზების ცოდნა.

ფსიქიკური კვალი(ხატი) ვლინდება გამოკითხვის მეთოდით. ამისათვის ხორციელდება შესაბამისი საგამოძიებო ქმედებები – დაკითხვა, დაპირისპირება, სასამართლო ფსიქოლოგიური ექსპერტიზა. გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მატერიალურისაგან განსხვავებით, ფსიქიკური კვალი არასტაბილურია, ცვალებადია, ფრაგმენტულია და აქვს წაშლის ტენდენციები. გამომძიებელს უნდა ახსოვდეს, რომ ადამიანები მოვლენებს ასახავენ სუბიექტურად, პიროვნული და სიტუაციური ზეგავლენების, დახსომების და აღდგენის თავისებური რეკონსტრუქციის მიხედვით. ისინი ხშირად მთავარს მეორეხარისხოვნისგან ვერ განასხვავებენ. ამიტომ გამომძიებლისთვის მნიშვნელოვანია მოვლენის დეტალების ზუსტი ანალიზი.

მტკიცებულებათა მიღების ერთ-ერთ ძირითად ხერხს წარმოადგენს იდენტიფიკაცია(გაიგივება). ამ შემთხვევაში ხდება "ერთზე დაყვანა", რომ არ დარჩეს ადგილი ეჭვისათვის. ამ ვითარებას ართულებს ის, რომ სამძებრო ამოცანა გამოირჩევა საკვლევი ზონის განუსაზღვრელობით. ასეთ ვითარებაში აუცილებელია ამოცანის გადაჭრის განსაკუთრებული მექანიზმი – ევრისტიკული აზროვნება: სიტუაციის მოდელირება, მისი განვითარების განჭვრეტა. ეს პროცესი ხორციელდება კონცეპტუალური ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე.

გამომძიებლის აზროვნება ემყარება ჰიპოთეზას(ვერსიას). იგი იძლევა მაღალ ალბათურ ინფორმაციას საგნებსა და მოვლენებს შორის არსობრივი კავშირების შესახებ. ყველა საბოლოო დასკვნის შემოწმება შესაძლებელი უნდა იყოს ფაქტების სისტემის მეშვეო-

ბით. გამომძიებლის ამოცანაა ჭეშმარიტება **თავის-თვის**-გადააქციოს ჭეშმარიტებად **ყველასათვის.**

მუშაობის პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გამომძიებლის პროფესიულ ინტუიციას, როცა ხდება სიმართლის პირდაპირი წვდომა მსჯელობათა სისტემის გაშლის გარეშე. ინტუიციას ხშირად თან ახლავს მისტიკური იდუმალება, თუმცა იგი აზროვნების თავისებური ტიპია, როცა პროცესის ცალკეული რგოლები არაა გაცნობიერებული, მაგრამ ნათლად ცნობიერდება აზრის შედეგი.

გამომძიებლის ინტელექტუალური თვისებები უნდა შეესაბამებოდნენ მის პროფესიულ და ქარაქტეროლოგიურ თავისებურებებს. მათ შორის პირველ ადგილზეა ღირებულებითი ორიენტაციების სისტემა – მისი სოციალური, ზნეობრივი პოზიციები, მოქალაქეობრივი და სამსახურებრივი მოვალეობების გრძნობები და ა.შ.

გამომძიებლის პროცესუალური და სამსახურებრივი დამოუკიდებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, მისგან მოითხოვს ინიციატურობას, ორგანიზებულობასა და პასუხისმგებლობის მაღალ დონეს.

მინიჭებულმა უფლებამოსილებამ შესაძლოა გამოიწვიოს და განამტკიცოს ისეთი ნეგატიური პიროვნული თავისებურებები, როგორიცაა ქედმაღლობა, უხეშობა, ამპარტავნობა, ყოყოჩობა, ემოციური გულქვაობა. აგრეთვე მუდმივმა დაქვემდებარებამ რეგლამენტაციისადმი შეიძლება ხელი შეუწყოს მის პიროვნებაში რიგიდულობის, მოუქნელობის, შაბლონური გადაწყვეტილებებისადმი მიდრეკილების, ფორმალიზმის ჩამოყალიბებას, ხოლო ასოციალურ გამოვლინებებთან მუდმივმა შეხებამ კი მასში ჩამოაყალიბოს აქცენტუი-

რებული ეჭვიანობა, საქმიანობაში ბრალდებითი მიმართულება, აკვიატებულობა. ხშირად, აღმოცენებული დროის დეფიციტი იწვევს აჩქარებულობას, ზედაპირულობას, ცალკეული პროცესუალური მოთხოვნის იგნორირებას. უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი შესაძლო პიროვნულ–პროფესიული დეფორმაციები აუცილებლად აღმოიფხვრება გამომძიებლის თვითკონტროლის განვითარებისა და გაძლიერების შედეგად.

იმყოფება რა მუდმივად ემოციოგენურ პირობებში, გამომძიებელი უნდა ავლენდეს რაციონალურობას, ემოციურ მდგრადობას, აზროვნებდეს ცივი გონებით, ფლობდეს თვითდარწმუნების, თვითდამშვიდების, თვითკონტროლის ხერხებს. მიზანშეწონილია ექსტრემალურ სიტუაციებში გამომძიებელში დომინირებდეს სტაბილურობის განწყობა, რათა მან გადალახოს წარუმატებლობის შიში. რაც მთავარია, გამომძიებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ **მისი ამოცანაა ბრძოლა არა ადამიანის წინააღმდეგ, არამედ ადამიანის დასაცავად.**

4.2. გამომძიებლის შემეცნებით-სამძებრო საქმიანობა და ევრისტიკა

გამომძიებლის შემეცნებით-სამძებრო საქმიანობა შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: 1. სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე(შემოწმებითი მოქმედებები შემოსულ განცხადებებთან დაკავშირებით); 2. საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება სისხლის სამართლის აღძვრის შემდგომ.

წინასაგამომძიებო მოქმედებები პროცესუალურად არ არის შეზღუდული, საგამოძიებო საქმიანობა კი

ხორციელდება პროცესუალური მიმდევრობით. ის დაკავშირებულია დასაბუთების პროცესთან ანუ გარემოებების შესახებ იმ ფაქტობრივი მონაცემების შეგროვებასთან, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის გახსნისათვის. ეს მონაცემები დადგენილი თანმიმდევრულობით თავმოყრილია საქმის მასალებში .

მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება: დანაშაული, განსაზღვრული პირის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში, დანაშაულის მოტივები, დამნაშავეთა პასუხისმგებლობის ხარისხი, მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულს, მიყენებული ზარალის ხასიათი და ოდენობა.

დამამტკიცებელი მნიშვნელობის მქონე მონაცემები მოიპოვება ნივთმტკიცებებში, მოწმეების, დაზარალებულების, ეჭვმიტანილების, ბრალდებულების ჩვენებებში, ექსპერტთა დასკვნებში, საგამოძიებო მოქმედებების პროტოკოლებში.

მტკიცებულებები წარმოადგენენ ფაქტობრივ ცნობებს იმ გარემოებების შესახებ, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეთა სწორად წარმართვაში. ყოველი სახის მტკიცებულების მიღებისათვის კანონი ადგენს საკუთარ წესებს. ამ წესების იგნორირება იწვევს კანონიერების დარღვევას და, შესაბამისად, ამა თუ იმ მტკიცებულების მნიშვნელობის შემცირებას ან საერთოდ დაკარგვას.

მტკიცებულება შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. კანონი არ ანიჭებს უპირატესობას რომელიმე სახის მტკიცებულებას. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა დასკვნების შეფასება ხდება გამომძიებლის მიერ, ბრალდებულის ჩვენებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს საქმეზე გამოტანილ დასკვნებს. გამოძიება,

პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო მტკიცებულებების შეფასებისას ეყრდნობიან მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, ხელმძღვანელობენ კანონით და სამოქალაქო მართლშეგნებით.

დანაშაულის გამოძიების პროცესი იყოფა მოსამზადებელ, საწყის, ძირითად და დასკვნით ნაწილებად. ეს ეტაპები შეადგენენ სამძებრო საქმიანობის ზოგად სტრუქტურას, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული ცალკეული რგოლებისაგან. გამოძიების ყოველ ეტაპზე გადაიჭრება ამ ეტაპისთვის არსებითი ამოცანები, ხორციელდება შემეცნებით-სამძებრო საქმიანობა. მაგალითად, **მოსამზადებელ ეტაპზე** გამომძიებელი ასრულებს შემოწმებით მოქმედებებს, აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს.

გამოძიების **საწყის ეტაპზე** ხდება შემოწმებითი მოქმედებების შედეგად გამოვლენილი ფაქტების პროცესუალური განმტკიცება; ასევე გამოვლინდება ინფორმაცია, რომელიც საჭიროა შემდგომი დასაბუთებისათვის; დგინდება აღმოცენებული საგამოძიებო სიტუაციის ტიპი; ხორციელდება გამოსაძიებელი მოვლენების ალბათური მოდელირება ანუ წინ წამოიწევა დასაბუთებული ვერსია.

გამოძიების **ძირითად ეტაპზე** იქმნება სრული და ობიექტური გამოძიებისათვის აუცილებელი მტკიცებულებების ბაზა. ამ მიზნით, მოწმდება ყველა ვერსია; ახალი ინფორმაციის მიღებისათვის იძებნება სხვა შესაძლებლობები; გამოიყენება როგორც ადრე არსებული ცნობები, ასევე ინფორმაციის ახალ-ახალი წყაროები. ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა კრიმინალისტური ექსპერტიზის თანამედროვე შესაძლებლობებს ენიჭება.

გამოძიების განვითარება – ინფორმაციული ქსელის განვითარებაა, რომელსაც უნარი შესწევს მოიცვას გამოსაძიებელი მოვლენის ყველა იურიდიულად რელევანტური მხარე. საგამოძიებო შემეცნება "ფაქტები-შედეგებიდან" გადადის "ფაქტებ-პირველმიზეზებზე". გამოძიების ძირითადი ეტაპი სრულდება მტკიცებულებათა სისტემის მიღებით, რომელიც სრულად ასაბუთებს საგამოძიებო ვერსიას. რაიმე წინააღმდეგობის ან გაუგებრობის არსებობა მეტყველებს მოცემული ეტაპის დაუსრულებლობაზე.

დასკვნით ეტაპზე ხორციელდება გამომძიებლის შემეცნებითი საქმიანობის სინთეზი, საქმის წარმოების დასრულებასთან დაკავშირებული აუცილებელი პროცესუალური მოქმედებების, შედეგების ჯამური შეფასება, რომელიც დასამტკიცებლად გადაეცემა პროკურორს, შემდეგ კი სასამართლოს.

საგამოძიებო საქმიანობის სასტარტო ბაზაა პრობლემური საგამოძიებო-სამძებრო სიტუაცია ანუ შემთხვევებისა და გარემოებების ერთობლიობა მნიშვნელოვანი ინფორმაციული ხარვეზებით, რომელთა ლიკვიდაციაც მოითხოვს გამომძიებლის მიერ სამძებრო–შემეცნებითი საქმიანობის განხორციელებას.

საგამოძიებო სიტუაციები შესაძლოა იყოს მარტივი, რაც მოითხოვს ცნობილ ალგორითმულ გადაწყვეტილებებს(მაგ., ბუღალტრის მიერ ფულის გაფლანგვა). მაგრამ საგამოძიებო სიტუაცია პრობლემური ხდება დამნაშავის პიროვნების და დანაშაულის ჩადენის მექანიზმის არცოდნის შემთხვევაში. მსგავს შემთხვევებში გამოძიება მოითხოვს ევრისტიკული სტრატეგიებს, ტაქტიკური ხერხების გამოყენებას, რაზედაც ქვემოთ იქნება საუბარი

საწყისი საგამოძიებო სიტუაციისათვის პრობლემატურობა არ არის იშვიათი. ამით გამოირჩევა ის სხვა დანარჩენი სიტუაციებისგან, რომელიც აღმოცენდება გამოძიების ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლისას.

გამოძიების საწყისი ეტაპის წარმატებულობა დამოკიდებულია გამომძიებლის მიერ საძიებო სიტუაციის ადეკვატურ ასახვაზე; სიტუაციის ტიპის სწორად განსაზღვრის უნარზე; ძირითადი პრობლემის ხედვაზე; უცნობისა და ცნობილის შეთანაწყობის ხერხზე და, უპირველეს ყოვლისა, გადასაჭრელი ამოცანების სისტემის სწორად მოხაზვაზე.

ყოველი პრობლემა, თავისთავად, რაღაც წინააღმდეგობრიობას შეიცავს. ის შეიძლება გამოვლინდეს ფაქტების შეუსაბამობაში, ერთიან კონცეპტუალურ სისტემაში მათი გაერთიანების შეუძლებლობაში. როცა უცნობია საჭირო ინფორმაციის წყაროები, გამომძიებელი ძიების საგნად თვით ინფორმაციის მიღების ხერხს თვლის.

გამოძიების პრაქტიკაში საწყისმა შემეცნებითპრობლემატურმა სიტუაციამ შეიძლება კონფლიქტური ხასიათი შეიძინოს. მაგ., როცა გამოძიება მიზანმიმართულად ჭიანურდება დაინტერესებული პირების მიერ. ამ დროს შემეცნებასთან ერთად გამომძიებელი ახორციელებს სოციალურ-კომუნიკატორულ საქმიანობას, რომლის წარმატებაც ზეგავლენას ახდენს გამოძიების მთელ მიმდინარეობაზე.

პრობლემური სიტუაციები არ იყოფა რთულად და მარტივად – ყველა მოითხოვს გამომძიებლის მხრიდან მნიშვნელოვან ინტელექტუალურ პოტენციალს, მისი აზროვნების კრეატულობას ანუ არასტანდარტულ სიტუაციებში სტრატეგიულად სწორი მოქმედების უნარს.

როგორც აღინიშნა, საწყისი ინფორმაციის დეფიციტი გამომძიებლისგან ევრისტიკულ გადაწყვეტილებების განხორციელებას მოითხოვს

ევრისტიკის საჭიროება აღმოცენდება იმ შემთხვევებში, როდესაც ძიების ზონა განსაკუთრებით ფართოა, ხოლო საწყისი მონაცემები კი – შეზღუდული. ევრისტიკული ძიება გულისხმობს ძიების ვიწრო ზონაში ოპტიმალური მიმართულების განსაზღვრას, მინიმალური საშუალებების შერჩევას მაქსიმალური შედეგის მისაღწევად.

ევრისტიკული სტრატეგიები – ესენია ადამიანის საქმიანობის ხერხები მრავალალბათური დასასრულის მქონე სიტუაციებში, მოქმედების ზოგადი წესები, რომლებიც ხელს უწყობენ გარკვეული კლასის ამოცანების გადაჭრის პროცესს.

არსებობს ევრისტიკის შემდეგნაირი წესები:

- სიტუაციაში, სადაც პირველსაწყისად ცნობილია გადაწყვეტილების მხოლოდ ერთი ვარიანტი, მიზანშეწონილი არ არის მისი დაუყოვნებლივ მიღება, რადგან შესაძლოა არსებობდეს სხვა ვარიანტიც; მხოლოდ გადაწყვეტილებების ვარიანტების შედარება იძლევა საუკეთესოს ამორჩევის შესაძლებლობას;
- რაც უფრო სპეციფიკურია მოვლენა, მით მეტია მისი ინფორმაციული მნიშვნელობა;
- გ.მოვლენასთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია უნდა იყოს ინტეგრირებული;
- ბაზისური და ოპერატიულად მიღებული ინფორმაცია უნდა ექვემდებარებოდეს კლასიფიცირებას და შეფასებას: ხშირად ადამიანები ერთნაი-

რად რეაგირებენ როგორც ძალიან მნიშვნელოვან, ისე ნაკლებღირებულ ინფორმაციაზე.

- საგამოძიებო ამოცანები დინამიკური ამოცანებია. დინამიკურ ამოცანებში არსებობს ახალი მონაცემების გენერაციის წყაროები. მაგრამ დამატებით ცნობებს აქვთ ტენდენცია "ჩაახშონ" პირველადი ინფორმაცია. აქედან გამომდინარეობს ევრისტიკული წესი –თვალთახედვის არეალში გქონდეს მთელი საწყისი ინფორმაცია.

როგორც წესი, გამომძიებელი, ბუნდოვანი ელემენტების მქონე სტრუქტურის სამძებრო ამოცანებს წყვეტს. ეს ელემენტები ხშირად მრავალმნიშვნელოვანია და იცვლება თვით ამოცანების გადაჭრის მიმდინარეობისას. გამომდინარე აქედან რეკომენდებულია ძიების შემდეგი ევრისტიკული მეთოდების გამოყენება:

1.სიტუაციის დროებითი გამარტივება; 2.ცალკეული მაგალითების ანალიზი; 3."უკიდურესი შემთხვევების" განხილვა; 4.ამოცანის მოთხოვნების ხელახალი ფორმულირება;. 5.გასაანალიზებელ გარემოში ზოგიერთი შემადგენლის დროებითი ბლოკირება; 6.შედარებით სარწმუნო გზების ამორჩევა; 7.ანალოგიების გამოყენება; 8.ინფორმაციულ წყვეტილებზე "ნახტომის" გაკეთება.

ევრისტიკული აზროვნების პროდუქტიულობა დამოკიდებულია იმ ინფორმაციის გაცხრილვასთან, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს საქმესთან.

შესაძლებელია, გამომძიებელმა იდეალური სტრატეგიიდან დაუშვას შემდეგი გადახრები. მაგ., 1) ჭარბი ვარაუდების დაშვება, რაც ართულებს გამომძიებლის მუშაობას; 2) ლოგიკურად ზედმეტი ობიექტის ამორჩევა; 3) ტიპურ სიტუაციებში საგამოძიებო საქმიანობის

სტანდარტების ჰიპერბოლიზაცია, შემთხვევის სპეციფიკური თავისებურებების იგნორირება.

იდეალური სტრატეგია მდგომარეობს ისეთი მოქმედებების თანმიმდევრობაში, რომელთაგან თითოეული მაქსიმუმალური ინფორმაციის მიღებას უზრუნველყოფს.

ობიექტურად განპირობებული პირველადი მოქმედების სწორი არჩევანი წარმოადგენს სტრატეგიულად მნიშვნელოვან და დასაბუთებულ არჩევანს.

საწყისი კრიმინალისტიკური ინფორმაცია, როგორც წესი, კოდირებულია. მხოლოდ მისი დეკოდირება ბადებს მამტკიცებლებს, ავლენს კავშირს გამოკვლევის ობიექტებსა და დამტკიცების საგანს შორის. ამისათვის გამომძიებელმა აუცილებელია: 1.აღმოაჩინოს; 2.ამოიცნოს; 3.ინტერპრეტირება გაუკეთოს და 4.შეაფასოს კრიმინალისტიკურად მნიშვნელოვანი საინფორმაციო სიგნალები და გააერთიანოს ისინი ინფორმაციულ სისტემაში.

აანალიზებს რა საწყის – საინფორმაციო სიტუაციას, გამომძიებელი აფართოებს ინფორმაციის ველს ანუ ხსნის ნათელი ინფორმაციის მიღმა დამალულ ლატენტურ ინფორმაციას; ზოგადი წარმოდგენების საფუძველზე განსაზღვრავს მისი მიღების შესაძლო წყაროებს; ავლენს იმ პირების, დოკუმენტების, საგნების წრეს, რომელნიც შეიძლება ატარებდნენ ფარულ ინფორმაციას. განსაკუთრებით ინფორმაციულია შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი გარემოება, მოწმეების, დაზარალებულების დაუყოვნებლივი გამოკითხვა და ა.შ.

არააშკარა დანაშაულების გამოძიებისას ძირითადი ევრისტიკული სირთულე მდგომარეობს "შენიღბული"

დამნაშავის პიროვნების განსაზღვრაში ("გამოთვლაში").

ამ შემთხვევებში გამოიყენება შემდეგი ევრისტიკები:

- მოიძებნოს ინფორმაცია დამნაშავის შესახებ შემთხვევის ადგილზე, შემთხვევის ადგილიდან და შემთხვევის ადგილისაკენ მისი მოძრაობის გათვალისწინებით;
- გაანალიზდეს ოპერატიული ინფორმაცია მოცემულ რეგიონებში მოქმედი კრიმინოგენური პირების შესახებ;
- გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სპეციალისტების სამეცნიერ–შემეცნებითი საქმიანობის შედეგები და თანამედროვე კრიმინალისტიკური ექსპერიზის შესაძლებლობები;
- მოიძებნოს ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეებში ანალოგიური გაუხსნელი დანაშაულებების შესახებ;
- მოკვლეულ იქნეს ინფორმაცია დანაშაულის ჩადენის ანალოგიური ხერხების შესახებ;
- გამოვლინდეს და გამოიკითხოს დანაშაულის შესაძლო მოწმეები, ზოგ შემთხვევაში კი ჩატარდეს იმ რეგიონის მოსახლეობის გამოკითხვა, სადაც ჩადენილი იქნა დანაშაული;
- შეგროვდეს და გაანალიზდეს ინფორმაცია ეჭვმიტანილი პირების ქცევასთან დაკავშირებული სამხილების შესახებ.

4.3. ინფორმაციული მოდელირება საგამოძიებო საქმიანობაში

❖ საგამოძიებო სიტუაციების ტიპოლოგია

ყველა არასტანდარტული ამოცანის გადაჭრის ზოგად ხერხს წარმოადგენს ინფორმაციული მოდელირება.

ინფორმაციული მოდელი – ეს არის სპეციალურად შექმნილი, აზრობრივად წარმოდგენილი სისტემა, რომელიც ასახავს პრობლემური სიტუაციის ელემენტებს და იძლევა ამ ელემენტების გარდაქმნის (გადასხვაფერების) უფლებას.

ინფორმაციული მოდელები შეიძლება იყოს ალბათური და სარწმუნო.

ალბათური ინფორმაციული მოდელები, როგორც წესი, დინამიკურია. ინფორმაციის დაგროვებასთან ერთად ისინი იცვლებიან, აღიჭურვებიან მყარი, ხისტი ელემენტებით და მათი ალბათობა უფრო და უფრო მცირდება. ალბათური ინფორმაციული მოდელი თანდათანობით უახლოვდება სარწმუნო ინფორმაციულ მოდელს.

ინფორმაციული მოდელი ძიების საშუალებაა. მოდელის სტრუქტურით გაპირობებული კითხვები წარმართავენ გამომძიებლის შემეცნებით ძიებას. ხელახლა მიღებული ინფორმაცია იქცევა ახალი ინფორმაციის ძიების საშუალებად.

რთული და ნაკლები ინფორმაციის შემცველი შემთხვევების გამოძიებისას გამომძიებელი საკუთარ მოქმედებებს ორგანიზებას უკეთებს ჰიპოთეზით ანუ ვერსიით.

ვერსია წარმოადგენს ალბათური მოდელირების გზით მიღებულ გამოძიების ევრისტიკულ მექანიზმს.

გამოსავლენი გარემოებების განსაზღვრისას, ვერსია გამოძიებას ზოგად მიმართულებას ანიჭებს, განაპირობებს საგამოძიებო მოქმედებების განსაზღვრულ სისტემას და ყოველი საგამოძიებო ქმედების ტაქტიკურ ამოცანებს.

ვერსიას სისტემაში მოჰყავს ნაკლული ინფორმაციის წყაროების ძიება; განსაზღვრავს იმ ინფორმაციის საორიენტაციო შინაარსს, რომლის მიღებაც მოხდება საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობისას. რთულ, ჩახლართულ მოვლენათა ლაბირინთში, ვერსიები გამომძიებელს ემსახურება როგორც მაორიენტირებელი "ინსტრუმენტი". ისინი, "მზის სხივის" მსგავსად, აშუქებენ საგამოძიებო მოქმედებების განსხვავებულ, შედარებით პერსპექტიულ მიმართულებებს.

საგამოძიებო ვერსიები იგება დანაშაულის შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით. მაგ., ვერსიაში დანაშაულის ჩადენის ხერხი ერთიანდება დანაშაულის სუბიექტის შესახებ ვარაუდთან, რომელიც აუცილებლად უკავშირდება დანაშაულის მოტივს. დანაშაულის ჩადენის ხერხის შესახებ ვერსიები იგება დამნაშავის პიროვნების მახასიათებლების გათვალისწინებით და ა.შ.

მხოლოდ რეალურ ფაქტებთან შესაბამისობა ხდის ვერსიას დასაბუთებულს. ვერსია მცდარია, თუკი რომელიღაც რეალური ფაქტი ეწინააღმდეგება მისგან გამომდინარე ძიებას. ვერსიამ უნდა ახსნას ფაქტების შესაძლოდ დიდი რაოდენობა.

ასხვავებენ ზოგად, საწყის, სპეციფიკურ და ტიპობრივ ვერსიებს.

შემეცნებითი როლის მიხედვით ვერსიები შეიძლება დაიყოს მოვლენის მექანიზმისა და არსის ვერსიად და დანაშაულის სუბიექტის შესახებ ვერსიად.

პირველ რიგში შემოწმებას ექვემდებარება ვერსია შემთხვევის არსისა და მექანიზმის შესახებ; მაგ., არ შეიძლება წინ წამოიწიოს მკვლელის პიროვნებაზე ვერსია, თუ თავიდან არ იქნება გარკვეული რა მოხდა – მკვლელობა თუ თვითმკვლელობა.

ვერსია საგამოძიებო – შემეცნებითი საქმიანობის ხერხია იმდენად, რამდენადაც ის საშუალებას იძლევა გამომძიებელმა გამოძიების პროცესში პრაქტიკულად შეამოწმოს გარკვეული მოსაზრებები.

ვერსიული მოდელირება ხორციელდება "ნაბიჯთა" განსაზღვრული სისტემით:

ნაბიჯი 1. წინ წამოიწიოს ყველა შესაძლო ვერსია. მათი მრავალრიცხოვნება ამცირებს ალბათური ვერსიის ხელიდან გაშვების შესაძლებლობას;

ნაბიჯი 2. მკაფიოდ და ნათლად განისაზღვროს ის გარემოებები, რომლებიც ასაბუთებენ ყოველ ვერსიას;

ნაბიჯი 3. გამოირიცხოს დაუსაბუთებული ვერსიები;

ნაბიჯი 4. ყოველ ვერსიაში მოხდეს მტკიცებულებათა "ხვედრითი წონის" რანჟირება(მაგ., სამბალიანი სისტემით);

ნაბიჯი 5. განისაზღვროს პირველსაწყისი საგამოძიებო მოქმედებების სისტემა ყველა გამოთქმული ვერსიის შესამოწმებლად.

საგამოძიებო მოქმედების ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს ვერსიიდან სარწმუნო ცოდნაზე, მოვლენათა ინფორმაციულ-ალბათური მოდელიდან ინფორმაციულ – სარწმუნო მოდელზე გადასვლა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამომძიებლის შემოქმედებითი წარმოსახვის უნარს, რაც გამოიხატება რეალური მოვლენების დინამიკის ხატოვნად

დანახვაში, ამ მოვლენების ნიშან-თვისებების წარმოდგენაში.

ვერსიის პრაქტიკულ შემოწმებამდე გამომძიებელი გონებაში ამოწმებს მოდელირებად მოვლენას. გამომძიებელი მოვლენის მთლიანობაში წარმოდგენიდან გადადის ცალკეული ფაქტების სისტემატიზაციაზე, აფასებს და ხსნის მათ, ეძებს "წყვეტილებს" ჯაჭვში და ინფორმაციული ძიება მიჰყავს სწორედ ამ წყვეტილების ლიკვიდაციისკენ. მაგ., თუკი წამოჭრილია ვერსია, რომ მკვლელობა ჩადენილია გაუპატიურებაზე პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, მაშინ ამ ვერსიის ჩარჩოებში გამომძიებლის მიერ აუცილებლად უნდა გაცნობიერდებოდეს: დამნაშავე იცნობდა დაზარალებულს, იგი იყო ადგილობრივი მაცხოვრებელი; ან ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობიდან უსიტყვოდ გამომდინარეობს, რომ მკვლელი იყო მოკლულის ახლობელი.

ამრიგად, გამოძიებისათვის ყოველი ვერსიიდან აუცილებელია გამოიკვეთოს ნებისმიერი შესაძლო შედეგი. გამოძიების ეფექტურობა დაკავშირებულია როგორც დასაბუთებული ვერსიების წამოყენების უნართან, ასევე გამოთქმული ვერსიების ყველა შედეგის გამოკვლევისა და გათვალისწინების შესაძლებლობასთან.

ვერსიის უკუგდება ხდება მისი საპირისპირო დადგენილი ფაქტით. ერთი ვერსიის დასაბუთებული დადასტურება უარყოფს ყველა დანარჩენ ვერსიას და გამორიცხავს მათი შემოწმების აუცილებლობას.

გამოსაძიებელი მოვლენის სარწმუნო(დამაჯერებელი) ინფორმაციული მოდელი ყალიბდება ისეთი ვერსიის გამოთქმითა და შემოწმებით, რომლის შედეგები რეალურად დადასტურებულია და ყველა ფაქტს ერთადერთი შესაძლო ახსნა ეძლევა.

ზოგადი ვერსიის შემოწმება მოიცავს ვერსიების სისტემას და კვლევის ცალკეული მეთოდების გამოყენებას. მათ მიეკუთვნება ინტერპოლაციისა და ექსტრაპოლაციის მეთოდები.

ინტერპოლაციის მეთოდი გულისხმობს მნიშვნელობათა რიგში შუალედური მნიშვნელობის მოძებნას(მაგ., მოცემულია რიცხვითი რიგი 2, 4, 8, 16, 64 და საჭიროა მისი შევსება. თუ კარგად დავაკვირდებით რიცხვითი მნიშვნელობების თანმიმდევრულობას, ადვილად მივხვდებით, რომ ეს არის ციფრი 32).

ექსტრაპოლაციის მეთოდით ხდება ისეთი ამოცანების გადაჭრა, რომელიც მოითხოვს ერთი ტიპის მოვლენათა განზოგადებების გადატანას მსგავსი სახეობის მოვლენებზე.

ინტერპოლაცია და ექსტრაპოლაცია გამოიყენება ბუნებრივი მოვლენების ჯაჭვის გაცნობიერებისას არსებული ხარვეზების სალიკვიდაციოდ. მაგრამ საგამოძიებო პრაქტიკაში ადგილი აქვს ისეთ სიტუაციებსაც, როდესაც ამოცანა მიზნად ისახავს არა მხოლოდ მიზეზ-შედეგობრივი თანმიმდევრობის მოძებნას, არამედ მოვლენის ახსნას, ადამიანის ქცევის დახასიათებასა და შეფასებას.

საგამოძიებო სიტუაციების განსაკუთრებულ ნაირსახეობას ქმნიან ფსიქიკური ანომალიების მქონე პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულებები. აქ არ შევჩერდებით ამ საკითზე, რამეთუ მას საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი "კრიმინალური ფსიქოლოგიის" თავში.

4.4. დანაშაულის მოვლენის რეკონსტრუქციის ფსიქოლოგიური დახასიათება.

წინასწარი გამოძიება წარმოადგენს მიზანმიმართულ პროცესს, რომლის მთავარი ამოცანაა გამომძიებლის მიერ აღმოჩენილი კვალის მიხედვით. წარსულში მომხდარი დანაშაულის სურათის რეკონსტრუქცია. მასში გამოიყოფა ორი მიმართულება:

- უშუალოდ დანაშაულის და იმ ობიექტური პირობების რეკონსტრუქცია, რომლებიც ხელს უწყობდა მის ჩადენას;
- დამნაშავის პიროვნების, მისი დანაშაულებრივი განწყობის ჩამოყალიბების მექანიზმის განვითარების გამოკვლევა.

დანაშაულებრივი ვითარების რეკონსტრუქციასა და დამნაშავის პიროვნების შესწავლას შორის არსებობს რამდენიმე განსხვავება.

თუ გამომძიებლის მიერ დანაშაულებრივი სიტუაცია სინამდვილის შესაბამისად აღდგება, მაშინ დამნაშავის პიროვნება, იშვიათი გამონაკლისის გარდა(მაგ., ბრალდებულის სიკვდილი), ყოველთვის დინამიკაში გაცნობიერდება. ბრალდებულის პიროვნების სტრუქტურაში იკვლევენ იმ მოტივებსა და ფაქტორებს, რომლებიც როგორც ხელს უწყობდა, ისე ეწინააღმდეგებოდა დანაშაულებრივ საქმიანობას. წინასწარი გამოძიების სტადიაზე, კანონის ფარგლებში, ბრალდებულის პიროვნებაზე მიმდინარეობს ფსიქოლოგიური ზემოქმედება დანაშაულის ვითარების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიღების მიზნით. რეკონსტრუქციის ორივე სახეობა ხორციელდება წარსულის კვალის შესწავლის დახმარებით, რომლის აღმოჩენაც აწმყოში ხდება.

ყველანაირი ცნობა(მონაცემი), რომელსაც გამომძიებელი იღებს, შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: **ა).„მატერიალური კვალი“**, ანუ დანაშაულის მოვლენის და დამნაშავის პიროვნების შესახებ ობიექტური ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გამოკვლეულ და ინდენტიფიცირებულ იქნეს საბუნებისმეტყველო სამეცნიერო მეთოდებით (ხელის, ფეხის, სისხლის, ნერწყვის კვალის მიხედვით და ა.შ.) და **ბ).„იდეალური კვალი“**, ანუ ინფორმაცია დანაშაულის მოვლენის და დამნაშავის პიროვნების შესახებ, რომლის მოპოვება და გაანალიზება ხდება დაკითხვის პროცესში.

სასამართლო ფსიქოლოგია, უპირატესად, მეორე კატეგორიის კვალის წარმოქმნის, შენახვისა და აღდგენის კანონზომიერებებს იკვლევს.

დანაშაულის სიტუაციის რეკონსტრუქცია ხდება გამომძიებლის მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად, რომელსაც აქვს თავისი პროგრამა. ეს უკანასკნელი, რიგი ნიშან–თვისების მიხედვით, განსხვავდება ადამიანის საქმიანობის სხვა სახეებისგან. ამ ნიშან–თვისებებიდან ძირითადია:

პირველი – გამომძიებლის საქმიანობის ყველა ეტაპის ზედმიწევნით სამართლებრივი რეგულირება.

ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მოპოვება–შეფასებასთან დაკავშირებულ ყოველ თავის მოქმედებას, გამომძიებელი გონებაში ათანხმებს პროცესუალური კანონის ნორმას. იგი ცდილობს არ გაცდეს კანონით დადგენილ ჩარჩოებს.

მეორე – გადასაჭრელი ამოცანის განსაკუთრებული მრავალფეროვნება, რომლის სწორად გადაწყვეტაც მოითხოვს სხვადასხვაგვარი თვისებების, უნარებისა და ცოდნის გამოყენებას. დანაშაულის გამოძიებისა და გახსნისათვის ცოტაა მხოლოდ კანონის ცოდნა. საჭი-

როა სპეციალური განათლება მედიცინის, პედაგოგიკის, ფინანსების, ბუღალტერიის, ფსიქოლოგიის და ა.შ. სფეროებში. ფსიქოლოგიის საფუძვლების ცოდნა გამომძიებელს ეხმარება დამნაშავის პიროვნების დიაგნოსტირებაში.

მესამე – საქმის ობიექტურად გამოძიების მოწინააღმდეგე–დაინტერესებულ პირთა მხრიდან დაბრკოლების გადალახვა.

უდავოა, რომ არ არსებობს ადამიანის საქმიანობის სხვა რომელიმე სახეობა, რომლის წარმატებით ჩატარებას ასე აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ დაინტერესებული ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები. გასათვალისწინებელია, რომ დამნაშავეთა ორგანიზებულმა დაპირისპირებამ, გამომძიებლის საქმიანობა, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გაართულოს. გამომძიებლის ერთ–ერთ ამოცანას წარმოადგენს შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის საღად შეფასება. მოქმედების განსაზღვრული გზის არჩევისას, იგი უნდა დარწმუნდეს, რომ მისი ქცევის სტრატეგია მოცემულ სიტუაციაში საუკეთესოა.

მეოთხე – დანაშაულის გახსნის მიზნიდან გამომდინარე, დასაკითხ და გასაჩხრეკ პირებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეცნიერული მეთოდების(უნარ–ჩვევების) ცოდნა.

მეხუთე – გაურკვევლობის შემცველ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღების უნარი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამომძიებელი მუშაობს ინფორმაციის უკმარისობის პირობებში, რასაც თან სდევს მომატებული ემოციური დაძაბულობა. ჰიპოთეზების შემუშავებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისას, აუცილებელია ისეთი თვისება, როგორიცაა ინტუიცია.

შემეცნების პროცესის დაწყებისას გრძნობის ორგანოების დახმარებით ხდება საძიებო საგანზე აუცილებელი ინფორმაციის მიღება. მოცემული ინფორმაცია ექვემდებარება ლოგიკურ გადამუშავებას, ხოლო მიღებული დასკვნები – პრაქტიკულ შემოწმებას. მაგრამ დანაშაულის გამოძიებისას გრძნობადი აღქმის ობიექტებს წარმოადგენს არა თვით დასადგენი ვითარება ან ქმედება, არამედ იმის დადგენაც, თუ რა ასახვა ჰპოვა მან ადამიანთა ცნობიერებაზე, მატერიალურ ობიექტებზე.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, გამომძიებელი აწყდება ისეთ საგნებსა და გარემოებებს, რომლებიც ან არანაირად არ უკავშირდებიან ერთმანეთს, ან ისეთ კავშირში იმყოფებიან, რომ მთლად ნათელ სურათს არ იძლევიან გამოძიებისათვის. ეს ელემენტები ფლობენ ურიცხვ ნიშან–თვისებას, რომელთაგან თითოეულს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს დანაშაულის გახსნაში. ამიტომ გამოძიება, რომელიც მიდის ყველა ვარიანტის გადასინჯვისა და გადახარისხების გზით, არარაციონალური და თითქმის შეუძლებელიცაა. მიზანმიმართული მოქმედებისათვის გამომძიებელი ამ ელემენტებს ამორჩევითად უკავშირებს ერთმანეთს და ქმნის მტკიცებულებათა სისტემას.

პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, გამომძიებელს ეძლევა საშუალება, შემთხვევის ადგილზე გააკეთოს პროგნოზი ძირითადი ობიექტების, მათი შინაარსისა და კავშირების შესახებ. ამდენად, გამომძიებელი ფლობს განზოგადოებულ კოგნიტურ რეპრეზენტაციებს იმისას, რაც უნდა დაინახოს მან სტატიკური სივრცის გარკვეულ ნაწილში(მკვლელობის, ავტოკატასტროფის, ქურდობის და ა.შ. ადგილზე).

მაგ., „მკვლელობის სქემას" აქვს მოსალოდნელი ნიშან–თვისებები, რომლებმაც კონკრეტულ პირობებში უნდა მიიღონ განსაზღვრული მნიშვნელობა: დაზარალებულის გვამი, ძალადობითი სიკვდილის, ბრძოლისა და წინააღმდეგობის გაწევის, დაზარალებულის მოსვლის, გვამის გადატანის, მკვლელის მოსვლის კვალი, მოვლენის დრო(ცხედრის მდგომარეობისდა მიხედვით) და ა. შ.

რაც უფრო სრულად არის შევსებული „მკვლელობის სქემა", მით უფრო ახლოსაა გამომძიებელი დანაშაულის გახსნასთან, და პირიქით.

გამომძიებლის საქმიანობაში მეორე ეტაპია პიროვნებათაშორისი ურთიერთობების საშუალებით ინფორმაციის მიღება, რაც ხორციელდება კომუნიკაციის დახმარებით.

ურთიერთობის სტრუქტურაში პირობითად გამოყოფენ სამ ასპექტს: კომუნიკაციას, ინტერაქციასა და პერცეპციას. კომუნიკაცია არის ინფორმაციის სპეციფიკური გაცვლა ურთიერთობაში მყოფ ინდივიდებს შორის. ინტერაქცია მდგომარეობს ადამიანთა შორის ურთიერთქმედების ორგანიზაციაში, რომელშიც ჩართულია ქცევები. პერცეპცია წარმოადგენს ურთიერთობაში მყოფი პარტნიორების ურთიერთგაგებისა და ურთიერთაღქმის პროცესს. ურთიერთობა კი – კომუნიკაციის, პერცეპციისა და ინტერაქციის უწყვეტი ერთიანობაა.

ურთიერთობის პრობლემები საგამოძიებო საქმიანობაში თავისებურ სპეციფიკას იძენს. ხშირად ურთიერთობა ატარებს კონფლიქტურ ხასიათს.

გამოძიების პროცესში გამომძიებელი აღიქვამს არა დასადგენ მოვლენას, არამედ მის გამოსახულებას, ანარეკლს. იზრდება სხვადასხვა შეცდომის დაშვების

საშიშროება. გამოსახულება მომხდარის შესახებ ჩვეულებრივ, არასრულ ინფორმაციას შეიცავს. ობიექტური სინამდვილის ზოგიერთი ფაქტი ადამიანების ცნობიერებაში შეიძლება დამახინჯებულად აღიბეჭდოს. ინფორმაციის დამახინჯება და დაკარგვა შესაძლებელია მისი მიღების დროსაც. გარდა ამისა, ყოველთვის არსებობს საფრთხე იმისა, რომ დანაშაულის კვალად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ანაბეჭდები, რომლებიც სხვა მიზეზების შედეგადაა გაჩენილი.

სწორედ ასეთი შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, გამომძიებელმა კარგად უნდა იცოდეს: ცალკეული სახის მტკიცებულებათა ჩამოყალიბების ფსიქოლოგია, ასევე ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ინფორმაციის დამახინჯებასა და დაკარგვას. გამომძიებელს უნდა შესწევდეს მათი მოქმედების შესუსტების უნარი. იგი უნდა ავლენდეს მუდმივ მზადყოფნას შემოსული ინფორმაციის შემოწმებაზე.

შეცდომების დაშვება შესაძლებელია შემოსული ინფორმაციის ლოგიკური დამუშავების პროცესშიც.

დანაშაულის გამოძიებისას, ჭეშმარიტების შემეცნების პროცესი, მეცნიერული შემეცნების მსგავსად, იწყება ჰიპოთეზის წამოყენებით(აგებით). ამ შემთხვევაში ჰიპოთეზა წარმოადგენს საგამოძიებო ვერსიას(ჩვეულებრივ არსებობს რამდენიმე ვერსია), რომელიც აღადგენს გამოსაკვლევი მოვლენის სავარაუდო სურათს. წამოყენებული ვერსიები მოწმდება დეტალურად. ამ მიზნით მუშავდება ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც აუცილებელია ფაქტობრივი მონაცემების ანუ სასამართლო მტკიცებულებების მისაღებად, რომელთა საფუძველზეც შეიძლება გაკეთდეს დასაბუთებული დასკვნა. მტკიცებულებების შეკრებისა და შემოწმების შემდგომ მიმდინარეობს მათი შეფასება.

იმისთვის, რათა შეცდომები არ იქნეს დაშვებული შემოსული ცნობების ლოგიკურად დამუშავების პროცესში, გამომძიებელმა კარგად უნდა იცოდეს და მკაცრად დაიცვას აზროვნების ფორმები და ლოგიკის კანონები; მუდმივად გააკონტროლოს საკმარისია თუ არა ამა თუ იმ დასკვნის გამოსატანად მის განკარგულებაში არსებული მტკიცებულებები.

იძიებს რა სისხლის სამართლის საქმეს, გამომძიებელს დანაშაულის ვითარების რეკონსტრუქციის პროცესში საქმე აქვს რამდენიმე სისტემასთან. ესენია:

1. საგანთა, მათ თვისებათა და მიმართებათა ობიექტური სისტემა. მაგ., ბინა, რომელშიც აღმოჩენილია გვამი ძალადობრივი სიკვდილის კვალით. ამ საგნების დათვალიერებისას და მათ შორის არსებული კავშირების წვდომისას, გამომძიებელი გამოაცალკევებს კრიმინალისტური მნიშვნელობის ინფორმაციას. ამასთან, მას საქმე აქვს ნიშნებთან, სიგნალებთან(მაგ., გატეხილი სეიფი და ა. შ.), იკონიკურ ნიშნებთან–გამოსახულებებთან(ავტომობილის საბურავების კვალი, ნაფეხურები, თითების ანაბეჭდები და ა.შ).
2. სისტემა, რომელიც ასახავს ნივთებს, საგნებს, მათ თავისებურებებსა და მიმართებებს კოდირებული სახით. მაგ., დოკუმენტბრუნვის სისტემა ქონების მიტაცების შესახებ საქმის გამოძიებისას; ტექნიკური დოკუმენტაცია უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევის საქმესთან დაკავშირებით და სხვ.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესი შეიძლება განვიხილოთ როგორც რიგი საგამოძიებო სიტუაციისა, რომელიც გამომძიებელმა უნდა გადაჭრას.

არსებობს საგამოძიებო სიტუაციის რამდენიმე განსაზღვრება. მათგან ყველაზე გავრცელებულის თანახმად, „საგამოძიებო სიტუაცია არის დინამიკური ინფორმაციული სისტემა, რომლის ელემენტებსაც წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეში მნიშვნელოვან გარემოებათა ნიშან–თვისებები, მათ შორის კავშირები და მიმართებები, ასევე პროცესში მონაწილე პიროვნებებს შორის არსებული დამოკიდებულებები". საგამოძიებო სიტუაციის მოდელის აგება არა მხოლოდ ინფორმაციის მიღებაა, არამედ მისი ყოველმხრივი შეფასებაც, რომელიც შეიცავს როგორც ლოგიკურ ასპექტებს, ასევე პროცესის დასკვნით ეტაპზე ნებელობითი მოქმედების ელემენტებს. ამიტომ საგამოძიებო სიტუაციის მოდელი წარმოადგენს არა მხოლოდ ლოგიკურ დასკვნას, არამედ თავისებურ ინფორმაციულ გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით თუ რა მოხდა, რა ხდება ან რა შეიძლება მოხდეს გამოსაძიებელ საქმესთან დაკავშირებით.

ერთი და იმავე საგამოძიებო სიტუაციაში შესაძლოა მიღებულ იქნეს განსხვავებული გადაწყვეტილებები. მათი არჩევანი ხშირად დამოკიდებულია გამომძიებლის რეკონსტრუქციული თვისებებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების პოტენციალზე. საგამოძიებო სიტუაციის გადაჭრის ეფექტურობას განაპირობებს მისი შემდგომი განვითარების პროგნოზირების უნარი. პროგნოზის სიზუსტე მეტყველებს გამომძიებლის პროფესიულ გამოცდილებაზე, ინდივიდუალური თავისებურებების შეფასების სისწორეზე, შემოსული ინფორმაციის ხასიათზე, საკუთარი შესაძლებლობების ადეკვატურ შეფასებაზე და ა.შ.

საგამოძიებო სიტუაციის გადაწყვეტის წარმატება ან წარუმატებლობა განსაზღვრულია გამომძიებლის პროფესიული გამოცდილებით.

ჩვეულებრივ, გამომძიებლის აზროვნებაში, განსაკუთრებით გამოძიების პირველ ეტაპზე, სისხლის სამართლის საქმის სიტუაციასთან დაკავშირებით იქმნება რამდენიმე ალბათური მოდელი. მათი რეალურ სიტუაციასთან ადეკვატურობის ხარისხი შეიძლება იყოს განსხვავებული, უფრო მეტიც, არაიშვიათია შემთხვევები, როცა არც ერთი მათგანი არ შეესაბამება ობიექტურ, ფაქტობრივ მდგომარეობას და მხოლოდ გვიან ეტაპებზე გამომძიებელს საშუალება ეძლევა შექმნას ადეკვატური, რეალურ სიტუაციასთან უფრო მიახლოებული მოდელი.

ის გარემოება, რომ ეფექტური მოდელირებისათვის სხვადასხვა გამომძიებელს სისხლის სამართლის საქმეზე შეგროვილი ინფორმაციის განსხვავებული მოცულობა ჭირდება, არ ახდენს გავლენას ზემოთ გაკეთებულ დასკვნაზე, რამეთუ ის იყენებს არა მარტო მიღებულ მტკიცებულებებს, არამედ განზოგადოებულ ცნობებსაც, რომლებიც ინახება მეხსიერებაში და ახასიათებს მის ერუდირებულებას, ასოციაციის უნარს და სხვ.

გამომძიებლის საქმიანობის ფსიქოლოგიური თავისებურებები განისაზღვრება პირობების ექსტრემალურობითაც, რაც ვლინდება უპირველეს ყოვლისა, იმაში, რომ გამომძიებელი ვალდებულია დროის გარკვეულ მონაკვეთში გახსნას დანაშაული და დაადგინოს დამნაშავე პირები.

ამგვარი მდგომარეობა არაიშვიათად „ზეწოლას“ ახდენს გამომძიებლის ფსიქიკაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საუბარია მძიმე დანაშაუ-

ლის(მკვლელობა, ყაჩაღობა, გაუპატიურება და ა.შ.) გამოძიებაზე, ხოლო დანაშაულის გახსნა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ ხერხდება. ეს ბადებს რიგ საშიშროებას, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს აჩქარებულობა და სულსწრაფობა გამოძიების პროცესში.

გამომძიებლისათვის დამახასიათებელია მისწრაფება ჩქარა გახსნას დანაშაული და გამოძიება გადაიყვანოს უფრო მშვიდ კალაპოტში. თუმცა ამ დროს არ არის საჭირო ზედმეტი აჩქარება. ეს იწვევს სერიოზულ შეცდომებს, მაგ., მხოლოდ ერთი ვერსიით გატაცებას, სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ზედაპირულ შესწავლას და ა. შ. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, გამომძებელი შემოქმედებითად, დაკვირვებით მიუდგეს გამოძიების მიმართულების, მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის გზებისა და საშუალებების განსაზღვრას; მან არ უნდა დაარღვიოს გამოძიების ობიექტურობის, სისრულისა და ყოველმხრივობის პრინციპი; არ დაივიწყოს, რომ გამოძიების ადრეულ ეტაპზე დაშვებული ხარვეზები, როგორც წესი, ძნელი შესავსებია.

სხვა საშიშროებას წარმოადგენს ისეთი ტენდენციის აღმოცენება, რის მიხედვითაც გამომძიებელი მის წინაშე მდგარ ამოცანებს გადაჭრის შემდეგი პრინციპით – „მიზანი ამართლებს საშუალებას“. ამ ტენდენციას დანაშაულის გამოძიების პროცესში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. გამომძიებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მის წინაშე მდგარი ყველა ამოცანა საჭიროა გადაწყდეს მხოლოდ ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომლებიც მითითებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონში.

კარგი გამომძიებელი ობიექტურობას იჩენს სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული მასალის ანალიზისა და შეფასებისას. გამოცდილი გამომძიებლები ხაზს უსვამენ, რომ „მაცდურ" ვერსიაზე დროულად უარის თქმა, ხშირად, წარმატების გარანტიაა.

4.5. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ფსიქოლოგია

შემთხვევის ადგილის დათვალიერება პირველადი საგამოძიებო მოქმედებაა. ეს საქმიანობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სწორი ვერსიის წამოყენებას, დანაშაულის გახსნას, დამნაშავეთა მხილებას. დათვალიერების წარმოებისას გამომძიებლის მიერ დაშვებული შეცდომები უარყოფითად მოქმედებს გამოძიების მიმდინარეობაზე, გამოძიებას უბიძგებს მცდარი გზისკენ ან ჩიხში აქცევს.

დათვალიერება წარმოადგენს დამოუკიდებელ საგამოძიებო მოქმედებას, რომლის მიზანია დანაშაულის კვალისა და ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა, შემთხვევის გარემოების, ასევე, საქმისთვის რაიმე მნიშვნელობის მქონე სხვა სიტუაციების გარკვევა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გამომძიებელი იყენებს შემეცნების სხვადასხვა მეთოდებსა და ფორმებს. ისინი საშუალებას იძლევიან განისაზღვროს გამოძიების მიმართულობა და გაირკვეს მოვლენის ჭეშმარიტი ხასიათი. მოკლედ მიმოვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

- შემთხვევის ადგილის დათვალიერება ჩვეულებრივ ემთხვევა ინფორმაციის სიმცირეს. არაიშვიათია შემთხვევები, როცა, გამომძიებელმა აუცი-

ლებლად პასუხი უნდა გასცეს მთავარ კითხვას: ჰქონდა კი ადგილი დანაშაულს საერთოდ?

- კითხვებს, რომლებსაც საკუთარ თავს უსვამს გამომძიებელი და ცდილობს მათ გარკვევას შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, როგორც წესი, კომპლექსური ხასიათი აქვს. იგი მიისწრაფის დაადგინოს იყო თუ არა ჩადენილი დანაშაული(ან უბედური შემთხვევა, ან თვითმკვლელობა და ა.შ.), ვინ, როდის, სად ჩაიდინა დანაშაული, და რა მიზეზებით იყო ის გამოწვეული, როგორია დამნაშავეთა მოქმედების მექანიზმი და ა.შ.
- შემთხვევის ადგილის დათვალიერების დამახასიათებელი თავისებურებაა ინფორმაციის მიღება შემთხვევის ადგილის კონკრეტულ მდგომარეობაზე დაკვირვების გზით. ამასთან, მიმდინარეობს დაკვირვების შედეგების შემდგომი ანალიზი. მოპოვებული ინფორმაციის განმტკიცების ძირითად საშუალებას წარმოადგენს დათვალიერების პროტოკოლი, სადაც დაკვირვების შედეგად შეგროვილი ინფორმაცია გადმოცემულია სიტყვიერად შეჯამებული სახით.
- შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროტოკოლს თან ერთვის ფოტოები, სქემები, სურათები, ნივთმტკიცებები, რომლებიც ასახავს დათვალიერების შედეგებს.
- შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გამომძიებელი ინფორმაციას იღებს არა ადამიანებისგან, არამედ ნივთებისგან(საგნებისგან). აქედან გამომდინარე, ეს პროცესი დაკითხვის საპირისპიროა. საგამოძიებო პრაქტიკაში სულ უფრო ხშირად გამოიყენება ჩვენებათა ადგილზე შემოწ-

მება, რაც შეიცავს როგორც დათვალიერების, ასევე დაკითხვისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

ამდენად, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ფსიქოლოგიური ანალიზის შედეგად გამოიყოფა გამომძიებლის საქმიანობის ორგანიზაციული, ძიებითი, რეკონსტრუქციული და მტკიცებითი მხარეები.

ყოველი მათგანი წარმოქმნის განსაზღვრულ ციკლს, რომელშიც წარმატების მიღწევა განპირობებულია გამომძიებლის პიროვნული თვისებებითა და სპეციფიკური უნარ–ჩვევებით.

დათვალიერების ძირითად ასპექტს წარმოადგენს მის მონაწილეებს შორის დამოკიდებულების მაღალი კულტურა, რაც დაიცავს ჯგუფის მუშაობას დეზორგანიზაციული ტენდენციებისაგან.

ოპერატიული ჯგუფის დაკომპლექტებისას, გამომძიებელს უნდა ახსოვდეს მისი წევრების პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილების შეთანაწყობის, მათი ფსიქოლოგიური თავსებადობის შესახებ(თანამშრომლობისადმი, ერთმანეთის დახმარებისადმი მზადყოფნა, კონფლიქტური სიტუაციების სწრაფად გადალახვის, თავშეკავების, ურთიერთპატივისცემის უნარი და ა.შ.).

შემთხვევის ადგილის დათვალიერება განეკუთვნება იმ საგამოძიებო მოქმედებათა რიცხვს, რომელთა ჩატარებისას გამომძიებელი მოქმედებს სახალხოდ, სხვების თანდასწრებით. ეს ასევე მოითხოვს გარკვეულ ფსიქოლოგიურ მომზადებას, კერძოდ, ყურადღების კონცენტრირებულობას, აზრის მოკრების, სიმტკიცის შენარჩუნების უნარს. ამასთან, გამომძიებელმა უნდა უხელმძღვანელოს დათვალიერების მონაწილეთა მიერ განხორციელებულ მოქმედებებს, მათი მხრიდან დის-

ციპლინის დაცვას, თანამშრომლობის სულისკვეთების შენარჩუნებას და ა.შ..

დანაშაული, მსგავსად სხვა მოვლენებისა, გარემოში ტოვებს კვალთა სისტემას, რომელიც სპეციფიკურობით ხასიათდება. წარუმატებელი დათვალიერების ერთ–ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს ამ სისტემის გარემომცველი სინამდვილიდან გამოყოფის არცოდნა.

წარმატებული დათვალიერებისათვის გამომძიებელი უნდა ფლობდეს მოვლენის შესახებ „წინმსწრებ ინფორმაციას". ჩვეულებრივ ის ამ მონაცემებს იღებს მატერიალურ გარემოსთან უშუალო ურთიერთქმედებამდე: შემთხვევის შესახებ ცნობების შეგროვების პროცესში, დაზარალებულთა, მოწმეებისა და თვითმხილველების წინასწარი გამოკითხვის და სხვ. შედეგად.

საძიებო საქმიანობის მთელი პროცესი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი თანმიმდევრობით:

საწყის ეტაპზე ხდება „კრიმინალური კვანძის"(ძირითადი კვანძის) გამოყოფა. მაგ., გვამის, ძალადობის ნაკვალევის, გატეხილი სეიფის, გადაბრუნებული ავტომანქანის და ა.შ.

„ძირითადი კვანძის" აღქმა ააქტიურებს გამომძიებლის საძიებო დომინანტს, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ყველა ფსიქიკური პროცესის დანაშაულის გახსნაზე კონცენტრირებას და მომხდარი მოვლენის რეკონსტრუქციას.

დაკვირვების პროცესში განსაკუთრებული ადგილი უკავია განწყობას, როგორც განსაზღვრული აქტიურობისადმი მზადყოფნას, რომელიც დამოკიდებულია მოთხოვნილებასა და მისი დაკმაყოფილების ობიექტურ სიტუაციაზე.

განწყობის ცნება მჭიდრო კავშირშია საქმიანობის მთლიანობისა და ერთიანობის პრობლემასთან. მრა-

ვალრიცხოვანი ექსპერიმენტული გამოკვლევები აჩვენებს, რომ სუბიექტის საქმიანობა ყოველთვის განსაზღვრულია განწყობით, რომელიც წარმართავს სუბიექტის მოქმედებას მომავალ სიტუაციაში.

გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ საძიებო საქმიანობის ძირითადი არსი მდგომარეობს გარემომცველი სამყაროდან სწორედაც იმ ინფორმაციის გამოცალკავებაში, რომელსაც მნიშვნელობა აქვს მოცემული კატეგორიის დანაშაულებათა გახსნისთვის. მაგ., პრაქტიკულ მეცადინეობაზე გამომძიებელთა უმრავლესობა გატეხილ სეიფში აღმოჩენილი ბუღალტრული დოკუმენტაციის დათვალიერებისას ეძებდა სავარაუდო ქურდის კვალს: თითების ანაბეჭდებს, გატეხვისას გამოყენებული იარაღის ნაკვალევს, შემთხვევით ჩამოვარდნილ თმის ღერს და ა.შ. შემდეგ აღმოცენდა მოლარის მიერ ქურდობის სიმულაციის ვერსია და იმავე გამომძიებლებმა, იმავე დოკუმენტებს შეხედეს სალაროში ფულის გაფლანგვისა და ამ ფაქტის მიჩქმალვის ვერსიის თვალთახედვით.

უშუალო დათვალიერებისას შემთხვევის ადგილი აღიქმება როგორც მრავალრიცხოვანი საგნების, ნაკვალევისა და სხვა მატერიალური ფასეულობების ერთობლიობა, სადაც ყოველ ობიექტს აქვს თავისი ფორმა, ზომა, ავლენს საკუთარ თვისებებსა და სივრცობრივ კავშირებს. ამდენად, მდგომარეობა აღიქმება მთლიანობით სტრუქტურად.

როგორც წესი, საწყის ეტაპზე ხერხდება კვალის იმ ნაწილის გამოყოფა, რომელიც ასახავს მოვლენის ცალკეულ ფრაგმენტებს. საქმიანობის რეკონსტრუქციული მხარე მდგომარეობს ანალიზისა და სინთეზის დახმარებით ძიებითი საქმიანობის შედეგად მიღებული ინფორმაციის მოწესრიგებაში.

რეკონსტრუქციული საქმიანობის შედეგად გამომძიებელი წამოაყენებს ჰიპოთეზებს, რომლებიც ახალი მტკიცებულებების საშუალებით გარდაიქმნება ვერსიებად. ყოველი ვერსია მოწმდება, შესაბამისად იგეგმება შემდგომი მუშაობა.

ვერსია იბადება რეკონსტრუქციული და საძიებო საქმიანობის შერწყმის საფუძველზე. გამომძიებლის მიერ შექმნილი სისტემა განსაზღვრავს მის მიერ დანაშაულის სურათის გამოცალკავებას. ეს არის მოვლენის ხატოვანი დინამიური სურათი და წარმოადგენს ვერსიის არსებობის ფორმას.

დანაშაულის გახსნის დროს გამომძიებლის საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოსახვას. მისი დახმარებით გამომძიებელი წარმოიდგენს მომხდარს, რაშიც ამასთანავე ეყრდნობა სინამდვილის ობიექტური ფაქტების აღქმას.

საგამოძიებო წარმოსახვისა და აზროვნების სპეციფიკა ერთდროულად მოიცავს მთელი რიგი ერთმანეთის გამომრიცხავი ვარაუდების წამოყენებას. აუცილებელია, საგამოძიებო ვერსია შემოწმდეს სინამდვილეში. ყველა წარმოსახული ვერსია შეეფარდება რეალურ სიტუაციასა და რეალურ შედეგს. ამგვარად, საგამოძიებო წარმოსახვა მუდმივად რეგულირდება წარსული მოვლენის – დანაშაულის სივრცითი და დროითი ჩარჩოებით.

გამომძიებლის შემოქმედებით საქმიანობაში წარმოსახვის წილი განსაკუთრებით მაღალია მკვლელობების გამოძიებისას. ასეთი დანაშაულის დროს ხშირად არ არსებობს თვითმხილველი, რომელიც დაეხმარებოდა მას მომხდარი მოვლენის სურათის აღდგენაში.

რაც უფრო დეტალურად „ხედავს" გამომძიებელი შინაგანი მხედველობით მკვლელობის სურათს, მით უფრო სწორი იქნება მის მიერ წამოყენებული ვერსია.

მკვლელობის ადგილის დათვალიერებისას, წარმოსახვა საშუალებას იძლევა სულ უმნიშვნელო კვალის საფუძველზეც კი მოხდეს მკვლელობის ნამდვილი სურათის სრული აღდგენა. განვიხილოთ მაგალითი.

– საცხოვრებელი სახლის სარდაფში აღმოჩნდა მამაკაცის გვამი. სარდაფი არ იყო დიდი. ცენტრში, იატაკზე, იდგა სისხლის გუბე. ცხედარი ესვენა ფანჯრის ქვეშ. ერთი შეხედვით, მამაკაცი იქნებოდა დაახლოებით 20–22 წლის. სახისა და თავის არეში ჰქონდა მიყენებული ოცამდე ნაჩხვლეტი და ნაკვეთი ჭრილობა, პირში ჩაჩრილი ჰქონდა კეპი. სასამართლო ექიმის აზრით, უცნობი მოკლეს დათვალიერების დაწყებამდე 14–15 საათით ადრე ანუ წინა ღამეს. მოკლულს არ აღმოაჩნდა საბუთები. ფანჯრის დათვალიერებისას გაირკვა, რომ მინები ჩამსხვრეული იყო. ფანჯრის რაფაზე აღმოჩნდა სისხლის კვალი. სარდაფის ოთახიდან კარები გადიოდა დერეფანში, იქიდან კი სახლის პირველ სართულამდე ადიოდა კიბე. პირველ სართულზე იყო ქალთა საერთო საცხოვრებელი. ქუჩიდან შემოსასვლელში, საიდანაც შეიძლებოდა სარდაფში მოხვედრა, ოცდაოთხი საათის განმავლობაში იდგა კომენდანტი. მომხდარის დროს მორიგე კომენდანტი ამტკიცებდა, რომ მისი მორიგეობის ღამეს საერთო საცხოვრებელში ან სარდაფში არავინ არ შესულა.

ზემომოყვანილი ცნობების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მკვლელებმა სახლში შეაღწიეს ფანჯრიდან, ამასთან მოკლულიც მათთან ერთად იყო. სავარაუდოდ, ის მათი ნაცნობი იყო, რადგანაც ძნელი წარმოსადგენია, რომ დამნაშავეებმა ძალით უხ-

მაუროდ შეათრიეს ადამიანი საკმაოდ ვიწრო ფანჯარაში.

განხილულ მაგალითში გამომძიებლის დასკვნა, რომ მოკლული იყო მკვლელების ნაცნობი, წარმოადგენს პირველ საფეხურს დანაშაულის შესახებ ვერსიის აგებაში. წარმოსახვის საშუალებით აღდგენილ იქნა დანაშაულის სურათი. გამომძიებელს წარმოსახვა ეხმარება მონაცემების იმ ხარვეზების დანახვაში, რომელთა საფუძველზეც მას გაუჩნდა დანაშაულის ესა თუ ის სურათი. როდესაც აღმოცენდება ახალი ცნობები, ახალი ფაქტები, ახალი მტკიცებულებები, გამომძიებელი მათ დანაშაულის იმ სურათში „სვამს", რომელიც მან შექმნა საკუთარ წარმოსახვაში უკვე არსებული ცნობების საფუძველზე. ის თითქოსდა „სინჯავს" ამ ახალ მონაცემებს. ასეთი „მოსინჯვის" შედეგად დასტურდება ან არ დასტურდება ვარაუდი და წინ წამოიწევა ახალი ვერსია.

წარმოსახვის პროცესის იგნორირება იწვევს შეცდომებს გამოძიებაში.

საქმიანობის ხასიათსა და შინაარსზე დამოკიდებულებით ასხავებენ წარმოსახვის შემდეგ ტიპებს: მხატვრულს, სამეცნიეროს, ტექნიკურს და ა.შ. საგამოძიებო მუშაობის თავისებურებების გათვალისწინებით, შეიძლება ვილაპარაკოთ საგამოძიებო წარმოსახვაზეც.

საგამოძიებო წარმოსახვას აქვს სპეციფიკური თავისებურებები.

შემთხვევის ადგილზე დაზარალებულისა და დამნაშავის მიერ დატოვებული ნაკვალევის მიხედვით გამომძიებელი ცდილობს მაქსიმალური სისრულით „დაინახოს" დანაშაულის სურათი. ამ წარმოსახულ სიტუაციას გამომძიებელი უპირისპირებს შემთხვევის ადგილის რეალურ ვითარებას და აღნიშნავს ამ დროს აღმოცენებულ წინააღმდეგობებს, ან დამატებითი კვალის

მოძიების შესაძლო გზებს, რომელმაც მის წარმოსახვაში უნდა დაასრულოს შექმნილი სიტუაცია. ახალი კვალის აღმოჩენა ადასტურებს აგებული ჰიპოთეზის სისწორეს და აფართოებს შემდგომი ვარაუდებისა და ძიებების შესაძლებლობებს.

ნეგატიური გარემოებების გამოვლენა, რომლებიც აბათილებს წამონეულ ჰიპოთეზას, ქმნის ძიებითი დომინანტის გააქტიურებისა და ახალი ჰიპოთეზის კონტურების მოხაზვის წანამძღვრებს.

გამომძიებლისთვის აქტუალურია სხვადასხვა ობიექტების აღქმის ჩვეული სტერეოტიპების გადალახვა, მათ მიღმა საჭირო ინფორმაციის დანახვა. მაგ., მოკლული ქალის გვამის ახლოს აკურატულად დაწყობილი თეთრეული გამომძიებელმა შეიძლება აღიქვას როგორც სიგნალი სექსუალური მანიაკის მიერ ჩადენილი მკვლელობის შესაძლო ინსცენირების შესახებ.

ამრიგად, შემთხვევის ადგილის წარმატებით დათვალიერებისათვის რეკომენდებულია ამოცანების შესრულება განხორციელდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ამოცანა პირველი: შეგროვდეს მთელი ინფორმაცია, რომელიც რაიმე კავშირშია მოსაძიებელ მოვლენასთან. ამ ეტაპზე არ არის საჭირო ერთი ვერსიით შემოფარგლვა.
- ამოცანა მეორე: გაანალიზდეს შეგროვილი ინფორმაცია და ამის საფუძველზე მოხდეს მცდელობა ისეთი ვერსიების შექმნისა, რომლებიც ახსნიან უკვე მომხდარ მოვლენას.
- ამოცანა მესამე: ყოველი წამოყენებული ვერსია შეპირისპირდეს შემთხვევის ადგილის საერთო ვითარებასთან.

მეორე ამოცანის გადაწყვეტისას, თუ არ არის საშუალება ერთი საფუძვლიანი ვერსიის წინ წამოწევისა, უნდა ვაღიაროთ, რომ გამომძიებელი აჩქარდა და მდგომარეობის გამოსასწორებლად იგი უნდა დაუბრუნდეს პირველ ამოცანას(ინფორმაციის შეკრებას).

კრიმინალური ვერსია გამომძიებლის გონებაში ბადებს კიდევ ერთ მოდელს – გამოძიების გეგმას, რომელიც წარმოადგენს დამნაშავის ძებნასთან და დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებულ მოქმედებათა თანმიმდევრობას.

ძიებისათვის და ჭეშმარიტების დასადგენად დიალოგის გამოყენების უნარი შეიძლება ჩაითვალოს გამოძიების მაღალი კულტურის მაჩვენებლად.

4.6. დაკითხვის ფსიქოლოგია

წინასწარი გამოძიებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა სოციალური კონფლიქტის გენეზისის გამოკვლევა, რომელთა განვითარების კულმინაციურ ფაზას წარმოადგენდა ჩადენილი დანაშაული.

კონფლიქტური სიტუაცია იშვიათად ამოიწურება დანაშაულის მოვლენით. გამოძიების პროცესში, განსაკუთრებით კი საწყის ეტაპზე, გამომძიებელი ეჯახება ჭეშმარიტების დადგენისადმი წინააღმდეგობის განსხვავებულ ფორმებს.

დაკითხვის მონაწილეთა(დამკითხავისა და დასაკითხის) ძირითადი მიზნები შეიძლება ურთიერთსაპირისპირო იყოს, რაც იწვევს კონფრონტაციის სხავდასხვა ფორმებს: კამათს, პოლემიკას და ა.შ. მსგავს სიტუაციებში დიალოგზე გადასვლა ქმნის საუკეთესო წანამძღვრებს ურთიერთქმედების, ურთიერთგაგებისა და

საბოლოოდ თანამშრომლობის უზრუნველყოფისათვის. ამდენად, წინასწარი გამოძიების პროცესში, გამომძიებლისა და ბრალდებულის, ასევე სხვა პირთა(დაზარალებულის, მოწმის) ურთიერთქმედების პირობებში, დიალოგი აღმოცენდება როგორც გამოძიების პროცესის ერთ-ერთი დინამიკური მახასიათებელი.

ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, დაკითხვა, უპირველესად, უნდა განვიხილოთ როგორც გამომძიებლისა და დასაკითხი პირის დიალოგი, რომლის დროსაც მიმდინარეობს ჭეშმარიტების დადგენა.

თავისი საქმიანობით პროფესიონალი გამომძიებელი გამოცდილ ქირურგს შეიძლება შევადაროთ. ორივე მათგანს საზოგადოებამ უდიდესი უფლება მიანიჭა. ქირურგი, სკალპელის მეშვეობით, ცოცხალ სხეულს კვეთს და ცდილობს ადამიანს შეუნარჩუნოს სიცოცხლე.

გამომძიებელს საზოგადოებამ კიდევ უფრო მეტი უფლებამოსილება უბოძა. მას შეუძლია დააპატიმროს, დააკავოს, გაჩხრიკოს ადამიანი, და რაც მთავარია, შექმნას საფუძველი პიროვნების ბრალეულობის თუ უდანაშაულობის სამტკიცებლად; ქირურგიულ ოპერაციასთან შედარებით, დაკითხვაც, არანაკლებ რთული პროცედურაა.

დაკითხვისას ერთმანეთს ეჯახება ორი სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობა, ნებელობა, ბრძოლის ორი ტაქტიკა, ორი პიროვნების ინტერესი და სხვ. დაკითხვის შედეგად ხშირად წყდება დასაკითხი პირისა და სხვა ადამიანების ბედი. ამ ბრძოლაში გასამარჯვებლად გამომძიებელს ეხმარება ფსიქოლოგიის ცოდნა, ასევე დაკითხვის ტაქტიკა და ორატორობა, რაც ვლინდება დიალოგის პროფესიულ უნარ-ჩვევებში.

გამოცდილი გამომძიებელი, კანონის ფარგლებში, მიზანმიმართულად ზემოქმედებს დასაკითხის პიროვნებაზე. გამომძიებელს შეუძლია იმ ერთადერთი „გასაღების მორგება", რომელიც აღებს ადამიანის სულიერ სამყაროს.

დაკითხვის პირველი ნაწილი შესავალია, სადაც გამომძიებელი დასაკითხი პირისგან იღებს ანკეტურ მონაცემებს: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, ოჯახური მდგომარეობა და ა. შ.

დაკითხვის მეორე საფეხური ფსიქოლოგიურ კონტაქტზე გადასვლაა. ამ დროს გამომძიებელი სვამს საქმისათვის უმნიშვნელო კითხვებს. საუბარია დასაკითხის შრომით და ცხოვრებისეულ გზაზე, შეიძლება ამინდზეც, მოსავალზეც და ა.შ. ამ ნაწილის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა გამომძიებელსა და დასაკითხ პიროვნებას შორის. ამ სტადიაზე განისაზღვრება საუბრის ისეთი ზოგადი პარამეტრები, როგორიცაა ტემპი, რითმი, დაძაბულობის დონე, მოსაუბრეთა მდგომარეობა და მთავარი არგუმენტები, რომელთა დახმარებითაც ისინი იწყებენ საკუთარ სიმართლეში ერთმანეთის დარწმუნებას. ქვემოთ ისევ დავუბრუნდებით ამ სტადიის დეტალურ დახასიათებას, მაგრამ ჯერ გადავიდეთ დაკითხვის ძირითად — მესამე ეტაპზე.

სწორედ აქ ახდენს გამომძიებელი დასაკითხისგან საჭირო ინფორმაციის მიღებას, რომელიც აუცილებელია დანაშაულის გახსნისათვის. სწორად ორგანიზებული დაკითხვის დროს, როცა დაკითხვის ხერხები ეყრდნობა დასაკითხი პიროვნებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, გამომძიებელი ახერხებს ამ მთავარი ამოცანის გადაჭრას. მაგრამ დაკითხვა აღიარებითი ჩვენებების შემდეგაც კი არ არის საბოლოოდ დასრულებული.

მის მეოთხე სტადიაზე, გამომძიებელი მთელ მიღებულ ინფორმაციას ადარებს საქმეში უკვე არსებულ ცნობებს და ამის შემდგომ იწყებს უზუსტობებისა და შეუსაბამობების აღმოფხვრას.

ამის შემდეგ მოდის დაკითხვის დასკვნითი ნაწილი, რომლის დროსაც გამომძიებელი სხვადასხვა საშუალებით(ხელნაწერი, მაგნიტოფირზე ჩაწერა, სტენოგრამა) აფიქსირებს დაკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას და მას უკვე წერილობითი ფორმით წარუდგენს დასაკითხ პიროვნებას, რომელიც ხელმოწერით ადასტურებს ოქმში ჩაწერილის სიმართლეს.

დაკითხვის პროცესში გამომძიებელსა და დასაკითხ პირს შორის მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა, რომელშიც შეიძლება გამოვყოთ ორი ასპექტი: ინფორმაციის სიტყვიერი გაცვლა და ინფორმაციის მიღება დასაკითხი ადამიანის პიროვნულ თავისებურებებზე, მის ქცევაზე დაკვირვების გზით (ჟესტები, მიმიკა, სახის ფერის ცვლილებები და ა.შ.). კომუნიკაციის ყველა საშუალება იყოფა ვერბალურ ანუ სიტყვიერ და არავერბალურ ანუ უსიტყვო ნაწილად. მეტყველება წარმოადგენს უნივერსალურ საშუალებას, რამეთუ მისი გამოყენებისას ნაკლებად იკარგება გადაცემული ინფორმაციის აზრი. არავერბალური საშუალებები დამხმარე ფუნქციას ასრულებენ.

ჯერ კიდევ ძველ დროში არსებობდა სხვადასხვა მეთოდიკა, რომელთა დახმარებითაც ხდებოდა ადამიანის დამნაშავეობისა და უდანაშაულობის დადგენა. მაგ., სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტომებში იყო წეს-ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ქურდობაში ეჭვმიტანილს პირში უდებდნენ ბრინჯის მარცვალს. ის ადამიანები, რომელთა მარცველებიც მშრალი აღმოჩნდებოდა(რად-

გან ითვლებოდა, რომ ნერწყვი არ გამოიყოფოდა შიშის გამო), დამნაშავედ ითვლებოდნენ.

არანაკლებ საინტერესოა ე.წ. „ტყუილის დეტექტორის" მუშაობის პრინციპები, რომელიც პირველად 1920-იანი წლების ბოლოს ექსპერიმენტულ მასალებზე დაყრდნობით ა. რ. ლურიამ ჩამოაყალიბა.

მიუხედავად ამგვარი მეთოდიკების სიუხვისა, უმნიშვნელოვანესია, გამომძიებელს შეეძლოს დასაკითხი პირის დიაგნოსტირება მის ქცევაზე ყურადღებით დაკვირვების საშუალებით.

გამომძიებელმა უნდა მართოს საკუთარი ფსიქიკური მდგომარეობა. კარგი გამომძიებელი, ფლობს რა თავისი ემოციური სფეროსა და ნებელობის კონტროლის უნარს, შეძლებს, კანონის ფარგლებში, სასურველი მიმართულებით წაიყვანოს დასაკითხი პირის ემოციებიც. ხშირად გამომძიებელს უხდება ღრმა დეპრესიიდან ადამიანის გამოყვანა და მხოლოდ ამის შემდგომ დიალოგზე გადასვლა. ეს უპირველესად ეხება დაზარალებულებსა და მოწმეებს, რომლებიც, სხვადასხვა მძიმე ფაქტორების ზემოქმედებით, შეიძლება იყვნენ დათრგუნულ მდგომარეობაში. გამომძიებელი ვალდებულია, ყურადღება მიაქციოს ასეთ მდგომარეობას, სწორად განსაზღვროს მისი მიზეზები და სპეციალური ფსიქოლოგიური ხერხებით მოახდინოს ამ მდგომარეობის ლიკვიდაცია; მოუხსნას დასაკითხ პიროვნებას ნერვული დაძაბულობა.

გამომძიებლის კომუნიკაციური უნარ–ჩვევებია: გულღიაობა, ემოციური მდგრადობა, ადამიანის მოსმენის და მათთან საუბრის უნარი, ადამიანის შინაგანი სამყაროს შეცნობის უნარი, თავაზიანობა, გულისხმიერება, თავშეკავებულობა და ა.შ.

დაკითხვაზე პიროვნული კონტაქტის სიღრმე ჩვეულებრივ დაკავშირებულია იმასთან, თუ რა დონეზე ხორციელდება იგი. გამოცდილი გამომძიებლები ცვლიან საუბრის თემას(თუ ამას საჭიროება მოითხოვს), დასაკითხი პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე იყენებენ ამა თუ იმ ტაქტიკურ ხერხს.

პირველი დონე – დინამიკური კონტაქტია. ეს არის ტემპი, რითმი და დაძაბულობის დონე. თუ შევადარებთ მუსიკალურ ანალოგიას, ეს არის დასარტყამი ინსტრუმენტისა და კონტრაბასის პარტია მუსიკალურ ნაწარმოებში, რომლის რითმზეც შემდგომში აწყობილია მელოდია, ანუ დიალოგის შინაარსი. კონტაქტის პირველი დონე დაკავშირებულია ნერვული სისტემის ისეთ ტემპერამენტულ თავისებურებებთან, როგორიცაა ძალა, მოძრაობა და გაწონასწორებულობა.

დაკითხვაზე კონტაქტის მეორე დონეა არგუმენტაცია. ცნობილია, რომ ერთი და იგივე არგუმენტები სხვადასხვა ადამიანებზე განსხვავებულად ზემოქმედებენ. გამომძიებელი ითვალისწინებს დასაკითხი პირის ასაკს, სპეციალობას, ინტელექტს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რაც მთავარია, მისთვის დამახასიათებელ ნერვული სისტემის ტიპს და შესაბამისად ირჩევს საჭირო არგუმენტს.

და ბოლოს, მესამე, სოციალურ–ფსიქოლოგიური მიმართებების დონეა, რომელიც დაკავშირებულია დასაკითხის როლებრივ პოზიციებთან. დაკითხვის მთელი დინამიკური მხარე უკავშირდება დასაკითხის ტემპერამენტს. თუკი გამომძიებელს სურს წარმატების მიღწევა, მაშინ მან უნდა დაგეგმოს ტემპი, რიტმი, ხანგრძლივობა, დაძაბულობის ხარისხი, ფსიქოლოგიური სტრესის მოხსნის ხერხები დასაკითხის ტემპერამენტის თავისე-

ბურებების გათვალისწინებით. ამ ნაწილში ჩვენი რეკომენდაციები დაიყვანება გამომძიებლის დასაკითხ პიროვნებასთან „საერთო ტალღაზე“ მომართვაზე. ეს ნიშნავს, რომ ძლიერი და მოძრავი ტიპების(ქოლერიკებისა და სანგვინიკების) დაკითხვისას ტემპი, რიტმი და დაკითხვის დაძაბულობა შეიძლება იყოს საკმაოდ მაღალი, დაკითხვის შესავალი სტადია და კონტაქტის ნაწილი შესაძლოა შემცირდეს აუცილებელ მინიმუმამდე, ერთი თემიდან მეორეზე გადასვლა განხორციელდეს წინასწარი მომზადების გარეშე.

ძლიერი, გაწონასწორებული, ინერტული ტიპების, ანუ ფლეგმატიკების, დაკითხვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა შენელებულობა ძლიერ ნერვულ პროცესებთან შერწყმაში: ასეთი ადამიანი შედარებით ხანგრძლივად უნდება საუბარში ჩაბმას. ამიტომ ფლეგმატიკის დაკითხვის დინამიკა ხასიათდება შედარებით დიდი შესავლითა და კონტაქტის სტადიით, ერთი ეპიზოდის გაშუქებიდან მეორეზე ნელი გადასვლით, საუბრის შედარებით შენელებული რიტმით.

განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებენ სუსტი ტიპები. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ტიპის სხვადასხვა ცხოვრებისეულ სირთულეებზე(ხოლო დაკითხვა, როგორც წესი, მძიმე სიტუაციაა) ერთ–ერთ დამახასიათებელ რეაქციას წარმოადგენს უკიდურესი შენელებულობისადმი მიდრეკილება. ყოველდღიურობიდან ასეთი ქცევის მაგალითია „საგამოცდო სტუპორი“.

დაკითხვის მაღალი რიტმისა და დაძაბულობისას **მელანქოლიკში** შეიძლება აღმოცენდეს აპათიისა და მოდუნებულობის მდგომარეობა. ნერვული სისტემის სისუსტე ჩვეულებრივ შერწყმულია მის მაღალ მგრძნობელობასთან. ამიტომ მელანქოლიკი, სხვა ტიპებთან

შედარებით, გაცილებით „ფაქიზად“ რეაგირებს მისი საქმიანობის შექებაზეც და გაკიცხვაზეც. სუსტი და გაუწონასწორებელი ტიპების ერთ–ერთ თვისებას შფოთიანობა წარმოადგენს. მშფოთვარე ადამიანებში უფრო ადვილად შეიძლება უარყოფითი ემოციების გამოწვევა. მათი შეშინებაც ადვილია; მათში შედარებით ადვილად აღმოცენდება უკმაყოფილება, ვიდრე დადებითი ემოციები.

დაკითხვის სწორი ტაქტიკის არჩევა ბევრად არის დამოკიდებული დასაკითხი პიროვნების ტიპის განსაზღვრაზე. რა თქმა უნდა, ერთი და იგივე არგუმენტი სხვადასხვა ძალით მოქმედებს განსხვავებული ტიპის ადამიანზე.

„მხატვრულ“ ტიპზე ზემოქმედების უფრო ძლიერი არგუმენტი იქნება მაგ., მსხვერპლის დანახვა ავარიის მომენტში, სტატისტიკურ მონაცემებს შეიძლება საერთოდ არც მიექცეს ყურადღება. „აბსტრაქტულ“ ტიპზე პირიქით, ძლიერ და დამაჯერებლად მოქმედებს სტატისტიკური მონაცემები, კონკრეტული ფაქტების და მათი შედეგების განზოგადება.

„მხატვრული“ ტიპის პიროვნების დაკითხვისას, უფრო მოქმედი არგუმენტი იქნება, მაგ., ფოტოების, ნივთმტკიცებების, ფოტორობოტის, სურათების და ა.შ. ჩვენება. ასეთ პიროვნებაზე დიდ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს ამოცნობის სიტუაცია. ჩვენების მიცემისას ისინი დეტალურად აღწერენ მათთვის ნაკლებად ნაცნობ ადგილმდებარეობას, იძლევიან ამა თუ იმ პირის შედარებით ზუსტ სიტყვიერ პორტრეტს. ასეთი ადამიანების მოგონებების გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია მათი მიყვანა შემთხვევის ადგილზე.

„აბსტრაქტული“ ტიპის პირთა დაკითხვისას, უპირატესობა ენიჭება მათთვის რევიზიის მასალის ან ექ-

სპერტიზის დასკვნის გაცნობას, მტკიცებულებათა ლოგიკურ ანალიზს. თავიანთ ჩვენებებში, ეს პიროვნებები, მიდრეკილნი არიან გადმოსცენ მოვლენის ზუსტი ანალიზი მიზეზ-შედეგობრივი კავშირებითურთ. მოგონებების გამოცოცხლების აუცილებლობიდან გამომდინარე, რეკომენდებულია მათ შევთავაზოთ გამოსაკვლევ მოვლენასთან დაკავშირებული მთელი მასალის თანმიმდევრული აღდგენა.

დაკითხვის ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს დამკითხავსა და დასაკითხს შორის ურთიერთობები, რაც განსაზღვრულ ზეგავლენას ახდენს დაკითხვის მიზნების მიღწევაზე. ამ პრობლემის სწორი გადაჭრა დამოკიდებულია გამომძიებლის ერუდიციაზე, პროფესიულ გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებზე. საგამოძიებო პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როცა ბრალდებული საკუთარ დანაშაულს არ აღიარებს მხოლოდ იმიტომ, რომ გამომძიებლისადმი მტრულადაა განწყობილი. მაგ., მსჯავრდებულთა გამოკითხვისას დადგინდა, რომ მათი უმეტესობა, მიუხედავად დანაშაულის დამტკიცებისა, გამომძიებელთან ნორმალური ურთიერთობების არარსებობის გამო არ იძლეოდა ჩვენებას.

თუ დასაკითხი პირი საკუთარ თავს მიაკუთვნებს ერთ სოციალურ კატეგორიას, მაგალითად, „ჩვენ", ხოლო გამომძიებლებს ხედავს სხვა დაჯგუფებაში, როგორიცაა- „ისინი", ეს, რა თქმა უნდა, ხელს შეუშლის აუცილებელი ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებას, ნდობის ატმოსფეროს შექმნას. გამომდინარე აქედან, გაჭირდება საქმესთან დაკავშირებით რაც შეიძლება მეტი ობიექტური ინფორმაციის მიღება.

ის ხერხები, რომელთა დახმარებითაც მიიღწევა ფსიქოლოგიური კონტაქტი, მრავალრიცხოვანია, მაგ-

რამ ყველა ემორჩილება ზოგად კანონონზომიერებას. დასაკითხი პიროვნების გამოკვლევისას, გამომძიებელმა აქცენტი უნდა გააკეთოს მის უკეთეს მხარეებზე. ეთიკურად და ტაქტიკურად დაუშვებელია, რომ გამომძიებელმა, დასაკითხ პირთან კონტაქტის დასამყარებლად, გამოიყენოს მისი პიროვნების უარყოფითი მხარეები, თუნდაც კარგად იცოდეს ისინი.

დაკითხვის პროცესში აღმოცენებული ფსიქოლოგიური ერთობა ბრალდებულს არწმუნებს, რომ მას დაკითხავს მაღალკომპეტენტური, გულისხმიერი და ყურადღებიანი ადამიანი. ეს წარმოადგენს პირველ ნაბიჯს დასაკითხის სოციალურად მიზანშეწონილი მიმართულებით წასაყვანად.

ბრალდებულის პოზიციიდან გამომდინარე, კრიმინალისტები დაკითხვის პროცესს ყოფენ უკონფლიქტოდ და კონფლიქტურად.

უკონფლიქტო ხასიათდება ობიექტურად დადგენილი ფაქტების აღიარებით და დასაკითხი პირის მხრიდან სწორი ჩვენებების მიცემის მზადყოფნით. სიტუაციის უკონფლიქტობა, რა თქმა უნდა, არ იძლევა ბრალდებულის სრული გულახდილობის გარანტიას. იგი შეიძლება „კეთილსინდისიერად" ცდებოდეს, არასწორად ესმოდეს ამა თუ იმ მოვლენის არსი. ამდენად, დაკითხვისათვის მომზადება უკონფლიქტო სიტუაციებშიც კი უნდა შეიცავდეს შეცდომების პროგნოზირებას ბრალდებულის ფსიქოლოგიის ცოდნის ბაზაზე. მაგ., მონაცემები დასაკითხი პირის დაბალი აზროვნების, სინამდვილის გაანალიზების უუნარობისა და სუსტი მეხსიერების შესახებ, გამომძიებელს საშუალებას აძლევს განჭვრიტოს მის მიერ მოვლენის შინაარსის, სხვა ადამიანთა ქცევის მოტივების, ასევე მოვლენის დეტალების აღწერისას დაშვებული უზუსტობები.

დაკითხვა ჭეშმარიტებისათვის ბრძოლაა. ამ ბრძოლაში გამომძიებელს ძალას მატებს სხვადასხვა სამეცნიერო სფეროდან მიღებული ცოდნა, რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი დიალოგის ფსიქოლოგიას უჭირავს.

თანამედროვე გამომძიებელი დაკითხვის ჩატარებისას იყენებს ადამიანის ცოდნის სრულიად განსხვავებულ სფეროებს, რაც მას საშუალებას აძლევს გააფართოვოს ინფორმაციის არხები.

ფსიქოფიზიოლოგია, ლოგიკა, პარალინგვისტიკა, სისხლის სამართალი და სხვ. ის მეცნიერებებია, რომლებიც კომპლექსში გამოიყენება აუცილებელი ინფორმაციის მიღებისა და დანაშაულის გახსნისათვის.

ცოცხალი ადამიანი რთული თვითრეგულირებადი სისტემაა, რომელიც მუდმივ წონასწორობაშია გარე სამყაროსთან და ეს წონასწორობა შენარჩუნდება სხვადასხვა პროგრამების შესრულებით. ეს პროგრამები მნიშვნელოვანნილად ინდივიდუალურია ყოველი პიროვნებისათვის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველ ადამიანს სხვებთან ურთიერთობაში აქვს საუბრის ტემპისა და რიტმის საკუთარი დიაპაზონი, თავისებური რეაქცია განსხვავებულ არგუმენტებზე და ა.შ. ამ მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია უცხო ადამიანთან კონტაქტში შესვლა. ამიტომაა აქტუალური გამომძიებლებში იმ პროფესიული უნარ–ჩვევების განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობს გამოძიების მაღალ კულტურას, კერძოდ, დიალოგის წარმართვას. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასწავლო პროცესში აქტიური სწავლების მეთოდების, მაგ., საქმიანი თამაშების დანერგვა.

სქემატურად დაკითხვის დინამიკის ფსიქოლოგია სტადიების მიხედვით ასე გამოიყურება:

პირველი სტადია(მოსამზადებელი)
დაკითხვის მიზანი და გეგმა. დაკითხვების რიგითობის განსაზღვრა, დროისა და ადგილის შერჩევა.

↓

მეორე სტადია(შესავალი)
ვითარების პარალინგვისტური კანონზომიერებები; გამომძიებლის გარეგნული იერის ზემოქმედება და პირველი შთაბეჭდილების ეფექტის უზრუნველყოფა.

↓

მესამე სტადია
ფსიქოლოგიური კონტაქტის მიღწევა.
კონტაქტის დონე: დინამიკური, როლური, არგუმენტაციის დონე და ა.შ.

↓

მეოთხე სტადია
დაკითხვის მიზნის მიღწევა, ჭეშმარიტების მომენტი, კათარსისის სტადია(აღსარება).

↓

მეხუთე სტადია
ჩვენებების კორექცია, მათი არსებულ ინფორმაციასთან შეპირისპირება, უზუსტობების, შეუსაბამობების აღმოფხვრა.

↓

მეექვსე სტადია
მიღებული ინფორმაციისთვის კანონით გათვალისწინებული პროცესუალური ფორმის მინიჭება. ჩვენებათა კომპოზიცია.

4.7. საგამოძიებო ექსპერიმენტის ფსიქოლოგია

შემთხვევის ადგილზე ჩვენებათა შემოწმების, როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედების, რეგულირება ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ან საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ნორმებით.

ადგილზე ჩვენებების შემოწმება საგამოძიებო მოქმედებების სხვადასხვა ელემენტებს შეიცავს. ის თავისი ფსიქოლოგიური არსით ყველაზე ახლოს არის დაკითხვასთან და შემთხვევის ადგილის დათვალიერებასთან. ბრალდებულის ან თვითმხილველის მიერ დანაშულის მოვლენის შესახებ ხელმეორედ მონაყოლი, ბუნებრივია, დამატებით მტკიცებულებას არ წარმოადგენს, თუნდაც ეს აღდგენა დანაშაულის ჩადენის ადგილზე ხდებოდეს. მისი მთავარი მიზანი დამატებითი ინფორმაციის მიღებაა.

როდესაც დასაკითხი პირის ჩვენების შემოწმება ხდება ასოციაციური კავშირების გზით, მეხსიერება უმჯობესდება. შემთხვევის ადგილზე, იმ ნივთებსა და საგნებს შორის ყოფნისას, რომლებზეც დაკითხვის მომენტში საუბარი იყო მხოლოდ მოგონებებით, ინდივიდმა შეიძლება გაიხსენოს ისეთი ფაქტები, რომლებიც გამომძიებლის კაბინეტში მას უბრალოდ გადაავიწყდა.

ჩვენებათა აღდგენისას ხშირად ვლინდება საქმესთან დაკავშირებით შეგროვილ მტკიცებულებებში არსებული წინააღმდეგობები, რომელთა გამოვლენა სხვა სიტუაციაში საერთოდ შეუძლებელი იყო.

რამდენადაც ჩვენებების აღდგენა ხორციელდება მხოლოდ დასაკითხი პირის თანხმობის საფუძველზე, გამომძიებელს მოეთხოვება გამოავლინოს კომუნიკაციური უნარ–ჩვევები ამ რთული საგამოძიებო მოქმე-

დების პერიოდში საჭირო კონტაქტის შესანარჩუნებლად.

ჩვენებათა ადგილზე შემოწმების ჩატარება ყველაზე ხშირად შემდეგ საფუძველზე ხორციელდება:

1. შემთხვევის ადგილის დაზუსტება;
2. ძიების გზების გამოკვეთის აუცილებლობა;
3. გამოძიებისთვის მნიშვნელობის მქონე საგნების ადგილმდებარეობის დადგენა;
4. გამოძიებისთვის უცნობ პირთა დადგენა;
5. შემთხვევის ცალკეული გარემოების დაზუსტება;
6. დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი ვითარებების დადგენა;
7. შესამოწმებელ პირთა გამოსაძიებელ საქმესთან კავშირის დადგენა (შემთხვევის ადგილის, ცალკეული ობიექტის ან მარშრუტის ცოდნა და ა.შ.).

ჩვენების ადგილზე შემოწმება გამომძიებლისგან მოითხოვს ორგანიზატორულ უნარს. მან უნდა შეძლოს ერთდროულად უხელმძღვანელოს ადამიანთა დიდ ჯგუფს(სპეციალისტები, ბადრაგი, დამსწრეები და ა.შ.), აღიქვას ინფორმაციის გარკვეული რაოდენობა, გაანალიზოს იგი, წარმართოს საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობა, ასევე მაქსიმალურად სრულად დააფიქსიროს შეგროვილი მასალა.

ჩვენების შემოწმებისათვის მზადებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს რიგი ორგანიზაციული მომენტი, რომელიც შეიცავს ფსიქოლოგიურ ასპექტს. პირველ რიგში, საჭიროა დროის სწორად შერჩევა. თუ ბრალდებული იძლევა მართალ ჩვენებას და საჭიროება მოითხოვს მისი შემთხვევის ადგილზე გაყვანას, ეს უნდა მოხდეს დროულად. რამდენიმე დღით, მით უმეტეს

რამდენიმე კვირით, დაგვიანებამ, შეიძლება გამოიწვიოს ბრალდებულთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დაკარგვა, მისი პოზიციის შეცვლა.

გამომძიებელმა კარგად უნდა შეისწავლოს საგამოძიებო მოქმედების ცენტრალური ფიგურის – იმ პირის, ვისი ჩვენებებიც მოწმდება – ფსიქოლოგია. ეს მას დაეხმარება აღნიშნულ პირთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებაში, შესაძლებლობას მისცემს თავიდან აირიდოს არასასურველი კონფლიქტები და შემოწმებისას მიიღოს აუცილებელი მტკიცებულებების მაქსიმუმი.

გამომძიებელს არ უნდა დაავიწყდეს იმ შესაძლო უარყოფითი გავლენის შესახებ, რომელსაც დამსწრეთა გარემოცვაში განიცდის ზოგიერთი შესამოწმებელი პიროვნება.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ჩადენილ დანაშაულზე ხალისით ჰყვებიან მხოლოდ გამომძიებელთან პირისპირ და ძალიან უჭირთ იგივეზე საუბარი ადამიანთა ჯგუფის წინაშე. ამის გათვალისწინებით, დასაკითხ პირთან საჭიროა წინასწარი მუშაობის ჩატარება. მას უნდა განემარტოს ადგილზე ჩვენების შემოწმების თანმიმდევრობა, ვინ მონაწილეობს და რა ფუნქციას ასრულებს საგამოძიებო მოქმედებაში და სხვ. უაზრობაა ბრალდებულთან კონფლიქტის დაწყება წვრილმანი, არაარსებითი საკითხების გამო, რაში გარკვევაც მომდევნო დაკითხვის პროცესშია შესაძლებელი.

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას მოითხოვს შემოწმების ჩატარება არასრულწლოვანებთან. რა თქმა უნდა, გამომძიებელს დაეხმარება პედაგოგთან საუბარი, რომელიც მას მოუთხრობს მოზარდის ფსიქიკურ თავისებურებებზე. ყოველივე ამის ცოდნა გამომძიებელს საშუალებას მისცემს არასრულწლოვანის ყურად-

ღება მიმართოს დანაშაულის შესახებ თხრობაზე, რადგან შემონმების პროცესში ადამიანზე ყურადღების გამფანტველი მრავალი მომენტი ახდენს ზეგავლენას. მოზარდის ყურადღება არ არის ისეთი მდგრადი როგორც ზრდასრული ადამიანისა, ამიტომ, მიზანშეწონილი არ არის შემონმების ადგილზე ზედმეტი ხალხის დასწრება, მისთვის უცხო აპარატურის მუშაობა და ა.შ.

როდესაც ლაპარაკია ეჭვმიტანილზე ან ბრალდებულზე, შემონმების მონაწილეები გამომძიებლის მხრიდან გაფრთხილებულნი უნდა იყვნენ, რათა არ გამოხატონ ზიზღი, აღშფოთება, გულისწყრომა, სიბრალული და ა.შ. ერთმა გაუფრთხილებლად ნათქვამმა სიტყვამაც კი, შეიძლება, მომენტალურად დაანგრიოს გამომძიებლისადმი ნდობის ატმოსფერო და შეუძლებელი გახადოს ამ საგამოძიებო მოქმედების შემდგომი გაგრძელება.

განსაზღვრული სიძნელეები აღმოცენდება მაშინ, როცა შემთხვევის ადგილზე ჩვენებების შემოწმება ტარდება დანაშაულის მოვლენიდან დროის დიდი მონაკვეთის გამოტოვებით. იცვლება გარემო(მაგ., ხეები იზრდება, ძველი შენობები ინგრევა, შენდება ახალი და ა.შ.). ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ყველა შესაძლო საშუალების გამოყენება დასაკითხ პიროვნებაში ასოციაციური კავშირების გამოსაწვევად. ეს დაეხმარება მას გაიხსენოს ესა თუ ის გარემოება, პიროვნება, იარაღი, დეტალი და სხვ., რაც საშუალებას მისცემს გამომძიებელს, სწორად შეაფასოს ექსპერიმენტის შედეგები.

უკანასკნელ ხანებში, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების მხილების პრაქტიკაში გამოიყენება ე.წ. „ოპერატიული ექსპერიმენტი".

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად მნიშვნელოვანია მისი მონაწილეების შერჩევა. ექსპერი-

მენტში, გამომძიებლისა და დამსწრეების გარდა, შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ბრალდებულმა(ეჭვმიტანილმა), დაზარალებულმა, მოწმემ, სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს სპეციალისტმა, ტექნიკურმა პერსონალმა...

აღქმასთან დაკავშირებულ რთულ ექსპერიმენტებში ფსიქოლოგიური მხარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

აღქმა, როგორც სინამდვილის გრძნობადი ხატის ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესი, წარმოადგენს სრულიად განსხვავებული ფუნქციონალური, ოპერაციონალური და მოტივაციური წარმონაქმნების შერწყმას. აღქმასთან დაკავშირებული ექსპერიმენტების შედეგები დამოკიდებულია როგორც პიროვნების სუბიექტურ ნიშან–თვისებებზე, ასევე ექსპერიმენტის ჩატარების მომენტში მისი ორგანიზმის მდგომარეობაზეც.

ადამიანის აღქმის ზღურბლების ინდივიდუალური თავისებურებები შეიძლება იყოს ნაწილობრივ თანდაყოლილი, ან ნაწილობრივ სხვა საქმიანობის პროცესში შეძენილი. ამასთან, ნორმიდან გადახრა აქ შეიძლება ძალზედ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. მაგ., ფეიქარი, რომელიც დაოსტატებულია შავი ფერების გამოყვანაში, არჩევს მხოლოდ შავი ფერის ორმოცამდე ელფერს. დადგენილია, რომ მამაკაცების, დაახლოებით 8%–ს აქვს დეფექტი ფერთა შეგრძნებაში. ბევრმა მათგანმა არც იცის ეს. ამიტომ შეიძლება, ფერების განსაზღვრაში მათ სავსებით გულწრფელად „იცრუონ". სწორედ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში უნდა გაირკვეს მათი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიზეზები.

საგამოძიებო პრაქტიკა აჩვენებს, რომ შედარებით დიდ სირთულეს წარმოადგენს სივრცის აღქმისა და სივრცითი წარმოდგენების შემოწმება. ამ სახის ექსპერიმენტების სირთულე განპირობებულია სივრცის აღქმის ფიზიოლოგიური ბუნებით. ეს მექანიზმი სისტემურია და წარმოიშვება ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა ანალიზატორების ურთიერთქმედების შედეგად. სივრცითი მახასიათებლების ობიექტური თვისებებიდან გამომდინარე (განფენილობა, მიმართულება, სიდიდე, ფორმა, ადგილმდებარეობა), მათ აღქმაში მონაწილეობს სხვადასხვა ანალიზატორი. ამასთან, ყოველი მათგანი დაკავშირებულია ყველას ერთობლივ მოქმედებასთან. სივრცითი ნიშნებისა და მიმართებების აღქმაში მონაწილეობს მხედველობაც, სმენაც, ყნოსვაც და გრძნობის სხვა ორგანოებიც.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ დროის აღქმაც სისტემურია. ადამიანი არ ფლობს დროისა და დროითი წარმოდგენების სპეციფიკურ ანალიზატორს. სივრცის აღქმის მსგავსად, დროც აღიქმება სხვადასხვა ანალიზატორის ერთობლივი მოქმედებით.

ყოველივე ზემოთქმული გამომძიებელს ავალდებულებს ბრალდებულის(მოწმის, დაზარალებულის) დროითი და სივრცითი წარმოდგენების შეფასებისას, ასევე ექსპერიმენტული გზით მისი ჩვენებების შემოწმებისას, გაითვალისწინოს ბრალდებულის პიროვნების ყველა გრძნობის ორგანოს მდგომარეობა და არა მხოლოდ მხედველობა ან სმენა.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების გარდაუვალ პირობას წარმოადგენს ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის გულწრფელი აღიარება, რაც საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად მისი შინაგანი მზადყოფნის დასტური იქნება.

როგორც უკვე აღინიშნა, საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადებისას აუცილებელია მისი მონაწილეების არა მარტო საერთო ფიზიკური და ფსიქიკური მონაცემების გათვალისწინება, არამედ ცდის ჩატარების მომენტში მათი ფსიქოსომატური მდგომარეობის შესწავლაც. ავადმყოფობა, შფოთვა, შიში და უბრალო გადაღლაც კი, შესაძლოა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდეს მომხდარის აღქმაზე. მაგ., ცნობილია, რომ სურდოს დროს, ძლიერ ქვეითდება სუნის შეგრძნება. სიდიდის, ფორმისა და ფერის აღქმის ტემპის და თანმიმდევრულობის ფორმირება დამოკიდებულია ადამიანის ასაკზე და სხვ.

საგამოძიებო ექსპერიმენტისას რთულია იმ პირობების აღდგენა, რომელშიც მიმდინარეობდა მოვლენა(ფაქტი). ეს ეხება ადგილს, დროს და სხვა გარემოებებს, რომლებმაც თავის დროზე მოახდინეს ზეგავლენა გამოძიებისთვის საინტერესო სიტუაციის მიმდინარეობაზე და რომლებიც უნდა აისახოს ექსპერიმენტში. სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პრაქტიკის შესწავლა უჩვენებს, რომ ბრალდებულები, მოწმეები, დაზარალებულები თავიანთ ჩვენებებში არაიშვიათად ეყრდნობიან, მაგ., სიბნელეს ან, პირიქით, ძალიან დიდ განათებას, რომელმაც ხელი შეუშალა მათ კარგად დაეთვალიერებინათ საგანი. ამის უგულვებელყოფა არ შეიძლება. ასეთი ჩვენებების ექსპერიმენტული გზით შემოწმებისას აუცილებელია, აღდგეს ზუსტად განათების იგივე პირობები და ხანგრძლივობა, რომელიც იყო დანაშაულის მომენტში. განათების მკვეთრ ცვალებადობასთან დაკავშირებული მოვლენის შესწავლისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს ადაპტაციის მოვლენა, მისი თავისებურებები და კანონზომიერებები.

4.8. ჩხრეკის ფსიქოლოგია

ჩხრეკა არის საგამოძიებო მოქმედება, რომლის მნიშვნელოვან ელემენტს ჩხრეკის ობიექტის იძულება წარმოადგენს. ჩხრეკის მიმდინარეობისას, გამომძიებელი და სხვა პირები, დანაშაულის გახსნის მიზნით, ათვალიერებენ და იკვლევენ საცხოვრებელ ფართებს, სხვადასხვა ნაგებობებს, მიწის ნაკვეთებს, ტანისამოსს და ადამიანის სხეულსაც კი. გამომძიებლის მიზნები, ჩვეულებრივ, ჩხრეკის ობიექტის მიზნების საპირისპიროა. ჩხრეკის იძულებითი ხასიათი და მასში მონაწილე პირების მიზანთა წინააღმდეგობრიობა, განაპირობებს კონფლიქტურ სიტუაციას. გარდა ამისა, ჩხრეკისათვის დამახასიათებელია იმ პირთან მუდმივი დიალოგის, კონტაქტის არარსებობა, რომელიც ფლობს აუცილებელ ინფორმაციას. ხშირია შემთხვევები, როცა ჩხრეკის პროცესის რომელიმე მომენტიდან ბრალდებული ნეგატიურად განეწყობა გამომძიებლისადმი.

ზემოჩამოთვლილი ფაქტორები უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ გადამალული საგნების ადგილმდებარეობის შესახებ გამომძიებლის მიერ ინფორმაციის მოპოვებაზე. მაგრამ გამჩხრეკის მდგომარეობა არც თუ უიმედოა. მას შეუძლია და უნდა გამოიყენოს ის ელემენტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ წარმატებულ ჩხრეკას. მათ განეკუთვნება ჩხრეკის ჩატარების მომზადება, დაკვირვება და ამ დაკვირვების შედეგების სწორი ანალიზი, ასევე გამომძიებლის პიროვნული თვისებები და უნარ–ჩვევები, რომელთა რეალიზაციამ ჩხრეკის ჩატარებისას შეიძლება ის წარმატებამდე მიიყვანოს.

ჩხრეკის დადებითი ან უარყოფითი შედეგები არაიშვიათად განპირობებულია თვით ამ საგამოძიებო მოქმედებისადმი მზადყოფნის დონით. კარგი მომზადება

უზრუნველყოფს მოქმედების დროულად დაწყებას, მისი ჩატარების გეგმაზომიერებას, წარმატებაში დარწმუნებულობას, რომელიც აღმოცენდება მონაწილეებში. ცუდი მომზადება ან მისი არარსებობა საერთოდ, ხშირად იწვევს შემთხვევით, უსისტემო ძიებებს, არაკოორდინირებულ მოქმედებებს, რაც საბოლოოდ მარცხის საწინდარია.

ჩხრეკისადმი მომზადების პერიოდში გამომძიებლისთვის რეკომენდებულია შემდეგი საკითხების გააზრება:

- რა უნდა ეძებოს, როგორ გამოიყურება მოსაძებნი საგნები(ფორმა, ფერი, სუნი და ა.შ.);
- რას წარმოადგენს ობიექტი, სადაც მიმდინარეობს ჩხრეკა, როგორია მისი ფართობი, რელიეფი, დაგეგმარება, ფანჯრებისა და კარებების რაოდენობა, ავეჯის განლაგება და სხვა;
- რა ან ვინ შეიძლება იმყოფებოდეს ჩხრეკის მომენტში ამ ობიექტზე საძიებო საგნის გარდა;
- როგორია ჩხრეკის ობიექტის ბუნებრივი და ხელოვნური განათება;
- არის თუ არა ობიექტზე ტელეფონი ან კავშირის სხვა საშუალებები;
- სად შეიძლება იმყოფებოდეს გადამალული საგნები;
- ვინ ჩაატარებს ჩხრეკას;
- რა ტექნიკური საშუალებები და სხვა დამატებითი მასალებია საჭირო;

- როდის არის ყველაზე ხელსაყრელი ჩხრეკის დაწყება;
- რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ის;
- მიზანშეწონილია ჩხრეკის პროცედურის გეგმის შედგენა, სადაც მკაფიოდ იქნება განაწილებული ყოველი მონაწილის ფუნქცია;
- წინასწარ უნდა შეირჩნენ ჩხრეკის პროცესზე დამსწრეები.

გამომძიებელი ჩხრეკის დაწყებამდე რაც უფრო დაწვრილებით გასცემს პასუხს ზემოჩამოთვლილ კითხვებს, მით უფრო ნაკლები იქნება მოულოდნელობები და მეტი – წარმატების შანსი.

ჩხრეკის პროცესში საჭიროა ყველაფერზე დაკვირვება: მთელ ობიექტზე, ჩხრეკის ჩამტარებლებზეც და გასაჩხრეკ პირებზეც. განსაკუთრებით დიდი ინფორმაციის მოცემა შეუძლია გასაჩხრეკი პიროვნების ქცევაზე დაკვირვებას. მაგრამ შედარებით უფრო სრული და უტყუარი შედეგების მისაღებად საჭიროა ჩხრეკის კონფლიქტურ სიტუაციაში პიროვნების ქცევის ძირითადი ფსიქოლოგიური კანონზომიერებების ცოდნა. გასაჩხრეკი პიროვნების ქცევა განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:

ა) ჩხრეკის შედეგებიდან გამომდინარე ადამიანი საკუთარი მომავლის პროგნოზს აკეთებს. ეს მდგომარეობა მასში ძლიერ ემოციურ აგზნებადობას იწვევს, რომლის დაფარვასაც ცდილობს.

ბ) გამჩხრეკის მიახლოება გადამალულ საგანთან გასაჩხრეკი პიროვნების თავის ტვინში იწვევს იმ კერების გააქტიურებას, რომლებიც უკავშირდება დანაშაულის მოვლენასა და მის შედეგებს. ამ გარემოებამ არ შე-

იძლება ზემოქმედება არ მოახდინოს გასაჩხრეკის ქცევაზე და შესატყვისად არ შეცვალოს იგი.

რეკომენდებულია, რომ გამომძიებელმა ამ დროს დაკვირვება მოახდინოს მისი ხელებისა და ფეხების მიკრომოძრაობებზე, სახის მიმიკაზე, ხმის შეცვლაზე, კანის ფერზე, ოფლის გამოყოფაზე, პანტომიმიკაზე და ა.შ.

გასაჩხრეკი პიროვნების ფსიქიკურ საქმიანობაში ინტენსიურ ფუნქციონირებას იწყებს დაცვითი მექანიზმების სისტემა. გამომდინარე აქედან, ინდივიდი ავლენს ურთიერთობის სურვილს ან ჩაკეტილობას, თავშეკავებას ან მოჩვენებით გულახდილობას, ამბიციურობას ან აგრესიულობას; მაგრამ, თითქმის ყველა შემთხვევაში, ის იმყოფება განსაზღვრული პერსევერაციული ანუ აკვიატებული სახეების(ხატების) ზეგავლენის ქვეშ.

მალავს რა მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენას, მხილების, დაპატიმრების, გასამართლების, ქონების კონფისკაციის შიში გასაჩხრეკი პიროვნების ცნობიერებაში ქმნის „აფექტაციის კერას", რომელიც ფუნქციურად გარდაქმნის მთელ მის ფსიქიკურ მოქმედებას, ახდენს ინდივიდის ფსიქოლოგიური მოქმედების დეზორგანიზაციას. დაცვითი მექანიზმები ყალიბდება სპონტანურად. ამის ფონზე გამომძიებლის გამოკვეთილმა, დამაჯერებელმა ქმედებებმა, რაშიც გამოვლინდება მისი გათვითცნობიერებულობა გასაჩხრეკი პიროვნების წარსულის შესახებ, შეიძლება გამოიწვიოს როგორც გულწრფელი აღიარება და გადამალული ნივთების ნებაყოფლობითი გადაცემა, ასევე უკიდურესი აგრესიულობაც.

ჩხრეკის ჩატარებაში გამოიყოფა ოთხი სტადია: მოსამზადებელი, მიმოხილვითი, დეტალური და დასკვნითი.

გამომძიებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს გასაჩხრეკი პიროვნების სქესი და ასაკი, მისი დანაშაულებრივი გამოცდილება.

ჩხრეკის დაწყებამდე გამომძიებელი ვალდებულია ჩხრეკაში მონაწილე პირებს განუმარტოს გასაჩხრეკ ტერიტორიაზე დასაშვები ქცევის წესები. ისინი უნდა ისხდნენ თავიანთ ადგილებზე, არ ისროლონ რეპლიკები, არ ჩაერთონ ოპერატიული მუშაკების მოქმედებებში და ა.შ.

საძიებო საქმიანობაზე ცნობიერების კონცენტრირების უზრუნველყოფის მიზნით, გამომძიებელი ვალდებულია:

1. არ დაიწყოს ჩხრეკის პროცესი დაღლილ ან დისკომფორტის მდგომარეობაში;
2. არ შევიდეს კონფლიქტში გასაჩხრეკ პიროვნებასთან, არ ჰქონდეს მასთან ზედმეტი კონტაქტი; იგი ვალდებულია გამოიჩინოს ტაქტი და თავაზიანობა;
3. აღმოფხვრას ყურადღების გამფანტველი ყველა ფაქტორი(მონაწილეების მოუსვენრობა და უაზრო სიარული, გარეშე პირთა ლაპარაკი და ა.შ.);
4. არ იჩქაროს და არ დაიწყოს ახალი ობიექტის დათვალიერება ძველის სრულ გამოკვლევამდე, იმოქმედოს მკაცრი თანმიმდევრობის დაცვით;
5. შეისვენოს ფსიქიკური და ფიზიკური დაღლილობის ნიშნების გამოვლენისთანავე.

ჩხრეკის პროცესში გამომძიებელი აღიქვამს ერთი ტიპის გამღიზიანებელთა სიუხვეს. ამ ერთფეროვანმა გამღიზიანებლებმა და საძიებო მოქმედებების მონოტონურობამ, შეიძლება მასში გამოიწვიოს დაცვითი შეკავება. ამიტომ გამომძიებელმა საკმაოდ ხშირად უნდა შეცვალოს საქმიანობის სახე, ერთი ჯგუფის ობიექტების გამოკვლევიდან გადავიდეს მეორეზე, პატარა ზომის საგნების(წერილები, წიგნების და ა.შ.). დათვალიერებიდან გადაინაცვლოს მსხვილი საგნების, მაგ., ავეჯის შესწავლაზე; განსაკუთრებით უნდა ერიდოს ყურადღების უნებლიე გადანაცვლებას.

ჩხრეკისას გამომძიებელმა უნდა გამოამჟღავნოს აზროვნების რეფლექსიურობა, ანუ გაითვალისწინოს დამმალავის შესაძლო მოქმედებები და განსჯები. მაგ., სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების შესახებ საქმის გამოძიებისას, გამომძიებლის მიერ გულდასმით იქნა შესწავლილი ბრალდებულის ყველა ნათესაური კავშირი და ნაცნობების წრე. დაკითხვაზე, როდესაც ბრალდებულს დაუსვეს შეკითხვა თუ სად და ვისთან დამალა ფული და ძვირფასეულობა, მან პასუხი არ გასცა. მაშინ გამომძიებელმა შესთავაზა დაესახელებინა მისი ნათესავები და მეგობრები. ბრალდებულმა არ ჩამოთვალა ზოგიერთი, არა თუ მეგობარი, არამედ ახლო ნათესავიც კი. არდასახელებულებთან ჩხრეკის ჩატარებამ დადებითი შედეგი გამოიღო. აქ გამომძიებელმა გამოიჩინა რეფლექსიურობა – საკუთარი თავი ჩააყენა ბრალდებულის მდგომარეობაში.

ზოგჯერ დამნაშავეები ითვალისწინებენ გამომძიებლის განწყობას რთულ ძიებაზე და საძებნ ნივთს თვალსაჩინო ადგილზე ტოვებენ.

გამომძიებელს უნდა ჰქონდეს მომატებული რეაქცია ყველაფერზე, რაც, გასაჩხრეკი პირის აზრით, მოახ-

დენს მისი საძიებო საქმიანობის დემობილიზებას. მაგ., სამალავის აღმოჩენამ შესაძლოა გამომძიებელს უბიძგოს ძიების შეწყვეტისკენ. იციან რა ეს, დამნაშავეები ხშირად აკეთებენ ყალბ სამალავებს, სადაც გამოძიებისთვის სრულიად გამოუსადეგარ საგნებს ათავსებენ. ერთ დამალულ ობიექტს შეუძლია შენიღბოს სხვა, საქმისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი ნივთიერი მტკიცებულება.

ხშირად, ჩხრეკა უკავშირდება შენობაში(დაწესებულებაში) იძულებით შეჭრას, მოქალაქეთა პირადი ნივთების, დოკუმენტების გაცნობას. ეს გამომძიებლის ქცევისგან მოითხოვს ეთიკური მოთხოვნების დაცვას. ჩხრეკის ეთიკური მხარე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ რიგი ზნეობრივი მოთხოვნისა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაც კი არ არის გათვალისწინებული.

გამომძიებელს არა აქვს უფლება დაამციროს და შეურაცხყოს გასაჩხრეკი პიროვნება; გამომძიებელი ვალდებულია, არ გაამჟღავნოს ინტიმური ცხოვრების ის მომენტები, რომელიც მისთვის ცნობილი გახდება ჩხრეკის შემდგომ; ჩხრეკის ჩატარება არ შეიძლება ღამის საათებში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

არასრულწლოვანის გაჩხრეკის აუცილებლობისას საჭიროა პედაგოგის დასწრება. ავადმყოფის გაჩხრეკისას ექიმიც იღებს მონაწილეობას. ჩხრეკის ადგილიდან უნდა მოაცილონ ბავშვები, რადგან ეს პროცესი მათ ფსიქიკაზე აუცილებლად ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენს.

გამომძიებელი ვალდებულია დაიცვას გასაჩხრეკი პიროვნების ქონება. დაუშვებელია შენიშვნები მისი ოჯახის წევრების, მათი ცხოვრების წესის და ა.შ. მიმართ.

5. სასამართლო პროცესის ფსიქოლოგია

5.1. სასამართლო პროცესის ზოგადფსიქოლოგიური დახასიათება

სასამართლო პროცესის ფსიქოლოგიური ანალიზი საშუალებას იძლევა შემუშავდეს ის რეკომენდაციები, რომლებიც მიმართული იქნება მართლმსაჯულების ეფექტურობის, თვით სასამართლო პროცესის კულტურის ამაღლებაზე.

სასამართლო გამოძიება და განაჩენის გამოტანა წარმოადგენს გარდაუვალ სტადიას, რომელიც ლოგიკურად მოსდევს დანაშაულის ჩადენას და წინასწარ გამოძიებას. სასამართლო პროცესის მონაწილეთა საქმიანობა სხვადასხვაგვარია.

მართლმსაჯულება, რომელიც საქმიანობის სხვა სახეებთან შედარებით გამოდის როგორც ადამიანთაშორისი ურთიერთობების სფერო, დაკავშირებულია არაერთ სოციალურ–ფსიქოლოგიურ მოვლენასთან, მაგ., სოციალური ჯგუფების საქმიანობის ეფექტურობასთან, ჯგუფში შეფასებების თავისებურებებთან, ადამიანების მიერ ერთმანეთის აღქმასთან და გაგებასთან, შთაგონებასთან, ავტორიტეტულობასთან, პიროვნების სოციალურ–ფსიქოლოგიურ როლთან და ა.შ. ამასთან, სოციალური ფსიქოლოგიის კანონზომიერებები სამართალწარმოების სფეროში, შეიძლება ემსახურებოდეს საქმიანობის შედეგების როგორც გაუმჯობესებას, ისევე გაუარესებას. მართლმსაჯულების განხორციელებისას კოლეგიალური საწყისი პასუხობს სოციალური ფსიქოლოგიის კანონზომიერებებს. ამ კანონ-

ზომიერებების თანახმად, რთული ამოცანების გადაჭრას(ასეთია სისხლის სამართლის საქმეთა უმეტესობა), ხელს უწყობს ადამიანთა ჯგუფების ურთიერთქმედება. ერთობლივი საქმიანობის სიტუაციაში მსუბუქდება ჯგუფის ყველა წევრის ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობა, მატულობს აზროვნების ეფექტურობა, მცირდება იმ სუბიექტური ფაქტორების მოქმედება, რომლებმაც, შესაძლოა, გამოიწვიონ მცდარი შედეგი. მტკიცებულებათა კოლექტიური შეფასება მაქსიმალურად ობიექტურია.

სასამართლო პრაქტიკაში იშვიათია სასამართლო კოლეგიის წევრთა შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევები. განაჩენის გამოტანა ერთხმად, სასამართლოს მთელი შემადგენლობის მიერ, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კანონიერებისა და განაჩენის საფუძვლიანობის დამატებითი გარანტი, რამეთუ სასამართლო კოლეგიის ყველა წევრის შინაგანი რწმენა ერთმანეთს ემთხვევა. ზოგადად, სწორედ ეს ხდის განაჩენს უტყუარს. მაგრამ მსგავს ერთიანობას არაიშვიათად ადგილი აქვს ისეთი განაჩენის გამოტანის დროსაც, რომელიც შემდგომში ზემდგომი სასამართლოს მიერ იცვლება, რაც ადასტურებს სასამართლო კოლეგიაში უმრავლესობის არასწორი შეხედულების ზეწოლას ყოველი წევრის მიერ საკუთარი აზრის ჩამოყალიბებაზე. არსებობს სუბიექტური და ობიექტური პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ სასამართლო კოლეგიაში კონფორმიზმის გადალახვას. უპირველესად, სასამართლოს წევრებს მუდმივად უნდა ახსოვდეთ იმ საშიშროებების შესახებ, რაც ახლავს კოლექტიური აზრის ფორმირებას. ყოველმა მათგანმა შინაგანად უნდა გააკონტროლოს საკუთარი დასკვნა, რათა ხელმეორედ დარწმუნდეს, ხომ არ იმოქმედა მასზე უმრავლესობამ. არ-

სებობს ამ ფსიქოლოგიური ფაქტორის გადალახვის შესაძლებლობები. სასამართლოს შემადგენლობა ხშირად მოქმედებს ისე, რომ არაცნობიერად აძლიერებს კონფორმიზმის გამოვლენას. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ მოსამართლეს, სასამართლო კოლეგიის წევრთა შორის, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისგან მოდის განსახილველ საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი, რაც, სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლების თანახმად, ამყარებს მოსამართლის, როგორც ხელმძღვანელის, ან ერთობლივად მოქმედ პირთა ჯგუფში ლიდერის, მდგომარეობას. ასეთი უთანასწორო სოციალური(და არა სამართლებრივი) სტატუსი გამოიხატება იმაში, რომ მოსამართლეს სასამართლოს დანარჩენი წევრები ქვეცნობიერად ემორჩილებიან

ამ გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიის უმცირესობაში დარჩენილი წევრის აზრი ხშირად დეფორმირდება მისთვის „ავტორიტეტული კოლექტივის“ შეხედულების ზეწოლით. კანონით გათვალისწინებულია, რომ თავმჯდომარე მოსამართლემ საკუთარი აზრი უნდა გამოთქვას თათბირის ბოლოს. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ზღუდავს თავმჯდომარის შეხედულების ზეგავლენას სასამართლოს სხვა წევრებზე.

მოსამართლის საქმიანობაში მნიშვნელოვანია შემდეგი მომენტები: საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოების და დანაშაულის კვალიფიკაციის წინასწარი შესწავლა და შეფასება; სასამართლო პროცესის დროს მიღებული ინფორმაციის შედარება წინასწარი გამოძიების მასალებთან და კანონის ნორმებთან; განაჩენის გამოტანისას მთელი ინფორმაციის საბოლოო სინთეზი.

წინასწარი გამოძიების მასალებში არსებული მოვლენის აღდგენილი მოდელი ამსუბუქებს ფაქტების გაცნობიერებას, მათ ყოველმხრივ გამოკვლევას. მაგრამ ეს მოდელი სასამართლოს მიერ ყოველთვის აღქმული უნდა იყოს როგორც ალბათური ჭეშმარიტება, რომელიც აუცილებლად ექვემდებარება მისი ცალკეული ელემენტის დონეზე გადამოწმებას და გამოკვლევას.

საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებების ერთობლიობის ანალიზის საფუძველზე, რომლის მთავარ კრიტერიუმს სიმართლე წარმოადგენს, იგება ბრალდების ან დაცვის მხარის სიტყვა, გამოიტანება განაჩენი. ამასთან მტკიცებულებების უმრავლესობა ატარებს პიროვნულ ხასიათს(განსასჯელის, მოწმის, დაზარალებულის ჩვენებები), ამიტომ მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატის საქმიანობა სასამართლო სხდომაზე არ შეიძლება შემოიფარგლოს მიღებული შედეგების და მონაცემების ფორმალურ–ლოგიკური დაჯგუფებით და შეფასებით. ის გადადის ეთიკური ურთიერთობების სფეროში, სადაც წამოიჭრება ისეთი საკითხები, როგორიცაა, მაგ., სასამართლო გარჩევის სუბიექტებთან მიმნდობლური კონტაქტის დამყარება, მათში შებოჭილობის, დაურწმუნებლობის გრძნობის გადალახვა, ამა თუ იმ პირის მიერ მოვლენის შეფასებაში არსებითი შეუსაბამობის მიზეზების გამოვლენა და სხვ.

სასამართლო პროცესის არც ერთმა მონაწილემ არ უნდა დაივიწყოს, რომ განსასჯელი, მისი დადებითი თუ უარყოფითი პიროვნული თვისებებით, ყველაზე მნიშვნელოვანია. ამიტომ ამ თვისებების განსაზღვრა ყველასათვის – იქნება ის მოსამართლე, პროკურორი თუ ადვოკატი – უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს.

განსასჯელი არასოდეს არ არის მშვიდად და წყნარად. მისი მდგომარეობა დათრგუნულია და ამიტომ მო-

სამართლის ზნეობრივი ვალდებულებაა, ყოველგვარი ირონიულობისა და დაცინვის გარეშე, ყურადღებით მოუსმინოს მის ახსნა–განმარტებებს. იგივე შეიძლება ითქვას პროკურორის საქმიანობაზეც.

სასამართლოს საქმიანობა თავისი სპეციფიკით განსხვავდება გამომძიებლის საქმიანობისგან. საქმესთან დაკავშირებული მოვლენების უშუალო აღქმის შესაძლებლობა აქ შედარებით შეზღუდულია. ოპერატიული გადამუშავებისათვის ინფორმაციის ნაკადი უფრო გადატვირთულია. მისი ანალიზისათვის მიცემული შეზღუდული დრო, სასამართლოს ინტელექტუალური მუშაობის წინაშე აყენებს ამაღლებულ მოთხოვნებს. აქ, აუცილებელია, ყურადღების მდგრადობა, განაწილება, კონცენტრირებულობა, საქმიანობის სისტემურობის გააქტიურება და სხვ.

სასამართლომ უნდა გაანალიზოს არა მხოლოდ წინასწარი გამოძიების ვერსია, არამედ საქმესთან დაკავშირებულ მოვლენებსა და გარემოებებს შორის ყველა სხვა შესაძლო ურთიერთკავშირი. სასამართლო უფლებამოსილია წამოაყენოს საკუთარი ვერსიები.

სასამართლო ახორციელებს რთულ სოციალურ–კომუნიკატორულ საქმიანობას, ახდენს სასამართლო პროცესის მონაწილეების ქცევისა და ფსიქიკური მდგომარეობის რეგულირებას.

მტკიცებულებითი ინფორმაციის ძირითადი ნაწილი სასამართლოს მიერ აღიქმება ზეპირმეტყველებით(მოწმის, განსასჯელს, ექსპერტების და ა.შ. ჩვენებები). ეს გულისხმობს, მეტყველებითი ტექსტების ანალიზის, დეტალებით გადატვირთულ შეტყობინებებში არსებითის გამოყოფის უნარის განვითარებას.

სასამართლოზე არ უნდა იმოქმედოს სხვადასხვა ემოციურმა გამოსვლამ, პათეტიკურმა მოწოდებამ და

სენტიმენტალურმა შეფასებამ. სასამართლომ უნდა გამოიცნოს სიტუაციურ–პიროვნული კამუფლიაჟი, თვითშენიღბვა და განსასჯელთა თვითდემონსტრირება. მოსამართლის რთული საქმიანობა მოითხოვს არა მხოლოდ იურიდიულ, არამედ ფსიქოდიაგნოსტიკურ მომზადებასაც, ადამიანთა ქცევის ზოგად სოციალურ–ფსიქოლოგიური თავისებურებების ცოდნას.

სასამართლოს საქმიანობა ხშირად ფსიქიკურად დაძაბულ პირობებში მიმდინარეობს. მოსამართლის უმნიშვნელოვანესი ფსიქიკური თვისებაა: ემოციური მდგრადობა, ტოლერანტობა, ემოციურად დაძაბულ პირობებში კონსტრუქციული საქმიანობის უნარი. სასამართლო პროცესი აღადგენს სინამდვილესთან დაკავშირებულ დრამატულ და ტრაგიკულ მოვლენას. ამ დროს ხელმეორედ „ცოცხლდება" სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა აგრესიულობა, ვნება, გაშმაგება, გაბრაზება და სხვ. ამ ემოციური გამოვლინებების რეგულაციისთვის აუცილებელია ცხოვრებისეული სიბრძნე, სიმშვიდე, მოთმინება, თავშეკავება, აგრეთვე მოსამართლისთვის, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლისთვის, დამახასიათებელი პრინციპულობა და მომთხოვნელობა. არსებითია ასევე მოსამართლის კომუნიკაციური საქმიანობა ჯგუფის შიგნით, მისი ურთიერთქმედება კოლეგებთან.

სასამართლოს თავმჯდომარე წარმოადგენს ფორმალურ ლიდერს. თუმცა მისმა უფლებამოსილებამ არ უნდა დაარღვიოს სასამართლო კოლეგიის წევრთა თანასწორობა. თავმჯდომარის ხელმძღვანელობის სტილი უნდა იყოს დემოკრატიული. აზრთა გაცვლა–გამოცვლა, გაზიარება უნდა ხდებოდეს დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით. თავმჯდომარის ავტორიტეტმა

არ უნდა დათრგუნოს სასამართლოს სხვა წევრთა შეხედულებების დამოუკიდებლობა.

სასამართლოს მთელი საქმიანობა მიმართულია სიმართლის დადგენაზე, კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაზე.

წინასწარი გამოძიების მასალების გაცნობას თან უნდა სდევდეს საქმის სრული და ნათელი გაგება. ამ დროს ყურადღება ექცევა არა მხოლოდ იმას რაც იყო, არამედ იმასაც, რაც არ იყო. შესაძლოა, ეს უკანასკნელიც მტკიცებულება აღმოჩნდეს.

საქმის მასალების შესწავლა წარმოადგენს საწყის ეტაპს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა საქმიანობაში. უკვე ამ ეტაპზე ყალიბდება თითოეულის პოზიცია. მხოლოდ საქმის ყოველმხრივი შესწავლა მათ აძლევს საშუალებას, თავიანთთვის მოინიშნონ სასამართლო საქმიანობის სტრატეგია და ტაქტიკა, ჩამოაყალიბონ თეზისები დამაჯერებელი და არგუმენტირებული სიტყვის წარმოთქმისთვის.

სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლისას ყოველი მხარე არკვევს: რა უნდა შემოწმდეს სასამართლოში; შეესაბამება თუ არა საბრალდებო დასკვნის შედეგები სისხლის სამართლის საქმის მასალებს; გათვალისწინებულია თუ არა გამომძიებლის მიერ საქმესთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება; არის თუ არა სასამართლოში წინასწარი გამოძიების ხარვეზების შევსების აუცილებლობა; საქმის რომელ მხარეზე უნდა აიგოს დაცვის ან ბრალდების სტრატეგია; რომელმა მტკიცებულებამ შეიძლება მიიღოს ახალებური ინტერპრეტაცია; რამ შეიძლება მოახდინოს გავლენა სასამართლო გადაწყვეტილებაზე და ა.შ.

უკვე მოცემულ ეტაპზე სისტემაში მოჰყავთ მტკიცებულებები და მათი მიღების წყაროები; კრიტიკულად

გაანალიზდება მათი ობიექტურობა, წინ წამოიწევს ყველა შესაძლო კონტრვერსია და ა.შ.

საქმის მასალების პირველადი გაცნობისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული სიმძაფრე, ამასთან მომატებულია მაორიენტირებელ–კვლევითი საქმიანობა. ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი ძირითადი და მეორეხარისხოვანი. ნებისმიერი დეტალი გულდასმით უნდა იყოს გამოკვლეული ცალ–ცალკე და ყველა შესაძლო ურთიერთკავშირში.

წინასწარი გამოძიების მასალების შესწავლის პროცესში პროკურორი და დამცველი ამზადებენ სასამართლო პაექრობაში თავიანთი მომავალი სიტყვის მონახაზს. აღიდგენენ რა გამოსაძიებელი შემთხვევის ჭეშმარიტ სურათს, ისინი ქმნიან მოვლენის თვალსაჩინო ხატებს, მასში მონაწილე პირთა ქცევის თავისებურებებს, პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ხასიათს და ა.შ.

მომავალ სიტყვის ლოგიკურ შინაარსთან ერთად მუშავდება „საბრძოლო სქემაც" თავისი ემოციურ–ექსპრესიული ელემენტებით. ცალკეული დეტალი უნდა დალაგდეს ძირითადი თეზისების გარშემო.

საქმის გაცნობის შედეგად, მკაფიოდ გამოცალკევდება უეჭველი ფაქტები და ვარაუდები. სასამართლოზე, გამომძიებლისგან დამოუკიდებლად, შეფასდება მტკიცებულებები. საქმის ყოველი გარემოება განიხილება პროცესუალური ოპონენტის თვალთახედვიდან გამომდინარე.

5.2. სასამართლო გამოძიების ორგანიზების ფსიქოლოგიური მხარე

სასამართლო გამოძიება წარმოადგენს სასამართლო გარჩევის ნაწილს, რომელშიც სასამართლო(მსჯავრდებულის, დამცველის, დაზარალებულისა და ბრალმდებელის მონაწილეობით) უშუალოდ იკვლევს წინასწარი გამოძიების სტადიაზე შეგროვილ და მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

სასამართლო გამოძიება იწყება საბრალდებო დასკვნის გამოცხადების ან დაზარალებულის განცხადების შემდეგ, თუ წინასწარი გამოძიება ან მოკვლევა არ ჩატარებულა. სასამართლო გამოძიების მიმდინარეობისას, თავმჯდომარე, ბრალმდებელი, დამცველი, მოსამართლეები დაკითხავენ მსჯავრდებულებს, მოწმეებს, ისმენენ ექსპერტის დასკვნას, ათვალიერებენ ნივთიერ მტკიცებულებებს, აცხადებენ პროტოკოლებსა და სხვადასხვა დოკუმენტებს. ცალკეული სახის მტკიცებულების გამოკვლევის რიგი დადგენილია კანონით.

განვიხილოთ მოწმის დაკითხვის ფსიქოლოგიური თავისებურებები.

მოწმისადმი პატივცემული დამოკიდებულება უნდა ერწყმოდეს მისი ჩვენებებისადმი კრიტიკულ განწყობას. სრულიად დაუშვებელია უხეში ტონი, დაცინვა, შეურაცხმყოფელი გამოხტომები და სხვ.

XIXს–ის ბოლოს, ექსპერიმენტების შედეგების საფუძველზე, უცხოელი მეცნიერ–იურისტები მოწმეთა ჩვენებების არასრულყოფილებასა და არასაიმედობას ამტკიცებდნენ. მაგ., გერმანელი მეცნიერის უილიამ შტერნის მოხსენებამ „მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია“, რომელიც მან წაიკითხა ბერლინის ფსიქოლოგიური საზოგადოების სხდომაზე, იურისტთა წრეებში დიდი ინ-

ტერესი და ცხოველი დისკუსია გამოიწვია. გამოქვეყნებულმა მოხსენებამ ბიძგი მისცა მოწმის ჩვენებებთან დაკავშირებული საკითხების ინტენსიურ კვლევასა და განსჯას. ამ გამოკვლევათა შორის ყველაზე ფუნდამენტური ნაშრომები იყო ო. გოლდოვსკის „მოწმის ჩვენებათა ფსიქოლოგია" და ა. კონის „მოწმეთა ჩვენებები სასამართლოზე".

შევჩერდეთ იმ ზოგიერთ მნიშვნელოვან ნიშან–თვისებაზე, რომელიც ახასიათებს მოწმის პიროვნებას და განსაზღვრავს მის მიმართ დამოკიდებულების სპეციფიკურობას გამომძიებლის, პროკურორის, ადვოკატის მხრიდან.

უპირველესად განვიხილოთ მოწმის ტემპერამენტი.

სანგვინიკი ძალიან ღელავს; მის მიერ აღწერილ სურათებში ჭარბობს პირადი განცდები, რომლებიც ხშირად გადამეტებულია, ფაქტები კი დამახინჯებული. ამიტომ, ამ ტიპის ტემპერამენტის მქონე პირის დაკითხვისას, აუცილებლია უფრო მეტი მოთმინების გამოჩენა, საკუთარი თანხმობისა თუ უთანხმოების გამოხატვა ყოველგვარი მიმიკისა და ემოციის გარეშე. ეს იმიტომ, რომ სანგვინიკები მიდრეკილნი არიან შემგუებლობისადმი და შეუძლიათ მკვეთრად შეცვალონ ადრე მოცემული ჩვენება, მოერგონ მოსამართლისთვის სასურველს.

მელანქოლიკები ჩვეულებრივ დრამატულობით გამოირჩევიან; ისწრაფვიან ჩაწვდნენ მოვლენის სიღრმეს. ამიტომ, აუცილებელია მეტი გულისხმიერებით მივუდგეთ ასეთი მოწმის ქცევას. გვახსოვდეს, რომ მელანქოლიკების უმრავლესობა – ეგოცენტრულია, ამიტომ ასეთ მოწმესთან კონტაქტის დამყარება შესაძლოა

მხოლოდ მისი პიროვნებისადმი სათანადო ინტერესის გამოვლენით.

ქოლერიკი უყურადღებოა, შეხედულებები ზედაპირული აქვს; ემოციურად ფეთქებადია, რაც განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს სამართალდამცველთა მხრიდან. აღნიშნულის გათვალისწინება საჭიროა სასამართლო დარბაზში კონფლიქტების პროვოცირების თავიდან აცილების მიზნით.

ფლეგმატიკი შედარებით მდგრადი მოწმეა, მაგრამ ყოველთვის ისწრაფვის გაერიდოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონტაქტს, უხალისოდ ასრულებს მოწმის მოვალეობას.

მეორე ნიშან–თვისებაა მოწმის სქესი. ამ დროს ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი. მაგ., მამაკაცებს უფრო მეტად აქვთ განვითარებული ყნოსვა, სმენა, მხედველობა; ქალებს – გემოვნება, ვაზომოტორული აგზნებადობა; ან მამაკაცებს დრო 35%–ით, ქალებს კი – 111%–ით უფრო ხანგრძლივი ეჩვენებათ და სხვ.

მესამე თავისებურებაა მოწმის ასაკი. ბავშვებს, წარსულთან შედარებით, უახლოეს პერიოდში მომხდარი ფაქტები უფრო მკაფიოდ ახსოვთ. ხანდაზმულთა მეხსიერება კი, პირიქით, უკეთესად ინახავს წარსული წლების მოგონებებს. განსაკუთრებულ დელიკატურობას მოითხოვს მოწმე ბავშვების დაკითხვა სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით; ასევე, სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო ოჯახში, მშობლებთან და უახლოეს ნათესავებთან ურთიერთდამოკიდებულებებზე საუბრის დროსაც.

მეოთხე თავისებურებაა მოწმის ქცევა. დაბნეულობა ყოველთვის არ ნიშნავს სიმართლის დაფარვის სურვილს. ჩვენების მიცემისას გაღიმება ან გაცინება არ მიუთითებს მოვალეობის შესრულებისადმი მოწმის

აგდებულ დამოკიდებულებაზე. მას შეიძლება აწუხებდეს აკვიატებული მდგომარეობები ან იდეები. მოწმე, შესაძლოა ბრიყვი იყოს თავისი ბუნებით, მაგრამ სიბრიყვე აუცილებლად უნდა გაირჩეს პიროვნული თავისებურებისგან, რამაც ასევე შეიძლება ასახვა ჰპოვოს ჩვენებებში.

მეხუთე ნიშან–თვისება ფიზიკური ნაკლოვანებაა, რაც მოწმის ჩვენებას ცალმხრივს ხდის. მაგ., ბრმებს განსაკუთრებით განვითარებული აქვთ სმენა. უზნეობაა ყურადღების გამახვილება მოწმის ნაკლზე. ასეთი მოწმე, რომელიც მიუხედავად თავისი მდგომარეობისა ცდილობს მართლმსაჯულების დახმარებას, პატივისცემის ღირსია და არა მაგ., აშკარად გამოხატული შეცოდებისა.

დაზარალებულები ზოგჯერ ცდილობენ გააზვიადონ მდგომარეობა ან მოქმედება, რომლითაც დაირღვა მათი უფლებები. ეს ეხება შთაბეჭდილებებისა და შეგრძნებების აღწერისას მწვავე გამოთქმების გამოყენებას, სიჩქარის, ძალისა და ზომების გადაჭარბებას. გამომდინარე აქედან, სასამართლოს მხრიდან უნდობლობა და ეჭვი მათ არაგულწრფელობაში ლახავს ამ ადამიანების ღირსებას. აუცილებელია, განსაკუთრებით ფრთხილად მოვეკიდოთ ბავშვების ჩვენებებს, რადგან მათ უმრავლესობას გაძლიერებული აქვს წარმოსახვა და შთაბეჭდილებიანობა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ცრუ ჩვენება.

ცრუ ჩვენების ყველაზე გავრცელებული ფორმაა თავსმოხვეული ტყუილი, რომლის ჩამოყალიბების წყაროს წარმოადგენს გარეშე პირი. მსგავს სიტუაციაში ჩვენების უტყუარობის შეფასების საუკეთესო ხერხს წარმოადგენს ჯვარედინი დაკითხვა. ასრულებს რა კეთილსინდისიერად საკუთარ მოვალეობას, ასეთი მოწმე

წინასწარ გაუთვალისწინებელი კითხვების დასმისას იბნევა. მას უქვეითდება აზროვნების უნარი, ყურადღების კონცენტრირებულობა, რაც ხელს უწყობს სიმართლის გამოაშკარავებას.

ტყუილ ლეგენდაში ყველაფერი წინასწარ მოგონილია, გათვლილია; მის აღდგენაში არაფერი არ არის ძნელი, შემთხვევითი. სიმართლის თქმის დროს პიროვნებას ბევრი რამ წამოცდება, ფიქრობს, ზოგჯერ ეჭვიც კი შეაქვს საკუთარ ნათქვამში. ტყუილის დროს კი უდანაშაულობის დამადასტურებელი დებულებები, გამონათქვამები, კარგად გააზრებული და დაგეგმილია.

ჩვენების სიცრუე დგინდება რიგი ნიშან–თვისებით: ჩვენების ემოციური ფონის სილატაკით, სქემატურობით, დაზეპირებულობით; ჩვენებების ლექსიკური თავისებურებებით, რომლებიც არ შეესატყვისება დასაკითხი პირის პიროვნულ თავისებურებებს; მოვლენის დეტალურად აღწერის უუნარობით; რამოდენიმე პირის ჩვენების სტერეოტიპული დამთხვევით; სასამართლოზე დასმულ კითხვებზე პირდაპირი პასუხისგან თავის არიდებით და ა.შ.

ყველაზე ხშირად ცრუობენ ბრალდებულები და მოწმეები. დაზარალებულებს მიდრეკილება აქვთ მოვლენების გაზვიადებული დამახინჯებისადმი. ბრალდებული და დაზარალებული სასამართლო პროცესში წარმოქმნის ერთიან სისტემას. დაზარალებულის ქარაქტეროლოგიური თავისებურებების გამოვლენის გარეშე, შეუძლებელია საქმის არსის გახსნა. დაზარალებულის ქცევა შეიძლება იყოს წინდაუხედავი, რისკიანი, დაუფიქრებელი, პროვოკაციული. დაზარალებულის მაპროვოცირებელი პიროვნული თავისებურებები არსებითია ბრალდებულის პასუხისმგებლობის დონის განსაზღვრისთვის. სასამართლო არკვევს დაზარალებულის

იურიდიულად მნიშვნელოვან ნიშან–თვისებებს: მის პიროვნულ მახასიათებლებს, სხეულის დაზიანებათა სიმძიმეს, უსუსურ, სიცოცხლისათვის საშიშ და ავადმყოფურ მდგომარეობას, პიროვნების სოციალურ პარამეტრებს(მატერიალურ მდგომარეობას, სოციალურ სტატუსს და ა.შ.), ქცევის მართლზომიერება – არამართლზომიერებას, ბრალდებულთან ურთიერთდამოკიდებულებას(ნათესაური, სამსახურებრივი კავშირი, მზრუნველობა, მატერიალური თუ სხვა დაქვემდებარებულობა) და ა.შ.

დაზარალებულთა მაპროვოცირებელ ქცევას ზოგჯერ სასამართლო სასჯელის შემსუბუქების საფუძვლად მიიჩნევს.

სასამართლო გამოძიების დროს დასაშვებია მართლზომიერი ფსიქიკური ზემოქმედების მეთოდების გამოყენება იმ პირებზე, რომლებიც გამიზნულად ეწინააღმდეგებიან სიმართლის დადგენას.

სასამართლო უფლებამოსილია ჩაატაროს კანონით გავალისწინებული ყველა საპროცესო მოქმედება. ასეთი მოქმედებების ოქმები ფასდება კრიტიკულად. გულდასმით გამოიკვლევა სასამართლო ექსპერტიზის მასალები, ხოლო ექსპერტები შეიძლება დაიკითხონ.

სასამართლო – ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისას, სასურველია, მასში მონაწილეობა მიიღონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტებში მომუშავე ფსიქოლოგებმა. მათ საჭირო დახმარება უნდა გაუწიონ გამოძიების და სასამართლოს წარმომადგენლებმა. ისინი ფსიქოლოგს უხსნიან საქმის დეტალებს, ექსპერტიზის მიზნებსა და ამოცანებს, ექსპერტთა უფლებებსა და მოვალეობებს, მოთხოვნებს ექსპერტული დასკვნისათვის.

ფსიქოლოგიური ექსპერტიზა არ უნდა ჩატარდეს სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის პარალელურად. ეს უკანასკნელი უნდა უსწრებდეს პირველს ან გამოსაკვლევი პირის ფსიქიკური ჯანმრთელობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაინიშნოს ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.

მიზანშეწონილი არ არის ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება წინასწარი გამოძიების ადრეულ სტადიაზე, როცა მასალა შედარებით მწირია. ინფორმაციის სიმცირე ზრდის მცდარი დასკვნების გაკეთების ალბათობას.

საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებთან შეთანხმებით, ფსიქოლოგ–ექსპერტს აქვს არა მარტო საქმის გაცნობის, არამედ დაკითხვაზე და სხვა პროცესუალურ მოქმედებებზე დასწრების უფლება. მას შეუძლია დაუსვას შეკითხვები დასაკითხ პირს, ითხოვოს მოწმეთა გამოძახება და ა.შ.

ექსპერტიზისას ხშირად გამოიყენება მონაცემები გამოსაკვლევი პირის ფსიქიკური განვითარების შესახებ. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ არასრულწლოვანების შესწავლისას. კვლევის ამ ნაწილში აისახება მშობლების, პედაგოგების, ნათესავების, მეგობრების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

სასამართლო–ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას არა აქვს კანონის ძალა და სასამართლო ორგანოებისათვის უეჭველ ჭეშმარიტებას არ წარმოადგენს. იგი ისევე ექვემდებარება შემოწმებას და შეფასებას, როგორც საქმესთან დაკავშირებული სხვა მტკიცებულება.

თუ გამოძიება და სასამართლო არ ეთანხმება ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, მათ ეს უნდა ჩამოაყალიბონ განჩინებაში ან განაჩენში. უნდობლობის

შემთხვევაში, ასევე შესაძლებელია, განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა, რომელიც დაევალება ახალ ექსპერტს ან საექსპერტო კომისიას. დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც, როცა გამოძიება ან სასამართლო მოიპოვებს ახალ მასალებს, რაც შეიძლება ეჭვქვეშ აყენებდეს ექსპერტთა დასკვნას ან მის რომელიმე დებულებას.

სასამართლო განხილვა ყოველთვის წარმოადგენს ბოროტისა და კეთილის შეჯახებას სიმართლის დადგენის მიზნით. იმის გაცნობიერება, რომ სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად შესაძლებელია დაშვებულ იქნეს შეცდომა, უკანონობა, უსამართლობა ან დამნაშავის მსუბუქად დასჯა, დამცველსა და ბრალმდებელს შორის კამათს გადააქცევს ნამდვილ ომად. სასამართლო პროცესზე "ბრძოლას" დამცველი აწარმოებს არა საკუთარი თავისათვის, არამედ სხვებისათვის, აქედანაა სწორედ მომეტებული პასუხისმგებლობის გრძნობაც.

სამართალდამცავი სისტემის კადრების ზნეობრივი აღზრდა წინ უნდა უსწრებდეს მთლიანად საზოგადოების სულიერი განწმენდის პროცესს. მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულება, იურისტის ღირსების დაცვა ამაღლებს პროფესიის პრესტიჟსა და ავტორიტეტს. ეს, თავის მხრივ, საზოგადოებაში ამკვიდრებს ნდობის, პატივისცემისა და სამართლიანობის განცდას. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის.

პროცესუალური კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ბრალდების ფორმასა და შინაარსს, კრიმინალისტიკა – მეთოდიკას, მტკიცებულებათა გამოკვლევაში პროკურორისა და ადვოკატის მონაწილეობის „ტექნოლოგიას". მაგრამ არის კიდევ მესამე კომპონენტი, რო-

მელიც უწყვეტ კავშირშია პირველ ორთან, რომლის გარეშეც შეუძლებელია სასამართლოზე პროკურორის საქმიანობის მაღალი დონე. ეს არის ფსიქოლოგიური და ეთიკური კულტურა, რომელიც საშუალებას იძლევა ნათელი გახდეს პროცესუალური წესებისა და აკრძალვების ზნეობრივი საფუძველი და მორალური მოთხოვნებიდან გამომდინარე შეფასდეს ბრალდების ამა თუ იმ ხერხის დაშვება.

სასამართლო პროცესში მონაწილეობა, სადაც პროკურორი თავის კაბინეტში კი არ ზის, არამედ მონაწილეობს ცოცხალ, ხშირად მწვავე კამათში, მას განსაკუთრებით მაღალ ზნეობრივ მოთხოვნებს უყენებს. აქ ყველაზე მეტად, ჩანს მისი პროფესიული მომზადების დონე, განათლება ან გამოვლენილი ნებისმიერი ტენდენციურობა, უტაქტობა, უკულტურობა, წინასწარაკვიატებულობა და სხვ., რაც დაუშვებელია პროკურორის საქმიანობისათვის.

პროკურორის ზნეობრივი პოზიცია ყალიბდება მთელი მისი ცნობიერი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია უმაღლეს დაწესებულებაში სწავლისა და პრაქტიკის პერიოდები.

პროკურორისთვის აუცილებელია სასამართლო გარჩევაში საკუთარი როლის, თავისი საქმიანობის საზოგადოებრივი დატვირთვის გაცნობიერება. უმჯობესია მან თავი იგრძნობს არა ჩინოვნიკად, არამედ მართლმსაჯულების დამოუკიდებელ მონაწილედ, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საქმიანობის სწორად განხორციელებას.

ობიექტურობას, როგორც ბრალმდებელის ერთ–ერთ ძირითად მოთხოვნას, ერთდროულად აქვს იურიდიული და ეთიკური დატვირთვა. იმ ადამიანის ბრალ-

დება, რომლის დანაშაულიც არ არის დამტკიცებული, განსასჯელის მიმართ ნებისმიერი უსამართლობა, არა მარტო არღვევს კანონს, არამედ ეწინააღმდეგება მორალის ელემენტარულ ნორმებს. პროკურორი, ვალდებულია, მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა საქმის ვითარების ობიექტური, სრული და ყოველმხრივი გამოკვლევისათვის, დამოუკიდებლად იმისა, ვინ ისარგებლებს ამით – ბრალდება თუ დაცვა. ის შეუვალი უნდა დარჩეს მტკიცებულებების შეფასებაშიც; პროკურორმა ბრალდებას მხარი უნდა დაუჭიროს მთელი ენერგიით, დაჟინებით, მაგრამ თუკი მივა ისეთ დასკვნამდე რომ სასამართლო გამოძიების შედეგები არ ადასტურებს წაყენებულ ბრალდებას, მაშინ მან უნდა მოხსნას ბრალდება.

მხარს უჭერს რა სახელმწიფო ბრალდებას, პროკურორმა არ უნდა დაივიწყოს საკუთარი(და მთლიანობაში სასამართლო პროცესის) აღმზრდელობითი ზემოქმედების შესახებ. პროკურორი ვერ შეძლებს მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრას, თუ თვითონ არ დაიცავს კანონს. ბრალმდებლის კანონსაწინააღმდეგო ქცევები საზოგადოების თვალში ღირსებას ულახავს როგორც პროკურორს, ასევე სამართალდამცავ სტრუქტურებს საერთოდ. კანონიერების დარღვევა დაუშვებელია ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში, განსაკუთრებით კი სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაში, რომელთაც სწორედ კანონის დაცვა და მის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლა აკისრიათ.

სასამართლო პაექრობაში ობიექტურობის მოთხოვნა ბევრად განსაზღვრავს არა მარტო პროკურორის პოზიციას, არამედ პროცესის განმავლობაში მის ქცევას, ურთიერთობას სასამართლო გარჩევის სხვა მონაწილეებთან.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია პროკურორისა და ადვოკატის მხრიდან პატივისცემის გამოხატვა მოწმეებთან დამოკიდებულებაში. მოწმე, ხშირ შემთხვევაში, პირადად არ არის დაინტერესებული საქმით. იგი იხდის თავის მოქალაქეობრივ ვალს. დაუშვებელია მის მიმართ უხეშობა, მუქარა, მოწმის დაშინება, მისი ჩვენებების ავკარგიანობის ნაადრევად შეფასება და სხვ.

რაც შეეხება პროკურორის საბრალდებო სიტყვას, მისი მიერ გაკეთებული დასკვნები განსასჯელის დამნაშავეობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომასთან დაკავშირებით მკაცრად უნდა შეესატყვისებოდეს კანონს. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ზომიერების გრძნობის დაცვასაც დანაშაულის საზოგადოებისთვის საშიშროებისა და დამნაშავის პიროვნების შეფასებისას. პროკურორმა გამოსვლის ტონი უნდა შეუსაბამოს საქმის მნიშვნელობასა და ხასიათს. არასწორი იქნება, თუ მძიმე დანაშაულის ჩადენაში განსასჯელის ბრალდებისას პროკურორი შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტობრივი ვითარებისა და იურიდიული დასკვნების მშრალი გადმოცემით. ასევე უადგილოა ტყუილი პათოსი, ხმამაღალი სიტყვები მსჯავრდებულთან მიმართებაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მას არ ჩაუდენია საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველი დანაშაული.

ეთიკური თვალსაზრისიდან გამომდინარე, პროკურორის საბრალდებო სიტყვის ერთ–ერთ ყველაზე რთულ ელემენტს განსასჯელის დახასიათება წარმოადგენს. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ბრალმდებლის დასკვნები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასჯელის შეფარდებისას. განისაზღვრება სწორედ დამნაშავის პიროვნებით. განსასჯელზე საუბრისას, პრორკურორმა არ უნდა დაივიწყოს, რომ მას საქმე აქვს ადამიანთან,

რომლის დანაშაულიც ჯერ კიდევ არ არის დადგენილი და რომლის მიმართაც მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმპცია.

განსასჯელის დახასიათება უნდა ეყრდნობოდეს საქმეში არსებულ მასალებს, წარმოადგენდეს მოკვლეული მონაცემების შედეგს. მასში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ერთპიროვნულ მტკიცებას; განსასჯელზე სუბიექტურ შეხედულებას; სრულიად დაუშვებელია არაობიექტურობა, ადამიანის დადებითი თვისებების იგნორირება. დახასიათება უნდა შემოისაზღვროს განსასჯელის იმ ნიშან–თვისებებით, რომლებიც გამოვლინდა დანაშაულის ჩადენისას ან რამაც განაპირობა ის. ყველაზე მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, წარმოადგენდა თუ არა დანაშაული განსასჯელის ქცევის კანონზომიერ შედეგს, მისი პიროვნული თვისებების გამოვლინებას, თუ ეს შემთხვევითი ეპიზოდია, რომელიც ეწინააღმდეგება მთელ მის ცხოვრებას. მაგრამ განსასჯელის ბიოგრაფიაში ქექვა, მის წინააღმდეგ ცნობების შეგროვება, რომელსაც არანაირი დამოკიდებულება არა აქვთ საქმის ვითარებასთან, დაუშვებელია და უზნეობაა.

განსასჯელის დახასიათების დროს, პროკურორს მოეთხოვება თავშეკავება, ზომიერება გამონათქვამებში. ა.კონი წერდა, რომ ბრალმდებლის ძალა დასაბუთებებშია და არა ეპითეტებში. ბრალს დებს რა განსასჯელს დანაშაულში, აძლევს რა ყველაზე მკაცრ შეფასებას მის ქცევას, პროკურორი მაინც არ უნდა დაეშვას შეურაცხყოფის მიყენებამდე და უხეშობამდე. მან არ უნდა აიგდოს მასხრად განსასჯელი, რამეთუ სასამართლო პროცესზე წყდება ადამიანის ბედი. პროკურორი არაიშვიათად იყენებს ირონიულობას, რაც ასევე მოითხოვს სიფრთხილესა და ტაქტს. თუკი ბრალმდებელს არა აქვს გამომუშავებული ეს თვისებები, უმჯობესია

თავი შეიკავოს ირონიული შენიშვნებისგან, რომლებიც ადვილად გადადის უხამსობასა და ლაზღანდარობაში, რაც სრულიად უადგილოა ისეთ სერიოზულ საქმეში, როგორც სასამართლო პროცესია. მიუხედავად დამნაშავის მხილების დიდი დაჟინებულობისა, პროკურორი არ უნდა დადგეს განზე ჰუმანურობისა და ადამიანურობისგან. ის არ უნდა ესწრაფოდეს ადამიანის დამცირებასა და ნიშნის მოგებას.

პროკურორის დამოკიდებულება დაზარალებულისადმი, უპირველესად, ამ უკანასკნელის მდგომარეობით განისაზღვრება. დამნაშავის სამართლიანად დასჯისათვის(რაშიც დაზარალებული დაინტერესებულია), პროკურორი, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა გამოვიდეს დაზარალებულის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა პროკურორი იძულებულია დაზარალებულის მისამართით გააკეთოს მკაცრი განცხადებები, იმდენად რამდენადაც, სწორედ დაზარალებულის მოქმედება, მისი ყოფაქცევა, ამა თუ იმ დოზით, გახდა დანაშაულის საბაბი. რა თქმა უნდა, ამაზე გაჩუმება პროკურორს არ შეუძლია. მაგრამ დაზარალებულის უარყოფითი დახასიათება, ისევე როგორც განსასჯელისა, უნდა იყოს მკაცრად დასაბუთებული და კორექტული.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტების გაშუალებული შემეცნების პროცესს აქ უფრო მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე გამომძიებლის მუშაობაში. დროის მხრივ, სასამართლო პროცესი უფრო მეტად არის დაშორებული მომხდარი დანაშაულისგან; ფაქტებს სასამართლო არაპირდაპირ აღიქვამს.

შემეცნებითი საქმიანობის სირთულე სასამართლოში განპირობებულია იმ ვითარებითაც, რომ ერთსა

და იმავე დროშია აუცილებელი ფაქტებისა და მათი წყაროების აღქმა, ფაქტების შეპირისპირება ზოგად აზრობრივ მოდელთან; საჭიროა მომავალი კონსტრუქციული საქმიანობისადმი ანუ განაჩენის გამოტანისადმი, გადაწყვეტილების მიღებისადმი – შინაგანად მომზადება. ეს გონებრივი საქმიანობა მუდმივად რთულდება ფაქტების ამა თუ იმ ერთობლიობის გათვალისწინების აუცილებლობიდან გამომდინარე. მაგ., სასამართლომ, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი მოწმეების გამოძახების, ახალი დოკუმენტების გაცნობის და სხვა შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

მუდმივი მზადყოფნის მდგომარეობა ითვალისწინებს მოსამართლეთა გონებრივი პროცესების უკიდურეს კონცენტრირებას.

5.3. სასამართლო პროცესზე მიმდინარე პოლემიკა

სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ბრალმდებელსა და განსასჯელის დამცველს შორის სწორი პიროვნებათაშორისი ურთიერთობების დამყარებას. მათ შორის მიმდინარე პოლემიკა ემსახურება ჭეშმარიტების მოძიებას და სასამართლოს ეხმარება სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ პოლემიკა ატარებს საქმიან, თავდაჭერილ, კორექტულ ხასიათს.

პროკურორის დამცველისადმი დამოკიდებულება, მოითხოვს ტაქტს და გამძლეობას. სახელმწიფო ბრალმდებელი უნდა ამოდიოდეს იქიდან, რომ დამცველი ასრულებს მნიშვნელოვან პროცესუალურ ფუნქციას, რომ

მან უნდა გამოიყენოს კანონში მითითებული დაცვის ყველა ხერხი და საშუალება იმ გარემოებების გასარკვევად, რომლებიც ან გაამართლებენ, ან შეუმსუბუქებენ პასუხისმგებლობას ბრალდებულს. თავის მხრივ, ყოველივე ეს ეხმარება სასამართლოს დასაბუთებული და კანონიერი განაჩენის გამოტანაში. დამცველის საქმიანობა, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს საკუთარ მოვალეობას, პატივისცემის ღირსია. რამდენადაც არ უნდა იყოს დარწმუნებული პროკურორი საკუთარ სიმართლეში, როგორ დაუსაბუთებლადაც არ უნდა ეჩვენოს მას დამცველის მოსაზრებები, ის არ უნდა გაღიზიანდეს. თუ სახელმწიფო ბრალმდებელი არ ეთანხმება დამცველის პოზიციას, ის უნდა ეყრდნობოდეს კანონსა და ფაქტებს და მხოლოდ ასე უნდა დაადასტუროს დამცველის დებულებების უსაფუძვლობა. სრულებით დაუშვებელია მიუღებელი მეთოდების გამოყენება, კერძოდ, ადვოკატის პოზიციის გაკიცხვა; ამის საფუძველზე, ადვოკატის დისციპლინარულ პასუხისგებაში მიცემა და ა.შ. სასამართლო აუდიტორიაზე უკიდურესად არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს პროკურორისა და ადვოკატის ისეთი გამოსვლები, როცა მჭერმეტყველებისა და ურთიერთთავდასხმის შემდგომ ფერმკრთალდება, ქრება საქმის არსი, მიივიწყება თავად განსასჯელიც, რომელიც ელოდება საკუთარი ბედის გადაწყვეტას.

სასამართლო გამოძიებისას, სახელმწიფო ბრალმდებელი დიალოგში შედის სასამართლო პროცესის სხვადასხვა მონაწილესთან. ეს შეიძლება იყოს განსასჯელის ან დაზარალებულის დაკითხვა, პოლემიკა ადვოკატთან და ა.შ. ყველა შემთხვევაში, დიალოგში მყოფ პიროვნებებთან წარმატება გარანტირებულია ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებით, კონფრონტაციის

დაძლევის უნარის გამომუშავებით. ოპონენტთან დიალოგის პროცესში რეალიზდება სახელმწიფო ბრალმდებლის პიროვნების ძირითადი, პროფესიულად მნიშვნელოვანი მხარეები: **ა)კომუნიკაციური**, რომლის დახმარებითაც მიიღწევა ფსიქოლოგიური კონტაქტი, ყალიბდება თანამშრომლობა ოპონენტთან; **ბ)კონსტრუქციული**, რომლის პროცესშიც ხორციელდება დიალოგის ჩატარების ტაქტიკა და სტრატეგია, ფორმულირდება ოპონენტის მისამართით დასმული შეკითხვები, ხდება მიღებული ინფორმაციის შეფასება და შედარება ბრალდების ვერსიასთან, იკვეთება დამატებითი კითხვები და ა.შ.; **გ)ორგანიზაციული**, რომელიც უზრუნველყოფს ბრალმდებელის წინაშე მდგარი ტაქტიკური და სტრატეგიული ამოცანების მიღწევას.

სახელმწიფო ბრალმდებლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნარი– სასამართლო პროცესის ყველა წევრს გააცნოს და არა თავს მოახვიოს საკუთარი აზრები, აგრეთვე ყურადღებით მოუსმინოს პროცესის სხვა მონაწილეებსაც.

ობიექტურობის დაცვა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბრალდებულის პოზიციასა და დამოკიდებულებას სასამართლო გარჩევის სხვა მონაწილეებისადმი.

მტკიცებულებათა გამოკვლევაში, განსასჯელის, დაზარალებულისა და მოწმეთა დაკითხვისას დამცველსაც და პროკურორსაც უნდა ახასიათებდეს ობიექტურობა და ზომიერება. ზოგჯერ დაკითხვა იძენს საკმაოდ მწვავე ხასიათს. დაკითხვის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთიკური ნორმების დაცვა, საკუთარი ზნეობრივი კრიტერიუმების შემუშავება და პროკურორის ქცევის ჩარჩოების განსაზღვრა. სახელმწიფო ბრალდებისადმი მიძღვნილ ბევრ ნაშრომში სწორად არის მითითებული, რომ პროკურორის მიერ ჩვენების

ჩამორთმევა უნდა მიმდინარეობდეს მშვიდად და კორექტულად, დაუშვებელია გაღიზიანება, უტაქტობის, უხეშობის გამომჟღავნება; არ შეიძლება დასაკითხის დაშინება. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა გზას ირჩევს პროკურორი: ისწრაფვის ობიექტურად გამოარკვიოს საქმის რეალური გარემოებები, თუ ცდილობს ნებისმიერ ფასად დაადასტუროს ბრალდება. დაუშვებელია სასამართლო ტრიბუნის გამოყენება ანგარიშსწორების, პირადი ამბიციებისა და სურვილების გამოსაყენებლად.

როდესაც საუბარია სასამართლო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში იუმორის გამოყენების ეთიკურობაზე, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ დაუშვებელია სასამართლო სხდომის გადაქცევა თეატრალურ სცენად. უმჯობესია, იუმორი ამოღებულ იქნეს მეტყველებიდან, რასაც ვერ ვიტყვით ირონიაზე. ხშირ შემთხვევაში ირონია მიმართულია მტკიცებულებათა მცდარობის მხილებაზე, მაგრამ არ ეხება ცალკეულ პირთა ღირსებასა და თავმოყვარეობას.

დიალოგის მონაწილეებს შორის ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება და შენარჩუნება გულისხმობს ადამიანებს შორის ნდობასა და ერთმანეთისადმი ინტერესს.

პოლემიკურ გამოსვლებში, კამათში აღმოცენდება სრულიად სხვადასხვანაირი სიტუაცია. ყველაზე ხშირია შემთხვევა, როცა წამოყენებული თეზისი ლოგიკურად სწორად მტკიცდება, მაგრამ ოპონენტების დარწმუნება ჭირს. ასეთ ვითარებაში მიზანშეწონილია დაფიქრება იმაზე, თუ რომელი ხერხის გამოყენებაა აუცილებელი, რათა ოპონენტები დარწმუნდნენ მის სისწორეში. შედარებით წონიანია ექსპერტული და სტატისტიკური მონაცემები. არანაკლებ დამაჯერებელია

ცხოვრებისეული მაგალითები, რომლებიც განამტკიცებენ წამოწეულ მოსაზრებას. ასევე შეიძლება ავტორიტეტული პირების შეხედულებებზე დაყრდნობა, ციტატების მოტანა გამოჩენილი სახელმწიფო, პოლიტიკური, საზოგადო მოღვაწეების, ცნობილი მეცნიერებისა და მწერლების ნაშრომებიდან. ამავე დროს აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ფაქტები(ნამდვილი, არაგამოგონილი მოვლენები, რომლებიც ნამდვილად მოხდა) და თვალსაზრისები(მსჯელობები, რომლებიც გამოხატავენ რაიმეს შეფასებას, მიმართებას, შეხედულებას). ფაქტები არსებობს თავისთავად, იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ ვაფასებთ და ვიყენებთ მათ. თვალსაზრისისადმი კი აუცილებლად კრიტიკულად არიან განწყობილნი. ის შეიძლება იყოს არაობიექტური, მცდარი, მიკერძოებული, რადგან მათ ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს პიროვნების აღქმის პირობები, ინდივიდუალურ–ფსიქოლოგიური მახასიათებლები და ა.შ.

თავის წიგნში – „სასამართლოზე სიტყვის წარმოთქმის ხელოვნება“ – პ.სერგეიჩი გამოყოფს კამათის შემდეგ ძირითად ელემენტებს:

1. **მტკიცებულება კამათში.**

- ყველაფერში, რაც გააზრებულია, განასხვავეთ აუცილებელი და სასარგებლო;
- არ დაგავიწყდეთ ერთმანეთისგან განასხვავოთ მოსაზრებები, რომლებიც ეხება კამათის არსს და ადამიანურზე, ზნეობრივზე მიმართულ არგუმენტაციას;
- მოერიდეთ ე.წ. „ორლესულ“ გამონათქვამებს;
- არ ამტკიცოთ ის, რაც აშკარა და ნათელია;
- თუკი შეძლებთ თვალსაჩინო მტკიცებულების ან ძლიერი წინააღმდეგობის მოძებნას, არ დაიწყოთ

საუბარი მაშინვე, წინასწარი მომზადების გარეშე;

- ნუ გეშინიათ მოწინააღმდეგესთან დათანხმების;
- თუკი სამხილები ძლიერია, საჭიროა მათი ცალ–ცალკე მოტანა, თითოეულის დეტალურად განხილვა; თუ სუსტია, მაშინ შეკარით ერთ მუშტად;
- ეცადეთ, რაც შეიძლება ხშირად გაამაგროთ ერთი მტკიცებულება მეორეთი;
- არ ეცადოთ ახსნათ ის, რაც თქვენ თვითონ კარგად არ გესმით;
- არ ეცადოთ დასაბუთებას უფრო მეტი არგუმენტით, როცა შეიძლება ნაკლებით დაკმაყოფილება;
- არ დაუშვათ წინააღმდეგობრიობა საკუთარ მოსაზრებებში.

2. უარყოფა კამათში.

- არ დატოვოთ უყურადღებოდ მოწინააღმდეგის ძლიერი არგუმენტები; გამოთქვით საპირისპირო აზრი;
- არ ამტკიცოთ ის, რისი უარყოფაც შეიძლება;
- სიტყვებს უპასუხეთ ფაქტებით;
- დაუპირისპირდით მოწინააღმდეგეს მისივე საკუთარი მოსაზრებების გამოყენებით;
- არ იკამათოთ საპირისპირო მხარის მიერ გამოთქმული სწორი აზრებისა და გარდაუვალი მტკიცებულებების წინააღმდეგ;
- არ უარყოთ ისედაც დაუჯერებელი და წარმოუდგენელი;

- ისარგებლეთ მონინააღმდეგის მიერ აღიარებული ფაქტებით.

კამათის პროცესში ზედმეტი არ იქნება ყურადღება მიექცეს არა მხოლოდ იმას, რაც განასხვავებს ადამიანებს ერთმანეთისგან, არამედ იმასაც, რაც მათ აერთიანებს.

წინასწარი გამოძიებისაგან განსხვავებით, სასამართლო ძიებაში არსებობს დაკითხვის ფსიქოლოგიური თავისებურებები, რომლებიც შემდეგში მდგომარეობს:

1) სასამართლოში დაკითხვა დროში შეზღუდულია. ამიტომ საქმიანი კონტაქტის სწრაფი მოგვარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ უნდა ილაპარაკოთ და რა უნდა ილაპარაკოთ;

2) საჭიროა ადვოკატის როლის, მისი პიროვნული თავისებურებებისა და აზროვნების სტილის გათვალისწინება, ანუ მისი გამოსვლის ხასიათის პროგნოზირება და მასთან კამათის მეთოდების დასახვა;

3) დროის მიხედვით, სასამართლოზე დაკითხვა ჩამორჩება განხილული მოვლენების მიმდინარეობას. ეს იწვევს რიგი დეტალის დავიწყებას, უპირველესად წვრილმანებისა, რაც, ზოგჯერ, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა;

4) სასამართლოზე დაკითხვა სახალხოა და ყველას არ შეუძლია მსგავს ვითარებაში გაიმეოროს ის, რაც გამომძიებელს კაბინეტში მოუყვა;

5) განსხვავებულია დაკითხვის ტაქტიკა. შინაარსის მიხედვით დასაკითხი პიროვნებისათვის დასმული კითხვები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი და მოულოდნელი. შეიძლება დაკითხვის პროცესი გადავიდეს საჯარო დაპირისპირებაში;

6) სასამართლო პროცესზე გამოიყენება დასაკითხი პიროვნებისთვის დაკითხვის ახალი ფორმები – ჯვარედინი და ჭადრაკული.

რთულ, მრავალეპიზოდურ საქმეებში კეთილსინდისიერ მოწმესაც კი უჭირს ყველა ფაქტისა და გარემოების გახსენება. ასეთ შემთხვევებში, სახელმწიფო ბრალმდებელმა უნდა გამოიყენოს ისეთი ფსიქოლოგიური მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს ე.წ. ასოციაციური კავშირების გააქტიურებას.

ოპონენტის პიროვნების თავისებურებების, მისი სუსტი და ძლიერი მხარეების, დიალოგის წარმართვის მისთვის დამახასიათებელი ხერხების ცოდნა პიროვნებას ეხმარება შეიმუშაოს შესაბამისი ტაქტიკა და გამოიყენოს იგი კამათის პროცესში.

ურთიერთობის პროცესში სახელმწიფო ბრალმდებელი შეიძლება წააწყდეს ე.წ. ფსიქოლოგიური ბარიერის პრობლემას, რაც ეწინააღმდეგება კონტაქტის მიღწევას. ფსიქოლოგიური ბარიერი განსხვავებული მიზეზებით აღმოცენდება. უპირველესად, ეს შეიძლება იყოს დიალოგში პარტნიორის ემოციური მდგომარეობა, რაც მთავარია, უარყოფითი ემოციური ფონი, რომლის საფუძველზე ის აღიქვამს თავისი ოპონენტის პიროვნებას. ასეთი ადამიანის პიროვნული თავისებურებებისა და მდგომარეობის გაგება გვეხმარება ბარიერის გადალახვაში.

ფსიქოლოგიური ბარიერი შესაძლოა აღმოცენდეს ასევე მოცემული სუბიექტის მიერ ინფორმაციის აღქმისა და გადამუშავების თავისებურებებითაც. ამ შემთხვევაში, ბარიერის გადალახვაში არსებით როლს თამაშობს მისთვის უპირატესობის მქონე არგუმენტების ამორჩევა.

დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრთა დაკითხვისას, ფსიქოლოგიურ ბარიერს წარმოადგენს მათი მიკუთვნებულობა დაჯგუფებისადმი, ე.წ. როლური მდგომარეობა, რომელიც მნიშვნელოვანწილად შეიძლება განსაზღვრავდეს დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა მონაწილეების მიერ თავიანთი საქმიანობის შესახებ ჩვენების მიცემას. ამ ბარიერის გადალახვისათვის, სახელმწიფო ბრალმდებელმა უნდა იცოდეს დანაშაულებრივი ჯგუფის სტრუქტურა, მასში როლების განაწილება, მონაწილეებს შორის მიმართებების სისტემა. რიგ შემთხვევაში, ასეთი ანალიზისას, საჭიროა ფსიქოლოგის კონსულტაცია.

ორატორულ ხელოვნებაში უმაღლესი დონის მისაღწევად აუცილებელია საჯარო გამოსვლებში არგუმენტირების რიტორიკული მეთოდების ცოდნა და გამოყენება. გთავაზობთ ამ მეთოდების შედარებით სრულ ჩამონათვალს:

1. **„ფუნდამენტური“ მეთოდი.** ის წარმოადგენს პირდაპირ მიმართვას მოსაუბრისადმი, რომელსაც ვაცნობთ იმ ფაქტებსა და მონაცემებს, რომლებიც ჩვენ მტკიცებულებით არგუმენტაციაში ძირითადია. ვცდილობთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, გავაბათილოთ საპირისპირო მხარის მოსაზრებები.

2. **„წინააღმდეგობრიობის“ მეთოდი** დაფუძნებულია მოწინააღმდეგის გამონათქვამებში წინააღმდეგობრიობის გამოვლენაზე.

3. **„მოსაზრებათა ამოკრების“ მეთოდი** ემყარება ზუსტ არგუმენტაციას, რომელსაც თანდათანობით, ნაბიჯ–ნაბიჯ, ნაწილობრივი დასკვნების საშუალებით, მივყავართ სასურველ შედეგამდე. კონტრარგუმენტაციის დროს, ეს ნიშნავს საწინააღმდეგო მხარის მცდარი დასკვნების უარყოფას და ლოგიკურად სწორი მტკიცე-

ბულებების მოთხოვნას. ასეთ შემთხვევაში ამ მეთოდს „დემონსტრაციის უარყოფას“ უწოდებენ, სხვა სიტყვებით, ხდება გამოვლენა იმისა, რომ მოწინააღმდეგე მხარის თეზისი ლოგიკურად არ გამომდინარეობს არგუმენტებიდან. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გაანალიზდეს ოპონენტის მსჯელობათა თანმიმდევრულობა და ნაჩვენები იქნას გადმოცემულ წინადადებებში ლოგიკური კავშირების არარსებობა.

4. „შედარების“ მეთოდი. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როცა შედარებები შერჩეულია წარმატებით, ეს იურისტის გამოსვლას მეტ გამომსახველობასა და დამაჯერებლობას ანიჭებს.

5. მეთოდი „კი, – მაგრამ“. არის შემთხვევები, როდესაც მოსაუბრეს მოჰყავს საკმაოდ აწონ–დაწონილი არგუმენტები, თუმცაღა ისინი მოიცავს წარმოდგენილი ალტერნატივის უპირატესად სუსტ მხარეებს. მართლაც რომ იშვიათად ხდება, როცა ყველანი „თანახმანი“ ან მხოლოდ „წინააღმდეგები“ არიან. „კი–მაგრამ“– მეთოდის გამოყენება ადვილია, იმიტომ რომ იგი გადაწყვეტილების სხვა მხარეების განხილვის უფლებასაც გვაძლევს. ჩვენ შეგვიძლია მშვიდად დავეთანხმოთ მოსაუბრეს, შემდეგ კი გადავიდეთ „მაგრამ“–ზე.

6. „ნაწილების“ მეთოდი მდგომარეობს ოპონენტის გამოსვლის იმგვარად დანაწევრებაში, რომ მეტი ნათელი მოეფინოს მის ცალკეულ ნაწილებს. მაგ., „ეს ზუსტია“, „ამაზე არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი“, „ეს მთლიანად მცდარია“ და ა.შ. ამასთან მიზანშეწონილია, რომ არ შევეხოთ მოსაუბრის შედარებით ძლიერ არგუმენტებს, არამედ უპირატესი ორიენტირება მოვახდინოთ სუსტ ადგილებზე და ვეცადოთ მათ გაბათილებას.

7. „იგნორირების“ მეთოდი. ძალზედ ხშირად ხდება, რომ მოსაუბრის მიერ გადმოცემული ფაქტი არ შეიძლება იყოს გაბათილებული, მაგრამ მისი ღირებულებისა და მნიშვნელობის იგნორირება შესაძლებელია. მაგ., მოსაუბრე გადამეტებულ მნიშვნელობას ანიჭებს „რაღაცას“, რაც, ჩვენი აზრით, არ წარმოადგენს ფასეულს. ვახდენთ აღნიშნულის კონსტატირებას, ანალიზს და აღარ ვამახვილებთ მასზე ყურადღებას.

8. „აშკარა მხარდაჭერის“ მეთოდი. აღიარებულია, რომ ეს მეთოდი საკმაოდ ეფექტურია. ამ დროს მოსაუბრის არგუმენტაციას საერთოდ არ ვეწინააღმდეგებით, არამედ, პირიქით, ყველა დამსწრე პირის გასაოცრად, „ვეხმარებით“, მოგვყავს რა ახალი მტკიცებულებები მისი არგუმენტების სასარგებლოდ. მაგრამ ეს მხოლოდ მოსაჩვენებლად. ამას მოსდევს კონტრდარტყმა, როგორიცაა, მაგ., „თქვენ დაგავიწყდათ საკუთარი თეზისის დასასაბუთებლად მოგეტანათ კიდევ ასეთი ფაქტები ....(ჩამოვთვლით მათ). მაგრამ ეს თქვენ ვერ გიშველით, რადგანაც .....“. ამის შემდეგ დგება თქვენი კონტრარგუმენტების რიგი.

9. „ასოციაციურობის“ მეთოდი. ის გულისხმობს მსმენელთა ემოციურ და რაციონალურ მეხსიერებაზე ზემოქმედებას. გამოიყენება ანალოგიები, პრეცედენტებზე დაყრდნობა, ხატოვანი გამონათქვამები. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდს მიმართავენ მხოლოდ ჭეშმარიტ და დასაბუთებულ არგუმენტებთან ერთად.

არაიშვიათად, ოპონენტების დიალოგს ახასიათებენ როგორც „ინტელექტუალურ დუელს“. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ბრალმდებლის რეფლექსიურობის დონეს.

რეფლექსიაში იგულისხმება პარტნიორის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოცნობის, დიალოგის შემდგომი მიმართულების წინასწარმეტყველების, კერძოდ, ოპონენტის მიერ სავარაუდო განცხადებების შინაარსის გაგების უნარი. რიგ შემთხვევაში, რეფლექსიის დახმარებით, სახელმწიფო ბრალმდებელს შეუძლია, ხელი შეუწყოს განსასჯელის პოზიციის შეცვლას.

სახელმწიფო ბრალმდებელს განსაკუთრებული პროფესიონალიზმი და ოსტატობა მოეთხოვება ორგანიზებული დანაშაულის საქმესთან დაკავშირებით დაკითხვის ჩატარებისას.

ამ სფეროში კომუნიკაციური საქმიანობის წარმატებულობა განპირობებულია პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნით, ჯგუფური ქცევის ფსიქოლოგიის სფეროში გათვითცნობიერებით, დანაშაულებრივი დაჯგუფებების სტრუქტურის გარკვევით, მათ წევრებს შორის იერარქიული კავშირების დადგენით, თითოეული მათგანის როლის გაგებით და ა.შ.

სოციალურმა ფსიქოლოგებმა, ჯგუფური ქცევის შესწავლისას, დაადგინეს, რომ ჯგუფში ლიდერთან მიმართებაში ყალიბდება ოპოზიცია. შვიდი და მეტი ადამიანისგან შემდგარ ჯგუფში, ოპოზიცია აღმოცენდება როგორც ობიექტური კანონზომიერება. მართვის რაც უფრო მკაცრ, ავტორიტარულ მეთოდებს იყენებს ლიდერი, მით უფრო მაღალია ჯგუფის წევრებში ფარული დაძაბულობის დონე. ასეთ ჯგუფებში, ოპოზიციის ქმედების მიზეზები შეიძლება იყოს ბრძოლა ხელისუფლებისათვის, წილის გაზრდისათვის, ლიდერისადმი შურისძიება, ეჭვიანობა და სხვ. რა თქმა უნდა, დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებს ყოველთვის არ შეუძლიათ თავიანთ მოტივებზე მაღლა დადგომა და სასამართლოსთვის აბსოლუტურად მართალი ჩვენების მი-

ცემა. ამ დროს ვლინდება დაკითხვის ოსტატობა. გამოცდილი სახელმწიფო ბრალმდებელი პოულობს ინდივიდუალურ მიდგომას ყოველი დასაკითხი პირისადმი, ამყარებს მასთან ფსიქოლოგიურ კონტაქტს და აღწევს თანამშრომლობას.

5.4. სასამართლოს მიერ გადაწყეტილების მიღების ფსიქოლოგიური ასპექტები.

მოსამართლის შეხედულების ჩამოყალიბება არ არის მის ცნობიერებაზე მხოლოდ მტკიცებულებათა გარკვეული ერთობლიობის ზემოქმედების შედეგი. იგი ყოველთვის იქმნება მიზეზ–შედეგობრივი და ობიექტური სინამდვილის ფაქტებს შორის სხვადასხვა კავშირების შემეცნების, მათდამი ღირებულებითი მიდგომის და ა.შ. საფუძველზე.

მოსამართლის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაში, საკუთარი როლის გაცნობიერება ხელს უწყობს წინასწარი გამოძიების ორგანოების დასკვნებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას. ასეთი დამოკიდებულება პოზიტიურ როლს ასრულებს გამოძიების დროს დაშვებული შეცდომების ან კანონდარღვევების აღმოჩენაში.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში მოსამართლის შეხედულების ფორმირების პროცესი გადმოცემულია შემდეგნაირად: „შემეცნებულია –გაგებულია – განცდილია – მიღებულია ჭეშმარიტებად". ამ ფორმულის შემადგენელი ნაწილები განხილულია, როგორც მოსამართლის შეხედულების ელემენტები. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ უკეთესია ვარიანტი: „შეიმეცნა – განსაზ-

ღვრა ღირებულება – მიიღო ჭეშმარიტებად – მიიღო გადაწყვეტილება".

გნოსეოლოგიურ ასპექტში მოსამართლის შეხედულების ფორმირების პროცესი განფენილია სისტემაში „არცოდნა–ცოდნა": ალბათური ანუ სავარაუდო ცოდნიდან – ჭეშმარიტისა და მართლის ცოდნისკენ, რომელიც მიღებულია მტკიცებულებათა ერთობლიობის გამოკვლევის შედეგად.

მოსამართლის შეხედულების ჩამოყალიბების პროცესში არსებით ფსიქოლოგიურ ასპექტს წარმოადგენს ეჭვის გადაზრდა დარწმუნებულობაში, რომელიც ახასიათებს მიღებული ცოდნის უტყუარობას და შესაბამისი მოქმედებისათვის მზაობას.

მოსამართლე, როგორც პროცესის ორგანიზატორი, უნდა ფლობდეს ორგანიზებულობის, მიზანმიმართულობის, დაჟინებულობის, კონცენტრირებულობისა და სხვა ნებელობითი თვისებების მაღალ დონეს. ამას გარდა, სასამართლოს თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს გამორჩეული ორგანიზატორული უნარ–ჩვევები, რომლებიც რეალიზდება სისხლის სამართლის პროცესის მხარეებს შორის შეჯიბრების რთულ პირობებში.

სისხლის სამართლის საქმეების განხილვა პირდაპირ კავშირშია სასამართლო პროცესის წარმართვის კულტურასთან. ეს ითვალისწინებს გარეგან ხელშემწყობ პირობებს, მაგ., სასამართლოს კეთილმოწყობილ შენობას, თანამედროვე ტექნიკას, გამოცდილ სამდივნოს და ა.შ. სასამართლო პროცესის კულტურა, პირველ რიგში, დაკავშირებულია თვით მოსამართლეების, აგრეთვე სახელმწიფო ბრალმდებლის, დამცველისა და სხვა მონაწილეთა ზოგად და სპეციალურ მომზადებასთან.

წინასწარი გამოძიებისგან განსხვავებით, სასამართლოს არ აქვს შესაძლებლობა შეადაროს მიღებული ჩვენებები მტკიცებულებებს, რომლებიც არ არის ცნობილი დასაკითხი პირისთვის. განსაკუთრებით ეს ეხება განსასჯელს, რომელსაც უფლება და საშუალება ჰქონდა სასამართლომდე გაცნობოდა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ ყველა მასალას. სასამართლოზე ჩვენებების მიღების კარგად ორგანიზებისთვის სხვადასხვა ხერხი გამოიყენება. მათ მიეკუთვნება: შეკითხვების ფორმულირების წესები, დაკითხვების თანმიმდევრობის განსაზღვრა, ჯვარედინი დაკითხვის ხერხები და ა.შ.

გარეგან პირობებს მიეკუთვნება საზოგადოებრივი აზრი, რომელიც იქმნება საქმის მოსმენამდე და ცნობილია მოსამართლეებისათვის. ზოგჯერ ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. სწორედ ამიტომ, სასამართლოში საქმის განხილვამდე, აუცილებელია, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისადმი განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა.

საზოგადოებრივმა აზრმა შეიძლება ძლიერი ზემოქმედება მოახდინოს სასამართლო პროცესის მიმდინარეობაზე და განაჩენის გამოტანაზე. იმ სიტუაციებში, როცა საზოგადოებრივი აზრი ყალიბდება მცდარი ან დამახინჯებული ინფორმაციის ზეგავლენით, როდესაც მას აქვს მკვეთრი ემოციური ელფერი, მისმა ზემოქმედებამ შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული სასამართლო შეცდომები. სენსაციების მადევარი პრესა ხელს უწყობს არასწორი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია, რომ არავის შეუძლია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე დაყრდნობით ამტკიცოს ამა თუ იმ პირის დანაშაული და მითუმეტეს მოითხოვოს მისი მკაცრი დასჯა, მანამ,

სანამ ამ პირის დანაშაული არ იქნება დამტკიცებული სასამართლოს მიერ.

საზოგადოებრივი აზრი შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული ბრალდებულზე აღმზრდელობითი ზემოქმედების მეთოდის როლში. მისი ძალა ვლინდება იმაში, რომ პიროვნება მუდმივად შეიგრძნობს საზოგადოების მიერ შემუშავებულ მორალურ და სამართლებრივ მოთხოვნებს.

სასამართლოს აღმზრდელობითი ზემოქმედება მოიაზრება მისი საქმიანობის სპეციფიკურ ფორმაში – სასამართლო სხდომაზე საქმის ყველა გარემოების სრულ და ობიექტურ განხილვაში.

უდიდესი აღმზრდელობითი ზემოქმედება აქვს განაჩენის გამოცხადებასაც. განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი, პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს, იყოს უკიდურესად მკაფიო, ნათელი, კონკრეტული...

განსასჯელზე საჭირო ეფექტური ზეგავლენის მოხდენის მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა საშუალება. საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებების გარდა, მათ მიეკუთვნება:

- განსასჯელის პიროვნების დადებითი ნიშან–თვისებების აღნიშვნა;
- განსასჯელის ცხოვრების ცალკეული ფაქტების მოყვანა, რომელსაც მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს;
- განსასჯელის მიერ საკუთარ დაუსჯელობაში დარწმუნებულობის გაბათილება;
- განსასჯელის მცდარი შეხედულებების გაბათილება იმ მიზეზებთან დაკავშირებით, რომლებმაც

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობამდე მიიყვანეს იგი;

- საქმის განხილვაში იმ პირთა ჩართვა, რომლებიც ავტორიტეტს წარმოადგენენ განსასჯელისთვის და შეუძლიათ მასზე დადებითი გავლენის მოხდენა(ნათესავები, მეგობრები, იმ დაწესებულებების ხელმძღვანელები, სადაც ის მუშაობდა ან სწავლობდა და ა.შ.);
- განსასჯელის დაჯერება იმაში, რომ ჩადენილი დანაშაულის კეთილსინდისიერი აღიარება გათვალისწინებული იქნება როგორც შემამსუბუქებელი გარემოება;
- საზოგადოებრივი აზრის გამოყენება.

ყოველი მოსამართლე, ამა თუ იმ ხარისხით, სხვა ადამიანთა აღმზრდელის როლში გამოდის. გამოცდილი მოსამართლე გამოირჩევა საკუთარი საქმიანობისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი მაღალი პასუხისმგებლობით, პრინციპულობით. მოსამართლე მუდმივად იმყოფება მთელი სასამართლო პროცესის ყურადღების ცენტრში. მისი ყოველი შენიშვნა და ჟესტიც კი კონტროლდება და ფასდება დამსწრე საზოგადოების მიერ, ამიტომ გამოცდილი მოსამართლე განსაკუთრებული თავდაჭერილობით, გამძლეობითა და მიუკერძოებლობით გამოირჩევა. იგი სრულყოფილად ფლობს ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორიცაა გულისხმიერება, ემოციური მდგრადობა, კომუნიკაბელობა, ადამიანების მოსმენის უნარი, თავაზიანობა და სხვ., რაც განაპირობებს სასამართლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას,

6. არასრულწლოვანის ფსიქოლოგია

6.1 არასრულწლოვანთა პრობლემები იურიდიულ ფსიქოლოგიაში

არასრულწლოვანთა დანაშაულები ხშირად გაპირობებულია სოციალური გარემოს უარყოფითი ფაქტორებისა და თვით არასრულწლოვანის პიროვნების თავისებურებების ურთიერთზეგავლენით. ყველაზე ხშირად დანაშაულს ჩადიან ე.წ. "რთული" ბავშვები. რიგ გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ სამართალდამრღვევი მოზარდისათვის დამახასიათებელია შემეცნებითი სოციალური ინტერესების განვითარების დაბალი დონე. მისი იდეალების ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენენ უფროსი ასაკის ანტისოციალური ქცევის მქონე ახალგაზრდები. ასეთი მოზარდების პიროვნების სტრუქტურაში დომინირებს უარყოფითი ნიშან-თვისებები: სიზარმაცე, კონფორმიზმი, აგრესიულობა, უპასუხისმგებლობა, უნებისყოფობა, გულცივობა და ა.შ.

"რთული" მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს უარყოფითი ოჯახური გარემო. ოჯახში ნორმალური ზნეობრივი ატმოსფეროს არარსებობა მოზარდებში ხშირად იწვევს ეგოცენტრულობას და სხვა ნეგატიური თვისების ჩამოყალიბებას. მორალურ-ზნეობრივი ატმოსფეროს დამახინჯება უმეტესად დაკავშირებულია მშობლების, ნათესავების, ახლობლების ამორალურ ქცევებთან, ალკოჰოლიზმთან, მათ მიერ ნარკოტიკების მოხმარებასთან და ა.შ. მაგრამ არაიშვიათია შემთხვევები, როცა არასრულწლოვანის გარშემო მახინჯ ზნეობრივ გარე-

მოს ქმნიან "მოსიყვარულე" მშობლები, რომელთაც არა აქვთ საკმარისი პედაგოგიური კულტურა.

ძნელად აღსაზრდელი მოზარდისათვის დამახასიათებელია სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, რაც საბოლოოდ ვლინდება მთელი საკლასო კოლექტივისადმი, სკოლისადმი, პედაგოგისადმი და ა.შ. დაპირისპირებაში. ამ წინააღმდეგობრიობის საწყისი თავად სასწავლო საქმიანობის მოტივებშია. ბავშვების უმრავლესობისათვის სასწავლო პროცესში შემეცნებითი მოტივები ჭარბობს, მაგრამ პრობლემური მოზარდებისათვის უპირატესობა იძულებას ენიჭება. ეს აღრმავებს კონფლიქტს მოზარდსა და პედაგოგს, არაიშვიათად, მოზარდსა და მთელ კლასს შორის. მოზარდის ქცევაში ვლინდება ნეგატივიზმი და ყოყოჩობა. უმეტეს შემთხვევაში მოზარდ-სამართალდამრღვევთა რიცხვში ასეთი არასრულწლოვანები ხვდებიან.

მოზარდობის ანუ სიყრმის პერიოდი(11/13–14/15წწ.) წარმოადგენს სქესობრივი მომწიფების ასაკს, რომლის პარალელურად მიმდინარეობს ორგანიზმის სხვა სისტემების ცვლილებები. სოციალურ პლანში მოზარდობის ფაზა პირველადი სოციალიზაციის გაგრძელებაა. ამ ასაკის მოზარდები სკოლის მოსწავლეები არიან; იმყოფებიან მშობლების(ან სახელმწიფოს) კმაყოფაზე; მათ წამყვან საქმიანობად კვლავ რჩება სწავლა. მოზარდის სოციალური სტატუსი ნაკლებად განსხვავდება ბავშვის სტატუსისაგან. ფსიქოლოგიურად ეს ასაკი უკიდურესად წინააღმდეგობრივია. მისთვის დამახასიათებელია დისპროპორციები განვითარების ტემპებსა და ჩამოყალიბებაში. ამ დროს მოზარდს უჩნდება პრეტენზიის მაღალი დონე; მოსწონს ისეთი მდგომარეობა, რომელსაც ჯერ ფაქტობრივად ვერ მიაღწია. ამიტომ, ხშირია ტიპური ასაკობრივი კონფლიქ-

ტები, რაც შესამჩნევ ზემოქმედებას ახდენს მოზარდის თვითცნობიერებაზე. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში ეს არის ბავშვობის დასრულების და "გაზრდის" დაწყების პერიოდი.

ჭაბუკობის ასაკი(14-დან 18 წლამდე) წარმოადგენს ე.წ. "მესამე სამყაროს", რომელიც არსებობს ბავშვობასა და მოზრდილობას შორის. ბიოლოგიურად ის ფიზიკური მოწიფულობის დასასრულია.

ჭაბუკობის სოციალური მდგომარეობა არაერთგვაროვანია. სიჭაბუკე წარმოადგენს პირველადი სოციალიზაციის დამამთავრებელ ეტაპს. გოგონებისა და ყმაწვილების უმეტესობა ამ ასაკში ისევ სკოლის მოსწავლეა. მათი მონაწილეობა შრომით საქმიანობაში განიხილება არა ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ აღმზრდელობითი კუთხით.

ჭაბუკობის სტატუსისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის შუალედურობა განსაზღვრავს მისი ფსიქიკის თავისებურებებსაც. ბევრ ყმაწვილს ისევ აწუხებს მოზარდობიდან გადმოყოლილი პრობლემები. მათგან განსაკუთრებით მწვავეა უფროსებისგან ავტონომიურობის მოპოვება, მათთან თანასწორი ურთიერთობების უფლება და სხვა. ამავე დროს წინა პლანზე გამოდის სოციალური და პიროვნული თვითგანსაზღვრის ამოცანა, რაც ნიშნავს არა მხოლოდ მოზრდილებისგან ავტონომიურობას, არამედ "დიდების" სამყაროში საკუთარი ადგილის მოპოვებას.

ნორმალურ პირობებში მორალური და სამართლებრივი ნორმების ათვისების პროცესი მთავრდება მოზარდობის ასაკში(14-16 წლისთვის). ეს მდგომარეობა კანონით არის გათვალისწინებული. გამომდინარე აქედან, ყველა ჩადენილ დანაშაულზე დადგენილია ნაწილობრივი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 12

წლიდან და სრული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 16 წლიდან.

"რთული" მოზარდის პიროვნება უპირატესად ხასიათდება სოციალიზაციის დაბალი დონით. ეს ასახავს ოჯახსა და სკოლის პერიოდში აღზრდაში დაშვებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს.გარდა ამისა, ძნელად აღსაზრდელი მოზარდის პიროვნებაზე უდიდეს გავლენას ახდენს განსაკუთრებული სფერო – ქუჩა(თავისი დადებითი თუ უარყოფითი მიმართულებებით).

მოზარდის ფსიქიკაში ახალი თვისებების გამოჩენა მოზრდილების, მშობლებისა და პედაგოგებისგან მოითხოვს მის მიმართ თავიანთი დამოკიდებულებების "გადახედვას", ასევე აღზრდის მეთოდების სისტემის შეცვლას. ლ. ვიგოტსკი გამოყოფს შემდეგ კრიზისულ პერიოდებს: ახალშობილობის, ერთი წლის, სამი წლის, შვიდი წლის და ცამეტი წლის. ჩამონათვალიდან ბავშვებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის ურთულესს წარმოადგენს მოზარდობის გარდამავალი ასაკით გამოწვეული კრიზისი.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ის გართულებები, რომლებიც თან სდევს მოზარდის სქესობრივი მომწიფების პროცესს. ამ დროს ორგანიზმი ვითარდება არათანაბრად, რაც ვლინდება როგორც ძვალ-კუნთოვანი, ასევე გულ-სისხლძარღვთა სისტემის ჩამოყალიბებაში. ერთ შემთხვევაში ეს იწვევს სხვადასხვა სომატურ დისპროპორციებს(მაღალი სხეული, პატარა თავი, გრძელი კიდურები და ა.შ.), რასაც მოზარდი ავადმყოფურად აღიქვამს. ის განიცდის თავის გარეგნობას. გულ-სისხლძარღვთა სისტემის უთანაბრო განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა დაავადებები, არტერიული წნევის მომატება, თავის ტკივილები და ა.შ. მოზარდის ქცევაზე განსაკუთრებულ შესამჩნევ

გავლენას ახდენს ენდოკრინული სისტემის მომატებული აქტივობა, ე.წ. "ჰორმონალური ქარიშხალი", რომელიც გამოწვეულია სქესობრივი მომწიფების დაჩქარებით. ამის შედეგად მოზარდში შეიმჩნევა ემოციური არამდგრადობა, მომატებული აღგზნებადობა, გაუწონასწორებლობა, არაადეკვატური რეაქციები, კონფლიქტურობა. ეს ყოველივე აძნელებს მოზარდის ურთიერთობას გარშემომყოფ პირებთან.

მოზრდილებთან, მშობლებთან, პედაგოგებთან დამოკიდებულებაში მომატებული კონფლიქტურობა აიხსნება არამხოლოდ მოზარდის ორგანიზმში მიმდინარე ორგანული ცვლილებებით, არამედ იმითაც, რომ იცვლება ურთიერთობის სისტემა თანატოლებთან და უფროსებთან. მოზრდილობის გრძნობის გამძაფრებასთან ერთად, მოზარდი მოწადინებულია "დამორჩილებადობა" შეცვალოს "თანასწორობით", განსაკუთრებით უფროსებთან მიმართებაში. ის ცდილობს თავიდან აიცილოს მათი მხრიდან ზემოქმედება და შეფასება. მოზარდი ხდება საკმაოდ კრიტიკული მშობლებისა და პედაგოგებისადმი. იგი ამჩნევს ნაკლოვანებებს, ალმაცერად უყურებს მათი მხრიდან "ჭკუის დარიგებას" და საერთოდ ეჭვქვეშ აყენებს მათ მიერ გამოთქმულ ნებისმიერ მოსაზრებას.

სკოლის პედაგოგიური კორპუსის "ფემინიზაციამ" გამოიწვია მთელი პასუხისმგებლობის ქალებზე დაკისრება. ხშირად სკოლის დირექცია ვერ უმკლავდება შექმნილ პრობლემებს, რაც, თავის მხრივ, იწვევს მწვავე კონფლიქტებს მოზარდებთან მიმართებაში. არაიშვიათად კონფლიქტური სიტუაცია აღმოცენდება პედაგოგების მხრიდან თავშეუკავებლობის, არასაკმარისი კულტურის, მოზარდის უპატივისცემლობის საფუძველზე. ხშირად მასწავლებელს არ სურს ან დაბალი კვა-

ლიფიკაციის გამო არ შეუძლია გაითვალისწინოს მოზარდების ასაკობრივი ფსიქოლოგიური თავისებურებები და ცდილობს იმოქმედოს ავტორიტარული მეთოდებით, რითაც შეურაცხყოფას აყენებს მათ.

მოზარდობის ასაკის კრიზისულობა მეტ-ნაკლებად ვლინდება კრიმინალიზაციის ტენდენციებშიც. მოზარდს არსებითად ეცვლება თანატოლებთან დამოკიდებულება. ის გაცილებით მომთხოვნი ხდება გარშემომყოფების მიმართ; მტკივნეულად რეაგირებს მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებზე; ისწრაფვის თვითდამკვიდრებისაკენ.

მსგავსი ვითარება ამ ასაკში არ არის შემთხვევითი. მოზარდობის პერიოდში ყალიბდება თვითშემეცნება, თვითშეფასება, რომელიც პიროვნების საფუძველს შეადგენს. მოზარდის მისწრაფება თვითდამკვიდრებისადმი უნდა განხორციელდეს განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებში. მაგრამ, ზოგჯერ რაღაც მიზეზების გამო, თვითდამკვიდრება მიმდინარეობს არაფორმალურ ჯგუფებში, ქუჩურ კამპანიებში(მისთვის ხშირად დამახასიათებელია ხულიგნობა, ალკოჰოლის მიღება, სიგარეტის მოწევა, ნარკოტიკები და ა.შ.), რაც თავის მხრივ, შეიძლება გახდეს საშიში კრიმინოგენური ფაქტორი.

ამ ასაკში მიმდინარე სქესობრივი მომწიფება ამძაფრებს მოზარდის ინტერესს ადამიანის ინტიმური ცხოვრებისადმი, საპირისპირო სქესისადმი. მოზარდისათვის დამახასიათებელი "სექსუალური ცნობისმოყვარეობა" ბუნებრივია. მაგრამ, ზოგჯერ ვაწყდებით მოზარდის ჰიპერსექსუალურობას, რაც მოითხოვს სქესობრივი აღზრდის პრობლემისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას. როდესაც მოზარდი სქესობრივ ცხოვრებას ძალიან ადრეულ ასაკში ეცნობა და თუ ეს ხდება არანორმალურ

ვითარებაში, აღმოცენდება მოზარდის პიროვნების დემორალიზაციის შესაძლებლობა.

მოზარდის პიროვნებაში გამოიყოფა შედარებით დამოუკიდებელი თავისებურებები, რომლებიც განაპირობებენ სხვადასხვა ასოციალურ გადახრებს.

უპირველესად, ასეთ არახელსაყრელ თავისებურებას წარმოადგენს ზოგიერთი კრიზისული მოვლენა, რომლითაც ხასიათდება მოზარდობის ასაკში ინდივიდის ფსიქიკური განვითარება. სასწავლო-აღმზრდელობით სისტემაში ამ კრიზისული მოვლენების დაძლევა შესაძლებელია, თუ უფროსების, მასწავლებლების, მშობლების, აღმზრდელების დამოკიდებულება არასრულწლოვანთან დამყარდება ამ ასაკისთვის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით.

ბავშვებისა და მოზარდების სოციალური ადაპტაცია შეიძლება გააძნელოს სხვადასხვა ნერვულ-ფსიქიკურმა დაავადებებმა, გადახრებმა, აქცენტუაციებმა. ნათელია, რომ მსგავს სიტუაციაში არ არის საკმარისი მხოლოდ კორექციის პედაგოგიური საშუალებები; ხშირად აუცილებელი ხდება ფსიქიატრის, ფსიქოლოგის, ნევროპათოლოგის, ფსიქოთერაპევტის დახმარებაც კი. ისინი შეძლებენ კონსულტაციის გაწევას პედაგოგებისა და მშობლებისათვისაც.

არასასურველ მახასიათებლებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გონებრივ განვითარებაში ჩამორჩენილობას, ოლიგოფრენიას(რაზეც ზემოთ იყო საუბარი). იგი მემკვიდრულია ან შეიძლება თავის ქალის დაზიანების შედეგი იყოს. ჭკუასუსტი ბავშვების სოციალური ადაპტაცია უნდა ხორციელდებოდეს დამხმარე სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში, სპეციალური პროგრამების მიხედვით.

ცალკეულ შემთხვევაში ასოციალური ქცევის ფსიქობიოლოგიურ წანამძღვარს შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა ფიზიკური ნაკლოვანება: მეტყველების დეფექტები, გარეგნული სიმახინჯე, კონსტიტუციურ-სომატური ხასიათის ნაკლი და ა.შ. ეს მდგომარეობა ხშირად იწვევს ბავშვის იზოლაციას, კოლექტივისგან განდგომას.

ასოციალური ქცევის გამომწვევი გაუკუღმართებული ბიოლოგიური მოთხოვნილებები, ისევე როგორც ფსიქობიოლოგიური წანამძღვრები, არასრულწლოვანებში შედარებით იშვიათია, ვიდრე მოზრდილ დამნაშავეებში. ამ მოთხოვნილებებს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ჭაბუკური ჰიპერსექსუალურობა განმტკიცებული ისეთ მავნე ჩვევებში, როგორიცაა ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ხშირი მოხმარება. ასეთ მოვლენებთან ბრძოლა მოითხოვს პედაგოგიური, სამედიცინო, ადმინისტრაციულ-იძულებითი ხასიათის ზომების კომპლექსურ გამოყენებას.

ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება დამახასიათებელია საზოგადოების იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც **ანომიის** მდგომარეობაში იმყოფებიან. ამ ჯგუფებში ინდივიდები მოკლებულნი არიან ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელ იდეალებსა და მისწრაფებებს. ანომია ვითარდება საზოგადოებაში დესტრუქციული მოვლენების ფონზე; როდესაც ახალგაზრდები ვერ ხედავენ პიროვნების განვითარებისა და ამ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის მოძებნის შესაძლებლობას. მსგავს სიტუაციებში მოზარდს, ჭაბუკს არ შეუძლია ძირითადი მოთხოვნილების თვითგანმტკიცებისა და თვითრეალიზაციის - განხორციელება. ამას თან სდევს უარყოფითი ემოციური ფონი ანუ "ემოციური დისკომფორტი". ეს უკანასკნელი ახალგაზრდაში ბადებს ისეთი სა-

შუალებების მოძიების სურვილს, რომლებიც დაეხმარება კრიზისულ სიტუაციასთან გამკლავებაში. ასეთ შემთხვევაში ნარკოტიკი ის საშუალებაა, რომელიც ახალგაზრდას ანიჭებს დროებით ემოციური დაკმაყოფილებისა და კეთილდღეობის ილუზიას. ნარკოტიკების შემდგომი მოხმარება ხელს უწყობს მოზარდის ნარკომანად ჩამოყალიბებას.

მეცნიერებმა გამოიკვლიეს და გააანალიზეს 12-დან 18 წლამდე არასრულწლოვანების მიერ სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი 62 დანაშაული. სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის პროცესში ფსიქოლოგებმა შეისწავლეს არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმები მათი პიროვნული ქარაქტეროლოგიური მახასიათებლებისგან დამოუკიდებლად; ასევე ჩატარდა დანაშაულებრივი(დელიკტური) სიტუაციების ანალიზიც. "ცდისპირები" გაყოფილნი იყვნენ ორ ჯგუფად:

1. პირები, რომელთაც ძალადობა ჩაიდინეს ინდივიდუალურად (25%);
2. პირები, რომელთაც ძალადობა ჩაიდინეს ჯგუფთან ერთად (77.5%).

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ პირველი ჯგუფის მოზარდების 40% გამოირჩეოდა ადრეული სქესობრივი მომწიფებით. თავის მხრივ, ეს მათში იწვევდა ნაადრევ სექსუალურობას. მეორე ჯგუფში მსგავსი მდგომარეობა ჰქონდა მხოლოდ 30%-ს, რომელთაგანაც თითქმის ყველა დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერი გახლდათ.

მოზარდების ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური მახასიათებლების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ნერვული პროცესების გაუწონასწორებლობა, აგრესიული ტენდენციები, მაღალი ემოციურობა, სექსუალური და-

ძაბულობა. ეს მაჩვენებლები განსაკუთრებით მაღალი იყო არასრულწლოვანებში, რომლებიც მარტოდ ჩადიოდნენ დანაშაულს. ასევე მათში ჭარბობდა ეპილეპტოიდური, შიზოიდური და არამყარი ხასიათის ნიშან-თვისებები. ორივე ჯგუფის წარმომადგენლებისათვის საერთო აღმოჩნდა არაადექვატური თვითშეფასება. მათი შეხედულებები მორალსა და მორალურ ღირებულებებზე ასევე ნათლად გამოხატულ არაადექვატურ ხასიათს ატარებდა.

ფსიქოლოგიური დარღვევების ხასიათის აქცენტუაციების მიზეზები ხშირად უკავშირდება როგორც თავის ტვინის ორგანულ დაზიანებებს (მაგ., დაბადებისას ასფიქსია, თავის ქალას ტრავმა, მძიმე ინტოქსიკაცია და სხვ.), ისე სოციალურ ფაქტორებს. მათ შორის პირველ ადგილზე ოჯახური აღზრდის პირობებია. ხშირად ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორები მჭიდრო ურთიერთკავშირშია და მკვლევარს უჭირს მოზარდის ფსიქოლოგიური გადახრის პირველმიზეზის განსაზღვრა. ამიტომ არასრულწლოვანთა შორის კანონდარღვევების ეფექტური პროფილაქტიკა ითვალისწინებს ფსიქოლოგიური, სოციალური და პედაგოგიური ღონისძიებების კომპლექსს, მიმართულს არასრულწლოვანის ქცევის კორექციასა და მკურნალობაზე, ასევე მისი გარემოს გაჯანსაღებაზე.

ხასიათის აქცენტუაციების მქონე მოზარდების ქცევის პედაგოგიური კორექცია მოითხოვს მკაცრ ინდივიდუალურ მიდგომას. მაგალითად, ჰიპერთიმიული მოზარდი მოზღვავებული ენერგიის პატრონია, ხმაურიანია. მისი დამშვიდება პედაგოგს, მშობელს სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართვით მოუნევს. შეიძლება ისეთი საქმიანობის შერჩევა, რომელიც მას დაეხმარება ენერგიის დახარჯვაში. მაგრამ შიზოიდური ტიპი პირი-

ქით, მიდრეკილია ინტელექტუალური აქტივობისადმი, დაქვეითებული აქვს კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, რაც აფერხებს გარემოსთან მის ურთიერთქმედებას.

ჩვენ არ განვიხილავთ ხასიათის ყველა ტიპს, მაგრამ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ აღმზრდელობითი მუშაობისას თუ პედაგოგმა ან მშობელმა მოახდინა აქცენტუირებული ბავშვებისა და მოზარდების პიროვნული თავისებურებების იგნორირება, ინდივიდუალურის ნაცვლად გამოიყენა ავტორიტარული მიდგომა, მაშინ არასრულწლოვანთა მხრიდან გარდაუვალი იქნება ნერვული შეტევები და ასოციალური გამოვლინებები.

6.2. მოზარდი და დანაშაული

არასრულწლოვანის ანტისოციალური ქცევა უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მიკროგარემოს უარყოფითი ფაქტორების ზეგავლენით; ასევე მოზარდის პიროვნების ინდივიდუალური ფსიქოლოგიური თავისებურებებით. გამომდინარე აქედან, მოზარდები განსხვავებულად რეაგირებენ სხვადასხვა "ცხოვრებისეულ წარუმატებლობაზე".

მოზარდების(14-17წწ.) და საერთოდ ახალგაზრდების(18-29წწ.) დევიანტური ქცევის მიზეზები, ყველა სხვა სახის დევიანტური გამოვლინების მსგავსად, სოციალური ღირებულებების, მისწრაფებებისა და მათი დაკმაყოფილების ხერხების შეუსაბამობაშია.

ადამიანის შესაძლებლობები განისაზღვრება მისი სოციალური სტატუსით, იმ ადგილით, რომელსაც იგი სოციალურ სტრუქტურებში იკავებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დევიანტური ქცევის წყაროს სოციალური უთანასწორობა წარმოადგენს.

ნებისმიერ საზოგადოებაში ცნებები "უფროსი" და "უმცროსი" აღნიშნავს არა მხოლოდ ასაკობრივ განსხვავებას, არამედ სტატუსსაც. "უფროსობის" ცნებას აქვს არა მარტო აღწერითი, არამედ ღირებულებითი, ანუ სოციალურ-სტატუსური მნიშვნელობაც. ის ახასიათებს უფლებებისა და მოვალეობების "ასიმეტრიას". ყველა ენაში ცნება "უმცროსი" მიუთითებს არა მხოლოდ ასაკზე, არამედ დამოკიდებულ, დაქვემდებარებულ სტატუსზეც. გამომდინარე აქედან, ასაკობრივი განსხვავება "მძიმდება" სოციალური უთანასწორობით. მრავალ კულტურაში მოზარდები, ბავშვები, ახალგაზრდები იტანჯებიან არა მხოლოდ "აღზრდის" რეპრესიული მეთოდებით, არამედ თავიანთი მდგომარეობის უთანასწორობითაც.

ახალგაზრდებთან განსაკუთრებით მწვავედ დგას ენერგიის, სოციალური აქტივობის სწორი მიმართულებით წარმართვის პრობლემა. ახალგაზრდა ადამიანს ესაჭიროება სოციალური აღიარება და თვითდამკვიდრება. როდესაც ეს მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელია, ის ცდილობს საკუთარი თავის რეალიზება ნეგატიურ საქციელში მოახდინოს (მაგ., "ჰეროსტრატეს კომპლექსი"). ხშირია პასიური პროტესტის ფორმებიც, როგორიცაა ალკოჰოლი, ნარკოტიკები, სუიციდი და სხვ.

თვითდამკვიდრებისადმი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობას ხშირად მივყავართ ძალადობრივ დანაშაულთან. ალკოჰოლი ამსუბუქებს პიროვნებათაშორის ურთიერთობებს. მაგრამ მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის ალკოჰოლის ეს თავისებურება ზიანის მომტანი ხდება. მოზარდი ცდილობს ალკოჰოლის დახმარებით გადალახოს არასრულფასოვნების განცდა, აიმაღლოს საკუთარ თავში დარწმუნებულობა და

ა.შ. ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების შედეგად, მოზარდები საკუთარი მოზრდილობის "დემონსტრირებას" ახდენენ.

ამერიკელი სოციოლოგის რ. მერტონის "ორმაგი მარცხის" კონცეპციის თანახმად, ქცევის რეტრიტიკული ფორმები(რეტრიტიზმი ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში ნიშნავს სინამდვილისგან, ცხოვრებისეული სიძნელეებისგან განდგომის მისწრაფებას. მისი უკიდურესი ვარიანტია სუიციდი) აღმოცენდება ორი გარემოების თანხვედრით. ეს არის: საზოგადოებაში გაბატონებული მიზნებისა და ინტერესების ლეგალური გზებით მიღწევაში წარუმატებლობა და უკანონო(დანაშაულებრივი) მეთოდების გამოყენების უუნარობა. "ორმაგი მარცხი" იწვევს როგორც ინდივიდუალურ რეტრიტიზმს, ასევე რეტრიტიკულ სუბკულტურებს.

აღნიშნული სუბკულტურა ყალიბდება იმ ადამიანების ინტეგრაციის შედეგად, რომელთა საქმიანობა და ცხოვრების სტილი ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დომინირებულ ფასეულობებს.

სუბკულტურული თანასაზოგადოებები მით უფრო შემჭიდროებულნი და განსხვავებულნი არიან საზოგადოებივი კულტურისაგან, რაც უფრო მეტად და მკაცრად ხდება მათი განდევნა. მაგ., ნარკომანების ჯგუფი მეტად ინტეგრირებულია, ვიდრე ალკოჰოლიკების კომპანია, მაგრამ, ნაკლებად "შეჭიდულია" დამნაშავეების სამყაროსთან შედარებით.

მოზარდები და ახალგაზრდები, მოზრდილებთან შედარებით, უფრო ხშირად ერთიანდებიან სუბკულტურულ ჯგუფებში. ეს აიხსნება მათი ბუნებრივი მისწრაფებებით. მოზარდები "მიტოვებულად" გრძნობენ თავს; ეძებენ ახალ მეგობრებსა და სექსუალურ კონტაქტებს, "შეუგნებელ" მოზრდილებთან ურთიერთობას ურჩევ-

ნიათ თანადგომა და სიყვარული თანატოლებთან იპოვონ და ა.შ.

რეტრიტიკული სუბკულტურის წარმოქმნას ხელს უწყობს: 1. პიროვნული დაუკმაყოფილებლობა(როგორც ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების სოციალური პირობების შედეგი); 2. თვითდამკვიდრების აქტიური ფორმების გამოყენების, კონფლიქტური სიტუაციების გადალახვის, ფრუსტრაციის დაძლევის უუნარობა და ა.შ.; 3. პიროვნებათაშორისი ურთიერთობების მოთხოვნილება; 4. არაფორმალური ჯგუფების ინტეგრაცია, როგორც სოციალური კონტროლის ზეწოლის შედეგი;

მრავალი მოზარდული ჯგუფი სოციალურად ნეიტრალურია და მიღებულია საზოგადოებაში. ზოგიერთი გამოხატულ ანტისაზოგადოებრივ ხასიათს ატარებს.

არასრულფასოვანი ოჯახი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია მოზარდის დესოციალიზაციაში.

დევიანტური ქცევისა და ანტისაზოგადოებრივი ცნობიერების მქონე არასრულწლოვანები შეიძლება გაერთიანდნენ შემდეგ ჯგუფებში:

1. შემთხვევითი ჯგუფი. ის იქმნება სხვადასხვა გასართობ ადგილებში, დისკოთეკებზე, სტადიონებზე და სხვ. მათ აქვთ საკუთარი დაუწერელი კანონები, ნორმები და ღირებულებები. შემთხვევითი ჯგუფის წევრობა აღიქმება როგორც სოციალური კონტროლისგან გათავისუფლების მანიშნებელი.

2. რეტრიტიკული ჯგუფი. ასეთი ჯგუფების წევრების ჩვეული საქმიანობაა უაზროდ დროის გაყვანა, საეჭვო ფორმით გართობა, ტოკსიკომანია, ნარკომანია და სხვ.

3. აგრესიული ჯგუფი. ის ემყარება ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე არასრულწლოვანთა პრიმიტიულ წარმოდგენებს და კულტურის მინიმალურ დონეს. მსგავსმა ჯგუფებმა წარსულიდან ჩვენამდე პრაქტიკულად უცვლელი სახით მოაღწიეს. აგრესიული ჯგუფის დამახასიათებელი თავისებურებაა მკაცრი იერარქიული სტრუქტურა, ძლიერი ზეწოლა ჯგუფის მხრიდან მის წევრებზე, ჯგუფური ნორმების დარღვევაზე სერიოზული სანქციები, რომელთა ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს მკვეთრი დაპირისპირება: "ჩვენ – ისინი".

კრიმინოგენური ჯგუფებისათვის განსაკუთრებულ ნიშან-თვისებებია შთაგონებადობა და კონფორმიზმი. ასეთ ჯგუფებში მოზარდი გადის ცრუ კოლექტივიზმის, რისკის, რომანტიკის, სიმკაცრის, სისაძაგლის, მზაკვრობის და ა.შ. თავისებურ სკოლას. დამნაშავეთა სამყაროს მიერ მკაცრად კონტროლირებადი დაჯგუფებები ხშირად შედგება "ძნელად აღსაზრდელი" მოზარდებისგან. მოზარდი ნაკლებ დაცულია. ხშირად მისთვის მიუღებელია ჯგუფში აღიარებული მიმართებების სტილი, მაგრამ ის იძულებულია დარჩეს, რადგან გაძევების ეშინია. მოზარდისთვის ყველაზე მთავარია ურთიერთობები, "ჩვენ" გრძნობის ფლობა და საკუთარი "მე"-ს გაცნობიერება.

ჯგუფის კრიმინალური მიმართულება ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით: ნასამართლევი წევრების რიცხობრიობით, რომლებიც არ მუშაობენ, არ სწავლობენ, ბოროტად იყენებენ ალკოჰოლს, ნარკოტიკებს, გატაცებულნი არიან აზარტული თამაშებით; კრიმინალური წარსულის მქონე აღიარებული ავტორიტარული ლიდერით; საკუთარი სუბკულტურის ჩამოყალიბებით (ჟარგონი, ფიცი, ქცევის განსაკუთრებული რიტუალები

და ა.შ.). მოგვიანებით, სისტემატური დანაშაულებრივი საქმიანობისას, ჯგუფში ხდება როლებისა და ფუნქციების განაწილება, რის საფუძველზეც დანაშაულებრივი ქმედება უფრო დაგეგმილად ხორციელდება.

არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ სტრუქტურას საკუთარი ნიშან-თვისებები აქვს. მაგ., მოზრდილებთან შედარებით, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი გაუპატიურების, ძარცვის, ყაჩაღობის შემთხვევები სამჯერ მეტია. სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოში, არასრულწლოვანთა მიერ განხორციელებული ძარცვები, ხულიგნობები, ყაჩაღობები შეადგენს სასამართლოებში განხილული საქმეების 76%-ს, ხოლო ამასთან ერთად გაუპატიურება და სხეულის მძიმე დაზიანებების მიყენება – 90%-ს.

არასრულწლოვანები უმეტესწილად დანაშაულს ჩადიან ჯგუფურად. ძალადობრივი დანაშაულებების სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს მკვეთრად არაადეკვატური რეაქცია ისეთ მოქმედებაზე, რომელსაც შეურაცხყოფად აღიქვამენ.

მოზარდის ანტისაზოგადოებრივი ქცევა ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპებზე განსხვავებული ფსიქოლოგიური დეტერმინანტებით ხასიათდება. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ იქედან გამომდინარე თუ რა პირობებმა განსაზღვრეს ქცევაზე ცნობიერი კონტროლის შესუსტება, შეიძლება გამოიყოს იმპულსური დანაშაულებრივი ქცევის ოთხი ტიპი:

- დანაშაული, რომელიც ჩადენილია მძიმე ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში;
- დანაშაული აფექტის მდგომარეობაში;
- იმ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაული, რომლებიც არიან ავადმყოფები ან გადაღლილები;

- სპონტანურად ჩადენილი დანაშაულებები.

ფსიქოლოგიური ანალიზისათვის საინტერესოა სპონტანურად ანუ დაუფიქრებლად, გაუცნობიერებული ქცევების ხარჯზე ჩადენილი დანაშაული.

კრიმინალური დანაშაულების კვლევებში საკმაოდ სერიოზული ყურადღება აქვს დათმობილი დანაშაულებრივი ქცევის გაუცნობიერებული მოტივაციის შესწავლას. მეცნიერები შეეცადნენ ამ მოტივების წარმოშობის ბუნების საფუძველზე მოეხდინათ მათი კლასიფიკაცია.

გაუცნობიერებელი მოტივების **პირველი კატეგორია** არსებითია ისეთი პირისათვის, რომელსაც ახასიათებს საკუთარი მნიშვნელოვნობის გადაფასება, აგრესიული დამოკიდებულებები გარემო სამყაროსთან, არამდგრადი გუნება-განწყობილება, მიდრეკილება მძაფრი ემოციური შთაბეჭდილებებისადმი; გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ გაუცნობიერებულ დეტერმინანტას წარმოადგენს თვით პიროვნების ფსიქოლოგიური სტრუქტურა. ამ კატეგორიასვე მიეკუთვნებიან ასევე ნეგატიური სოციალური იდენტობის მქონე არასრულწლოვანები. ისინი თავს არიდებენ სოციალურ კონტროლს, ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, არა აქვთ სახლი, ოჯახი, სამუშაო და სხვ.

მეორე კატეგორიაში ერთიანდება კომპენსატორული ბუნების მქონე მოტივები. ამ დროს, მოზარდებს აწუხებთ არასრულფასოვნების კომპლექსი, ხშირად ჩადიან დაუფიქრებელ, სარისკო საქციელს, ფიზიკურ ძალადობას და ა.შ.

გაუცნობიერებული მოტივების **მესამე კატეგორია** უკავშირდება ბავშვობაში მიღებულ და განმტკიცებულ ტრამვირებად გამოცდილებას. დაუმსახურებელი მკაცრი მოპყრობა, დამცირება და სხვა ნეგატიური დამოკი-

დებულება აუცილებლად ანაბეჭდებს ტოვებს პიროვნების ემოციურ სტრუქტურაში. განსაზღვრულ პირობებში ისინი ხელს უწყობენ ქცევის შესაბამისი ფორმების აღმოცენებას.

დანაშაულებრივი ქცევის გაუცნობიერებული მოტივაციის შესწავლაში კრიმინოლოგები პირველ რიგში ეყრდნობიან მეცნიერთა შრომებს, რომლებშიც შესწავლილია გაუცნობიერებული კოგნიტური საქმიანობა. ამ სფეროში კვლევები დაიწყო ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა დ. უზნაძემ; მნიშვნელოვანია ა. ფრანგიშვილის, შ. ნადირაშვილის, ა. შეროზიას და სხვ. მიერ მიღებული ექსპერიმენტული შედეგები. ამ პრობლემებს სწავლობენ საზღვარგარეთელი ფსიქოლოგებიც.

ფსიქოლოგები ერიდებიან "არაცნობიერის" ცნების გამოყენებას. ითვლება, რომ ეს ტერმინი არ არის "გაუცნობიერებულის" სინონიმი. არასრულწლოვანთა ასოციალური ქცევისადმი განწყობის შექმნაში დიდ როლს ასრულებენ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. ობიექტური ფაქტორებია უახლოესი გარემოცვა, სხვადასხვა ცხოვრებისეული სიტუაციები და ა.შ. სუბიექტური ფაქტორებია ინდივიდის მოთხოვნილებები, ინტერესები, მიზნები და ა.შ., რომლებიც დანაშაულებრივი ქცევის დასაწყისში არ ატარებენ ასოციალურ ხასიათს. ასოციალური განწყობები იქმნება დანაშაულებრივი ქმედების მრავალჯერადი განმეორების შედეგად. შესაბამისად, იცვლება მოთხოვნილებაც. ძველის ადგილზე ყალიბდება გაუკუღმართებული მოთხოვნილება. ასოციალური მოქმედების განმტკიცება ხდება ცნობიერების მიერ არაკონტროლირებადი ავტომატიზმის დონემდე, რაც ადასტურებს ფიქსირებული განწყობის აღმოცენებას.

მაგ., არასრულწლოვანებში ნარკოტიკების, ალკოჰოლის მოხმარების, ხულიგნური საქციელის ჩადენის და სხვ. განწყობა უპირველესად იქმნება მოზარდთა არაფორმალურ ჯგუფებში აღიარების, თვითდამკვიდრების მოთხოვნილებების ზეგავლენით. მრავალჯერადი განმეორებით გამოწვეული განმტკიცება განაპიროებს მოტივაციის შეცვლას და არასრულწლოვანში გაუკუღმართებული მოთხოვნილებების აღმოცენებას.

ფსიქოლოგები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ასოციალური განწყობა ყალიბდება მოზარდობის ასაკში. მაგრამ მხოლოდ ეს არ ხსნის განვითარების შედარებით ადრეულ საფეხურებზე დანაშაულებრივი ქცევის გენეზისს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 15-16 წლის დამნაშავეების გამოკვლევისას. საინტერესო იქნებოდა სკოლამდელი პერიოდის შესწავლა, ამ დროს მოქმედი სოციალიზაციის გაუცნობიერებულ მექანიზმებზე დაკვირვება(შთაგონება, მიბაძვა, გარშემომყოფებთან იდენტიფიკაცია და სხვ.).

მოზარდების გარემო მეტ-ნაკლებად აგრესიულია. არაიშვიათად ურთიერთობები აგებულია სუსტების დამცირებაზე, სისასტიკაზე. ოჯახისა და სკოლისათვის "არასაჭირო" ბავშვები განიდევნებიან საზოგადოებიდან. ისინი იწყებენ გარშემომყოფების ტერორიზებას, დაყაჩაღებას, ძარცვას, ძალადობას და სხვა.

სოციოლოგებმა, კრიმინოლოგებმა და ფსიქოლოგებმა გააკეთეს არასრულწლოვან დამნაშავეთა სხვადასხვა დაჯგუფებების წევრების შემდეგი ტიპოლოგია:

1. **"აუტსაიდერი".** ეს არის ადამიანი, რომელმაც ვერ მოიპოვა აღიარება ჯგუფში ან ორგანიზაციაში; არა აქვს თვითრეალიზაციის შესაძლებლობა; ის უიღბლოა; ყველა საქმეში მარცხს განიცდის;

2. **"მარგინალი".** ის მარტოსული პიროვნებაა; ერიდება სოციალურ კავშირებს; მუდმივად განიცდის ფსიქოლოგიურ დისკომფორტს და არაიშვიათად თვითდამკვიდრებას უზნეო ქცევების გზით ცდილობს.

3. **"კონფორმისტი".** იგი ადვილად ექცევა ავტორიტეტების ზეგავლენის ქვეშ; კარგად ეგუება ახალ სოციალურ მიკროგარემოს; სწრაფად და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე ითვისებს ჯგუფურ ნორმებსა და ღირებულებებს.

4. **"შემგუებელი".** ასეთი პიროვნება ჯგუფურ ფასეულობებს იღებს მხოლოდ გარეგნულად, საკუთარი სტატუსის ამაღლების მიზნით. ამის ხარჯზე კი ცდილობს საზოგადოებაში პრესტიჟული მდგომარეობის დაკავებას.

5. **"ფანატიკოსი".** იგი განუხრელად იცავს ჯგუფში მიღებულ ნორმებსა და წესებს; უარყოფს ყოველივეს, რაც ეწინააღმდეგება მას.

6. **"ბელადი".** ასეთი პიროვნება საკუთარ მოწოდებას ხელმძღვანელობაში ხედავს; მას აქვს ჯგუფში ლიდერობის პრეტენზია; მუდმივად ავლენს ინიციატივას.

7. **"თანამგზავრი".** იგი ჯგუფთან შემთხვევით მიკედლებულია; არა აქვს ბოლომდე გარკვეული თავისი ღირებულებითი ორიენტაციები; უფრო ხელმძღვანელობს სოლიდარობის გრძნობით, ვიდრე ჯგუფური ნორმებითა და მიზნებით.

8. **"იმიტატორი".** მისთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მქონეა ჯგუფის "სიმბოლოები" და გარეგანი ატრიბუტები; ის ამაყია

ჯგუფში ყოფნით, მაგრამ თავს არ იწუხებს ჯგუფის მიზნების განხორციელებაზე.

9. **"მოწყენილი".** ასეთი პიროვნებისთვის ჯგუფში შესვლის ძირითადი მოტივია ახალი ურთიერთობისა და გარემოს მოძებნა. იგი მუდმივად ისწრაფვის თავისუფალი დროს შინაარსიანად გატარებისადმი.

კრიმინოგენურ კამპანიებში "ქცევის მოდელი" პრიმიტიულია: სუსტი – იღუპება; ძლიერი – ცოცხლობს. "ძალის" ქვეშ არაიშვიათად ნაგულისხმევია ერთეულებზე ჯგუფური ანგარიშსწორება, რომლებმაც რატომღაც ვერ შეასრულეს ჯგუფური მოთხოვნები.

მოზარდების წრეში ხშირად დაცინვის საგანი ხდება ისეთი თვისებები, როგორიცაა: გულისხმიერება, ყურადღებიანობა, სიკეთე, კაცთმოყვარეობა, ჰუმანურობა და ა.შ. ისინი უგულებელყოფენ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს. აქედანაა სისასტიკე, ზოგჯერ სადიზმამდეც კი მისული უხამსი შეურაცხყოფა იმ ბიჭებისა და გოგონების მიმართ, რომლებიც "სხედან სახლში", კითხულობენ წიგნებს, კარგად სწავლობენ....

მშობლებთან თბილი, ემოციური კონტაქტების არარსებობამ ბავშვის ფსიქიკაში შესაძლებელია გამოიწვიოს დარღვევები, მოგვიანებით კი – აგრესიული ქცევა. ცნობილი ექიმი და პედაგოგი ბ. სპოკი წერდა: "დამნაშავეებად ყალიბდებიან ისეთი ბავშვები, რომელთაც აკლიათ არა დასჯა, არამედ მშობლების სიყვარული". ბავშვებზე ჩატარებულმა დაკვირვებებმა მეცნიერები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ, უმეტეს შემთხვევაში, დასჯა არა მხოლოდ არ აღმოფხვრის აგრესიულობას, არამედ აძლიერებს მას. კრიმინოლოგებმა, ფსიქოლოგებმა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებმა კარგად იციან, რომ ძალადობრივი დანაშაულის ჩამ-

დენ პირთა უმრავლესობა ბავშვობაში განიცდიდა დამცირებას, უმიზეზო დასჯას, მოზრდილთა მხრიდან უსასტიკეს მოპყრობას და ა.შ.

"ნაცემ" ბავშვებს არ სურთ ოჯახში დაბრუნება. სოციალური სამსახურები მათ ხშირად ვერ უზრუნველყოფენ საცხოვრებლით. ბავშვები იმალებიან ნაცნობებთან, შემთხვევით თავშესაფარებში ან მაწანწალობენ. ძალიან ხშირად ისინი კრიმინალურ სამყაროში ხვდებიან.

კრიმინოგენურად საშიში მოზარდის ჩამოყალიბების ფსიქოლოგიური მექანიზმების საილუსტრაციოდ განვიხილოთ 16 წლის დ.-ს დახასიათება, რომელმაც პიროვნების მიმართ რიგი უმძიმესი ძალადობრივი დანაშაული ჩაიდინა. იგი მოზარდთა დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერი იყო.

დ. – ინტელექტუალურად განვითარებული ახალგაზრდაა, ბავშვობაში კარგად სწავლობდა, ბევრს კითხულობდა; მე-6 კლასამდე იყო "ფრიადოსანი"; მას შეუძლია საკუთარი და სხვისი ქცევების სწორად შეფასება; ამხანაგების დადებით და უარყოფით თვისებებს ამჩნევს ზედმიწევნით კარგად; გულწრფელად წუხს ჩადენილ ქმედებებზე, ეცოდება თავისი მსხვერპლი, მზად არის უმკაცრესი სასჯელის მოხდისათვის, ეძნელება დანაშაულის მოტივების ახსნა; აცხადებს, რომ დანაშაული ჩაიდინა მძვინვარების დროს. მას არ სჯერა, რომ საკუთარ სისასტიკეს დაძლევს, რადგან თვლის, რომ ეს მამისგან მემკვიდრეობით გადმოეცა.

დ. სისასტიკეს და აგრესიულობას ავლენდა იშვიათად გარკვეულ მაპროვოცირებულ სიტუაციებში. მაგრამ არც ოჯახში და არც ამხანაგებთან მისი ასეთი საქციელი პრაქტიკულად არ დაფიქსირებულა; მეგობრების წრეში მეტსახელად "მშვიდს" ეძახდნენ. ის გაურ-

ბოდა კამათს, კონფლიქტებს, ჩხუბს. დ-ს დედა მხოლოდ ერთხელ შეესწრო მის გააფრთებას, როდესაც მან ხელის გაკაწვრისათვის კინაღამ საკუთარი ლეკვი მოკლა. დ-ს მძვინვარების პროვოცირება შეეძლო სხვადასხვა ფაქტორს, მაგ., მეგობარს, რომელთანაც ერთად იგი ჩადიოდა უმძიმეს დანაშაულებს.

ოჯახური აღზრდის პირობების რეტროსპექტული შესწავლისას გამოირკვა, რომ დ. ადრეულ ბავშვობაში იზრდებოდა უკიდურესად მკაცრი და ცინიკური მამის ზედამხედველობით. მამა ხშირად ცემდა თავის მეუღლეს, მეორე შვილს და მეზობელსაც კი. დ. ბავშვობაში იყო მამის საყვარელი შვილი. მამა ოცნებობდა მისგან "ზეადამიანი" აღეზარდა. ადრე ასწავლა კითხვა, შთააგონებდა, რომ იგი ყველას ჯობდა და აჩვევდა სხვების მიმართ ქედმაღლურ, სასტიკ დამოკიდებულებას. 8 წლიდან დ. ცხოვრობდა მამის გარეშე დედასთან ერთად და უარყოფდა მამის პრინციპებს. ამასთან, იგი დანანებით აღნიშნავდა, რომ მამის თვისებები გადმოეცა მემკვიდრეობით და ეჭვი ეპარებოდა მათი აღმოფხვრის შესაძლებლობაში.

განსაზღვრულ სიტუაციებში გამოვლენილი გადამეტებული აგრესიულობისა და სისასტიკის მიუხედავად, არ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ქცევის ნიშან-თვისებები დ.-მ გენეტიკური გზით მამისგან მიიღო.

გამორიცხული არ არის, რომ ამ შემთხვევაში მოქმედებდეს გაუცნობიერებელი ქცევითი რეგულატორი, ფიქსირებული განწყობა, რომელიც მოზარდს ჩამოუყალიბდა ადრეულ ბავშვობაში მამის ზემოქმედებით ან მასთან იდენტიფიცირების საფუძველზე. ადრეულ ბავშვობაში ამგვარად ფორმირებულ ფიქსირებულ განწყობას ახასიათებს ავტომატიზმი, ცალკეულ შემ-

თხვევებში ცნობიერებასთან კონფლიქტი; მაგრამ, რაც მთავარია, **მდგრადობა,** რაც აიხსნება ღრმა ფიზიოლოგიური მექანიზმით.

ადრეულ ბავშვობაში ჩამოყალიბებული ფიქსირებული განწყობის გარდაქმნა საკმაოდ რთულია; ის არ ექვემდებარება აღზრდის ტრადიციულ მეთოდებს. აქ საჭიროა სხვაგვარი მიდგომა ანუ აღმზრდელობითი ზემოქმედების განსხვავებული შთამაგონებელი არსენალი, რომელიც გავლენას მოახდენს მოზარდის გაუცნობიერებელ ქცევით რეგულატორებზე.

XIXს-ის ბოლოს და XXს-ის დასაწყისში შთაგონების პრობლემას, აღზრდაში მის როლს თავიანთ შრომებში დიდი ადგილი დაუთმეს ბ. სიდისმა და ი. სიკორსკიმ. შთამაგონებელი ზემოქმედების სხვადასხვაგვარი ეფექტები, რომლებიც გამოვლინდებოდა მასობრივი ფსიქიკური ეპიდემიის ფორმით, თავის დროზე აღწერა ვ. ბეხტერევმაც. მან პირველმა სცადა ამ მოვლენების მეცნიერული ახსნა.

ამჟამად შთაგონებისადმი, როგორც აღმზრდელობითი ზემოქმედებისადმი, ინტერესი ვლინდება უპირველესად პენიტენციარულ და პრევენციულ პრაქტიკაში. აქ შთაგონების გამოყენება უნდა ემსახურებოდეს მოზარდში, არასრულწლოვანის პიროვნებაში უარყოფითი განწყობის ეფექტურად გარდაქმნას. სწავლისა და აღზრდის პროცესში შთაგონების მეთოდების დანერგვის მიზნით სერიოზული ექსპერიმენტული მუშაობა.

პიროვნების აღზრდაში შთაგონების მეთოდების დანერგვას პრაქტიკაში თან სდევს როგორც ზოგადთეორიული, ისე პრაქტიკულ-მეთოდური ხასიათის რიგი სერიოზული სიძნელე. საჭიროა გაუცნობიერებული ქცევითი რეგულატორებისა და ფსიქოლოგიური მექა-

ნიზმების თეორიული დამუშავება; ასევე სპეციალური მეთოდიკების შექმნა და აპრობაცია; ამის გარდა, პენიტენციარულ პრაქტიკაში შთაგონების მეთოდების დანერგვის მომხრეები განსაზღვრულ წინააღმდეგობასა და ეჭვს აწყდებიან იურისპრუდენციის წარმომადგენელების მხრიდან. ისინი აქცენტს აკეთებენ ადამიანის ქცევის მანიპულირების დაუშვებლობაზე. ამ მოსაზრებაში, რა თქმა უნდა, არის ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ კარგად უნდა გავაცნობიეროთ ისიც, რომ შთაგონების მეთოდების გარდა თითქმის არ მოიპოვება სხვა ეფექტური გზები და შესაძლებლობები ქცევის მყარი გაუცნობიერებული რეგულატორების გარდაქმნისათვის.

ასოციალური ქცევის განწყობის ბლოკირების, ნეიტრალიზაციის პრობლემა სერიოზულ დამუშავებას მოითხოვს არა მარტო პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მხრიდან, არამედ იურისპრუდენციის მხრიდანაც. მან უნდა განსაზღვროს აღმზრდელობით-პროფილაქტიკური ზემოქმედების პროცესში
შთაგონების რომელი მეთოდი შეიძლება იქნეს გამოყენებული არასრულწლოვანზე.

ნეგატიური განწყობების გარდაქმნაში არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს თვითშთაგონების ანუ აუტოტრენინგის მეთოდები. დღეისათვის ისინი აქტიურად გამოიყენება და რეკომენდებულია ფსიქოთერაპევტების მიერ შფოთიანობის მდგომარეობისას, აკვიატებების მოხსნისათვის, სხვადასხვა კომპლექსების გადასალახავად, ადამიანის ტონუსისა და ემოციურ-ფსიქიკური ჯანმრთელობის აღსადგენად და სხვ.

არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის ანალიზისას გამოყოფილია დამრღვევთა ოთხი ტიპი,

რომელთათვისაც საზოგადოებრივად საშიში ქმედება წარმოადგენს:

1. შემთხვევითს;

2. შესაძლებელს;

3. პიროვნების საერთო უარყოფითი ორიენტაციის შედეგს;

4. პიროვნების დანაშაულებრივი განწყობის შედეგს.

მეცნიერები თვლიან, რომ ზემოაღწერილი ტიპოლოგია არა მხოლოდ აფიქსირებს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევთა პიროვნების ძირითად მიმართულებებს, არამედ ასახავს პიროვნების სოციალურად ნეგატიურ ნიშან-თვისებების ფორმირების პროცესს, გადასვლას ერთეული დეფორმაციიდან მათ "ჯაჭვამდე".

"ძნელადაღსაზრდელობა" არის არახელსაყრელი გარეგანი პირობების ზემოქმედების შედეგი. თუ ამას თან ერთვის გარკვეული პრობლემები ან გადახრები მოზარდის ფსიქიკაში, მაშინ სიტუაცია უფრო რთულია. არახელსაყრელი პირობები შეიძლება იყოს მშობლების ანომალიური ქცევა, ოჯახურ ურთიერთობებში კრიზისი, შეცდომები აღზრდაში, სკოლაში და სხვ. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეს დოგმად ის მოსაზრება, რომ "ცუდ" მშობლებს აუცილებლად "ცუდი" შვილები ჰყავთ. მოზარდი არა მარტო აღიქვამს და ითვისებს გარემოს უარყოფით ზემოქმედებას, არამედ ის შეიძლება ყურადღებას არც აქცევდეს, უფრო მეტიც – იბრძოდეს მის წინააღმდეგ; შედეგად კი ჩამოუყალიბდეს დადებითი პიროვნული თვისებები.

6.3. არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიების ფსიქოლოგიური თავისებურებები

მოზარდთა ფსიქოლოგიური თავისებურებების ცოდნა ხელს უწყობს დანაშაულის გახსნასა და არასრულწლოვანთა ხელახლა აღზრდის დროს წარმოქმნილი პრობლემების სწორად გადაჭრას. სამართალდამცავი, და უპირველეს ყოვლისა, წინასწარი გამოძიების ორგანოების მუშაკები, იყენებენ რა ამ ცოდნას, უზრუნველყოფენ არასრულწლოვანის პიროვნების სწორ დიაგნოსტიკას, მისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, სიტუაციისადმი შესატყვისი ტაქტიკური ხერხების შერჩევა–გამოყენებას და ა.შ.

წინასწარი გამოძიების სტადიაზე არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის პიროვნების ანალიზი შემდეგ სქემას შეესატყვისება:

- მემკვიდრულ-ბიოლოგიური ფაქტორები: მშობლების მიდრეკილება ნერვულ-ფსიქიკური დაავადებებისადმი, პათოლოგიური ფეხმძიმობა, არანორმალური მშობიარობა და სხვა.
- მოზარდის უახლოესი სოციალური გარემოცვა:ოჯახი; მშობლების, ძმების, დების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი; აღზრდის თავისებურებები, სკოლა, თანაკლასელების ღირებულებითი ორიენტაციები, მეგობრები, მათი სოციალური მდგომარეობა და ფასეულობები, მეგობრების ჯგუფში სტატუსი და სხვ.
- მოზარდის პიროვნული მახასიათებლები: ტემპერამენტისა და ხასიათის თავისებურებები, მოტივაციური ბლოკი, მიღწევი-

სადმი მოტივაცია, პრეტენზიის დონე, თვითშეფასება და შესაძლო კონფლიქტები თვითშეფასების სფეროში, პროფესიის არჩევანის გაცნობიერება, მომავლის დაგეგმვა და სხვ.

- მოზარდის მართლშეგნება(მართლცნობიერება).

არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის აღზრდისა და ცხოვრების პირობების შესასწავლად, აუცილებელია სხვა სფეროების – მისი ოჯახის, სწავლისა და სამუშაო ადგილის – შესწავლაც.

ოჯახური პირობების გასაცნობად აუცილებელია არასრულწლოვანის ცხოვრების პირობების გარკვევა დანაშაულის ჩადენამდე და მის შემდგომ. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს მიერ სასჯელის ზომისა და სახეობების განსაზღვრაში. აუცილებელია:

- დავადგინოთ ოჯახის სრული შემადგენლობა(მშობლები, ბებიები, ბაბუები, დები, ძმები, ის პირები, რომლებიც დროებით ან მუდმივად ცხოვრობდნენ არასრულწლოვანთან ერთად ოჯახში); ოჯახის ყოველი წევრის ასაკი, განათლება, სამუშაო ადგილი, სასწავლო დაწესებულება, თუკი ეს აუცილებელია საქმესთან დაკავშირებით; ცხოვრობს თუ არა ორივე მშობელი არასრულწლოვანთან ერთად; თუ არ ცხოვრობს, საჭიროა მიზეზების დადგენა(გარდაიცვალა, განქორწინებაშია, ქრონიკული ავადმყოფია, ხანგრძლივ მივლინებაშია და ა.შ.);
- გამოვარკვიოთ, ინტერესდებოდნენ თუ არა მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები

მოზარდის სწავლის დონით, მისი მეგობრების წრით, გართობის ფორმებით და ა.შ.

- ❖ გავიგოთ, ამჩნევდნენ თუ არა არასრულწლოვანს ნეგატიურ ქცევას და როგორ რეაგირებდნენ უფროსები ამაზე, რა ზომები მიიღეს, მაგ., ჩხუბის, სპირტიანი სასმელის მოხმარების, ნარკოტიკების გამოყენების შემჩნევის დროს და სხვ.

სასნავლო დაწესებულებაში უნდა გაირკვეს:

- ❖ ესწრებოდა თუ არა არასრულწლოვანი ბრალდებული მეცადინეობებს დანაშაულის ჩადენის პერიოდში;
- ❖ როგორი აკადემიური მოსწრება აქვს, იყო თუ არა კლასში ჩარჩენილი;
- ❖ გატაცებულია თუ არა რომელიმე სასწავლო დისციპლინით;
- ❖ როგორია მისი დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი, სკოლაში ან სკოლის გარეთ თუ უვლია რომელიმე წრეზე;
- ❖ როგორი ურთიერთობები აქვს სკოლელებთან, კლასელებთან;
- ❖ მეგობრობდა თუ არა თანაკლასელებთან, როგორია მათი მოსწრება და დისციპლინა;
- ❖ როგორია სკოლელებთან ურთიერთობაში: გაღიზიანებულია, აგრესიულია, კონფლიქტურია, ამბიციურია, ფანტაზიორია, უყვარს თუ არა უმცროსების, სუსტების დაჩაგვრა და სხვ;
- ❖ ძუნწია, კეთილია, თავისთავში ჩაკეტილია, ექსტრავერტია თუ ინტროვერტი; როგორ

რეაგირებს შენიშვნაზე მოზრდილთა მხრიდან;

- ❖ იზიარებს თუ არა საკუთარი კოლექტივის, ჯგუფის აზრებს, შეხედულებებს;
- ❖ როგორია მისი დამოკიდებულება მშობლებისადმი, მასწავლებლებისადმი, სკოლის ადმინისტრაციისადმი, ვინ არის მისთვის ავტორიტეტი.

საინტერესოა იმის გარკვევაც, რომ თუკი მოზარდის ნეგატიური ქცევა სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის კოლექტივის განსჯის საგანი იყო, როგორია არასრულწლოვანის დამოკიდებულება მიღებული ზომებისადმი:

- ❖ აღიარა შეცდომები, მოინანია;
- ❖ თუკი დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობდნენ სხვა მოზარდებიც, როგორი იყო მისი დამოკიდებულება მათდამი;
- ❖ ყოფილა თუ არა გარიცხული სკოლიდან, ან არ დაიშვებოდა თუ არა მეცადინეობებზე, შეატყობინეს თუ არა ამის შესახებ მშობლებს;
- ❖ შეიცვალა თუ არა მისი ქცევა "დასჯის" შემდგომ;
- ❖ სად და ვისთან ერთობოდა თავისუფალ დროს;
- ❖ ეწევა თუ არა თამბაქოს, ეტანება თუ არა ალკოჰოლურ სასმელებს, არის თუ არა ჩხუბისთავი და ა.შ.

იმ კრიზისულ მოვლენებს, რომლებიც ახასიათებენ მოზარდობის ასაკის ფსიქოფიზიოლოგიურ განვითარებას და რომლებიც განაპირობებენ ასოციალურ

ქცევას, შეიძლება მიეკუთვნებოდეს მოზარდის ფსიქიკისა და ორგანიზმის შემდეგი თავისებურებები:

1. სქესობრივი მომწიფების პერიოდში მოზარდის ორგანიზმის სწრაფი და არათანაბარი განვითარება; ამაში შედის გულ-სისხლძარღვთა და ძვალ-კუნთოვანი სისტემის არათანაბარი განვითარება, რაც ამძიმებს მოზარდის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას; "ჰორმონალური ქარიშხალი", გამოწვეული სქესობრივი სიმწიფის პერიოდში ენდოკრინული სისტემის მომატებული აქტივობით, რაც ვლინდება მოზარდის ამაღლებულ აგზნებადობაში, ემოციურ არამდგრადობაში და ა.შ.
2. ცვლილებები მოზრდილებთან ურთიერთობაში. ეს გამოიხატება მოზარდის მომატებულ კონფლიქტურობაში მშობლებთან, რაც, თავის მხრივ, აიხსნება შემდეგი მიზეზებით: ა) ე.წ. "მორალთა კონფლიქტი", როდესაც ბავშვის "დამორჩილების მორალი" იცვლება "თანასწორობის მორალით"; ბ) მოზრდილობის გრძნობა, ემანსიპაციის რეაქცია, მოზრდილისაგან გამოცალკევება; გ) მოზრდილების მიმართ მომატებული კრიტიკულობა.
3. ცვლილებები თანატოლებთან ურთიერთობებში. ეს ეხება როგორც საკუთარი, ასევე საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს.

მოზარდზე დესოციალიზებადი გავლენა შეიძლება იქონიოს მშობლების ან პედაგოგების მიერ დაშვებულმა სხვადასხვა შეცდომებმა, გაუთავებელმა კონფლიქტებმა და ა.შ.

რიგ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება მოზარდთან დაკავშირებულ განსაკუთრებით რთულ საკით-

ხებს, ინიშნება სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა. მისი შესწავლის ობიექტს წარმოადგენს არა მონმის, ბრალდებულისა და დაზარალებულის ჩვენებები, არამედ მათი ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობის ინდივიდუალური თავისებურებები; მათი აღქმის ადეკვატურობის, ამა თუ იმ მოვლენის აღდგენის უნარის გარკვევა და სხვ.

ექსპერტი-ფსიქოლოგის დასკვნა არ წარმოადგენს ჩვენებების სისწორის შეფასებას.

ცნობილია, რომ მოზარდობის ასაკში აღინიშნება ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებადობის ზღურბლის დაქვეითება, მასში შეკავების შესუსტება და აგზნების პროცესების სიჭარბე, სხვადასხვა გარეგან ფაქტორებზე ორგანიზმის რეაქციების არაადეკვატურობა და დეზინტეგრირებულობა, ცხოვრებისეული მოვლენებისადმი მომატებული ინტერესი, მათში მონაწილეობისადმი მისწრაფება, საკუთარი ძალების, უფლებებისა და შესაძლებლობების გადაფასება, ამაღლებული ემოციურობა, აფექტურობა და ა.შ. ფსიქოლოგის ჩარევის გარეშე გამომძიებელი და სასამართლო ვერ დაადგენს, თუ რამდენად მოახდინეს ზეგავლენა ამა თუ იმ ასაკობრივმა თავისებურებებმა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაზე.

არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მაშინ, როცა გამომძიებელს ეჭვი შეაქვს მოზარდის გონებრივ განვითარებაში, მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებში, კერძოდ, აცნობიერებდა თუ არა არასრულწლოვანი საკუთარ ქცევას, დანაშაულის ჩადენის პროცესში.

მიზანშეწონილია, გამომძიებელმა იცოდეს არასრულწლოვანის ფსიქოლოგიური თავისებურებები და

გაითვალისწინოს ისინი ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ტაქტიკური ხერხების არჩევის პროცესში. მაგ., **3-დან 7 წლამდე** ბავშვების დაკითხვისას, გამომძიებელს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ამ ასაკის ბავშვები სინამდვილის აღქმისას ცუდად ერკვევიან მიზეზ-შედეგობრივ კავშირებში, რთულ მოვლენებს აღიქვამენ არა მთლიანობაში, არამედ ფრაგმენტულად. ამ ასაკის ბავშვები აღქმული მოვლენის აღდგენისას დეტალურად აღწერენ მეორეხარისხოვან მხარეებს, დანახულს ავსებენ ფანტაზიით, ადვილად იცვლიან აზრს უფროსების ზეგავლენით და სხვ.

უმცროსი სასკოლო ასაკის(**7-დან 11 წლამდე**) ბავშვებს გაუმჯობესებული აქვთ აღქმა; ვლინდება ლოგიკური მსჯელობა და აზრის გადმოცემის უნარი, ჩამოყალიბებას იწყებს ურთიერთდაკავშირებული ცნებების სისტემა; მიუხედავად ამისა, ამ ასაკის ბავშვები რთული მოვლენების აღწერისას ვერ ანსხვავებენ ძირითადს მეორეხარისხოვნისაგან; ცხოვრებისეული გამოცდილების არარსებობა კი იწვევს წარმოსახვის ამოქმედებას. ეს ბავშვები კარგად აღიქვამენ იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც მათთვის საინტერესო და ახლოა. მათ, დაკითხვის დროს კარგი ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებისას, შეუძლიათ ობიექტური ინფორმაციის მოცემა.

11-დან 15 წლამდე მოზარდების დაკითხვისას აღინიშნება კარგად განვითარებული შემეცნებითი პროცესები. ამ ასაკის ბავშვებს ჩამოყალიბებული აქვთ თვითშემეცნება, თვითშეგნება, ისინი ისწრაფვიან სოციალური ურთიერთობებისადმი, დამოუკიდებლობისადმი; ავლენენ პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობას. ეს თვისებები ხელს უწყობს მათ მიერ ინფორმაციის აღდგენას. მაგრამ ამ ასაკისათვის ზოგჯერ

დამახასიათებელია გადამეტებული თავდაჯერებულობა, პატივმოყვარეობა, თავმოყვარეობა, გაუწონასწორებელი ქცევა, ფანტაზიორობისადმი მიდრეკილება. მათ შეიძლება არასწორი ჩვენება მისცენ უფროსების ზეგავლენით, რაც დადასტურებულია საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში.

15-დან 18 წლამდე არასრულწლოვანების დაკითხვისას მოქმედებს უკვე მოზრდილი ადამიანებისათვის დამახასიათებელი ფსიქიკური კანონზომიერებები. მაგრამ ზოგიერთ გოგონასა და ვაჟში შეიმჩნევა არასწორი ღირებულებითი ორიენტაციები, რომელსაც თან ერთვის დამოუკიდებლობისაკენ მომეტებული სწრაფვა. გამომდინარე აქედან, მაგ., მთვრალ მდგომარეობაში საჭესთან დაჯდომას არასრულწლოვანი აღიქვამს, როგორც სიმამაცის, ვაჟკაცობის გამოვლინებას და არა კანონდარღვევას.

არასრულწლოვანთა დაკითხვა შეიძლება დაიყოს ხუთ ეტაპად:

1. დაკითხვის საწყის ეტაპზე გამომძიებელი, როგორც წესი, არასრულწლოვანისგან ზეპირი ფორმით იღებს მის ანკეტურ მონაცემებს; ამ ეტაპზე ორივე მოსაუბრე დაახლოებით მოხაზავს ერთმანეთის მიმართ ქცევის ფორმებს. გამომძიებლის მთავარი ამოცანაა დასაკითხი პიროვნების სწორი დიაგნოსტირება.
2. დაკითხვის მეორე ეტაპს წარმოადგენს დამკითხავისა და დასაკითხის ფსიქოლოგიური კონტაქტი. უნდა აღინიშნოს, რომ კონტაქტი არ მყარდება ყოველ დაკითხვაზე, თუმცა ნებისმიერი გამომძიებელი ამისკენ ისწრაფვის. ამ სტადიაზე საუბრის თემა შეიძლება იყოს საქმისთვის უმნიშვნელო საკითხები, მაგ., დასაკითხი პიროვნე-

ბის ბიოგრაფია, სწავლის პროცესი, გატაცებები და ა.შ.

3. დაკითხვის მთავარი ნაწილია მესამე ეტაპი. ამ დროს გამომძიებელი ცდილობს დასაკითხი პირისგან მიიღოს საქმესთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია. კარგად ორგანიზებული დაკითხვისას ეს პროცესი დადებითი შედეგის მქონეა.
4. მეოთხე ეტაპზე გამომძიებელი ადარებს დაკითხვის პროცესში მიღებულ ინფორმაციას მის ხელთ არსებულ მონაცემებს და ცდილობს აღმოფხვრას გაუგებრობა, უზუსტობები, წინააღმდეგობრიობა და ა.შ.
5. დაკითხის დასკვნით – მეხუთე – ეტაპზე გამომძიებელს სხვადასხვა საშუალებებით(ხელნაწერი, მაგნიტოფირი, სტენოგრამა...) პროტოკოლში შეაქვს დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია და წერილობითი ფორმით წარუდგენს დასაკითხ პიროვნებას(არასრულწლოვანს), რომელიც მის სისწორეს ხელმოწერით ადასტურებს.

არასრულწლოვანი კანონდამრღვევების დაკითხვების ანალიზის საფუძველზე მეცნიერებმა შეიმუშავეს პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მათთან ურთიერთობისას ურიგო არ იქნება.

"ძნელადაღსაზრდელ" მოზარდში უპირველესად უნდა განვსაზღვროთ დადებითი ნიშან-თვისებები, რომელთა ბაზაზეც შესაძლოა მასთან ფსიქოლოგიური კონტაქტის მიღწევა და მისი ხელახლა აღზრდა. "რთულ" მოზარდთან ურთიერთობების ნორმალიზება მისი ობიექტური შესწავლის ძირითად წანამძღვარს წარმოადგენს. ასეთი მოზარდის გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაკვირვებით შეისწავ-

ლება ის გარემო, სადაც იზრდებოდა, ახლო მეგობრების წრე და ა.შ.

ასოციალური მიკროგარემოს წევრად ყოფნისას, ჩადის რა ამორალურ ქცევებსა და დანაშაულს, მოზარდი იძენს უარყოფით ჩვევებს, ქცევის სტერეოტიპებს. ასეთი მოზარდის ხელახლა აღზრდისას აუცილებელია, პირველ რიგში, მისი ნეგატიური ჩვევებისგან გათავისუფლება. აქ განსაკუთრებით საჭიროა ფსიქოლოგის დახმარება, რომელმაც უნდა სცადოს "გამოსწორების" განწყობა შეუქმნას მოზარდს. უკეთესია ოპტიმისტურად ვფიქრობდეთ, რომ ყველა არასრულწლოვანში არსებობს დადებითი ნიშან-თვისებები. რიგ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ ე.წ. რესტიტუციაზე ანუ მოზარდის პიროვნებაში დადებითი თვისებების აღდგენაზე, რომლებიც მან დაკარგა არახელსაყრელი გარეგანი ზემოქმედებებისა და მართლსაწინააღმდეგო ქცევის შედეგად.

გამომძიებელმა დაკითხვაზე ურთიერთობის ისეთი ტაქტიკა უნდა შეარჩიოს, რომ დასაკითხი მოზარდი დარწმუნდეს მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში.

გამომძიებელმა პირადად უნდა დაკითხოს მოზარდის მშობლები, პედაგოგები, ამხანაგები, და სხვ. დაკითხვამდე არასრულწლოვანის პიროვნულ თავისებურებებთან დაკავშირებით(მატყუარობა, აგრესიულობა, სამართლიანობა, სისასტიკე, კონფლიქტურობა, გულკეთილობა, სიძუნწე და ა.შ.) მოპოვებული ინფორმაცია აუცილებლად დაეხმარება გამომძიებელს დაკითხვის სწორი ტაქტიკის არჩევაში.

არასრულწლოვანის პიროვნების შესწავლისას, გამომძიებელმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაადგინოს ის პერიოდი, როდესაც მოზარდის ქცევა უარყოფითი-

საკენ შეიცვალა; გამოარკვიოს ამ ცვლილებების მიზეზები. მიზეზი შეიძლება იყოს ბევრნაირი. მაგ., ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალება, განქორწინების შედეგად მისი ოჯახიდან წასვლა, ავადმყოფობა, მშობლებთან კონფლიქტი, მატერიალური მდგომარეობის გაუარესება და სხვ.

არასრულწლოვანები უმეტესად ჯგუფურ ან მრავალეპიზოდურ დანაშაულს ჩადიან. საქმის წარმატებული გამოძიებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი საკითხის გადაჭრას, როგორიცაა დაკითხვის თანმიმდევრობის დადგენა. დასმული საკითხების რაციონალური გადაჭრისათვის აუცილებელია საერთო წესის დაცვა, რაც შემდეგში მდგომარეობს: უპირველესად უნდა დაიკითხონ ის მოზარდები, რომლებიც მართალ ჩვენებებს იძლევიან და ნაკლებად არიან მოქცეულნი არასრულწლოვანი დამნაშავეების მიკროგარემოს უარყოფითი გავლენის ქვეშ.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულში ხშირად ორგანიზატორად გამოდიან ადრე ნასამართლევი მოზრდილები ან სრულწლოვანი ახალგაზრდები. ისინი უფრო გამოცდილები და ხასიათით თუ ფიზიკურად სხვებზე ძლიერები არიან. ამაყობს რა საკუთარი "დანაშაულებრივი წარსულით", ბანდის მეთაური ცდილობს დაიქვემდებაროს ჯგუფის სხვა წევრები, არაიშვიათად ატერორებს კიდეც მათ. გამომძიებლის პირველხარისხოვან ამოცანას სწორედ ამ "ხელმძღვანელის" გამომჟღავნება შეადგენს.

საერთოდ, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეისათვის თითქმის ყველა ქვეყანაში მოიმატა დანაშაულის რიცხვმა. განსაკუთრებით ეს ხდება იქ, სადაც საზოგადოება მკვეთრად დაყოფილია სოციალურ

ფენებად. შემაშფოთებელია ის, რომ ძალადობისა და მკვლელობის ჩამდენ პირთა შორის სულ უფრო ხშირად ბავშვები და მოზარდები ხვდებიან. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ მსგავს დანაშაულთა მიზეზების ახსნაში, კრიმინოლოგებსა და კრიმინალისტებთან ერთად, გამოძიებაში ფსიქოლოგებიც ჩაერთნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ–ფსიქოლოგიური საკითხები. რედ. ნ. როგავა. თბილისი, 1983.

2. ახალაშვილი ნ. ფსიქოლოგია. დამხმარე სახელმძღვანელო. თბილისი, 2004.

3. ახალაშვილი ნ. იურიდიული ფსიქოლოგიის საფუძვლები. დამხმარე სახელმძღვანელო. წიგნი I. თბილისი, 2006.

4. ახალაშვილი ნ. იურიდიული ფსიქოლოგიის საფუძვლები. დამხმარე სახელმძღვანელო. წიგნი II. თბილისი, 2008.

5. ილიუჩონოკი რ. ემოციები და მეხსიერება. თბილისი, 1991.

6. თრეკელი ე. მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია. თბილისი, 2003.

7. მერაბიშვილი გ. ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია. თბილისი, 1998.

8. მეფარიშვილი გ. ცხოვრება და კანონი. თბილისი, 2008.

9. ნადირაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი, 1975.

10. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. ტ. III-IV. თბილისი, 1998.

11. Бэрон Р. Ричардсон Д. Агрессия. Санкт-Петербург, Москва... 2000.

12. Васильев В.Л. Юридическая психология.Санкт-Петербург, Москва... 2001.

13. Выготский Л.С. Мышление и речь. Москва, 2001.

14. Гришина Н.В. Психология конфликта. Москва, Санкт-Петербург... 2004.
15. Гульдан В.В. Мотивация преступного поведения психопатических личностей. Москва, 1986.
16. Еникеев М.И. Юридическая психология. Москва, 2002.
17. Ждан А. И. История психологии. Москва, 2002.
18. Иванов Н.Г. Аномальный субъект преступления. Москва,1998.
19. Ильин Е. П. Мотивация и мотивы. М., С-Пб... 2006.
20. Караяни А. Г., Сыромятников И.В. Прикладная военная психология. Москва, Санкт-Петербуг... 2006.
21. Кехо Дж. Подсознание может все. Минск. 2007.
22. Квинн В.Н. Прикладная психология. Санкт-Петербург, Москва... 2000.
23. Козлов Н. И. Формула личности. С-Пб., М., 2000
23. Крайг Г., Бокум Д. Психология развития. Москва, Санкт-Петербург... 2006.
24. Криминология/под ред.Джозефа Ф. Шели/. Москва, Санкт-Петербург...2003.
25. Кудрявцев В.Н. Правовое поведение: норма и патология. Москва, 1982.
26. Кузнецов А.В. Уголовное право и личность. Москва, 1977.
27. Лупьян Я.А. Барьеры обвинения, конфликты, стресс... Минск, 1986.
28. Маклаков А.Г. Общая психология. Москва, Санкт-Петербург... 2005.
29. Майерс Д. Социальная психология. Санкт-Петербург, Москва... 1999.

30. Миняров В.М. Педагогическая психология. Москва, 2005.
31. Общая психология/под ред. Петровского А.В./. Москва,1986.
32. Пирогов А.И. Политическая психология. Москва, 2005.
33. Психология/под ред. Дружинина В.Н./. Санкт-Петербург, Москва... 2001.
34. Психология/под ред. Крылова А.А./. Учебник. Москва, 1999.
35. Платонов Ю.П. Социальная психология поведения. Москва, Санкт-Петербург... 2006.
36. Психология подростка/под ред. Реана А.А./. Санкт-Петербург, Москва, 2003.
37.Психология индивидуальных различий. Тексты./под ред. Гиппенрейтер Ю Б., Романова В. Я./. Москва, 1982.
38. Реан А.А. Психология подростка. Социализация. Поведение. Общение. М., 2007.
39. Реан А.А. Коломинский Я. Л. Социальная педагогическая психология. С-Пб., М., 1999.
40. Рабочая книга практического психолога/под ред. Бодалева А.А./. Москва, 2001.
41. Руденский Е.В. Социальная психология. Курс лекций. Москва, 2000.
42. Рюкле Х. Ваше тайное оружие в общении/мимика, жест, движение/. Москва, 1996.
43. Современный словарь по психологии. Сост. Юрчук В.В. Москва, 2000.
44. Самоукина Н. В. Экстремальная психология. Москва, 2000.
45. Фернхем А., Хейвен П. Личность и социальное поведение. Санкт-Петербург, Москва... 2001.

46. Фолкен Ч. Т. Психология – это просто. Москва, 1999.
47. Хьелл Л., Зиглер Д. Теории личности. Санкт-Петербург, Москва.... 2002.
48. Шевандрин Н.И. Психодиагностика, коррекция и развитие личности. Москва, 1999.
49. Argyle M. Psychology and Social Problems. London EC4.

ტექ. რედაქტორი: ლ.შენგელია

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge